გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

2022 წელს განხორციელებული
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის

ანგარიში

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი დაარსდა 2005 წელს 12 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის 1038 ბრძანებულების საფუძველზე. ცენტრი არის 1941 წელს დაარსებული გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამართალმემკვიდრე,
2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზნები და ფუნქციები.

ცენტრის **დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი** 2022 წლის მარტიდან - **თამაზ დვალი**
სამეცნიერო მუშაობას წარმართავს **სამეცნიერო საბჭო** 26 მეცნიერის შემადგენლობით.
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მარიანა ოკლეი

ცენტრის სტრუქტურა:

სამეცნიერო ნაწილი - ორი განყოფილება:

- **ძველი ხელოვნების განყოფილება** (განყოფილების გამგე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **დავით ხოშტარია)**
- **ახალი ხელოვნების განყოფილება** (განყოფილების გამგე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **მარინა გაჩეჩილაძე)**
- **არქივი და ბიბლიოთეკა** (გამგე - **გურამ ჟღენტი)**
- **მატერიალური კულტურის ძეგლთა აღწერილობის განყოფილება** (ხელმძღვანელი - **თამაზ დვალი)**
- **სერგო ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია** (გამგე - **მარინა ფანცხავა)**

ცენტრის ფუნქციები:

ქართული ხელოვნების (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების), საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ შექმნილი მხატვრული ნაწარმოებების შესწავლა, ფუნდამენტური მეცნიერული კვლევა; მისი პოპულარიზაცია, სამეცნიერო და საზოგადოებრივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება, საგამომცემლო საქმიანობა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელებული პროექტების ექსპერტიზა;

ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; კვლევითი და საკონსერვაციო მეთოდოლოგიის შემუშავება; რეკომენდაციები კულტურის პოლიტიკის მიმართულებით.

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები ხელოვნების ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით;
- ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, ვებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები და სხვ.);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;
- ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოძრავი და უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი მხატვრული ღირებულებების დადგენის მიზნით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები - საბაკალავრო და სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

2021 წელს ცენტრის სამეცნიერო საქმიანობა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

1. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება;
2. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება;
3. შუა საუკუნეების ქვის პლასტიკა და ლითონმქანდაკებლობა;
4. შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა;
5. შუა საუკუნეების ხელნაწერთა გაფორმება;
6. შუა საუკუნეების ხატწერა და მინანქარი;
7. პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება;

8. კულტურათშორისი დიალოგი;
9. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნება;
10. ქართული სცენოგრაფია;
11. ახალი და თანამედროვე ქართული არქიტექტურა;
12 ქართული ფოტოხელოვნება;
13. საარქივო მასალის დამუშავება და კვლევა;
14. კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაცია: კვლევა, შეფასება, მონიტორინგი;
15. მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობა;
16. ხელოვნებისა და სახელოვნებო სამეცნიერო კვლევების პოპულარიზაცია.

>>>>>>>>>>>>>>>>>>>>>>>>>

2021 წელს ცენტრის თანამშრომელთა მიერ, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, დამუშავდა 55 სამეცნიერო თემა; გამოქვეყნდა 42 სამეცნიერო სტატია, მათ შორის 8 უცხოურ რეფერირებად ჟურნალებსა თუ კრებულებში; გამოიცა 6 მონოგრაფია; კონფერენციებზე წარდგენილი იქნა 47 მოხსენება, მათ შორის 19 უცხოეთში; ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ 15, კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ 2 პროექტში: 50-ზე მეტ სარესტავრაციო-საკონსერვაციო და უცხოური გრანტით დაფინანსებულ 3 პროექტში. ცენტრმა გამართა 3 კონფერენცია, მათ შორის 1 საერთაშორისო; სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ცენტრის 20 თანამშრომელი, სხვადასხვა სარედაქციო, სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების საქმიანობაში მონაწილეობს 21 თანამშრომელი. ცენტრი ამზადებს და გამოსცემს 2 პერიოდულ ჟურნალს: **„საქართველოს სიძველენი“** და **Ars Georgica** სერია **B** (georgianart.ge ელექტრონული გამოცემა).

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ძველი ხელოვნების განყოფილება წლიური ანგარიში 2022

დავით ხოშტარია

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ძველი ხელოვნების განყოფილების გამგე

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

(სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

ურბანული განვითარების ძირითადი ტენდენციები შუა საუკუნეებისა და ახალი დროის საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2022 (ერთწლიანი პროექტი, დასრულებული)

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

დავით ხოშტარია - მკვლევარი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

ურბანული განვითარების ძირითადი ტენდენციები შუა საუკუნეებისა და ახალი დროის საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2022 (ერთწლიანი პროექტი)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

დავით ხოშტარია - მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჩატარებული კვლევის მიზანს შეადგენდა საქართველოს ქალაქების განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და მათი განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა ადრეული შუა საუკუნეებიდან 1918 წლამდე.

შუა საუკუნეების საქართველოში ქალაქის ფორმალური განსაზღვრება არ არსებობდა, ამიტომ ქალაქების თუნდაც მიახლოებითი რიცხვის თქმა შეუძლებელია. ერთი და იგივე დასახლებული პუნქტი შეიძლება ერთი ავტორისთვის ქალაქი იყოს, სხვისთვის - არა. ქალაქის ერთ-ერთ არსებით მახასიათებლად ითვლებოდა რამდენადმე ფართო ვაჭრობისა და ხელოსნობის არსებობა. მაგრამ აყვავებული ვაჭრობა და ხელოსნობა არ იყო საკმარისი ქალაქის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. შუა საუკუნეებში ქალაქი მშვიდად ვერ იცხოვრებდა, თუ საიმედოდ არ იყო დაცული. იმდროინდელი წერილობითი წყაროები გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევს ქალაქთა ფორტიფიკაციას, ვიდრე მათ შიგნით მდებარე შენობებს და იქ მიმდინარე ცხოვრებას. ქართველ მემატიანეთათვის ციხის არსებობა ქალაქის უმთავრესი და ხშირად ერთადერთი მახასიათებელია.

წერილობითი ცნობები ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების ურბანული სტრუქტურისა და გეგმარების თაობაზე უკიდურესად მწირია. მათ ნაწილობრივ ავსებს არქეოლოგიური მონაცემები, თუმცა განსაკუთრებული ინფორმატიულობით ვერც ისინი დაიკვეხნის.

XVIII საუკუნემდე საქართველოს ქალაქებში არ იყო არც სამეფო და არც მუნიციპალური კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუტები - უნივერსიტეტები, სკოლები, გამომცემლობები, სტამბები, ბიბლიოთეკები. XVIII საუკუნემ ამ თვალსაზრისით არსებითი სიახლე მოიტანა, რომელთაგან პირველი იყო ვახტანგ VI-ის მიერ თბილისში სტამბის დაარსება. 1770-80-იან წლებში თბილისში ჩნდება კერძო მანუფაქტურული საწარმოები, რომლებსაც მეფე იჯარით გასცემდა კერძო მრეწველებზე. ეს კულტურულ-საგანმანათლებლო და ეკონომიკური ნოვაციები შეიძლება განვიხილოთ საქართველოს ქალაქების პირველ ნაბიჯებად მოდერნიზაციის გზაზე.

XIX საუკუნემ საქართველოს ქალაქებში ძირეული ცვლილებები მოიტანა. ისინი განპირობებული იყო, ერთი მხრივ, მსოფლიოში მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუციითა და მოდერნიზაციის პროცესით, მეორე მხრივ, რეგიონის გეოპოლიტიკური სურათის თვისობრივი შეცვლით. ამ დროიდან საქართველოს ქალაქების რეკონსტრუქცია და ახალი უბნების გაშენება მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიაში მიღებული ქალაქგეგმარებითი ნორმებით, რომლებიც გულისხმობდა რეგულარულ დაგეგმარებას სწორი ურთიერთმართობული ან რადიალური ქუჩებით. საქართველოში რეგულარული გეგმა მოსახერხებელი გამოდგა ზღვისპირა დაბლობების ქალაქებისათვის – ასე გაშენდა ფოთი მთლიანად, სოხუმი თითქმის მთლიანად და ბათუმის „რუსული“ უბნები. ასეა დაგეგმარებული ასევე ახალციხის ახალი ნაწილი „პლანი“ და, ნაწილობრივ, თბილისის გარეთუბანიც. უფრო რთული აღმოჩნდა რეგულარული გეგმის მორგება ბორცვებზე გაშენებული ქუთაისისათვის, თუმცა რიონის მარცხენა ნაპირზე ის ნაწილობრივ მაინც გამოიყენეს.

ქალაქების გეგმარებასა და არქიტექტურაზე, რელიეფთან ერთად, გარკვეულ გავლენას ახდენდა კლიმატური პირობები. ნესტიანმა ჰავამ და ძლიერმა წვიმებმა განსაზღვრა ფოთისა და ბათუმის სახლების სპეციფიკა. ჭაობმა, რომელზეც გაშენდა ფოთი, კვალი დაამჩნია არა მხოლოდ ფოთის საცხოვრებლების სტრუქტურას, არამედ ქუჩების მოწყობის წესსაც. სამხრეთ კავკასიის რეგიონის მაღალი სეისმურობის შიში იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აქ გაურბოდნენ

მრავალსართულიანი სახლების მშენებლობას. პატარა ქალაქებთან ერთად, ეს ეხებოდა თბილისსაც.

რუსეთის იმპერიასთან მიერთებამ დააჩქარა საქართველოს ქალაქების მოდერნიზაციის პროცესი, რომელიც უკვე ისახებოდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. სხვადასხვა ქალაქს ის სხვადასხვა ხარისხით შეეხო. საქართველოს ქალაქების XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიაში აირეკლა არა მხოლოდ ქალაქგეგმარებისა და არქიტექტურის განვითარება, არამედ ასევე ეკონომიკისა და ტექნოლოგიების პროგრესი, პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული პროცესები, ომები და სოციალური მღელვარებები. ბევრგან სხვადასხვა დოზით შენარჩუნდა შუა საუკუნეების ურბანული მემკვიდრეობა ძველი უბნების ქუჩების ქსელის სახით. უფრო თვალსაჩინო კვალი დაამჩნია მათ ახალი დროის ქალაქმშენებლობითმა კონცეფციებმა. ისინი მეტ-ნაკლები წარმატებით მოერგო ბუნებრივ პირობებს – მდებარეობას, რელიეფსა თუ კლიმატს, რომლებიც საქართველოს ქალაქებში დიდად ურთიერთგანსხვავებულია.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში.

პროექტის შიფრი: FR2017/ FR17_221

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები
6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2017-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
მარიამ დიდებულიძე - პროექტის ხელმძღვანელი
დავით ხოშტარია - მკვლევარი
ნატალია ჩიტიშვილი - კოორდინატორი, მკვლევარი
ქრისტინე საბაშვილი - მკვლევარი
მარინე ყენია - მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საპროექტო სამუშაოები დასრულდა 2022 წლის ივნისში (დასრულების ვადა ორჯერ გადაიდო პანდემიის გამო). ვრცელი და მრავალფეროვანი პირველადი წყაროებისა და საველე კვლევის საფუძველზე პირველად გაშუქდა არქიტექტურის შუასაუკუნეობრივი რეპრეზენტაციის

სხვადასხვა ასპექტი: როგორ აღიქვამდნენ და წარმოადგენდნენ შუა საუკუნეების ქართველები არქიტექტურას, რა იყო არქიტექტურის რეპრეზენტაციის მიზნები, რა გავლენას ახდენდა ისინი მასალაზე, ტექნიკასა და მხატვრულ ფორმაზე, როგორი იყო რეპრეზენტაციის შინაარსობრივი, იკონოგრაფიული და ესთეტიკური თავისებურებები მხატვრობაში, ქვის ქანდაკებაში და ლითონმქანდაკებლობაში, როგორ განვითარდა რეპრეზენტაციის ზოგადი, სპეციფიკური და სიმბოლური ტიპები ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, როგორი იყო ურთიერთკავშირი რეპრეზენტაციის ტიპს, დანიშნულებას, მასალასა და სტილს შორის და სხვა.

პროექტის აქტუალობა და მნიშვნელობა განაპირობა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მზარდმა ინტერესმა არქიტექტურის შუასაუკუნეობრივი კონცეფციისადმი. ჩატარებული კვლევა უკავშირდება შუა საუკუნეების საქართველოს მხატვრული კულტურასა და მის სულიერ და ინტელექტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრეს. მეთოდოლოგიური მიდგომა გულისხმობდა არქიტექტურის შუასაუკუნეობრივი აღქმისა და გამოსახვის ასპექტების განხილვას თანადროული კულტურული, რელიგიური და პოლიტიკური ცხოვრების ფონზე, აღმოსავლეთ საქრისტიანოსა და ისლამური სამყაროს სხვა ქვეყნების ხელოვნებასთან შედარებით კონტექსტში. ასეთი მიდგომის შედეგად უფრო ცხადად გამოიკვეთა შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში არქიტექტურის გამოსახვის სხვადასხვა ფორმების სპეციფიკა და ადგილობრივი ტრადიციების მნიშვნელობა. კვლევამ აჩვენა, რომ როგორც წარმოსახვითი, ისე რეალურად არსებული არქიტექტურის გამოსახვა შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ამჟღავნებს ხელოვანის/ოსტატისა და მისი დამკვეთის სახითმეტყველებით კონცეპტუალურ მიდგომასა და შემოქმედებით ხედვას.

პროექტის განხორციელების შედეგად მომზადდა და დაიბეჭდა წიგნი „არქიტექტურის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში“, რომელშიც შევიდა საპროექტო კვლევითი ჯგუფის ოთხი წევრის - მარიამ დიდებულიძის, დავით ხოშტარიას, ნატალია ჩიტიშვილისა და ქრისტინე საბაშვილის მიერ დაწერილი სამეცნიერო ნარკვევები. წიგნი გამოიცა მარიამ დიდებულიძისა და დავით ხოშტარიას საერთო რედაქციით.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.3. კრებულები

1)ავტორი/ავტორები

მარიამ დიდებულიძე, ქრისტინე საბაშვილი, ნატალია ჩიტიშვილი, დავით ხოშტარია. მარიამ დიდებულიძისა და დავით ხოშტარიას საერთო რედაქციით.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

არქიტექტურის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

4) გვერდების რაოდენობა

363 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წიგნი მომზადდა და დაიბეჭდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში“ განხორციელების შედეგად. ის შედგება პროექტის ოთხი შემსრულებლის მიერ დაწერილი ნარკვევებისაგან.

მარიამ დიდებულიძის ვრცელი ნარკვევი „არქიტექტურის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში“ მოიცავს ექვს ქვეთავს: 1. ზოგადი არქიტექტურული ანტურაჟი, 2. ეკლესიის შემწირავი ქტიტორები: „ქტიტორი ეკლესიით ხელში“, 3. ქალაქები და ისტორიული ნაგებობები, 4. ქალაქი იერუსალიმი, 5. ზეციური იერუსალიმი, 6. უფლის საფლავის ეკლესია. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება ზოგადად იზიარებს საერთო აღმოსავლურქრისტიანულ ხელოვნებაში ხუროთმოძღვრების რეპრეზენტაციის ძირითად პრინციპებს, თუმცა იმავდროულად თავის მხატვრულ მიდგომასაც ამჟღავნებს. გამოიკვეთა შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ხუროთმოძღვრების გამოსახვის ძირითადი მახასიათებლები. დადგინდა, რომ „დახატულ“ არქიტექტურაში რამდენიმე ძირითადი თემა დომინირებს: უფლის საფლავი – წრიული გუმბათიანი შენობა, სიონის ბაზილიკა – ორქანობა გადახურვიანი მართკუთხა ნაგებობა, კუვუკლიას ფანჩატური და ქალაქი იერუსალიმი ქონგურებიანი გალავნით. არქიტექტურული ნაგებობები წარმოადგენს არა უბრალოდ ანტურაჟსა ან ფონს, არამედ მათ არსებითი როლი ენიჭება გამოსახულების შინაარსის გახსნაში და მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა აქვთ. ნაგებობების გამოსახვა საკმაოდ პირობითია, ოსტატები არ ესწრაფვიან ზუსტ გარეგნულ მსგავსებას, მხოლოდ ცალკეული სახასიათო დეტალებს აღნიშნავენ. ზოგადად, არქიტექტურის გამოსახვისადმი მიდგომა უფრო სახითმეტყველებითია, ვიდრე სიუჟეტურ-აღწერითი.

ქრისტინე საბაშვილის ნარკვევი ეხება ეკლესიის მოდელების გამოსახულებებს ქვის საქტიტორო რელიეფებში. მათმა განხილვამ ასევე აჩვენა, რომ არქიტექტურის აღქმა და მისი გადმოცემა არ არის ერთგვაროვანი. ამა თუ იმ არქიტექტურული ტიპის გამოსახვის დროს არსებობს გარკვეული წესი, როგორიცაა, ვთქვათ სამნავიანი ნაგებობის სამხრეთი ფასადით გადმოცემა, ან დარბაზული ეკლესიის დასავლეთ ფასადით ჩვენება, ან სიმბოლური დატვირთვის მქონე მოდელებში გარკვეული დეტალების აქცენტირება. ყველა ძეგლი, მიუხედავად მათი გამოსახვის გარკვეული კანონზომიერებებისა, ინდივიდუალური შინაარსის მატარებელია.

მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა სამგანზომილებიანი არქიტექტურული მოდელების შესწავლამ. მათ ეძღვნება ნატალია ჩიტიშვილის ვრცელი ნარკვევი, რომელიც ოთხი თავისგან შედგება: 1, აკროტერიონები, 2. სხვადასხვა დანიშნულების ქვის მოდელები, 3. ეკლესიის სამგანზომილებიანი მოდელის ფორმის ლითონის ნაწარმი, 4. არქიტექტურული მოდელები ეკლესიის ინტერიერში. ეკლესიის მოდელების შექმნას შუა საუკუნეების საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ჩვენამდე შემორჩენილი ნიმუშები ნათლად აჩვენებს შუა საუკუნეების მშენებელ-ოსტატთა თუ ხელოსანთა გაწაფულობას სხვადასხვა მასალისგან (ხე, ქვა, ლითონი) სხვადასხვა დანიშნულების (ლიტურგიკული თუ მემორიალური) მოდელთა შექმნაში. მათი შესწავლა არსებითი იყო იმის გასაგებად, თუ როგორ აღიქვამდნენ ოსტატები რეალურ არქიტექტურას და როგორ გარდაქმნიდნენ მას მცირე ფორმებში, რათა აღქმადი და მისაღები ყოფილიყო მნახველისათვის. აღმოსავლეთ საქრისტიანოს სხვა რეგიონების მსგავსად, საქართველოშიც არქიტექტურულ მოდელებს სხვადასხვა მიზნით აკეთებდნენ. გვხვდება ეკლესიის ფორმის მქონე აკროტერიონები, საფლავის ძეგლები, სანაწილეები, საცეცხლურები, ბალდაქინები, სეფისკვერის საბეჭდავები და სხვა. კვლევამ აჩვენა, რომ ძირითადად

აკროტერიონებად გამოიყენებოდა ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის მოდელები. შედარებით ნაკლებად მიმართავენ აკროტერიონების შემქმნელი ქვისმთლელები უგუმბათო არქიტექტურას, კერძოდ დარბაზულ (ცალნავიან) ტიპს. რაოდენობრივი არათანაფარდობა გუმბათიან და უგუმბათო მოდელებს შორის აიხსნება იმით, რომ შორიდან აღქმისას ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის სტრუქტურა უფრო თვალსაჩინო და გაიგივებადი არქიტექტურული ფორმაა, ვიდრე დარბაზული ეკლესიის ერთიანი მართკუთხა მოცულობა.

დავით ხოშტარიას ნარკვევი ეხება არქიტექტურულ ნახაზებს შუა საუკუნეების საქართველოში. მასში განხილულია წერილობითი ცნობები არქიტექტურული გეგმარების თაობაზე და შენობათა რამდენიმე შემორჩენილი ასახულობა - ეკლესიის სქემატური გეგმა ქოროღოს ქტიტორულ რელიეფზე, ეკლესიის ნახატი რუისის ტაძრის ჩრდილოეთ ფასადზე და დავით გარეჯის ლავრის კოშკის პროექტი.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8. 2. უცხოეთში

1) მომხსენებელი
დავით ხოშტარია

2) მოხსენების სათაური
შუა საუკუნეების ქართველი მშენებლები (Medieval Georgian Masons)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
უორკშოპი „კულტურული ინტერაქციები შუა საუკუნეების ამიერკავკასიაში: ისტორიოგრაფიული და სახელოვნებათმცოდნეო პერსპექტივები", ფრიბურგის უნივერსიტეტი, ფილოსოფიის ფაკულტეტი, შვეიცარია, 2022 წლის 10-11 მაისი.

მოხსენების ანოტაცია:

ხუროთმოძღვართა სოციალური სტატუსი შუა საუკუნეების საქართველოში, როგორც ჩანს, უფრო მაღალი იყო, ვიდრე ბიზანტიაში. ამას მოწმობს მათი მოხსენიება მეფეებისა და კათოლიკოსების გვერდით კუმურდოს, ბაგრატის ტაძრისა და სვეტიცხოვლის წარწერებში. მშენებელთა უმეტესობა ანონიმად დარჩა, თუმცა ზოგიერთის სახელი მაინც შემოგვრჩა. ზოგიერთმა კი თავისი სკულპტურული გამოსახულებაც დატოვა ეკლესიის კედელზე.

მშენებელთა გამოსახულებები ქართულ ეკლესიებზე მეტწილად IX საუკუნის შემდეგ გვხვდება. ისინი არ გვიჩვენებს რაიმე განსხვავებას ხუროთმოძღვრებსა და რიგით ხურო-კალატოზებს შორის. როგორც წესი, მშენებლები წარმოდგენილნი არიან თავიანთი სამუშაო იარაღებით - უფრო ხშირად გონიოთი ან ჩაქუჩით, ან ორივეთი ერთად.

მშენებელთა გამოსახულებებით ყველაზე მდიდარი ეკლესია მდებარეობს მთიულეთში, სოფელ ქოროღოსთან. ამ ნატეხი ქვით ნაშენ პატარა, უგუმბათო შენობას თითქმის არა აქვს შემკულობა, მაგრამ დასავლეთ ფასადის მაღალ კარნიზს მთლიანად ფარავს რელიეფები. კარნიზის ორ ფერდზე გამოკვეთილი სცენები გვიჩვენებს მშენებლებს, რომლებიც სხვადასხვა სამუშაოს

ასრულებენ. არსებითად, აქ წარმოდგენილია მშენებლობის ამსახველი რელიეფების მთელი ციკლი. თვალშისაცემია განსაკუთრებული აქცენტი საშენი მასალის ტრანსპორტირებაზე. სხვათა შორის, იგივე შეიძლება ითქვას წერილობითი ცნობების შესახებაც. ბასილი ზარზმელი, გიორგი მერჩულე და აბუსერისძე ტბელი საგანგებოდ ჰყვებიან საშენი მასალის ზიდვის დეტალებს და ყურადღებას ამახვილებენ ამ სამუშაოს სირთულეზე. ეს ტენდენცია ასახულია ოშკის ტაძრის ცნობილ სამშენებლო წარწერაშიც.

შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა უპირველეს ყოვლისა, ქვის არქიტექტურა იყო, თუმცა ეს ცხადია არ ნიშნავს, რომ მასში ხითხუროებისა და დურგლებისათვის ადგილი არ მოიძებნებოდა. რელიეფი სხვავას ეკლესიიდან წარმოგვიდგენს სამ ხითხუროს თავიანთი სპეციფიკური სამუშაო იარაღებით.

შენობის დაგეგმვისა და აგების პროცესში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა არქიტექტურული გრაფიკა. ბიზანტიის იმპერიაში ნახაზების მომზადებისა და მოხმარების წესები უეჭველად ცოცხალი იყო VII საუკუნემდე, სანამ ხუროთმოძღვართა პროფესიული მომზადება ანტიკურ ტრადიციას ეფუძნებოდა. VIII საუკუნიდან, როგორც წესი, ბიზანტიაში სამშენებლო ნახაზებს არ აკეთებდნენ. განსხვავებული ვითარება იყო კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, სადაც თლილი ქვით მშენებლობა წინასწარი მომზადების განსაკუთრებულ სიზუსტეს მოითხოვდა. შუა საუკუნეების საქართველოში გამოხაზული გეგმების არსებობის დადასტურებად უნდა ჩაითვალოს საქტიტორო რელიეფი იმავე ქოროღოს ეკლესიაში, სადაც მთავარ ქტიტორს ხელში ეკლესიის სახების ნაცვლად მისი გეგმა უჭირავს. რელიეფი ადასტურებს, რომ გეგმის ნახაზის იდეა ნაცნობი და გასაგები იყო არა მხოლოდ მშენებელი ოსტატებისთვის, არამედ დამკვეთებისთვისაც და უფრო ფართო წრისთვისაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მის წარმოდგენას ეკლესიის ფასადზე აზრი არ ექნებოდა.

კიდევ ერთი არქიტექტურული ნახაზი შემოინახა რუისის ეკლესიის ფასადზე. ის, როგორც ჩანს, გაკეთდა ხარაჩოს მშენებელთათვის. ერთი წერილობითი წყაროს ცნობა მოწმობს, რომ საქართველოში ცნობილი უნდა ყოფილიყო ცვილით მოცულობითი მოდელირების პრაქტიკაც.

კიტი მაჩაბელი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

1) **„ ადრექრისტიანული ქვაჯვარების კაპიტელები“** - ხელოვნების ისტორია, შუა საუკუნეების ქანდაკების ისტორია. პროექტი ორწლიანია - 2021-2122.

2) ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი კიტი მაჩაბელი

2. პროექტის შესრულების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

ქართული ქრისტიანული ხელოვნების ქმნილებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადრეული შუა საუკუნეების საკულტო ძეგლებს - ქვაჯვარებს, რომელთაც ქართული რელიეფური პლასტიკის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები შემოგვინახეს. ქვაჯვარათა უმეტესობამ ჩვენამდე საკმაოდ ფრაგმენტულად მოაღწია. ფრაგმენტებს შორის შემონახულია ქვჯვარათა ყველა ნაწილი, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქვესვეტების კაპიტელები, რომლებზეც ქრისტიანული ხელოვნების ადრეული ეპოქის უნიკალური რელიეფური

კომპოზიციები არის შემონახული. ქვასვეტების კაპიტელები ორიგინალური ფორმებითა და რელიეფური დეკორის ნაირგვაროვნობით გამოირჩევა.

ნაშრომის მიზანი იყო ქვაჯვარათა კაპიტელების რელიეფური დეკორის მხატვრულ-იდეური ასპექტების კვლევა, დეკორატიული პროგრამების კლასიფიკაცია. ქვაჯვარათა კაპიტელების რელიეფური დეკორი სრულ თანხმიანობაშია საკულტო ძეგლის იკონოგრაფიულ პროგრამებთან.

ნაშრომში გამოკვლეულია ოცზე მეტი კაპიტელის ფორმები, ჩატარებულია რელიეფური კომპოზიციების იკონოგრაფიული და სტილური ანალიზი, ფიგურული და ორნამენტული რელიეფების მხატვრულ-იდეურ მხარეთა კვლევა, რამაც საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა ადრეული შუა საუკუნეების ამ ძეგლების მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა. ქვაჯვარების ამ კუთხით კვლევა პირველად არის ჩატარებული.

ნაშრომის პრაქტიკულ შედეგია ადრეული შუა საუკუნეების ქართული რელიეფური პლასტიკის მიღწევების წარმოჩენა, ქართული რელიეფური ხელოვნების მიღწევების პოპულარიზაცია, ქართული ხელოვნების როლის ჩვენება ქრისტიანული იკონოგრაფიის ჩამოყალიბების პროცესში.

6) ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1) წიგნები

კიტი მაჩაბელი, დრო და მხატვარი, ISBN 978-9941-8-4902-2, თბილისი, 127 გვერდი

წიგნი ეძღვნება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, რომელთა შემოქმედებამ ღრმა კვალი დაამჩნია თანამედროვე ქართულ ხელოვნებას და მას ღირსეული ადგილი მოუპოვა ახალი ხელოვნების ისტორიაში. ნარკვევების ნაწილი ეძღვნება დიდ ქართველ შემოქმედთ, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვეს და მნიშვნელოვანწილად განაპირობეს თანამედროვე ქართული ხელოვნების წარმატებები (იაკობ ნიკოლაძე, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, სერგო ქობულაძე). განხილულია თეატრის გამოჩენილი მხატვრების ირაკლი გამრეკელისა და სოლიკო ვირსალაძის ღვაწლი თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. რამდენიმე ნარკვევი ეძღვნება საინტერესო გამოფენებს. ავტორმა ყურადღება დაუთმო გასული საუკუნის 50-60-იან წლებში საქართველოში ჭედური ხელოვნებისადმი გაზრდილ ინტერესს (ირაკლი ოჩიაური, კობა გურული) და ამ პერიოდში ქართული მხატვრული კერამიკის აღმავლობას (ზაქარია მაისურაძე, ალდე კაკაბაძე, რეზო იაშვილი). საგანგებო ნარკვევი მიეძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის ქანდაკებას (ბორის ციბაძე), როგორც ერთი უბნის ქმედით მხატვრულ ელემენტს.

სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევების კრებულში ავტორი უზიარებს მკითხველს თავის შეხედულებებს კონკრეტული ეპოქის ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებზე და იმ მხატვართა შემოქმედებაზე, რომელნიც ქმნიდნენ ახალ ქართულ ხელოვნებას.

6.4 სტატიები

1. **კიტი მაჩაბელი, ქართული კულტურის მძლავრი კერა. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევითი ეროვნული ცენტრი - 80:** „საქართველოს სიძველენი“ 25, თბილისი, “kolori”, ISSN 1512-1321, 4 გვ.

ანოტაცია -

სტატია ეძღვნება ცენტრის საიუბილეო თარიღს - ოთხმოცი წლისთავს. მასში მოკლედ არის მიმოხილული ქართული ხელოვნების კვლევის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო მიღწევები, ხაზგასმულია მისი როლი ეროვნული ხელოვნების საერთაშორისო აღიარების მიღწევაში. ნაჩვენებია რვა ათეული წლის განმავლობაში ინსტიტუტის (ამჟამად-ცენტრის) ხელოვნებათმცოდნეთა თაობების ფასდაუდებელი წვლილი ეროვნული ხელოვნების ისტორიის კვლევის საქმეში.

2. **კიტი მაჩაბელი, შუა საუკუნეების ქართული წერილობითი წყაროები ლითონმქანდაკებლობის შესახებ:** „საქართველოს სიძველენი“ 25, თბილისი, “kolori”, ISSN 1512-1321, 19 გვ

ანოტაცია

სტატია ეძღვნება შუასაუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში ოქრომჭედლობას-თან, ძვირფას ლითონთა ნაკეთობებთან დაკავშირებულ ცნობებს. სტატიაში თავმოყრილია სამონასტრო ტიპიკონების, სხვადასხვა ისტორიული საბუთების, ანდერძებისა და სიგელ-გუჯრების მონაცემები ხელოვნების ამ დარგის შესახებ. ეს მასალა მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენ ცოდნას ქართული ოქრომქანდაკებლობის ისტორიის შესახებ. ეს ცნობები წარმოადგენს თავისებურ „მონაცემთა ბაზას“, რომელიც გვეხმარება ხელოვნების ამ დარგთან დაკავშირებულ საკითხთა კვლევაში.

3. **კიტი მაჩაბელი, დამკვეთთა რეპრეზენტაცია ადრეულ ქვაჯვარათა რელიეფურ დეკორში:** „ქრონოსი“, 3, თბილისი, „მერიდიანი“, ISSN 2667-9477 977-2667-9-4700-4, 25 გვ.

ანოტაცია

სტატია ეძღვნება ქვაჯვარებზე გამოსახულ საერო პირთა - ამ ადრექრისტიანულ საკულტო ძეგლების დამკვეთთა რელიეფურ პორტრეტებს. ქვაჯვარებზე საერო პორტრეტები განსხვავებულად არიან წარმოდგენილი. სხვადასხვა პოზიციით მათი განთავსება ასახავდა მათ ადგილს ფეოდალურ იერარქიაში. სტატიაში მოცემულია საერო პორტრეტების განთავსების ადგილისა და ფორმის ანალიზი, გარკვეულია პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ ძველი ქართველი ოსტატები დიდებულთა, ქვაჯვარების აღმმართველთა გამოსახულებების ჩართვისას რელიეფური დეკორის პროგრამებში, როგორ აღწევდნენ რელიგიური და საერო თემების ჰარმონიულ ერთიანობას.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8,1 **კიტი მაჩაბელი, .“ადრექრისტიანულ ქართულ ქვაჯვარათა ორნამენტის სტრუქტურა და სიმბოლური საზრისი“,** 30.05-01.06, გ. ჩუბინაშვილის სახ. ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევითი ეროვნული ცენტრის კონფერენცია „ორნამენტი და კულტურა“

ანოტაცია

მოხსენება ეძღვნება მე-6-7 საუკუნეების ქვაჯვართა რელიეფებში გამოყენებულ გეომეტრიულ ორნამენტს, რომელიც ფიგურულ გამოსახულებებთან ერთად რთულ მხატვრულ-იდეურ ერთიანობას ქმნის. ქვაჯვარათა რელიეფურ დეკორში გამოყენებული გეომეტრიული ორნამენტების მხატვრულ-აზრობრივი მხარეების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია მათი მნიშვნელობა ქვაჯვარას საერთო იკონოგრაფიულ პროგრამებში.

ქვაჯვარათა ორნამენტი განხილულია ხანდისის, ბრდაძორის, დავათის, ნაზღაურას, საცხენისის, კატაულას ქვაჯვარების რელიეფური დეკორის სისტემაში.

ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარების ორნამენტების ერთი ჯგუფის მაგალითზე ნაჩვენებია, თუ რა მნიშვნელოვანი მხატვრულ-იდეური დატვირთვა აქვთ მათ ამ საკულტო ძეგლების რელიეფური პროგრამების საერთო კონტექსტში.

ლეილა ხუსკივაძე

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:
2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **შუა საუკუნეების ქართული ჭედური და მინანქრული ხელოვნების იკონოგრაფიული თავისებურებანი,** 2022-2023 წწ.
2.

2). პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.**ლეილა ხუსკივაძე**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. შუა საუკუნეების ქართული ჭედური და მინანქრული ხელოვნება იკონოგრაფიული თვალსაზრისით მისდევს, ძირითადად, ამ დროის ქრისტიანული ხელოვნების ზოგადად ჩამოყალიბებულ სქემებს. ამ ფონზე მით უფრო საინტერესო ხდება იმ თავისებურ დეტალებზე ყურადღების გამახვილება, რომლებსაც ქართველი ოსტატები გვთავაზობენ. ამ მხრივ, ქართული იკონოგრაფიული სცენები უჩვეულოა აღმოსავლეთქრისტიანული ძეგლების წრისათვის და ეხმიანება საკმაოდ გავრცელებულ დასავლეთევროპულ სამყაროს ნიმუშებს. თავისებურ დეტალებზე საუბრის უფლებას იძლევა შუა საუკუნეების ქართული ჭედური და მინანქრული ძეგლების გარკვეული რაოდენობა. ასეთია, მაგალითად, ცნობილი ტრიპტიქონი მარტვილიდან (IX ს. ბოლო). მისი ცენტრალური ნაწილი შეიცავს მინანქრულ კომპოზიციას დეისუსის გამოსახულებით, სადაც პოდიუმზე მთელი ტანით მდგარი ქრისტეს ზეაღმართული მარჯვენა გვერდზეა გატანილი, სხვაგვარად, ქრისტე აქ ვედრების სცენისათვის უჩვეულო ჟესტითაა წარმოდგენილი. უჩვეულოა ამ სცენისათვის აგრეთვე მზისა და მთვარის გამოსახულება ფიგურის ორივე მხარეს. ყოველივე ეს ქრისტეს დიდების იდეას უსვამს ხაზს. ხახულის კარედის მარჯვენა ფრთაზე მოთავსებულ VIII ს. მინანქრულ კვადრიფოლიუმზე „ჯვარცმის“ გამოსახულებით ყურადღებას იპყრობს ისეთი დეტალები, როგორიცაა მთელი ტანით წარმოდგენილი მფრინავი ანგელოზები და მამაღმერთის მარჯვენა. ეს დეტალები გვიხსნის ხახულის ამ „ჯვარცმის“ სიმბოლიკას, რომელიც ქრისტეს დიდების თემას გამოხატავს. ამ კომპოზიციის პირდაპირი იკონოგრაფიული პარალელები არ მოიძებნება მთელს აღმოსავლეთქრისტიანულ ხელოვნებაში.

ხახულის ეს კვადრიფოლიუმი ამ ხელოვნების ძეგლებს შორის ჯვარცმის სცენის მსგავსი ინტერპრეტაციის ერთადერთი მაგალითია ჯერჯერობით.

ალბათ, IX ს. შემოქმედის ჭედური ფირფიტა უნდა ვახსენოთ, უფრო სწორად, მისი იშვიათი „გარდამოხსნა“, სადაც არ არის გამოსახული მარიამი და მხოლოდ იოსები და ნიკოდიმეა წარმოდგენილი. აღსანიშნავია აგრეთვე ნიკოდიმეს მიერ ლურსმნის ამოღება ხელიდან და არა ფეხიდან. ეს ნიშნებია, რომლებიც მეცნიერების მიერ არქაულად არის მიჩნეული.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლაკლაკიძის ხატის (XI ს. 20-იანი წლები) ჭედურ ჩარჩოზე წარმოდგენილი „მირქმა“, გამორჩეული იშვიათი იკონოგრაფიული დეტალით – სასანთლეში აღმართული ანთებული სანთლით კომპოზიციის ცენტრში. „მირქმის“ სცენის ამ ვერსიის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე XII-XIII სს. მიჯნის ქართული მინანქრული ფირფიტა. ამ ვერსიას ეხმიანება ქართული ხელოვნების უფრო გვიანი პერიოდის ძეგლები – აწყურის ღმრთისმშობლისა და ერმიტაჟის ხეზე ნაკვეთი ხატის კომპოზიციები (ორთავე – XIV ს.). სხვა ასეთი მაგალითი არ არის დადასტურებული არც ბიზანტიურ და არც აღმოსავლეთქრისტიანულ ხელოვნებაში საერთოდ, თუმცა ამდაგვარი დღესასწაული სანთლების თანხლებით, როგორც წერილობითი წყაროები მოწმობენ, ცნობილი ყოფილა იერუსალიმში. დასავლეთის ხელოვნებაში სცენები სანთლის გამოსახულებით მხოლოდ XIII საუკუნეში ჩნდება. იკონოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს აგრეთვე ლაკლაკიძის ხატის ჩარჩოზე გამოსახული „იოსების კვერთხის სასწაულის“ სცენა და ემსახურება ღმრთისმშობლის უბიწო ჩასახვის თემას

ქართული მინანქრული ხელოვნებიდან – შემოქმედის კვადრიფოლიუმი „ჯვარცმის“ სცენით (XI ს.), რომელიც დასავლეთში გავრცელებული იკონოგრაფიული სქემითაა წარმოდგენილი – ქრისტე ტრიუმფალურ ეკლესიასა და სინაგოგას შორის. შემოქმედის კვადრიფოლიუმი, საბერეების (დავით-გარეჯი) ერთ-ერთი სამლოცველოს ფრესკულ კომპოზიციასთან ერთად, ამ ალეგორიული სცენის ერთი უადრესი ნიმუშთაგანია.

ისეთი იკონოგრაფიული სქემა, რომელიც არ არის ჩვეული მინანქრული ხელოვნებისთვის, გვხვდება კორცხელის მინანქრულ ხატზე (XIII ს.) აქ ის გართულებულია ღრუბლებში მოციქულთა გამოჩენის თემით.

XI საუკუნის დასაწყისის ქართული ჭედური ძეგლებიდან საგანგებოდ აღსანიშნავია გელათის ტონდოს გამოსახულება, წმინდა წამებული მამაი, ამხედრებული ლომზე. ეს სცენა სრულიად ახლებურად და მხატვრული შთაგონებით არის გამოსახული და არ ასახავს წმინდანის ცხოვრების არც ერთ ეპიზოდს.

კვლევა გრძელდება. კიდევ არაერთი ჭედური ძეგლი, განსაკუთრებით კი უფრო გვიანია პერიოდის, იქნება მაგალითი ამ ნიმუშთა იკონოგრაფიული თავისებურებებისა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.4. სტატიები ჟურნალების/კრებულების ISBN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISBN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ლეილა ხუსკივაძე, ვარძიის სახარების ძვირფასი ყდა**, *საქართველოს სიძველენი*, 25, 2022, თბილისი, გვ. 76-95, *იბეჭდება*

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატია ეძღვნება ვარძიის სახარების (მას გელათის სახარებითაც მოიხსენიებენ) ყდას, რომელიც შუა საუკუნეების ქართული დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია. ის მდიდრულად იყო მორთული ოქროს ჭედური ფირფიტებით, არცთუ პატარა ზომის ტიხრული მინანქრებით და შესრულებული მაღალ მხატვრულ დონეზე. XIX ს-ის II ნახ-ში ძვირფასი ყდა ძარცვის მსხვერპლი გახდა. საქართველოს გარეთ გატანილი, ის ნაწილ-ნაწილ გაიყიდა. ტიხრული მინანქრები ბერლინსა და ბრიუსელში მოხვდა. თვით ყდა და ოქროს ფირფიტები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე დაღუპულად ითვლებოდა, 2001 წელს ერმიტაჟში აღმოაჩინა ჩვენმა რუსმა კოლეგამ, იური პიატნიცკიმ. მანვე მეცნიერულად შეისწავლა ეს ძვირფასი ყდა და ძირითადად სწორი დასკვნებიც გამოიტანა. სწორედ ეს გახდა ჩემი სტატიის დაწერის სტიმულიც. აქ გამოთქმული მოსაზრებები აზუსტებს და ამყარებს პიატნიცკის მიერ მოტანილ პარალელებს, ამდიდრებს მათ სხვა მაგალითებითაც, აღრმავებს და აფართოებს სტილიტურ კვლევას და განიხილავს ამ ყდას ჭედურობისა თუ მინანქრული ხელოვნების განვითარების პროცესში, ზოგჯერ კი ერთ-ორ კრიტიკულ შენიშვნასაც ეხება.

ვარძიის სახარების ყდა არაერთ საყურადღებო მომენტს შეიცავს: სახარების თავდაპირველი ტყავის ყდა (ერმიტაჟი), რომელიც ქართულია და XI ს-ით თარიღდება, ემატება შუაბიზანტიური ხანის ტყავის ყდების საკმაოდ მცირე რიცხვს; ყდის ჩარჩოს ოქროს ფირფიტები (ერმიტაჟი) ჯერ კიდევ გ. ჩუბინაშვილის მიერ დათარიღებული და შეფასებული, ქართულ სახელოსნოშია შექმნილი XII ს-ის ბოლოს; ყდის უკანა მხარეზე ტიხრული მინანქრის ფირფიტა 'წმ. დემეტრე-ორანტი' (ბერლინის მუზეუმი) XI ს-ის ბიზანტიური ხელოვნების მკაფიო მაგალითია; ყდის წინა პირის ტიხრული მინანქარი `ტახტზე აღზევებული ღმრთისმშობელი მთავარანგელოზებით~ (ალბათ, ბრიუსელში სტოკლეს კერძო კოლექციაში) XII ს-ის ქართველო ოსტატის ნახელავია. ასეთი სადღესასწაულო სცენის შექმნა თამარ მეფის სადიდებლად უნდა ყოფილიყო, უთუოდ, ჩაფიქრებული.

ვარძიის სახარების ძვირფასი ყდა XII ს-ის ტიპური ნიმუშია და ეხმიანება თამარის ბრწყინვალე ეპოქის სულისკვეთებას.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1.საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ლეილა ხუსკივაძე,** შუა საუკუნეების ქართული ჭედური ორნამენტის სიმბოლიკა, *გ. ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია - ორნამენტი და კულტურა,* 30 მაისი-1 ივნისი, თბილისი, 2022. მოხსენება იბეჭდება ჩუბინაშვილის კვლევითი ცენტრის ელექტრონულ ჟურნალში -Ars Georgica B, 2022, ISSN 1512-4088

ანოტაცია

უძველესი დროიდან და შუა საუკუნეებშიც ორნამენტი, უპირატესად, სიმბოლო-ნიშანია. ყველა ეს სიმბოლო უნივერსალურია. მასში ჩადებულია მრავალპლანიანი ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია მითოლოგიური, კოსმოლოგიური, რელიგიური და მაგიურ-აპოთროპული ასპექტები.

შუა საუკუნეების ქართული ჭედური ორნამენტი მხოლოდ დადასტურებაა იმ სემანტიკური საზრისისა, რაც ზოგადად ორნამენტშია ჩადებული, მისი სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით.

გეომეტრიული ორნამენტის ერთ-ერთი უპირველესი ნიშანი – წრე, გამოყენებულია ქართული ხატების (XI ს., სოფელ პოლტავსკოედან, XII ს. ჯვარცმის ფერწერული ხატი) ჭედურ ჩარჩოებზე. მასში ჩაწერილი ელემენტები ისეა შედგენილი, რომ რომბებად ან ფოთლოვანი ფურცლებისგან შემდგარ ჯვრად შეგვიძლია ამოვიკითხოთ. ორივე შემთხვევაში ეს სამყაროს ოთხი მხარის სიმბოლოა. ამავე დროს ფოთლოვანი ფურცლებით შედგენილი ჯვარი სინათლის ნიშანია, ისევე როგორც ზოგადად ჯვარი, რომლის სიმბოლიკაში ეს ასპექტი შედის. ჯვარს უკავშირებს ჩვენი ცნობილი მხატვარი დავით კაკაბაძე კიდევ ერთ გეომეტრიულ ორნამენტს, წნულს. შუა საუკუნეების ქართულ ჭედურ ორნამენტში ის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა და გამოიყენება, ძირითადად, როგორც გამოსახულების შემომსაზღვრელი ელემენტი. სიმბოლურად ის ძლიერების, ერთიანობის, სიცოცხლის გამომხატველია.

მცენარეული ორნამენტიდან აღსანიშნავია გლუვზედაპირიანი ფოთოლი, შემხვედრი ფურცლებით და მათ შორის მოქცეული 'ჩაბრუნებული' სამყურათი (XI ს. ძეგლები: ბრეთის ჯვრის ზურგი, ბრეთის ხატზე იოანე ნათლისმცემლის შარავანდი, ლაკლაკიძის ხატის ფონის ერთი-ორი ორნამენტული რგოლი). მსგავსი ფოთლები ბიზანტიურ ხელოვნებაშიც არის. ამ მოტივს უკავშირებენ ე.წ. მარადიული მიმოქცევის ძველ თემას. შუა საუკუნეების ხელოვნებაში მან ასახვა პოვა მცენარეული ციკლის ორი მთავარი ფაზის – კოკრისა და გაშლილი ყვავილის - მონაცვლეობით გადმოცემული პალმეტის სახით. სიმბოლურია ისეთი დეტალებიც, როგორიცაა სამყურა ფოთოლი ფურცლებს შორის, მიმართული ქვემოთ. ესაა სიცოცხლის ხე, რომელიც ასევე უკავშირდება აღდგომის თემას და აძლიერებს ორნამენტის იდეურ დატვირთვას.

მცენარეული ორნამენტის ძირითადი სიმბოლიკა კი „სამოთხის ბაღით' განისაზღვრება. ასეა ქართულ ჭედურობაშიც, სადაც ერთიანი იდეის შემცველი ორნამენტული კომპოზიციები სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი.

ხახულის კარედის დეკორი მცენარეული ორნამენტისთვის სწორედ ამ ჩვეული სიმბოლიკის გამომხატველია. მაგრამ მნიშვნელოვანი აქ სხვა რამ არის – ის თვალნათლივ ავლენს ამ თემის მრავალმხრივ ასპექტს. ის ნაწილიც კი, რომელიც ფრაგმენტულად არის შემორჩენილი ძველი (X ს.) ტრიპტიქონიდან და დღეს კარედის გარემოჭედილობას შეადგენს, ამ მხრივ ბევრ საინტერესოს იძლევა. ხახულის კარედის გარემოჭედილობის თემის ინდივიდუალური გააზრება მხოლოდ ცალკეულ მინიშნებებში იმალება, რაც ამდიდრებს და აღრმავებს მის შინაარსს. სამოთხის ხეების რიცხვი აქ თორმეტს შეადგენს – გარკვეული ასოციაცია თორმეტ მოციქულთან ან კიდევ მინიშნება სიცოცხლის ხის თორმეტ ნაყოფზე. ხახულის კარედის გარემოჭედილობაზე სიცოცხლის ხეს განასახიერებს ხეებს შორის მოთავსებული ჯვარი. სიცოცხლის ხის წარმოჩენა ჯვრის სახით ადრიდანვე დამკვიდრდა ქრისტიანულ ხელოვნებაში, ყოველ შემთხვევაში V საუკუნიდან მაინც. თვით ჯვარი კი ჯერ კიდევ არქაულ პერიოდში იყო სამყაროს სახე და მის

ცენტრზე მიუთითებდა. მისი ფუნქცია და თვისებები, როგორც კოსმიური სიდიდისა და ნათებისა, შემდგომში გადატანილ იქნა სამყაროს ცენტრში მდგომ ხსნის ჯვარზე, რომელიც სიცოცხლის ხის წინარესახეს წარმოადგენდა. სწორედ ეს მოტივი შეიცნობა ხახულის ჯვარშიც – იგი დიდია და ოქროთი მოვარაყებული. ამგვარად, მოხდა კოსმოლოგიური სიმბოლიზმის ქრისტიანული საზრისით გამდიდრება. გამოიკვეთა მთავარი თემაც – ხსნისა და გადარჩენის იდეა. ამ იდეას ეხმიანება 'ახალი', XII საუკუნის კარედის ორნამენტიკაც, რასაც ხაზს უსვამს მისი ცენტრალური გამოსახულება – ვედრების ტიპის ღრთისმშობელი, კაცობრიობის ცოდვების შენდობისა და ხსნის მავედრებელი. თვით ორნამენტის სიმბოლო აქაც სამოთხის ბაღია, ოღონდ სხვაგვარად წარმოჩენილი – დეკორის აგება ეფუძნება სტილიზებულ ფოთოლს, ჩაწერილს ღეროების დინებით შექმნილ დიდ და პატარა კონცენტრულ წრეებში, რომლებსაც ხვეულები ებმის. გარემოჭედილობასთან შედარებით ჯვრის თემა აქ უფრო გაძლიერებულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჯვრების რაოდენობით. გარკვეული აზრის მატარებელია, უთუოდ, ხახულის მცენარეული ორნამენტების მრავალფეროვნებაც – შექმნილი საოცარი ფანტაზიით, ეს ორნამენტები ერთგვარი მინიშნებაა სამყაროს სიმდიდრესა და მშვენიერებაზე. ამ ფოთლებს შორის ძირითადი მაინც ვაზის ფოთოლია. ის უძველესი დროიდანაა გავრცელებული. უკვე ადრექრისტიანული ხანიდან ვაზი თვით ქრისტეს და ქრისტიანული ეკლესიის სიმბოლოდ ითვლება. ამის დასტურია უფლის სიტყვებიც: 'მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი'. საქართველომ ეს მოტივი, შესაძლოა, ბიზანტიიდანაც მოისესხა, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ იგი სპონტანურადაც აღმოცენებულიყო, მით უმეტეს, რომ ეს ქვეყანა ვაზის კულტურის უძველესი კერაა. შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ვაზის – სიცოცხლის ხის, ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ გამოსახულებად XI საუკუნის სვეტიცხოვლის ტაძრის ხუროთმოძღვრული ორნამენტი გვახსენდება. ეს არის ვაზი ღვინისფრად აფეთქებული ყურძნის მტევნით. ხახულის კარედის ვაზის მოტივი არ არის ნაკლებად მიმზიდველი არც მხატვრული და არც იდეური თვალსაზრისით. მისი სიმბოლიკაც შეიცავს არაერთ იმ ასპექტთაგანს, რომელიც ზოგადადაა დამახასიათებელი ორნამენტის ამ სახეობისათვის.

სამოთხის ბაღის კიდევ ერთი საინტერესო ვარიანტია წარმოდგენილი ბედოთსოფლის IX ს-ის ჭედურ ფრაგმენტზე. აქ ფოთლებთან ერთად გამოსახული ნაყოფი ან ნაძვის გირჩად – სიცოცხლის ძველი სიმბოლოს – ან ყურძნის მტევნის გამოსახულებად შეიძლება ჩაითვალოს და მიანიშნებდეს კიდეც ნაყოფიერებასა და მარადიულ ცხოვრებაზე. ორივე შემთხვევაში კომპოზიციის თემაა სამოთხის ბაღი. მის ცენტრში წარმოჩენილი ფიგურული გამოსახულება, ჩემი აზრით, ქრისტეა – სამოთხის ბაღის შუაში მოთავსებული სიცოცხლის ხის სიმბოლო. ბედოთსოფლის კომპოზიცია ხსნის იდეის გამომხატველია და როგორც ჯვრის ქუდის ერთ-ერთი წახნაგის გამოსახულება სავსებით შეესაბამება ჯვრის ფუნქციურ დატვირთვას.

შუა საუკუნეების ქართული დეკორი მისდევს იმ ზოგად ტენდენციას, რომლის დროსაც ორნამენტის სიმბოლოდ წარმოჩენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ესთეტიკური მხარისა. თუმცა ამ პერიოდის ქართული ორნამენტის `შნოიანობა~ მისი მხატვრული ღირებულების გათვალისწინებაზეც მიუთითებს. შუა საუკუნეების გვიან პერიოდში მომხდარმა ცვლილებებმა, სადაც ორნამენტის სიმბოლიკამ თავისი ფუნქცია დაკარგა, ასახვა პოვა ამ ხანის ქართულ ჭედურ ორნამენტიკაში.

მარინე ბულია

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

ნიმუში და ადგილობრივი ინტერპრეტაცია

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

6.5 სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი

2020-2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

მარინე ბულია (მკვლევარი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევა ეძღვნება სხვადასხვა დროს, განსხვავებული მხატვრული ცენტრებიდან გავრცელებული, განსხვავებული მხატვრული ტრადიციების ამსახველი მოდელების როლს შუა საუკუნეების ხელოვნებაში. მათ გავლენას მხატვრული ნაწარმოების შინაარსსა და ფორმაზე, მათი ადაპტაციის თავისებურებებსა და ადგილობრივ ინტერპრეტაციას.

კვლევის 2022 წლის ეტაპი მიეძღვნა ნიმუშის გავლენას ნაწარმოების სტილის თავისებურებებზე, ამასთან დათარიღების სირთულეებს, რომლებიც ნიმუშთა გამოყენებით, ან დათარიღებისთვის განკუთვნილი მხოლოდ ცალკეული ინსტრუმენტის (იკონოგრაფიული ან სტილური ანალიზი, ზოგადი ისტორიულ-კულტურული კონტექსტი და ა.შ) გამოყენებითაა განპირობებული.

ნიმუშების, მათ შორის, ადრეული ხანის მოდელების გამოყენება, ფართოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა შუა საუკუნეების ხელოვნებაში. ნიმუშად იყენებდნენ როგორც კონკრეტულ ნაწარმოებებს, ისე ნიმუშთა კრებულებს, რომლებიც მრავლად იქმნებოდა იმ ხანებში (ამ საკითხებზე იხ. E. Kitzinger, *The Mosaics of Monreale,* Palermo 1960, 43. მისივე, The Role of Miniature Painting in Mural Decoration, *The Place of Book Illumination in Byzantine Art,* ed. K. Weitzmann, W. C. Loerke, E. Kitzinger, H. Buchthal, Princeton 1975, 109-121 და ა.შ). კარგადაა ცნობილი, რომ მოდელი გაცილებით მეტად ზემოქმედებდა ნამუშევრის მხატვრულ სახეზე, ვიდრე მათი შემქმნელი ოსტატის ინდივიდუალურობა. შესაბამისად, ნამუშევარი მეტად ატარებდა ადრეული დროის ნიშნებს, მიუხედავად იმისა, რომ გვიან ხანაში იყო შექმნილი (ამ თვალსაზრისით, გამორჩეულად საინტერესო მაგალითია XIV საუკუნის დასაწყისში შექმნილი გლაძორის ოთხთავი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ 2 ეტაპად, სხვადასხვა მონასტრებში, სხვადასხვა ოსტატების მიერ იყო დასურათებული, ორივე ეტაპისას ერთი მოდელი, ვაჰაპარის XI საუკუნის ოთხთავი იქნა გამოყენებული. ამ ხელნაწერებში არათუ პროგრამა და სცენების

უდიდესი უმრავლესობის მხატვრული გადაწყვეტაა იდენტური, არამედ მინიატიურების განაწილების პრინციპიც, ხელნაწერთა მთლიანი სტრუქტურა. საყურადღებოა, რომ საზედაო ასოების, კანონებისა და მარგინალური გამოსახულებებისთვის მოდელად უფრო გვიანი კილიკიური ხელნაწერები მოიხმეს. ანუ ერთი ოთხთავისთვის არა მარტო სხვადასხვა დროის, არამედ სხვადასხვა მხატვრული ტრადიციის მიმდევარი მოდელები იქნა შერჩეული. იხ. T.F. Mathews, Al. Taylor, *The Armenian Gospels of Gladzor: The Life of Christ Illuminated*, Los Angeles 2002, 16-17).

თარიღის განსაზღვრისას, დამატებით სირთულედ იკვეთება ისიც, თუკი ნიმუშის მედიის შესახებ არაფერია ცნობილი, რადგან არათუ ნაწარმოებებში ზოგადად, არამედ სხვადასხვა დარგის ნიმუშებში კი დროის ნიშნებიც არაერთგვაროვნად აისახებოდა (ამ თვალსაზრისით, საინტერესოა XIII საუკუნის სინურ ცხორების ხატების დიდ ჯგუფზე დაკვირვება, რომლებიც იკონოგრაფიული და სტილური კონსერვატიულობით გამოირჩევა და დამკვიდრებული აზრით, ადრეული ნიმუშების მიხედვითაა შექმნილი. იხ. T. Papamastorakis, Pictorial Lives. Narrative in Thirteenth-Century Vita Icons, *Μουσείο Μπενάκη* 7 (2007) 33-61) და დამკვიდრებული აზრით, სტილური ნაკადებიც (მაგ., მიიჩნევა, რომ სულ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, კომნენოსების ხანის დინამიკურ სტილს გავლენა არ მოუხდენია ხატწერასა და ხელნაწერთა გაფორმებაზე. იხ. D. Mouriki, Stylistic Trends in Monumental Painting of Greece During the Eleventh and Twelfth Centuries, *Dumbarton Oaks Papers* 34/35 (1980/1981) 77-124).

ნიმუშის გამოყენება რომც არა, მხოლოდ სტილის საფუძველზე ნაწარმოებთა დათარიღება მეტად პრობლემურია. კარგადაა ცნობილი, რომ ხელოვნების ნიმუშთა მხატვრულ სახეს რთულ ისტორიულ-კულტურულ თუ მხატვრულ პროცესებთან ერთად, მათზე მომუშავე ოსტატთა განსწავლულობა, დამკვეთთა პოლიტიკურ-კულტურული პრეფერენციები და გემოვნება განსაზღვრავდა. (ამ საკითხებზე იხ. A. Eastmond, Art and the Periphery, *The Oxford Handbook of Byzantine Studies*, ed, E. Jeffreys, J. Haldon, R. Cormack, Oxford 2008, 770-776; misive, The Limits of Byzantine Art, *A Companion to Byzantium*, ed L. James, Oxford 2010, 313-322, aseve M. Janjalia in collaboration with M. Bulia, Trend Versus Cultural Context in Medieval Art. The Case of the Kirants Paintings, *Convivium* V/2 (2018) 32-49). სწორედ ამ ფაქტორებით იყო განპირობებული ისიც, რომ სტილური რეტროსპექტულობა, ადრეული მხატვრული ხერხებისა თუ მიდგომების მოგვიანოდ გამოყენება, არ წარმოადგენდა იშვიათობას შუა საუკუნეების ხელოვნებაში და ეს ამ ნაწარმოებთა არც „დედაქალაქურობა“-პერიფერიულობას უკავშირდებოდა და არც დაკვეთის მნიშვნელოვნებას. არაერთი ამგვარი მაგალითის მოხმობა ქართული მხატვრობიდანაცაა შესაძლებელი (მაგ. საბერეების, უდაბნოს ხარების ეკლესიის, ახტალის მოხატულობები და სხვ. იხ. А. Вольская, Росписи пещерных монастырей Давид-Гареджи, გარეჯი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII, თბილისი 1988, 130-163; მ. ბულია, მეფე დემეტრე თავდადებულის გამოსახულება უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში, ხელოვნება 5 (1990) 2-7; Г. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид Гареджи, Тбилиси 1948, 71-75; M. Bulia, M. Janjalia, Medieval Art and Modern Approaches: a New Look at the Akhtala Painting, *Convivium, Supplementum South Caucasus* (2016) 106-124).

ამიტომაც იმ ნაწარმოებთა დათარიღებისას, რომელთაც არ აქვთ დროის განმსაზღვრელი მკაფიო მარკერები, განსაკუთრებული სიფრთხილეა გამოსავლენი. თარიღი უნდა განისაზღვროს არა ერთ რომელიმე კომპონენტზე, არამედ მათ ერთობლიობაზე დაყრდნობითა და ყველა ნიუანსის გათვალისწინებით.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

წმ. დიმიტრის თაყვანისცემა შუა საუკუნეების საქართველოში. უცნობი მოხატულობა დავითგარეჯიდან

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი
7.5. ჰუმანიტარული მეცნიერებანი
6.4. ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია)
FR-18-30-30

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2019-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარინე ბულია (პროექტის ხელმძღვანელი)
2. მზია ჯანჯალია (ძირითადი პერსონალი, კოორდინატორი)
3. ნინო ციციშვილი (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2022 წელს დასრულდა პროექტის კვლევით ნაწილზე მუშაობა. სრული მასალა (ტექსტი, ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე, ბიბლიოგრაფია, ფოტოები) მზად არის გამოსაცემად (პროექტით გათვალისწინებულია ნაშრომის წიგნად ბეჭდვა).

ნაშრომი, წერილობითი წყაროების, დავითგარეჯის დოდორქის მონასტრის წმ. დიმიტრის სახელობის ეკლესიის ისტორიის, მისი, საქართველოსთვის უნიკალური შინაარსის მქონე მოხატულობის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებზე (მხატვრობა, ქანდაკება, მინიატიურა, მინანქარი, ჭედური და ფერწერული ხატები) წარმოდგენილი წმინდანის გამოსახულებების, მის კულტთან დაკავშირებული საეკლესიო სიძველეებისა და რელიკვიების ისტორიის შესწავლის საფუძველზე, შუა საუკუნეების საქართველოში წმინდა დიმიტრის თაყვანისცემასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების კვლევის პირველ მცდელობას წარმოადგენს

ნაშრომი შედგება წინათქმის, რამდენიმე თავისა და ბოლოთქმისგან:

1. **წინათქმა**
   (განხილულია საკვლევი თემისადმი ინტერესის წინაპირობა და მისი აქტუალურობა).

2. **წმინდა დიმიტრის თაყვანისცემა შუა საუკუნეებში**
   (განხილულია წმ. დიმიტრის კულტის წარმოშობისა და გავრცელების ისტორია; წმინდანის თაყვანისცემის ძირითადი თავისებურებები).

3. **დავითგარეჯის დოდორქის მონასტრის წმინდა დიმიტრის ეკლესია და მისი მოხატულობა**

(განხილულია მოხატულობის შინაარსი და სცენათა იკონოგრაფიული რედაქციები; მოხატულობის სტილის თავისებურებები, განსაზღვრულია მისი შესრულების თარიღი; ეკლესიის ფუნქცია, წმ. დიმიტრის რელიკვიების თაყვანისცემასთან დაკავშირებული რელიგიური, ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური საკითხები. დანართში წარმოდგენილია წმინდა დიმიტრის ეკლესიაში მიკვლეული ფრესკული და ნაკაწრი წარწერები და მათი ისტორიულ - პალეოგრაფიული კვლევა).

4. წმინდა დიმიტრი შუა საუკუნეების ხელოვნებაში
(განხილულია შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგებში (ჭედური და ფერწერული ხატები, მინიატიურები, კედლის მხატვრობა და ა.შ) წარმოდგენილი წმინდა დიმიტრის გამოსახულებები. მათი გაჩენისა და გავრცელების ქრონოლოგიური საზღვრები და იკონოგრაფიული თავისებურებები. მათი ადგილობრივი ნიშნები და ბიზანტიური წრის ნიმუშებთან ურთიერთმიმართების საკითხი. მასალები მოძიებული, სისტემატიზირებული და გამოკვლეული იქნა თბილისის, ქუთაისის, თელავის, ზუგდიდისა და მესტიის სამუზეუმო კოლექციებსა და არქივებში).

5. ბოლოთქმა
(განხილულია წმ. დიმიტრის იმ წმინდა ნაწილების ისტორია, რომლებიც საქართველოში იქნა მოძიებული სხვადასხვა სამუზეუმო და საეკლესიო კოლექციებსა თუ წერილობით წყაროებში. განისაზღვრა საქართველოში წმინდანის თაყვანისცემის მასშტაბები და თავისებურებები).

კვლევის ძირითადი საკითხები და შედეგები:

დოდორქის წმ. დიმიტრის ეკლესია და მისი მოხატულობა

ეკლესიის ისტორიის, მისი შემამკობელი მოხატულობის პროგრამული, იკონოგრაფიული და სტილური კვლევის შედეგად, რომელიც განხორციელდა ფართო ბიზანტიური არეალის პარალელური მასალის მოხმობით, დადგინდა, რომ:

1) მოხატულობის პროგრამა განკაცებული უფლის დიდებასა და წმ. დიმიტრის მოწამეობრივ და სამხედრო ღვაწლს გამოხატავს და ზეციური დაცვა-მფარველობის იდეითაა გაერთიანებული.
2) მოხატულობის არსებითი ნაწილის სქემა, ისევე როგორც წმინდანის ცხოვრების სცენათა უმრავლესობის იკონოგრაფიული რედაქციები, ბიზანტიური წრის ნიმუშების მიხედვითაა გამართული, თუმცა იმავდროულად, შეიცავს საქართველოსთვის ტრადიციულ თემებსაც და წმინდანის ცხოვრების სცენების ისეთ უნიკალურ იკონოგრაფიულ ელემენტებსაც, რომლებიც არც ბიზანტიურ ტექსტებში გვხვდება და არც ამ შინაარსის გამოსახულებებში.
3) სცენების უცნობი იკონოგრაფიული ელემენტები X ს-ის მიწურულს წმ ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილ, წმინდანის ცხორების ქართულ რედაქციას ეფუძნება.
4) წმინდანის ცხორების ციკლი ყველაზე მეტად XII ს-ის II ნახ-ის ამ შინაარსის უადრეს ბიზანტიურ ნიმუშს უახლოვდება, შესაბამისად, ისიც დაახლოებით ამ დროს უნდა განეკუთვნებოდეს.
5) შესრულების ზოგადი პრინციპებით დოდორქის მოხატულობა XII ს-ის II ნახ. - XIII ს-ის დასაწ. იმ ნიმუშებს უახლოვდება, რომელთა უმრავლესობა წინა ხანის კლასიკური

ტენდენციების გამგრძელებლად არის მიჩნეული და ტრადიციულად, დედაქალაქის სახელოსნოებთან ან იქაური ოსტატების ხელობასთან არის ასოცირებული.

6) მოხატულობის შესრულებაში, სცენათა იკონოგრაფიული რედაქციებისა და ზოგადი სქემის მსგავსად, სხვადასხვა - ქართული და ბიზანტიური მხატვრული ტრადიციების, ამასთან კი განსხვავებული სტილური ნაკადების თანაარსებობა დასტურდება. წერის მცირედ განსხვავებული ხერხები კი, რომლებიც მოხატულობის ვიზუალური ჰომოგენურობის მიღმა იხილვება, სავარაუდოდ, განსხვავებული ნიმუშების არსებობით უნდა იყოს განპირობებული.

7) სტილის თავისებურებები ადასტურებს მოხატულობის იკონოგრაფიული რედაქციების ანალიზის საფუძველზე დადგენილ თარიღს და ის XII ს-ის II ნახ.- XIII ს-ის დასაწყისით განისაზღვრება. შესაბამისად, მასში ჩართული წმინდანის ცხორების ციკლი ყველაზე ადრეული გამოდის დღეისთვის ცნობილ, ამგვარი შინაარსის ფერწერულ ნიმუშთა შორის, ასეთნაირად ადასტურებს, რომ ასეთ ციკლებს არა პალეოლოგოსთა დროიდან, როგორც ეს დღემდე იყო მიჩნეული, არამედ გაცილებით უფრო ადრეული ხანიდან ქმნიდნენ, მათი გავრცელების არეალი კი არა მხოლოდ ბიზანტიასა და მის სლავურ სამეზობლოს, არამედ მართლმადიდებელი სამყაროს აღმოსავლეთ რეგიონებსაც მოიცავდა.

8) წმინდანის წამების სცენაში უანალოგოდ ჩართული უმნიშვნელოვანესი რელიკვიის - წმინდანის ქლამინდის გამოსახულების მხატვრულ-ისტორიული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ: ეკლესია ე.წ. მონუმენტურ რელიკვარიუმს წარმოადგენდა და სამეფო ოჯახის მიერ, წმინდანის ამ რელიკვიისთვის საგანგებოდ იყო შექმნილი, როგორც თესალონიკის წმ. დიმიტრის საფლავის ბაზილიკის memoria. XIV საუკუნით დათარიღებული ნაკაწრი წარწერით დგინდება, რომ ამ ხანაში წმ. დიმიტრის ეკლესია სამწირველოს წარმოადგენდა, რაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ეს პატარა ეკლესია-რელიკვარიუმი , იმთავითვე სამწირველოს ფუნქციას ასრულებდა და სამეფო ოჯახის რომელიმე წევრის სულის საოხად იყო შექმნილი.

9) დოდორქის სამლოცველოს თანადროულად, სამართლმადიდებლოს სხვადასხვა რეგიონებში (რუსეთი, ბულგარეთი,) წმინდანის სახელობის ტაძარ-რელიკვარიუმების შექმნა, წმინდანის კულტის გავრცელებასთან დაკავშირებულ ტენდენციას ასახავს. წმ. დიმიტრის მნიშვნელოვანი რელიკვიის საქართველოში შემოტანაც და მისთვის საგანგებოდ წმინდანის ცხოვრების სცენებით მოხატული ტაძარ რელიკვარიუმის შექმნაც, XII ს-ის II ნახ. - XIII ს-ის დასაწყისში სამართლმადიდებლოში მიმდინარე რელიგიურ-იდეოლოგიური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების ნაწილად უნდა იყოს მიჩნეული.

წმ. დიმიტრის გამოსახულებები შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

1) წმ. დიმიტრის ყველაზე ადრეული გამოსახულებები ქართულ სახვით ხელოვნებაში ჩნდება X-XI საუკუნეებში და გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით განაგრძობს არსებობას. განსხვავებული ინტენსივობით ისინი სახვითი ხელოვნების ყველა დარგში (მონუმენტური და დაზგური ფერწერა, ჭედურობა, მინანქარი, რელიეფი, ხელნაწერი წიგნის მხატვრობა, ნაქარგობა) გვხვდება, თუმცა განსაკუთრებულად მრავლადაა წარმოდგენილი XI – XIII საუკუნეების ჭედურობის, მინანქრისა და დაზგური და მონუმენტური ფერწერის ნიმუშებზე. გვიან შუა საუკუნეებში კი მინიატიურაშიც.

2) წმინდანის ადგილობრივი იკონოგრაფია არსებითად ბიზანტიურ ტრადიციას ასახავს, როგორც ტიპობრივად, ისე ქრონოლოგიური განვითარებით. ადრეულ ნიმუშებზე იგი

უწვერულ ყმაწვილად წარმოსდგება პატრიციელთა სამოსითა და მოწამის ჯვრით ხელში. XI საუკუნიდან ჩნდება როგორც სრულფიგურიანი მეომარი წმინდანის, ისე მხედრის გამოსახულებები. ხშირია ე.წ. სინთეზური იკონოგრაფიული ტიპი, რაც მოწამის და მეომრის ატრიბუტების ერთდროულად გამოსახვას გულისხმობს. ამგვარი გამოსახულებები მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში გვხვდება სხვადასხვა დარგის ნიმუშებზე.

3) წმ. დიმიტრი როგორც მონუმენტურ მხატვრობაში, ისე ფერწერულ და ჭედურ ხატებზე, უპირატესად, სხვა წმინდა მეომართა გუნდებშია წარმოდგენილი. XI-XIII საუკუნეებში ჩნდება დამოუკიდებელი გამოსახულებები, რაც, დოდორქის მოხატულობასთან ერთად, ამ დროისთვის საქართველოში წმ. დიმიტრის კულტის აქტუალიზაციას და პოპულარობას მიანიშნებს.

პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ცალკეული შედეგები გამოქვეყნდა საერთაშორისო კონფერენციის *Davit Gareji. Multidisciplinary Study and Development Strategy* (Tbilisi, 2020) მასალებში (Marina Bulia, Vita Cycle of St Demetrius of Thessaloniki and His Holy Relics at Dodorka Monastery (წმ. დიმიტრი თესალონიკელის ცხოვრების ციკლი და წმინდა ნაწილები დოდორქის მონასტერში) და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში *Zograf*, 44, 2020, Marina Bulia, Reliquary- Chapel of St. Demetrius at Davitgareji Desert (Georgia) (წმინდა დიმიტრის ეკლესია-რელიკვარიუმი დავითგარეჯის უდაბნოში (საქართველო)).

მომდევნო ეტაპზე იგეგმება ნაშრომის გამოცემასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება - წიგნის დაკაბადონება და ბეჭდვა.

მზია ჯანჯალია

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

კულტურული იდენტობის ნიშნულები შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო მხატვრობაში
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები
6.1. ისტორია და არქეოლოგია
6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2022-2025

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

მზია ჯანჯალია - მკვლევარი

კვლევითი პროექტის2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის მიზანს წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში იდენტობის კონკრეტული მარკერების წარმოჩენა და მათი სისტემური ანალიზი. პირველი ეტაპი კედლის მხატვრობის იმ კონკრეტულ შინაარსობრივ აქცენტებს დაეთმო, რაც მას რელიგიური ხელოვნების სხვა დარგებთან აქვს საერთო, ბიზანტინიზაციის გარდამტეხ ეტაპზეც კი. წინასწარული შედეგებით, იკვეთება მულტიცენტრულობისა და უცხოეთში ისტორიულად არსებული ქართული სამონასტრო ცენტრების როლის კვლევის მნიშვნელობა შუა საუკუნეების საქართველოში კულტურული იდენტობის ნიშნულთა გამოკვეთისა და შესწავლისათვის.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

საქართველო და ბიზანტიური თანამეგობრობა: პოლიტიკა, კულტურა და იდენტობა იმპერიის საზღვრებზე (XI საუკუნე)- FR-19-225
ძირითადი მიმართულებები:

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

7.6 ჰუმანიტარული მეცნიერებები

7.6.1 ისტორია და არქეოლოგია

დამატებითი მიმართულებები:

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.2 ენები და ლიტერატურა

6.4 ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)

6.4.1 ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2020-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ძირითადი პერსონალი:
მზია სურგულაძე-ხელმძღვანელი
ნათელა დუნდუა -კოორდინატორი
მზია ჯანჯალია - მკვლევარი
გიორგი ჭეიშვილი - მკვლევარი
თამარ ოთხმეზური - მკვლევარი
მაია მაჭავარიანი - მკვლევარი
დამხმარე პერსონალი:
ხელოვნებათმცოდნე ასისტენტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ინტერდისციპლინური პროექტი ინსტიტუციათაშორის კვლევებს ემყარება: წამყვანი ორგანიზაცია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრია, თანამონაწილე ორგანიზაციები - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

პროექტის მიზანია ბიზანტიის იმპერიასთან საქართველოს მიმართების განხილვა „ბიზანტიური თანამეგობრობის“ ფართოდ გაზიარებული სამეცნიერო კონცეპტის ფარგლებში. კვლევათა ინტერესის საგანს წარმოადგენს ბიზანტინიზაციის ნიშნები და მათი თავისებურებები მეთერთმეტე საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ტენდენციებში, საეკლესიო ღვთისმსახურებაში, ლიტერატურულ თარგმანში და მხატვრულ-ესთეტიკურ აზროვნებაში.

2022 წლის ეტაპის კვლევითი ამოცანა იყო ბიზანტინიზაციის იმ თავისებურებების ანალიზი, რაც ქართულ სახვით ხელოვნებაში იკვეთება ბიზანტიური სივრცის სხვა კულტურებთან მიმართებით. რელიგიური კულტურის სხვადასხვა ასპექტების შეჯერება ეჭვს არ იწვევს, რომ მეთერთმეტე საუკუნეში კონსტანტინოპოლისკენ სწრაფვის მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია ასევე ძლიერ ტრადიციულ ორიენტირებს დაემყნო და რომ ქრისტიანული აღმოსავლეთის აქტუალობა არ შემცირებულა.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1)ავტორი/ავტორები

გიორგი გაგოშიძე, ნინო კვირიკაშვილი, თინათინ ცერაძე, ლელა ხოფერია, მზია ჯანჯალია. იდეის ავტორი თამილა მგალობლიშვილი

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მიწაზე

3)გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, თამილა მგალობლიშვილის სახელობის ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი

4)გვერდების რაოდენობა

856

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქართულ ქრისტიანულ თემს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სხვადასხვა ეთნოსისა და კონფესიის წარმომადგენლების მიერ შექმნილ იმ უნიკალურ ერთობაში, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. წმინდა მიწაზე ქართული სამონასტრო კოლონია არსებობის ცამეტ საუკუნეს (IV-XVIII სს.) ითვლის და მასთან არაერთი ისტორიული წყარო და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშია დაკავშირებული. წმინდა მიწის ქართული კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენისა და შესწავლის მიზნით მრავალი წელია სისტემურ კვლევებს ახორციელებს თამილა მგალობლიშვილის მიერ დაფუძნებული „ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი“, რომელიც აერთიანებს ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, არქეოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის დარგებში მომუშავე სპეციალისტებს. ცენტრმა არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია ჩაატარა ისტორიულ წმინდა მიწაზე - ისრაელში, იორდანიასა და პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე, თამილა მგალობლიშვილის

ხელმძღვანელობითა და მისი გარდაცვალების შემდეგ. მოძიებული იქნა მასალა 40-მდე მონასტრის შესახებ, 90-მდე ეპიგრაფიკული ნიმუში (მათგან ათობით აქამდე უცნობი), რამდენიმე ათეული ნაქარგობა და ხატი, XV-XVI საუკუნეების, მანამდე უცნობი, მინიატიურებით მდიდრულად შემკული ხელნაწერი, რომელიც ტექსტშივე „ოქროს ოთხთავად“ იწოდება; აღმოჩენილ იქნა V-VI საუკუნეების ქართული მონასტერი კრიპტითა და ქართული წარწერით, სოფელ უმ ლეიზუნში იერუსალიმის მახლობლად. პუბლიკაცია წმინდა მიწის საკითხებზე ცენტრის მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილებას ემყარება.

7.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.4. სტატიები ISSN-ის მითითებით
Mzia Janjalia

2) სტატიის სათაური, ISSN
Between Jerusalem and Constantinople: Revisiting the Eleventh Century Georgian Religious Art
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
Convivium, 9.2, ISBN: 978-2-503-59747-8

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
Brepols
5) გვერდების რაოდენობა
19
ვრცელი ანოტაცია *(ქართულ ენაზე)*

მეათე საუკუნის ბოლო და მეთერთმეტე საუკუნე მნიშვნელოვანი დრო იყო შუა საუკუნეების ქართული კულტურისთვის. რთულია პუბლიკაციის ნახვა, საგანგებოდ რომ არ გამოყოფდეს ამ პერიოდს, როგორც ერთგვარ ზღვარს, ხოლო მისი გამორჩეულობის ნიშნებად ქართული ეკლესიისა და ქართველთა სამეფოსა გაერთიანებასთან ერთად, კულტურული გეზის საეტაპო ძვრას არ ასახელებდეს. გეზის ცვლილების ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებად, ქართულ ეკლესიაში განხორციელებული ლიტურგიკული ცვლილება მოიაზრება, კერძოდ, იერუსალიმური წესიდან კონსტანტინოპოლურზე გადასვლა და ახალი რელიგიური ცოდნის ძლიერი ტალღა, რომელსაც ქართველი ათონელი მამების მთარგმნელობითმა და ლიტერატურულმა საქმიანობამ დაუდო სათავე. მეთერთმეტე საუკუნისთვის ახლებური და თითქოსდა ცალსახა ელინოფილური კულტურული და ესთეტიკური ორიენტირი ქართულ რელიგიურ ხელოვნებაშიც მყარად გამოკვეთილი ჩანს. ერთი შეხედვით, საიმდროო სურათი იმდენად ცხადია, რომ დამატებითი განხილვის საჭიროებას თითქოს არაფერი უნდა მიანიშნებდეს. და მაინც, გარკვეულ საკითხებზე კიდევ ერთხელ დაფიქრება შუა საუკუნეების ქართული კულტურის ისტორიაში ამ ერთ-ერთი საკვანძო გარდამავალი პერიოდის სურათის დაზუსტების არა მხოლოდ შესაძლებლობას, არამედ სრულიად აუცილებელ საჭიროებას აჩვენებს. პუბლიკაცია სწორედ ამ საკითხებს ეთმობა

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8. 1. მომხსენებელი/მომხსენებლები
Mzia Janjalia, Eter Edisherashvili

2) მოხსენების სათაური
On the Threshold: Georgian Religious Visual Culture in the Eleventh Century

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
Madrid, Universidad Complutense de Madrid, January 24-27
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

8. 2. მომხსენებელი/მომხსენებლები
Mzia Janjalia

2) მოხსენების სათაური
In Search of Cultural Identity Markers

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

Aesthetics, Art, and Architecture in the Caucasus, Max-Planck-Institue and Chubinashvili Centre Online Lecture Series, July 5
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ქეთევან მიქელაძე

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. **შუა საუკუნეების მხატვართა „ხელმოწერები“ (ფუნქცია, მნიშვნელობა, ეკლესიის სივრცეში განთავსება),** პროექტის დაწყების და დასრულების წლები - 2021-2022.
2. შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორია. კედლის მხატვრობა.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ქეთევან მიქელაძე**

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეკლესიის კედლებზე მოთავსებული წარწერები, იქნება ეს განმარტებითი, თუ ისტორიული ხასიათისა მთელი ფერწერული ანსამბლისა და ნაგებობის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ მათი მნიშვნელობისა და დანიშნულების გაგება შეუძლებელია იმ გარემოს გათვალისწინების გარეშე, რომლისთვისაც ისინი შეიქმნა. ამ მხრივ შინაარსთან ერთად დიდი

მნიშვნელობა აქვს წარწერათა მდებარეობას, მხატვრულ-კომპოზიციურ გადაწყვეტას, ზომას, მიმართებას გამოსახულებებთან.

მხატვართა „ხელმოწერების“ უადრესი ნიმუშები ქართულ კედლის მხატვრობაში IX-X სს-ში (საბერეები) დასტურდება და მომდევნო ხანებშიც (XVII ს-ის ჩათვლით) აგრძელებს არსებობას. შუა საუკუნეებში მიიჩნევდნენ, რომ ეკლესია უფლის ნებითა და ხელდასხმით შენდებოდა და იმკობოდა, რათა იქ წირვა-ლოცვა აღსრულებულიყო. ტაძრისა და სახვითი ხელოვნების ფორმა კი წმინდა წერილს, წმინდა მამათა თხზულებებს ეფუძნებოდა. ქტიტორი სამუშაოს დამკვეთი და დამფინანსებელი იყო.

VII საეკლესიო კრების (787) ერთ-ერთი განჩინების თანახმად ხატის კონცეფცია წმინდა მამებს ეკუთვნით და ეკლესიის მიერაა დაკანონებული. მხატვარს მხოლოდ ხატების ფერებითა და ხაზებით შესრულების უნარი შესწევს, რომელიც მას ღვთისგან აქვს ბოძებული. შუა საუკუნეების ოსტატი თავის საქმიანობას წმინდა აქტად მიიჩნევდა, რომელსაც ის უფლის მიმადლებული ნიჭით, მისი ნებით, მომგებლის დავალებით და ეკლესიის მიერ დადგენილი კანონების დაცვით ასრულებდა. ამდენად, მხატვარი იყო არა შემოქმედი, არამედ შემსრულებელი. შესაბამისად ის არც თავის ნაწარმოებს მიიჩნევდა საავტორო ნამუშევრად და, ცხადია, ვერც მისი წარწერა იქნებოდა საავტორო ხელმოწერა, ავტოგრაფი. შუა საუკუნეების მხატვარი „ხელმოწერას“ თავისი პიროვნების, ინდივიდუალობის წარმოსაჩენად არ აკეთებდა. შემთხვევითი არ არის, რომ მის წარწერას, ჩვეულებრივ, სავედრებლის ფორმა აქვს. ის მხატვრის პრივატულ სავედრებელს წარმოადგენს; უფლისადმი (წმინდანისადმი) „მიწერილი“ შესაწყალებლის ფუნქცია აქვს. ამიტომ შუა საუკუნეების მხატვრის წარწერას მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს ხელმოწერა.

მხატვართა ყველაზე გავრცელებული წარწერა მოკლე და ლაკონიური სავედრებელია (მაგ., ‘მაცხოვარ, მეოხ ექმენ დავითს, მხატვარსა’). გვხვდება უფრო ვრცელი წარწერებიც, მაგრამ ისინი გავრცობილია არა მხატვრის შესახებ ინფორმაციის, არამედ ქტიტორის, თარიღის დასახელების ხარზე (მაგ. გრიგოლ გულჯავარასშივილის წარწერა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის „ცხოველ სვეტზე“ (XVII ს.); არის ისეთი წარწერებიც (მაგ. ვარძია, ბეთანია, ოზაანი, გელათის 1550 წწ-ის ფერწერული ფენის წარწერა), რომლებშიც ავტორის ხელობა ან მისგან გაწეული ღვაწლი არ არის აღნიშნული (მაგ. ‘ქრისტე ღმერთო, შეუნდვენ მიქაელს’), მაგრამ ისინი მხატვრებს მიეწერებათ. მათი მხატვრებისთვის მიკუთვნებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: მდებარეობა, შესრულების დრო, პალეოგრაფიული მახასიათებლები, გამოყენებული მასალა.

წარწერის დანიშნულებას, ისევე როგორც, მის მკითხველს მისი ეკლესიის სივრცეში ლოკალიზაციაც განსაზღვრავდა. ეკლესიის კედლებზე დაწერილი მხატვრის (გინდა ქტიტორის) წარწერა, ერთი მხრივ, და უპირველესად, უფლისთვის იყო განკუთვნილი, მეორე მხრივ - მიწიერი ადამიანისათვის.

როცა მხატვარი ეკლესიის ძნელად დასანახ ადგილას, ან ორნამენტში ათავსებდა თავის ‘ხელმოწერას’, მის მიზანს წარწერის საჯარო წარმოჩენა, ცხადია, არ წარმოადგენდა. ეს მისი კერძო, „სათავისო“ სავედრებელი იყო, ზეციური მკითხველისთვის განკუთვნილი. მხატვართა „ხელმოწერები“ საკმაოდ ხშირად გვხვდება საკურთხევლის აფსიდში (მაგ., საბერეების IV და VIII ეკლესიები, ვარძია, ბეთანია, ოზაანი, წითელხევი). აქ მოთავსებულ წარწერას არა მხოლოდ უფალი დაინახავდა, არამედ მისი პოტენციური მკითხველი მღვდელმსახურნიც იყვნენ. ალბათობა იმისა, რომ საკურთხეველში წირვის დროს შეკრებილი სამღვდელოება წარწერებს

დაინახავდა და მათში დასახელებულ პირებს ლოცვაში მოიხსენიებდა დიდი იყო. ეს ლოცვაში მოხსენიების გარანტია იყო.
რაც შეეხება ეკლესიის თვალსაჩინო ადგილას მოთავსებულ წარწერებს, ისინი ზეციურთან ერთად ამსოფლიურ მკითხველსაც გულისხმობდა.

შუა საუკუნეების მხატვრები „ხელმოწერებისთვის“ კონკრეტულ იკონოგრაფიულ სცენებსა და გამოსახულებებსაც არჩევდნენ. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: საბერეების VIII ეკლესიის მხატვარმა „ხელმოწერა“ საკურთხევლის კონქში წარმოდგენილ ქრისტეს დიდების კომპოზიციაში მოაქცია. წარწერის მაცხოვრის ფიგურის ფერხთით მოთავსებით მან თავისი სავედრებელი უშუალოდ მას დაუკავშირა. გამოსახულება და ტექსტი ერთიანობაშია მოყვანილი. ასეთივე გადაწყვეტაა გელათის ღვთისმშობლის ტაძრის მოხატულობაშიც (1550-იანი წწ.), სადაც მხატვარმა წარწერისთვის „ძილი მოწაფეთა“ სცენა შეარჩია და ის მიზანმიმართულად ლოცვად მუხლმოყრილი მაცხოვრის ზურგს უკან მიაწერა; წითელხევის წმ. გიორგის ეკლესიაში მხატვარმა გიორგი ჯოხტობერიძემ (XVI ს.) თავისი სავედრებელი აფსიდში ეკლესიის მამათა შორის გამოსახული მიძინების ხატის ზემოთ მოათავსა.

მხატვართა „ხელმოწერები“ იშვიათად არის მხატვრულად აქცენტირებული, საზეიმო, რეპრეზენტაციული ხასიათის. ამ მხრივ მეტ სითამამეს „ხალხური“ მიმართულების მხატვრები იჩენენ; მათი „ხელმოწერები“ ხშირად საკმაოდ დიდი ზომისაცაა, მოჩარჩოებითაცაა გამოყოფილი და თვალსაჩინო ადგილასაც არის მოთავსებული.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მხატვრის „ხელმოწერის“ ტრადიცია საქართველოში IX-X საუკუნეებში ჩაისახა. საუკუნეების მანძილზე მათ არსებითი ცვლილებები არ განუცდიათ. უპირატესობას ლაკონიურ სავედრებელს ანიჭებდნენ. მხატვრები თავიანთი „ხელმოწერებისთვის“ საგანგებოდ არჩევდნენ ადგილსაც ეკლესიის სივრცეში და კონკრეტულ სცენებსა და გამოსახულებებსაც.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **სამეფო ატრიბუტიკა ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში** (FR-21-5352)
2. 2022-2025

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
იხ. თამარ ხუნდაძის ანგარიში

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში** (FR17_271)
ჰუმანიტარული მეცნიერებები, ხელოვნების ისტორია

2. პროექტი დაიწყო 2018 წელს და თავდაპირველი გეგმით უნდა დამთავრებულიყო 2020 წელს. კოვიდ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო, ჩვენი თხოვნის საფუძველზე, რუსთაველის ფონდმა პროექტი გადაავადა და ის საბოლოოდ დასრულდა 2022 წლის 1 სექტემბერს.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ქეთევან მიქელაძე, პროექტის ხელმძღვანელი
2. მარიამ დიდებულიძე, მკვლევარი
3. თამარ ხოსროშვილი, კოორდინატორი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტი *შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში* მიზნად ისახავდა შუა საუკუნეების მხატვართა ფართო კულტურულ-სოციალურ კონტექსტში შესწავლას, რისთვისაც დაისახა შემდეგი ამოცანები: რა ადგილი ეკავათ მხატვრებს შუა საუკუნეების საზოგადოებაში, როგორი ურთიერთობა და თანამშრომლობა ჰქონდათ თავიანთ დამკვეთებთან/ქტიტორებთან, რამდენად თავისუფალნი იყვნენ ისინი თავიანთ შემოქმედებაში და სხვა. საგანგებო ადგილი დაეთმო მხატვრებთან დაკავშირებული ცნობების შეკრებასა და დამუშავებას. პრობლემათა კვლევისთვის შემოვიფარგლეთ ეკლესიის მომხატველი ოსტატებით. კვლევის ძირითად პრობლემას მხატვართა შესახებ ინფორმაციის მეტისმეტი სიმწირე განაპირობებდა. ძირითადი წყაროს მათ შესახებ კედლის მხატვრობაში შემორჩენილი ის საქტიტორო წარწერები წარმოადგენს, რომლებშიც მხატვრები არიან დასახელებულნი და ასევე საკუთრივ მხატვართა „ხელმოწერები“. ამიტომ წარწერებს, მათი შინაარსის, მნიშვნელობისა და ფუნქციის კვლევასა და ინტერპრეტაციას საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო. წარწერები საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ პერიოდს - IX-XVII საუკუნეებს მოიცავს. ადგილობრივ მხატვრებთან ერთად შევისწავლეთ საქართველოში ჩამოსული ბერძნულენოვანი ოსტატებიც, რომელთა ვინაობაც ასევე მოხატულობათა თანმხლები წარწერებიდან (უმეტესწილად ბერძნული წარწერებიდან) არის ცნობილი. პროექტის ფარგლებში დამუშავდა შემდეგი სამეცნიერო თემები: მხატვრის სახელის შემცველი წარწერები (კლასიფიკაცია, ინტერპრეტაცია, ფუნქცია და მათი ადგილი ეკლესიის სივრცეში; წარწერათა მიმართება მოხატულობასთან); მხატვრის საზოგადოებრივი მდგომარეობა შუა საუკუნეების საქართველოში; ქტიტორებისა და მხატვრების თანამშრომლობა, შუა საუკუნეების მხატვრის შემოქმედებითი თავისუფლება, შუა საუკუნეების ხელოვნების დანიშნულება, საეკლესიო კანონიკა, პირველსახის მნიშვნელობა.
კვლევის შედეგად გაირკვა, რომ შუა საუკუნეების მხატვრებთან დაკავშირებით ქართულ ნარატიულ წყაროებსა და ისტორიულ დოკუმენტებში თითქმის არ მოგვეპოვება ცნობები და

უმთავრეს წყაროს მათ შესახებ ეპიგრაფიკა, IX-XVII საუკუნეების კედლის მხატვრობაში შემორჩენილი ის წარწერები წარმოადგენს, რომლებშიც მხატვრები არიან დასახელებულნი. ყველა დროის წარწერას ერთი საერთო ნიშანი ახასიათებს მხატვრის სახელის გარდა, იშვიათად შეიცავს მასთან დაკავშირებულ სხვა დეტალებს. წარწერათა შინაარსისა და ეკლესიის სივრცეში ლოკალიზაციის გათვალისწინებით გაირკვა, რომ შუა საუკუნეების მხატვართა წარწერებს სავედრებლის ფუნქცია ჰქონდათ; მხატვრები თავიანთი წარწერებისთვის საგანგებოდ არჩევდნენ ადგილსაც ეკლესიის სივრცეში და თეოლოგიურად მნიშვნელოვან გამოსახულებებთანაც აკავშირებდნენ მათ. კვლევამ აჩვენა, რომ საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შუა საუკუნეებში მხატვართა სოციალური სტატუსი დაბალი იყო და ისინი მხოლოდ უბრალო ხელოსნებად მიიჩნეოდნენ ქართულ სინამდვილეს არ შეესაბამება. ყველა მხატვარი თანაბარ მდგომარეობაში არ იყო - იყვნენ რიგითი ხელოსნებიც და მაღალი რანგისა და წოდების მხატვრებიც - მეფის მხატვარიც და „მოქალაქის“ საპატიო წოდების მქონენიც; ბიზანტიაში დამკვიდრებული ტრადიციისგან განსხვავებით საქართველოში მხატვრებს უმაღლესი იერარქიის საერო და საეკლესიო პირებიც ახსენებდნენ თავიანთ წარწერებში და ისინი მათი დაკვეთით შესრულებულ მოხატულობებსაც აწერდნენ ხელს. ქრისტიანული ხელოვნების კანონიკის, კონსერვატიულობისა და დამკვეთის მოთხოვნების მიუხედავად შუა საუკუნეების კედლის მხატვრების ოსტატები მაინც ინარჩუნებენ და ავლენენ შემოქმედებითი თავისუფლებას.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები აისახა ელექტრონულ კრებულში *მხატვრები შუა საუკუნეების საქართველოში, რომლის გაცნობაც შესაძლებელია გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნული კვლევითი ცენტრის ვებ-გვერდზე.*
http://www.gch
centre.ge/2022/11/15/%e1%83%9b%e1%83%ae%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%95%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%a8%e1%83%a3%e1%83%90-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a3%e1%83%99%e1%83%a3%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/?fbclid=IwAR3lmvN4Ifh2VAQRLvWyv2r6RGA4bRGXwJULWH4CT240O6lLMflISRH2oN8

წიგნი გამოსაცემად მოამზადეს მარიამ დიდებულიძემ და ქეთევან მიქელაძემ. კრებულში შევიდა პროექტის მონაწილეთა ნარკვევები: *შუა საუკუნეების მხატვართა წარწერები* (ქ. მიქელაძე), *ცნობები შუა საუკუნეების მხატვართა შესახებ (ფერწერული წარწერების მიხედვით)* (ქ. მიქელაძე), *მხატვართა შესახებ ცნობები ისტორიულ საბუთებსა და ნარატიულ წყაროებში* (თ. ხოსროშვილი), *მხატვრის საზოგადოებრივი მდგომარეობა შუა საუკუნეების საქართველოში* (ქ. მიქელაძე), *„ქადაგება ფერებით და ხაზებით* (მ. დიდებულიძე), *დაკვეთა - ქტიტორები და მხატვრები* (მ. დიდებულიძე), *შუა საუკუნეების ოსტატთა შემოქმედებითი თავისუფლება* (მ. დიდებულიძე). ნაშრომს დანართის სახით ერთვის წარწერათა კატალოგი: ქართული წარწერები (გამოსაცემად მოამზადა გიორგი გაგოშიძემ) და ბერძნული წარწერები (მოტანილია თ. ყაუხჩიშვილის მონოგრაფიიდან საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბილისი, 2009).

ნაშრომი უხვად არის ილუსტრირებული და ერთვის თითოეული ნარკვევის ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე.

ნაშრომი - *მხატვრები შუა საუკუნეების საქართველოში* - საგანგებოდ შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ოსტატებისადმი მიძღვნილი პირველი გამოკვლევაა, რომელშიც გაშუქებულია შუა საუკუნეების მხატვრებთან დაკავშირებული ისეთი საკითხები როგორიცაა შუა საუკუნეების მხატვრის საზოგადოებრივი მდგომარეობა და სტატუსი, მხატვრის შემოქმედებითი თავისუფლება, დამკვეთისა და მხატვრის როლი ეკლესიის მოხატვის პროცესში, მხატვრის წარწერათა მნიშვნელობა და დანიშნულება და სხვა. სისტემატიზებულია ეპიგრაფიკასა და წერილობით წყაროებში არსებული ცნობები შუა საუკუნეების მხატვართა შესახებ.

მარიამ დიდებულიძე

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. **სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:**

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით. პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. . **„შემოქმედებითი თავისუფლების საკითხი შუა საუკუნეების მხატვრობაში“**
(ჰუმანიტარული მეცნიერებანი; ხელოვნების ისტორია. კვლევითი; ინდივიდუალური. 2021-2022 წწ.

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით).
1.მარიამ დიდებულიძე, მკვლევარი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.2.

1) დასრულებული კვლევითი პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დასრულების წლები

1. **„შემოქმედებითი თავისუფლების საკითხი შუა საუკუნეების მხატვრობაში“**
(ჰუმანიტარული მეცნიერებანი; ხელოვნების ისტორია. კვლევითი; ინდივიდუალური. 2021-2022 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **მარიამ დიდებულიძე,** მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თემა მიზნად ისახავდა შუა საუკუნეების მხატვართა მოღვაწეობის შესახებ არსებული მასალის საფუძველზე მათი შემოქმედებითი თავისუფლების ხარისხის დადგენას და მისი განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენას. კვლევა მოიცავდა ხელმისაწვდომი მასალის შეგროვებას, გაანალიზებას, ასევე სხვა ეპოქებში ამავე ასპექტის ძირითადი მახასიათებლების

დადგენას და სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ოსტატების თვით იდენტურობის შედარებას. ეს საკითხები გარკვეული თვალსაზრისით შემოქმედებითი ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება.

თემის ფარგლებში განხილულ და გაანალიზებულ იქნა შემდეგი საკითხები:

- ინფორმაცია შუა საუკუნეების აღმოსავლეთ ქრისტიანული ქვეყნების მხატვარ-ოსტატების თაობაზე
- საზოგადოების დამოკიდებულება მხატვართა მიმართ.
- შუა საუკუნეების მხატვართა თვით-აღქმა (ფსიქოლოგია)
- საეკლესიო კრებების დადგენილებები
- ეკლესიის მამების ხელოვნების შესახებ
- კანონის ცნება და მისი მნიშვნელობა-ზემოქმედება ხელოვნების ნაწარმოების შექმნის პროცესზე
- ნიმუშთა წიგნების გამოყენება და გავრცელება
- ასლის გაგება შუა საუკუნეების ხელოვნებაში
- ეროვნული ფორმის საკითხი
- შემოქმედებითი პროცესი, სწავლება, განათლება.
- კვლევის პროცესში წამოჭრილი გაუთვალისწინებელი საკითხები.

ზემოთჩამოთვლილი საკითხების კვლევა მოიცავდა ორ წელიწადს (2021-2022),

პირველ ეტაპზე (2021 წ.) დადგინდა საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის სია. გაკეთდა არსებული მონაცემების პირველადი ანალიზი. მეორე ეტაპზე განხორციელდა მიღებული შედეგების კლასიფიკაცია, განზოგადება და საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბება.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო კვლევითი პროექტები

3. 2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით. პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი. პროექტის დაწყებისა და დასრულების წლები

1. **არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში**

. ჰუმანიტარული მეცნიერებანი. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)
FR2017/ FR17_221 2018-2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

. 1. მარიამ დიდებულიძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. დავით ხოშტარია (ძირითადი პერსონალი)
3. მარინე ყენია (ძირითადი პერსონალი)
4. ნატალია ჩიტიშვილი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი)
5. ქრისტინე საბაშვილი (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტის მიზანს წარმოადგენდა სამეცნიერო კვლევის ჩატარება, რომელიც გაარკვევდა თუ როგორ აღიქვამდნენ არქიტექტურას შუა საუკუნეების ქართველები და ახსნის მისი რეპრეზენტაციის დანიშნულებასა და ფორმებს. კვლევა მოიცავს შუა საუკუნეების საქართველოს მხატვრულ კულტურასა და მის სულიერ და ინტელექტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრეს.

პროექტი მოიცავდა ექვს კვლევით თემას: 1. არქიტექტურის აღქმა შუა საუკუნეების საქართველოში; 2. არქიტექტურული ნახაზები; 3. არქიტექტურული ფონები კედლის მხატვრობაში, ხატწერაში, წიგნის მინიატიურასა და ჭედურ ხელოვნებაში; 4. არქიტექტურის რეპრეზენტაციები საქტიტორო გამოსახულებებში; 5. ეკლესიათა მოდელები როგორც აკროტერიონები და საფლავის ძეგლები; 6. არქიტექტურის რეპრეზენტაცია: შეჯამება.

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ გააღრმავა ჩვენი ცოდნა ზოგადად შუა საუკუნეების არქიტექტურასა და ხელოვნებაზე და კერძოდ, არქიტექტურის შუასაუკუნეობრივ კონცეფციასა და მისი რეპრეზენტაციის ფორმების თაობაზე. პროექტის შედეგი არა მხოლოდ ფაქტების დაგროვებაა, არამედ მეთოდოლოგიურად ინოვაციური გამოკვლევა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს შუა საუკუნეების ქართული სულიერი და მხატვრული კულტურის უფრო ღრმა გაგებას.

პროექტზე მუშაობა უნდა დასრულებულიყო საანგარიშო პერიოდში, 2020 წლის ივნისში, მაგრამ კოვიდ-19-ის პანდემიის გამო ვერ მოხერხდა დასახული ამოცანების სრულად შესრულება, რის გამოც რუსთაველის სამეცნიერო ფონდის თანხმობით პროექტის დასრულების ვადა გადაიდო 2022 წლის 19 ივნისამდე.

პროექტის ფარგლებში მომზადდა შემდეგი მოხსენებები, სტატიები და ნარკვევები:

Mariam Didebulidze, Representation of Architecture in Medieval Georgian Murals, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 13, no.3,2019. pp 150-156.

მარიამ დიდებულიძე, „ეკლესიის შემწირველი ქტიტორების გამოსახულებები შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში“. „საქართველოს სიძველენი, #24, 2021„

მარიამ დიდებულიძე, „იერუსალიმის გამოსახვის თავისებურებანი შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში (მოხსენება წაკითხულ იქნა ჩუბინაშვილის ცენტრის 80 წლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, 2021 წლის 25 ნოემბერს).

დავით ხოშტარია, არქიტექტურის გრაფიკული გამოსახულებები შუა საუკუნეების საქართველოში (ნარკვევი გამოქვეყნდა 2022 წელს გამოცემულ წიგნში „არქიტექტურის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში“).

ნატალია ჩიტიშვილი, სამგანზომილებიანი არქიტექტურული მოდელები შუა საუკუნეების საქართველოში (ნარკვევი გამოქვეყნდა 2022 წელს გამოცემულ წიგნში „არქიტექტურის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში“).

Natalia Chitishvili, General Overview of the Three-Dimensional Architectural Models as Acroteria in Medieval Georgia. Studia Ceranea, N11, 2021, გვ. 11-23.

ქრისტინე საბაშვილი, არქიტექტურის რეპრეზენტაციები შუა საუკუნეების საქართველოს საქტიტორო გამოსახულებებში ნარკვევი გამოქვეყნდა 2022 წელს გამოცემულ წიგნში „არქიტექტურის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში“).

2. . **შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში**

ჰუმანიტარული მეცნიერებანი; ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) FR17_271
პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2018-2022
3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.ქეთევან მიქელაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2.მარიამ დიდებულიძე (ძირითადი პერსონალი)
3.თამარ ხოსროშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი, კოორდინატორი)

2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ქეთევან მიქელაძის ანგარიშში

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები. მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **„არქიტექტურის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში.“** თანაავტორები: დ. ხოშტარია, ნ. ჩიტიშვილი, ქ. საბაშვილი; თბილისი, 2022. გ. ჩუბინაშვილის ეროვნული ცენტრი
   ISBN 978-9941-8-4477-5. 264 გვერდი

წიგნი მომზადდა და დაიბეჭდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში“ განხორციელების შედეგად. ის შედგება პროექტის ოთხი შემსრულებლის მიერ დაწერილი ნარკვევებისაგან.

მარიამ დიდებულიძის ვრცელი ნარკვევი „არქიტექტურის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში“ მოიცავს ექვს ქვეთავს: 1. ზოგადი არქიტექტურული ანტურაჟი, 2. ეკლესიის შემწირავი ქტიტორები: „ქტიტორი ეკლესიით ხელში“, 3. ქალაქები და ისტორიული

ნაგებობები, 4. ქალაქი იერუსალიმი, 5. ზეციური იერუსალიმი, 6. უფლის საფლავის ეკლესია. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება ზოგადად იზიარებს საერთო აღმოსავლურქრისტიანულ ხელოვნებაში ხუროთმოძღვრების რეპრეზენტაციის ძირითად პრინციპებს, თუმცა იმავდროულად თავის მხატვრულ მიდგომასაც ამჟღავნებს. გამოიკვეთა შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ხუროთმოძღვრების გამოსახვის ძირითადი მახასიათებლები. დადგინდა, რომ „დახატულ“ არქიტექტურაში რამდენიმე ძირითადი თემა დომინირებს: უფლის საფლავი – წრიული გუმბათიანი შენობა, სიონის ბაზილიკა – ორქანობა გადახურვიანი მართკუთხა ნაგებობა, კუვუკლიას ფანჩატური და ქალაქი იერუსალიმი ქონგურებიანი გალავნით. არქიტექტურული ნაგებობები წარმოადგენს არა უბრალოდ ანტურაჟსა ან ფონს, არამედ მათ არსებითი როლი ენიჭება გამოსახულების შინაარსის გახსნაში და მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა აქვთ. ნაგებობების გამოსახვა საკმაოდ პირობითია, ოსტატები არ ესწრაფვიან ზუსტ გარეგნულ მსგავსებას, მხოლოდ ცალკეული სახასიათო დეტალებს აღნიშნავენ. ზოგადად, არქიტექტურის გამოსახვისადმი მიდგომა უფრო სახითმეტყველებითია, ვიდრე სიუჟეტურ-აღწერითი.

ქრისტინე საბაშვილის ნარკვევი ეხება ეკლესიის მოდელების გამოსახულებებს ქვის საქტიტორო რელიეფებში. მათმა განხილვამ ასევე აჩვენა, რომ არქიტექტურის აღქმა და მისი გადმოცემა არ არის ერთგვაროვანი. ამა თუ იმ არქიტექტურული ტიპის გამოსახვის დროს არსებობს გარკვეული წესი, როგორიცაა, ვთქვათ სამნავიანი ნაგებობის სამხრეთი ფასადით გადმოცემა, ან დარბაზული ეკლესიის დასავლეთ ფასადით ჩვენება, ან სიმბოლური დატვირთვის მქონე მოდელებში გარკვეული დეტალების აქცენტირება. ყველა ძეგლი, მიუხედავად მათი გამოსახვის გარკვეული კანონზომიერებებისა, ინდივიდუალური შინაარსის მატარებელია.

მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა სამგანზომილებიანი არქიტექტურული მოდელების შესწავლამ. მათ ეძღვნება ნატალია ჩიტიშვილის ვრცელი ნარკვევი, რომელიც ოთხი თავისგან შედგება: 1. აკროტერიონები, 2. სხვადასხვა დანიშნულების ქვის მოდელები, 3. ეკლესიის სამგანზომილებიანი მოდელის ფორმის ლითონის ნაწარმი, 4. არქიტექტურული მოდელები ეკლესიის ინტერიერში. ეკლესიის მოდელების შექმნას შუა საუკუნეების საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ჩვენამდე შემორჩენილი ნიმუშები ნათლად აჩვენებს შუა საუკუნეების მშენებელ-ოსტატთა თუ ხელოსანთა გაწაფულობას სხვადასხვა მასალისგან (ხე, ქვა, ლითონი) სხვადასხვა დანიშნულების (ლიტურგიკული თუ მემორიალური) მოდელთა შექმნაში. მათი შესწავლა არსებითი იყო იმის გასაგებად, თუ როგორ აღიქვამდნენ ოსტატები რეალურ არქიტექტურას და როგორ გარდაქმნიდნენ მას მცირე ფორმებში, რათა აღქმადი და მისაღები ყოფილიყო მნახველისათვის. აღმოსავლეთ საქრისტიანოს სხვა რეგიონების მსგავსად, საქართველოშიც არქიტექტურულ მოდელებს სხვადასხვა მიზნით აკეთებდნენ. გვხვდება ეკლესიის ფორმის მქონე აკროტერიონები, საფლავის ძეგლები, სანაწილეები, საცეცხლურები, ბალდაქინები, სეფისკვერის საბეჭდავები და სხვა. კვლევამ აჩვენა, რომ ძირითადად აკროტერიონებად გამოიყენებოდა ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის მოდელები. შედარებით ნაკლებად მიმართავენ აკროტერიონების შემქმნელი ქვისმთლელები უგუმბათო არქიტექტურას, კერძოდ დარბაზულ (ცალნავიან) ტიპს. რაოდენობრივი არათანაფარდობა გუმბათიან და უგუმბათო მოდელებს შორის აიხსნება იმით, რომ შორიდან აღქმისას ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის სტრუქტურა უფრო თვალსაჩინო და გაიგივებადი არქიტექტურული ფორმაა, ვიდრე დარბაზული ეკლესიის ერთიანი მართკუთხა მოცულობა.

დავით ხოშტარიას ნარკვევი ეხება არქიტექტურულ ნახაზებს შუა საუკუნეების საქართველოში. მასში განხილულია წერილობითი ცნობები არქიტექტურული გეგმარების თაობაზე და შენობათა

რამდენიმე შემორჩენილი ასახულობა - ეკლესიის სქემატური გეგმა ქოროღოს ქტიტორულ რელიეფზე, ეკლესიის ნახატი რუისის ტაძრის ჩრდილოეთ ფასადზე და დავით გარეჯის ლავრის კოშკის პროექტი.

2. **მხატვრები შუა საუკუნეების საქართველოში** (ელექტრონული გამოცემა). თანაავტორები ქ. მიქელაძე, თ. ხოსროშვილი, გ. გაგოშიძე). თბილისი, 2022.

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე.იხ. ქ. მიქელაძის ანგარიში.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური, ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მ. დიდებულიძე,** 2022, 27-29 მაისი, საერთაშორისო კონფერენცია „ბიბლია სიტყვებსა და სახეებში“, თბილისი, თსუ,
მოხსენება: “Biblical Themes in the wall painting of St. Nicholas church at Kintsvisi“

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების გამოსახვის თემები ძირითადად ახალ აღთქმას ეფუძნებოდა, ისევე როგორც ეკლესიის მამათა თხზულებებს, ჰიმნოგრაფიას, ჰაგიოგრაფიას და სხვა ტექსტებსაც. თუმცა კანონიკური ტექსტების გარდა აპოკრიფული თხზულებებიდან აღებული სიუჟეტებიც გამოისახებოდა, მაგ., აღდგომის ხატად აღიარებული ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის თემა მთლიანად ნიკოდიმეს წიგნის სახელით ცნობილ აპოკრიფს ემყარება. ასევე საკმაოდ პოპულარული იყო ძველი აღთქმის სიუჟეტები. მათ განსაკუთრებული დატვირთავა ჰქონდათ სახითმეტყველებითი თვალსაზრისით, როგორც სახარებაში განცხადებული მოვლენების წინასახეებს და წინასწარუწყებებს.

შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ძველი აღთქმიდან აღებული თემები საკმაოდ ხშირია და აისახება როგორც მხატვრობაში, ასევე ქვის რელიეფებში (მაგ., დანიელი ლომთა ხაროში, იონა წინასწარმეტყველის ხსნა, სამი ყრმა ცეცხლოვან სახმილში, აბრაამის სტუმართმოყვარეობა, უძილი თვალი და სხვა).

ყინცვისის XIII ს-ის დამდეგის კედლის მხატვრობის პროგრამაში ჩართულია ორი გამოსახულება, რომელიც ძველ აღთქმას უკავშირდება და სახითმეტყველებითი დატვირთვა აქვთ, კერძოდ, ძირი იესესი და სამი ყრმა ცეცხლოვან სახმილსა შინა თავისი შინაარსით ღმრთისმშობელი მარიამის წინასწარუწყებათა რიგს უკავშირდება. თუმცა სხვა მნიშვნელობებიც გააჩნიათ და საქართველოს სამეფოს იმდროინდელ რელიგიურ და პოლიტიკურ ვითარებასთანაც არიან დაკავშირებულნი.

ირინე ელიზბარაშვილი

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **ეგრის-აფხაზეთის არქიტექტურა IX-XIV სს-ში**

6 - ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.4. ხელოვნების ისტორია.
2. 2020-2023 წლები
2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ირინე ელიზბარაშვილი (მკვლევარი)**

2. ციცინო ჩაჩხუნაშვილი (მკვლევარი)

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2. 1. . ეგრის-აფხაზეთის არქიტექტურა IX-XIV სს-ში

6 - ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.4. ხელოვნების ისტორია.
2. 2 . 2020-2023 წლები

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2020-2021 წლებში ჩატარდა საკვლევი ობიექტების სრული ბიბლიოგრაფიული კვლევა. მომზადდა ისტორიული კონტექსტი. დასრულდა სქურის ეკლესიის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და მხატვრულ-არქიტექტურული კვლევა. დაწყებული იყო მუშაობა ხობისა და წალენჯიხის მონასტრების არქიტექტურაზე. კვლევის საწყის ეტაპზე ყურადღება გამახვილდა საკუთრივ აფხაზეთის და დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებულ საეკლესიო არქიტექტურაზე. აღნიშნული მიმართულებით გაგრძელდა მუშაობა, შესწავლის პროცესშია რამდენიმე საეკლესიო ნაგებობა - წალენჯიხის გუმბათიანი ტაძარი და ხობის ეკლესია.

2022 წელს დასრულებულია ხობის მონასტრის **კარიბჭე- სამრეკლოს** კვლევა, რომელიც კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაგებობაა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კარიბჭე-სამრეკლო ორ ეტაპად იყო აგებული. I სართული XII_XIII სს. მიეკუთვნება, XVII საუკუნეში კარიბჭის კუბურ მოცულობას დასავლეთიდან, მთელ სიმაღლეზე დაამატეს კოშკური მოცულობა და სამრეკლოს ფანჩატური. არის აშენებული. ხობის მონასტრის კარიბჭე-სამრეკლო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, არასტანდარტული ნაგებობაა. მრავალფენოვანი, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი ეს შენობა ამავდროულად პასუხობს სამრეკლოების განვითარების ევოლუციას. იგი დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი სამონასტრო კომპლექსის, ხობის მონასტრის მნიშვნელოვანი, ორგანული ნაწილია. კვლევის შედეგად გაირკვა სამრეკლოს თარიღი

და მისი ადგილი ქართული სამრეკლოების განვითარების გზაზე. ასევე კვლევა საფუძვლად დაედო ამ ნაგებობის რესტავრაციის პროექტს.

2022 წელს გაგრძელდა მუშაობა **ხობის ტაძრის** არქიტექტურაზე. მოძიებულია საარქივო ფოტოები და გრაფიკული დოკუმენტაცია. რაც შეეხება თავად ხობის ეკლესიას, იქ წარმოებული არქეოლოგიური გაწმენდითი სამუშაოების გამო გამოვლენილია ტაძრის ცხოვრების ამსახველი ახალი მონაცემები, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ისედაც მრავალფენოვანი, ურთულესი ისტორიის მქონე ნაგებობის განვითარება-სახეცვლის ისტორია. ასევე გრძელდება **წალენჯიხის ეკლესიის** კვლევა. სადღეისოდ შესრულებულია ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კვლევა, ნაგებობის ადგილზე შესწავლა-ანალიზის და ისტორიული მონაცემების შესწავლის საფუძველზე შევეცადეთ ტაძრის არქიტექტურის თარიღის დადგენა-დაზუსტებას. წალენჯიხის ტაძრის მხატვრული სახე, სადა, შეუმკობელი ფასადები, სივრცით-კომპოზიციური ერთიანობა, მისი მრავალსაუკუნოვანი, ხანგრძლივი ისტორია, შესანიშნავი კედლის მხატვრობა და წარწერები - განსაკუთრებულად ღირებულს ხდის მას. სისადავე და ღირსეული „უბრალოება“ გამოარჩევს ტაძარს ამ ტიპის ნაგებობათა შორის. ტაძრის შესწავლა დავიწყეთ ადგილის სახელწოდებით, ტოპონიმი წალენჯიხის გაშიფვრით, რამაც შუქი მოფინა ამ ადგილის ისტორიას და მნიშვნელობას. სამუშაო გრძელდება.

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.საქართველოს ისლამური აბანოების შესწავლა-დოკუმენტირება სამცხის და კახეთის ისტორიულ ქალაქებში (თელავი, გრემი, ახალციხე, აწყური)

დამფინანსებელი ორგანიზაცია - THE BARAKAT TRUST

ქვეყანა - დიდი ბრიტანეთი

პროექტის დაწყება - 2022

პროექტის დასრულება -2023

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ირინე ელიზბარაშვილი - მკვლევარი**
2. **ციცინო ჩაჩხუნაშვილი -მკვლევარი, პროექტის ხელმძღვანელი**

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წარმოდგენილი პროექტი გულისხმობს კახეთისა და სამცხის ისტორიულ ქალაქებში არსებულ გვიანი შუასაუკუნეების აღმოსავლური ტიპის აბანოების განხილვა-დოკუმენტირებას.

პროექტის ფარგლებში 2021 წელს ნაწილობრივ მომზადდა ისტორიული კონტექსტი და შესრულდა საარქივო-კვლევითი სამუშაოები.

2022 წელს განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ექსპედიციები კახეთსა და სამცხეში. გარდა მკვლევრების, ექსპედიციაში მონაწილეობდნენ არქიტექტორ-რესტავრატორები ნინო კორძახია და ლია ბოკუჩავა. რომლებმაც შეასრულეს აბანოების გრაფიკული და ფოტო ფიქსაცია ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად.

ჩვენს მიერ ადგილზე შესწავლილი იყო თელავში - მეფე არჩილის პირადი აბანო, ე.წ. თეიმურაზის საზოგადოებრივი და ალავერდის სამონასტრო აბანოები, ნაქალაქარ გრემში - სავაჭრო და სამეფო უბნის აბანოები. სამცხეში, კერძოდ ახალციხეში - საზოგადოებრივი აბანოები ხარისჭირაშვილის და ციხისძირის ქუჩებზე, აბანო ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩასა და საზოგადოებრივი აბანო აწყურში.

ამჟამად მუშავდება ექსპედიციაში მოძიებული მასალა. კვლევის პროცესში გამოიკვეთა როგორც საერთო, ასევე ზოგადი, სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშნები.

ისლამურ და ქართულ აბანოებს შორის, და ასევე ქვეყნის შიგნითვე არსებული, რეგიონული განსხვავებანიც, რამაც ამ ეტაპზე გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა. კახეთის აბანოები - შედარებით სადაა, გუმბათები ნაკლებად ამოზიდული, უფრო დაბალი და ბრტყელი. ერთიანი ნახევრადსფეროს ფორმის. მასალა - აგური და რიყის ქვა, გუმბათი აგურით არის ამოყვანილი და კირით შელესილი.დეკორი მინიმალისტური. ინტერიერში უფრო გაშლილი სივრცე, შეკრული, კამერული. სამცხის აბანოებში - გუმბათი უფრო მაღალი, ამოზიდული დასრულებული კოშკურით. მასალა შერეული. ინტერიერში ქვა და აგური, გარედან თლილი ქვა. გუმბათი ორფენოვანია. შიგნიდან აგურით არის ამოყვანილი და შემოსილია ქვით. ინტერიერი უფრო აზიდული, მაღალი, სადღესასწაულო- საზეიმო ხასიათის სივრცე. გაფორმებული დეკორატიული თაღებითა და იმპოსტებით. კედლები მოხატული იყო. ფასადებზე გამოყენებულია ორნამენტული ქვები ფრაგმენტები XIII საუკუნის ქართული ეკლესიებიდან (გირჩები, სარკმლის საპირეები, ვარდულები და სხვა...). გარედან აბანოს მოცულობა უფრო მასიური და მძიმეა. გუმბათი, კახეთისგან განსხვავებით ბევრად მაღალია და აღმოსავლურ აბანოების მსგავსად ვიწრო კოშკურა სრულდება. აბანოს გუმბათი და კორპუსი თითქმის ტოლია, რაც მეტად ამძიმებს შენობის გარე იერს. ამ შეგრძნებას აძლიერებს სხვადასხვა ზომის ქვებით ამოყვანილი კედლები, რომელიც შლის ზღვარს გუმბათსა და შენობის კორპუსს შორის.

ამ ეტაპზე პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულებულია.

ციცინო ჩაჩხუნაშვილი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი

2.1

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები.

1. ეგრის-აფხაზეთის არქიტექტურა; 6 - ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.4. ხელოვნების ისტორია. 2. 2020-2023

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ირინე ელიზბარაშვილი** (მკვლევარი)

2. **ციცინო ჩაჩხუნაშვილი** (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მიმდინარე წელს პროექტის სამუშაო ჯგუფის მიერ გაგრძელდა წლიური თემის ფარგლებში ჩასატარებელი კვლევითი სამუშაოები, რომელიც ორი მიმართულებით წარიმართა: ხობის და წალენჯიხის ეკლესიები სამეგრელოში და ბაგრატის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც საეპისკოპოსო ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს დგას. არასრული სიმაღლით შემონახული ეს ნაგებობა არაერთ სამშენებლო ფენას მოიცავს. მათ შორის, ერთ-ერთი - ახლანდელი ბაგრატის ტაძრის ადგილზე უკანასკნელ ხანებში გამოვლენილი ძველი საეკლესიო ნაგებობის თანადროული უნდა იყოს.

საკვლევი თემის 2021 წლის ანგარიშში აღინიშნა, რომ ქუთაისის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარში (ბაგრატის ტაძარში) 2003 წლიდან ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ამ ადგილზე არსებული საეკლესიო ნაგებობათა ძველი სამშენებლო ფენები, რომლებიც წინ უსწრებდა XI ს-ის საეპისკოპოსო ტაძარს. 2004 წლის პუბლიკაციის მიხედვით, ტაძრის ინტერიერში წარმოებული გათხრების შედეგად გამოვლენილი არქიტექტურული ფრაგმენტები მიეკუთვნება ადრეული შუა საუკუნეების და გარდამავალი პერიოდის საეკლესიო ნაგებობებს (IV, V, VIII სს.). პუბლიკაციას ახლავს გრაფიკული მასალა სამშენებლო ფენების ზუსტი თარიღებით. როგორც ავტორები აღნიშნავენ, გათხრების დროს მოპოვებული სამშენებლო კერამიკა დარღვეული ფენებიდანაა აღებული და ამიტომ, „დათარიღების ძირითად საყრდენს ნაქალაქარის და გასათხრელი ობიექტის სტრატიგრაფია და წერილობითი წყაროები წარმოადგენენ“ (ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, არქეოლოგიური გათხრები ბაგრატის ტაძრის ინტერიერში, ქართველური მემკვიდრეობა VIII, 2004, გვ. 136-140).

ბაგრატის ტაძრის ინტერიერში 2003 წლიდან მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლენილი ძველი სამშენებლო ფენების ზუსტად დათარიღება ამ ეტაპზე შეუძლებლად

მიგვაჩნია, რადგან არ არის ჩატარებული ფართო სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი პარალელური მასალის განხილვით.

ამ ფონზე, პირველ რიგში საყურადღებო უნდა იყოს უქიმერიონის წმ. გიორგის XIII ს-ის ეკლესია, სადაც 1990-იან წლებში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების დროს, იატაკის დონის დაზუსტების პროცესში წარმოებული მიწის ფენის მოხსნის შემდეგ ინტერიერში გაიწმინდა სამნავიანი ბაზილიკის გეგმა სამი შვერილი აფსიდით აღმოსავლეთიდან. ამ ახალი აღმოჩენის შემდეგ ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, შეჩერდა იმ დრომდე, ვიდრე ძველი ფენების საფუძვლიანად შესწავლა არ მოხდებოდა, რაც დამატებით გათხრასაც მოითხოვდა, მაგრამ ეს სამუშაოები დღემდე არ ჩატარებულა.

წინასწარი ვარაუდით, ძველი ნაეკლესიარი V-VI სს-ის მიჯნით უნდა განისაზღვროს. ძველი ნაეკლესიარის კედლის ფრაგმენტები 30-40 სმ-ის სიმაღლეზეა შემონახული. სამშენებლო მასალად გამოყენებულია კარგად გათლილი კვადრები. კედლის შიდა და გარე პირს შორის ხსნარი თითქმის არ არის, რაც ნაგებობის სიძველეზე მიუთითებს. ძველი ეკლესიის ცენტრალური და სამხრეთი აფსიდები სრულადაა შემორჩენილი, ჩრდილოეთ აფსიდზე ნაწილობრივ XIII ს-ის ეკლესიის საკურთხეველია დაშენებული. ნავთა გამყოფი ბურჯებიდან მხოლოდ ორი მათგანის სწორკუთხა მოხაზულობის საძირკველია შემონახული.

თუ გავითვალისწინებთ, რომ უქიმერიონის ძველი ეკლესია სრულად არ არის გამოვლენილი და იმასაც, რომ ნაეკლესიარი, თავის მხრივ, აშკარად უფრო ძველ სამშენებლო ფენაზე დგას, აუცილებელია კვლევითი სამუშაოების გაგრძელება. ამ დროს, მიწის სამუშაოების პარალელურად, იმთავითვე უნდა ჩაერთოს ხელოვნებათმცოდნე, რომელიც არქეოლოგთან და არქიტექტორთან ერთად, შეასრულებს კვლევით სამუშაოებს.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენთიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **ძველი თბილისის უცნობი ურბანული მემკვიდრეობა,** FR-21-1210, 6 - ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.4. ხელოვნების ისტორია.
2. 2022-2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ციცინო ჩაჩხუნაშვილი,** ხელოვნებათმცოდნე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. **მანანა სურამელაშვილი, ხელოვნებათმცოდნე,** (პროექტის კოორდინატორი)
3. **ნატო ცინცაბაძე, არქიტექტურის კონსერვატორი** (მკვლევარი)
4. **მათე სულხანიშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორი** (ახალგაზრდა მეცნიერი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტი 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს, *ფეოდალური პერიოდის ქალაქების* საცხოვრებლის სამშენებლო ტრადიციის ლოკალური და საერთო მახასიათებლები *შუა საუკუნეებსა და ახალ დროში (XIX-XX სს-ის მიჯნის ჩათვლით). ამოცანის შესასრულებლად დაიგეგმა შედარებითი ურბანული ანალიზის შესრულება თბილისსა და საქართველოს შემდეგ ისტორიულ ქალაქებს შორის: ახალციხე, გორი, თელავი, სიღნაღი. პროექტის მსვლელობის* პირველ წელს დასრულდა თბილისის და ახალციხის შედარებითი ურბანული ანალიზი.

თბილისის და ახალციხის ურბანული მემკვიდრეობა
(შედარებითი ანალიზი)

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების საქალაქო საცხოვრებელს არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს. ასეთია, მაგალითად, მესაკუთრეთა წოდებრივი და სოციალური მდგომარეობა; ბუნებრივი დომინანტები და ქალაქის რელიეფის თავისებურება, რაც, თავის მხრივ, ურბანული სტრუქტურაზე და ფუნქციური ცენტრების განაწილებაზე და ახდენს გავლენას. ცალკე განსახილველია სატახტო ქალაქები, სადაც უბნების ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას ახდენდა უმაღლესი და მაღალი ფეოდალური წრის რეზიდენცია-საცხოვრებლების მდებარეობა.

თბილისისაგან განსხვავებით, ახალციხე სატახტო ქალაქი არ ყოფილა, მაგრამ IX – XIII სს-ში ის საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი განაპირა რეგიონის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა; XIV – XVI სს-ში – ათაბაგთა სამყოფელს, რომლებიც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არ ცნობდნენ. XVI- XVIII სს-დან 1828 წლამდე ახალციხე ჩილდირის საფაშოს მთავარ ქალაქი იყო ოსმალეთის იმპერიაში. დროის ამ ბოლო პერიოდში ახალციხის საფაშოს ქართული ფეოდალური საგვარეულოდან წარმომდგარი ჯაყელები განაგებდნენ.

მდინარე ფოცხოვის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული ახალციხის ძველი ნაწილის რელიეფი ხასიათდება კლდოვანი ზედაპირით და სიმაღლის დონეთა მკვეთრი ცვალებადობით, რაც განაშენიანებაზე ახდენს ზეგავლენას. ახალციხის ციხე ახლაც გვირგვინივით ადგას ქალაქს, საფაშოს დიდმოხელეები და მდიდარი ვაჭრები, რომელთა საცხოვრებლები დარბაზის ტიპის ყოფილა, ციხის შიდა ტერიტორიაზე სახლობდნენ, რიგით ბინადართა საცხოვრებელი უბნები ზღუდის გარეთ იყო მოქცეული, ხოლო მთავარი ბაზრები – ციხის კარიბჭეების სიახლოვეს.

ახალციხის გვიანი შუა საუკუნეების ურბანული დაგეგმარების და საცხოვრებელ არქიტექტურის სპეციფიკაზე გავლენა უნდა მოეხდინა ქვეყნის ამ განაპირა მხარის მდებარეობას, რაც მხატვრული ტენდენციების გარედან შემოტანას უწყობდა ხელს. ასევე _ სხვადასხვა დროს აქ მოსულ მოსახლეობას, რომელიც, თავის მხრივ, არაერთგვაროვანი კულტურის მატარებელი იყო. თუმცა დღემდე შემონახული მონაცემების მიხედვით, მთლიანობაში, გვიანი შუა საუკუნეების ახალციხის ურბანული მემკვიდრეობის ზოგადი

განვითარების ხაზი თბილისისაგან დიდად განსხვავებული არ ჩანს. XIX ს-ის შუა ხანებში ახალციხის ძველი ნაწილი (ფოცხოვის მარცხენა სანაპიროზე) მეჩხერადაა განაშენიანებული.

ამავე საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ კი ახალციხეში უკვე პროფესიონალი არქიტექტორები მოღვაწეობენ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივში ამ პერიოდის საცხოვრებელი სახლის არაერთი საინტერესო პროექტია დაცული.

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია /სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები.

1. **საქართველოში არსებული ისლამური აბანოების არქიტექტურის კვლევა-დოკუმენტირება (სამცხე, კახეთი) .**
   დამფინანსებელი ორგანიზაცია - **THE BARAKAT TRUST**
   ქვეყანა - **გაერთიანებული სამეფო,**

სამეცნიერო მიმართულება: 6 - ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.4. ხელოვნების ისტორია.
.2021-2023 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირინე ელიზბარაშვილი, ხელოვნებათმცოდნე (მკვლევარი)
2. ციცინო ჩაჩხუნაშვილი, ხელოვნებათმცოდნე (მკვლევარი)
3. ნინიო კორძახია (არქიტექტორ-რესტავრატორი)
4. ლია ბოკუჩავა (არქიტექტორ-რესტავრატორი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აწყურის მოხსენიება საუკუნეების მანძილზე, თითქმის უწყვეტად გაუყვება ქართულ სალიტერატურო და საისტორიო წყაროებს. უძველესი ცნობა მოციქული ანდრია პირველწოდებულის სამისიონერო მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. აწყურის საეპისკოპოსო ქართულ ქრონიკებში VIII-IX საუკუნიდან ჩანს, ხოლო აწყურის ციხე - XI საუკუნიდან. აწყურის, როგორც დასახლებული პუნქტის, სიძველეზე მიანიშნებს არქეოლოგიური მონაცემები. აწყურის საქალაქო ცხოვრების ამსახველი ნაგებობებიდან შემორჩენილია XVII- XVIII სს-ის აბანოს შენობა, რომელიც დგას მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ხიდის სიახლოვეს. ამჟამად უმოქმედო შენობის გვერდზე მოედინება ღელე, რომელსაც ადგილობრივები აბანოს ღელეს უწოდებენ.

აწყურის აბანო გეგმის სწორკუთხედში მოქცეული სხვადასხვა ფართობის და დანიშნულების მქონე სათავსებისაგან არის შემდგარი. მათ შორის სიდიდით გამოირჩევა მდინარის პირისკენ მიქცეული, ათ მეტრამდე დიამეტრის მქონე გუმბათით გადახურული ერთიანი, დაუნაწევრებელი სივრცე. რომელიც აბანოს მისაღები (ვესტიბიული) აბანოს შენობის მთავარი ფასადი ქართული საეკლესიო ნაგებობებიდან ჩამოხსნილი სხვადასხვა შეფერილობის (ოქროსფერი, ვარდისფერი, ღვინისფერი, რუხი) თლილი კვადრებით და ორნამენტით შემკული ფრაგმენტებითაა შემოსილი, რასაც ემატება

პირდაპირ ქვის წყობაზე დატანილი. ერთმანეთში გადაღვრილი მოვარდისფრო, ყვითელი და მოწითალო ფერის საღებავის ეფექტი.

არანაკლებ ფერადოვანი უნდა ყოფილიყო აბანოს ინტერიერის გაფორმება, რომლისგანაც მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი. ვესტიბიულის ნახევარწრიული მოხაზულობის ნალესობით დაფარულ თაღების ზედაპირზე შემორჩენილია შავი ფერის კონტურით შემოწერილი და ინტენსიური სინგურით შეფერილი გრაფიკული ნახატი. როგორც ჩანს, ასეთივე საღებავით იყო შეფერილი კედლის გარკვეული მონაკვეთები.
აბანო, ისევე როგორც ახალციხის ძველი აბანოები, XVII- XVIII სს. მიეკუთვნება. საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე ყველა ეს შენობა შუა საუკუნეების დროინდელი ახალციხის მხარის ქალაქების მთავარი სავაჭრო ცენტრების დომინანტურ ნაგებობებს წარმოადგენდა. ერთგვაროვანი დანიშნულების მქონე სათავსებისაგან, მაგრამ მათი სხვადასხვა კომბინაციით შემდგარი გეგმარებითი სტრუქტურა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. უნიკალურადაა გადაწყვეტილი მათი ფასადები, რაც ზოგადად, ამ ტიპის შენობებისთვის პირველხარისხოვან ამოცანას არ წარმოადგენდა. მხედველობაში გვაქვს ახალციხის დიდი აბანოს და აწყურის აბანოების ფასადების გამშვენება ქრისტიანული ეკლესიებიდან ჩამოხსნილი თლილი და ორნამენტით მორთული ქვებით.

მანანა სურამელაშვილი

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. ტრადიციული სამშენებლო მასალები თბილისის ურბანულ არქიტექტურაში და მისი მნიშვნელობა. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი; 6.4. ხელოვნების ისტორია. 2021 – 2022 წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ორწლიანი კვლევითი პროექტის შესრულებაში მონაწილეობდა **მანანა სურამელაშვილი,** ხელოვნებათმცოდნე, არქიტექტურის ისტორიკოსი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თბილისის ურბანულ არქიტექტურაში საუკუნეების მანძილზე გამოყენებული ტრადიციული სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების კვლევა თავისთავად მნიშვნელოვანი თემაა, რომელიც ამავე დროს მჭიდროდ არის დაკავშირებული ურბანული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის მეთოდოლოგიასთან. ამ პროცესის სწორად წარმართვისთვის ტრადიციული სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენება ხშირად გადამწყვეტ როლს იძენს, დღეისათვის, სიღრმისეული ცოდნა მათ შესახებ ბევრად ჩამორჩება ძველი თბილისის

არქიტექტურის მეცნიერული შესწავლის დონეს. ეს გარემოება საკითხის მნიშვნელობას წინ წამოწევს და აქტუალურს ხდის არსებული თეორიული ბაზის ახალი ინფორმაციით შევსებას.

ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს, რომ საშენი მასალისა და კონსტრუქციების მხრივ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე სურათი თითქმის უცვლელი იყო არა მხოლოდ ჩვენში, საერთოდ მთელ მსოფლიოში, რომელიც ათასწლობით მოიხმარდა ტრადიციულ ქვა-აგურსა და ხეს, რასაც მხოლოდ XIX ს-ში შეემატა რკინა და რკინა-ბეტონი, მოყვა ახალი კონსტრუქციები და მშენებლობის ახლებური ორგანიზაციის შემუშავება. IV ს-დან ჯერ ციხე-ქალაქად ჩამოყალიბებულ, ხოლო VI ს-დან მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ქვეყნის დედაქალაქის მქონე თბილისის ურბანულ მემკვიდრეობაშიც ნათლად ჩანს მყარი სამშენებლო ტრადიციების არსებობა,

გვიანი შუა საუკუნეების ურბანული მემკვიდრეობის ნიმუშებისა და უფრო ადრეული პერიოდის არქეოლოგიური მასალის ანალიზით თბილისის საცხოვრებელ არქიტექტურაში საუკუნეების მანძილზე თვალი ედევნება ერთგვაროვანი სამშენებლო მასალის: - აგურის, გაჯის და მცირე რაოდენობით კირის გამოყენებას, რასაც განსაზღვრავდა შემოგარენში ამ მასალებით მდიდარი ბუნებრივი წიაღისეულის არსებობა. აღნიშნულთან ერთად კომბინაციაში გამოიყენებოდა რიყის ქვა, ფლეთილი ქვა და ხე. ასევე მყარია სამშენებლო წესების და ტრადიციული ტექნოლოგიების არსებობა, რომელთა ჩამოყალიბებას ხანგრძლივი დროის მანძილზე დაგროვებული გამოცდილება, კლიმატური პირობების ანგარიშგაწევა და სეისმური ზონის საფრთხეების გათვალისწინება განაპირობებდა. თბილისის სეისმურ ზონაში მდებარეობის გამო, რა მიზეზითაც ქალაქი არაერთხელ დაზიანებულა, სხვადასხვა სამშენებლო ხერხი და მიდგომა იყო გამოყენებული. მაგალითად, აგურის წყობაში ხდებოდა „თევზიფხურად“ დალაგებული რიყის ქვის, ან ფლეთილი ქვის რიგების ჩართვა; თვით აგურის ჰორიზონტალურ წყობაშიც ბანების სიახლოვეს ვერტიკალურად ნაწყობი აგურების რიგით სარტყელი იყო შეკრული; სახლები თითქმის უსაძირკვლოდ, ან არაღრმა საძირკვლით შენდებოდა, კლდოვან ადგილზე აგებული სახლების სამეურნეო დანიშნულების ქვედა სართულზე ინტერიერში ხდებოდა კლდის ფრაგმენტების დატოვება, რაც გარდა სტაბილური ტემპერატურის შენარჩუნებისა შენობის მდგრადობასაც უზრუნველყოფდა.

ასევე გამოიყენებოდა ხით მოწყობილი ტრადიციული მარტივი ანტისეისმური კონსტრუქციები, როგორიც იყო კედლის წყობაში ჩატანებული ხის ჰორიზონტალური სარტყელები და ვერტიკალურად გამართული კონსტრუქციები. თბილისური სახლების კედლის წყობაში დატანებული ხის ძელები ყოველთვის არ იყო შეკრული ოთხივე მხრიდან, ანუ მთლიანი სარტყლის სახე არ ჰქონდა და უმეტესად, ჰორიზონტალურ ჩანართებს ქმნიდა, თუმცა ის შენობის სტაბილიზაციას მაინც უწყობდა ხელს. ამას სხვენის ნაწილში ვერტიკალური და ჯვარედინი ძელების ფახვერკული კონსტრუქციებიც ემატებოდა.

რაც შეეხება ტრადიციულ სამშენებლო მასალას, გაჯს, .რომელსაც ზოგადად კავკასიაში დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს, წარმოადგენს თიხისა და თაბაშირის (თაბაშირის შემცველობა ხშირად 40-70 პროცენტს შეადგენს), ბუნებრივ მექანიკურ ნარევს. გაჯი თაბაშირის ($CaSO_4+2H_2O$) სახესხვაობაა, რომლის სახეობები გვხვდება ასევე ალებასტრისა და სელენიტის სახით. მთავარი სამრეწველო ღირებულება აქვს მარცვლოვან მასიურ გროვებს, ანუ ალებასტრს, რომლის მარაგი ზოგჯერ მილიონობით ტონას უდრის. მისი დიდი მარაგები დასავლეთ საქართველოშია, ხოლო

აღმოსავლეთ საქართველოში და კონკრეტულად თბილისის მიდამოებში, სამგორის ველზე და სოღანლუღის ველის ჩრდილო-აღმოსავლეთით კი, გაჯით მდიდარი საბადოებია.

თბილისის მიდამოებში, ნორიოს რაიონში, გავრცელებული კირქვები კირის მისაღებად საუკეთესო ნედლეულს წარმოადგენდა. ქვისა, თუ აგურის საშენი მასალის შემაკავშირებლად საძირკველსა და კედლის გულში გამოიყენებოდა დუღაბი, რომელიც კირისა და ქვიშის თხელ ხსნარს წარმოადგენდა, ხოლო მუშაკირი, რაც კირისა და ქვიშის წყლით შენაზავებ სქელ ხსნარს ერქვა, კედლის შემადგენელი ქვისა და აგურის ბუდის ადგილის მოსაფენად იყო განკუთვნილი და პირის წყობაში იხმარებოდა.

კირის ხსნარის გამოყენება ისტორიული წყაროების თანახმად ძვ. წთ.-ის IV ს-დან იწყება. მისი გამოწვა დიდ დახელოვნებას მოითხოვდა. საკირის მშრალი წყობით ნაშენი ნახევარსფერული კვერცხისებური თაღით გადაყვანილი ნაგებობის აგება, სადაც ქვებს შორის ცეცხლს უნდა შეეღწია, რათა ზევით დაყრილი ნედლეული კარგად გამომწვარიყო, თაღს გაეძლო მისი წონისთვის ისე, რომ არ ჩამონგრეულიყო, თავისთავად დიდ გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს მოითხოვდა. დიდ გამოცდილებაზე იყო დამყარებული კირის შენახვის წესებიც, რომელიც განსხვავებული იყო კლიმატის ტენიანობის მიხედვით: ნესტიან ზონაში კირი დიდ ორმოებში ინახებოდა სველი სახით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობში - მშრალად.

ცნობილი იყო კირის გამოყენების არაერთი წესი.

1. დანაყილ ბამბასა, ქონსა, ზეთსა, რძესა, დანაყილ აგურსა, ან ქვიშასთან ერთად მოდუღებული კირს ერქვა კოწიწი და ის გამოიყენებოდა წყალგაყვანილობაში და ჭურჭლის დასაწებებლად.
2. კირის ნარევს ქვიშასა და ლამთან კედლის შინაგან წყობაში სამშენებლოდ იყენებდნენ და მას ქვითკირი ეწოდებოდა.
3. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ხორასანი იყო ერთად დანაყილი და ზეთში მოდუღებული აგური, კირი, ქვიშა და ის გამოიყენებოდა აუზისა და რაიმეს დასაწებებლად წმინდა სანთელში წამოდუღებული; ასევე რძეში გალესილი მასა - კედლისა, ან რისამე გასალესად. კირის ამგვარი ხსნარი ხალხურ პოეზიაშიც იხსენიება - „თავს საწნახელი დამადგი პირი მოულესე რძითა“, ან “ჭირში უნდა გამაგრება, როგორც წყალში იმ ქვითკირსა“, ანუ ხალხში იყო ცოდნა სისველეში გამოსაყენებლად ვარგისი კირხსნარის შემზადებისა, რაშიც რძე და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა მასალები გამოიყენებოდა.

ოსტატები სიმაგრისთვის ახალ ქვაკირს ამჯობინებდნენ. მოხუცი თბილისელი კალატოზისგან ეთნოგრაფებს ჩაუწერიათ:: „წინათ კირს რო მოიტანდნენ, დაასხამდი წყალსა, სუ ტკაცატკუცი გაჰქონდა. წყალს რო დაასხამ ხო ცხელია ის კირი, ჩაგვიწყია კვერცხები და შაგვიწვია“

ტრადიციული თბილისური სახლის კვადრატული აგურით ნაშენი კედლები კირნარევ, ხშირად კი, მხოლოდ თიხა-მიწის ხსნარზე იყო ნაწყობი. იშვიათ შემთხვევებში, შემაკავშირებელ ხსნარში მცირე რაოდენობით იხმარებოდა კირი. რაც ხსნარის დაბალი ხარისხით შეფასების საფუძვლად არის მიჩნეული და ძირითადად, მწირი ეკონომიკური რესურსებითა და ნაჩქარევი მშენებლობის მიზეზებით იხსნება. თუმცა, ეს ამ მოცემულობის მხოლოდ ერთი მხარეა. ბოლო ხანს გამოვლენილი და დაგროვებული მასალის ანალიზმა და ასევე, საერთაშორისო გამოცდილების

გაზიარებამ ამ დამკვიდრებულ შეფასებებში გარკვეული კორექტივები შეიტანა. შემაკავშირებელი ხსნარის შემადგენლობაში დიდწილად თიხა-მიწის გამოყენების ტრადიცია შემთხვევითი არ ყოფილა და ის სეისმურ ზონაში მშენებლობის ხანგრძლივ გამოცდილებას ეფუძნებოდა.

შედარებით ჭარბად კირ-ხსნარი გამოყენებული იყო სანაპიროს გაყოლებით, პირდაპირ მტკვრის ხეობაში ჩადგმული მსხვილი მასშტაბის ქარვასლებისა და საცხოვრებელი ნაგებობების ყრუდ ნაშენ ქვედა სართულებში, რომლებსაც წყალდიდობისას მთლიანად ფარავდა წყალი.

რაც შეეხება თბილისური სახლების ფასადებს იგი ხშირად შეულესავი აგურის იყო, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია გაჯის ნაკლები მედეგობა ტენიან პირობებში, ნალექებისგან დაუცველ გარემოში, საყურადღებოა კირნარევი გაჯით (ალებასტრით) მისი წარმატებით გამოყენების პრაქტიკა თბილისურ საცხოვრებელ არქიტექტურაში გარე ნალესობაში. ამავე მასალით იყო დამუშავებული მაღალი ოსტატობით შესრულებული კარნიზები და ფასადების სხვა დეკორატიული ელემენტები. სახლის კედლები გაჯით ილესებოდა ინტერიერშიც. ამავე მასალაში იყო გამოყვანილი ოთახებში არსებული განჯინების, თახჩებისა და ბუხრების მოჩარჩოების პროფილები და კარნიზები. ზოგ შემთხვევაში პროფილირებული კარნიზები ხისგან იყო მოწყობილი, ისე როგორც კარ-ფანჯრების ოსტატურად დამუშავებული დარაბები, განჯინების კარის ფრთები და მასთან ერთად ხის კონსტრუქციული და მორთულობის ელემენტებისგან შემდგარი თბილისური სახლის აუცილებელი ატრიბუტი - აივანი.

თბილისური სახლისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ბანური გადახურვები, რომელიც ხის მძლავრი კოჭებით და ზემოდან სქელი, მიწატკეპნილი სიბრტყით იმართებოდა, 1830-იან წლებში ქალაქის მმართველობის მიერ გამოცემული სპეციალური დადგენილებით აიკრძალა, თუმცა, როგორც პანორამული საარქივო ფოტოები აჩვენებს, ის 1870-იან წლებამდე აგრძელებდა არსებობას და სრულად მხოლოდ შემდგომ პერიოდში შეიცვალა თუნუქის, ან იშვიათ შემთხვევებში კრამიტის საბურველიანი ქანობებიანი გადახურვებით.

თბილისური სახლის ქვედა სართულის კართან მისასვლელად ხშირად დიდრონი, თლილი ქვის საფეხურებიანი კიბეები იყო მოწყობილი, ხოლო ეზოს მხარეს უმეტესად, გარედან მიდგმული და გადახურული, ზოგჯერ აივნის ფარგლებში მოქცეული ხის კიბეები იყო გამართული. სართულების ერთმანეთთან დასაკავშირებლად ფართოდ იყო გამოყენებული შუა საუკუნეებიდან დამკვიდრებული, განაპირა კედლის სიგანეში მოქცეული, ხის ძელებისა და ბრტყლად დალაგებული აგურებით მოწყობილსაფეხურებიანი კიბეები, რომელიც ბანზეც ადიოდა. ცალკეულ შემთხვევებში ეზოს სივრცეს კვეთდა II, ან III სართულების დონეზე მოწყობილი ხის გადასასვლელები, რომელიც შენობის მკლავებს აკავშირებდა.

თბილისი სამხრეთ კავკასიაში ხელოსნობის ერთ-ერთი მსხვილი ცენტრი იყო, აქ სხვადასხვა მიმართულების ხელოსნები გაერთიანებული იყვნენ პროფესიულ ამქრებში, ამქრობის წარმოშობა ქალაქების წარმოშობასა და განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ამქრებს ჰქონდათ თავისი იერარქია ოსტატიდან შეგირდამდე, ჰქონდათ წესდება და დროშა. მან როგორც პროფესიულმა ორგანიზაციამ ჩამოყალიბებული სახე XVII XVIII სს-ში მიიღო. სიტყვა ამქარი (სპარს. თანამოსაქმე, მონათესავე ხელობის ადამიანი) XIX ს-დან გავრცელდა, მანამდე თბილისში ხელოსანთა გაერთიანების გამოსახატად იხმარებოდა ჯამაათი, თაბუნი, ასნაფი. სამშენებლო

საქმეში ამქრების სხვადასხვა ჯგუფები იღებდნენ მონაწილეობას; მეაგურეები, კალატოზები, ქვით ხუროები, დურგლები, მლესავები, მებუხრეები, მესახურავეები და სხვა,

გვიანი შუა საუკუნეების თბილისური სახლებში ინტერიერის მორთულობის ნიმუშები სამწუხაროდ შემორჩენილი არ არის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თბილისში არსებული როსტომ მეფის აბანოს სარესტავრაციო სამუშაოების დროს, 1970-იანი წლების ბოლოს, არქიტექტორ-რესტავრატორ რუსუდან გვერდწითელის მიერ გახსნილი საბანაო სათავსების კედლების მხატვრული დამუშავება „სგრაფიტოს“ ტექნიკით. მოხატულ ადგილებში გამოყენებული იყო სამი განსხვავებული ხსნარი: ქვედა, 3 სმ. სისქის ფენა წარმოადგენდა ჩვეულებრივ ბათქაშს კირისა და ქვიშის შემცველობით; II, თხელი ფენა მხოლოდ 2-3 მმ სისქისა, შავი ფერის იყო; ხოლო ზედა ფენა წარმოადგენდა სქელი კირის რძის შეთეთრებას. ზედა ფენის ამოკაწვრით კედლები დაფარული იყო ურთულესი გეომეტრიული და მცენარეული მოტივებისგან შემდგარი ნახატით, სადაც გრძელ სამოსში გამოწყობილი ადამიანის ფიგურა იკითხებოდა.

კედლის მოხატვის ეს ხერხი, რომელიც იტალიაში გავრცელდა XV-XVII სს-ში, საქართველოშიც იყო შემოტანილი და მას საკმაოდ დახელოვნებული ოსტატი ასრულებდა. მსგავსი ნიმუში, რომელიც ქვემო ჭალის აბანოს მორთულობაშია გამოყენებული, უფრო მარტივია და მცენარეული მოტივისგან შემდგარ სარტყელს ქმნის. სგრაფიტო“ ფრაგმენტულადაა დარჩენილი მეფე ერეკლე II-ს აბანოს კედელზე თელავში.

დღეისათვის დამკვიდრებულ პრაქტიკაში ტრადიციული სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა. ხშირად, მათი მნიშვნელობა დაკნინებულია, ან სულაც - იგნორირებული, რასაც უარყოფითი შედეგები მოსდევს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხის გაღრმავებული შესწავლა გადაუდებელი საჭიროებით არის გამოწვეული. სამუშაოები ამ მიმართულებით მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, რათა სერიოზული თეორიული საფუძველი შეიქმნას ისტორიულ ნაგებობათა სტრუქტურული სტაბილიზაციის პროცესში ტრადიციული სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენება-დანერგვისთვის.

ამ თვალსაზრისით თბილისური საცხოვრებლის რეაბილიტაციის მეტად საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს 2021 წელს რესტავრირებული სახლი ისტორიულ ისანში, მეფე სოლომონ ბრძენის ქ. #33, სადაც მძიმე დაზიანებების აღმოფხვრა და სტრუქტურული სტაბილიზაცია სრულად შესრულდა ტრადიციული მასალებითა და ტექნოლოგიით. პროექტი განხორციელდა იკომოს საქართველოს პროფესიონალთა ჯგუფის მიერ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. ამავე ძეგლზე მუშაობისას მოხდა ტრადიციული ხსნარების და დუღაბების კვლევა და ამ პროცესში ოსტატებისა და სტუდენტების წვრთნა.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

3.1.

1) **გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენთიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები**

1. ძველი თბილისის უცნობი ურბანული მემკვიდრეობა. 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი; 6.4. ხელოვნების ისტორია; პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი: FR – 21- 1210; 2022-2024 წლები
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ციცინო ჩაჩხუნაშვილი,** ხელოვნებათმცოდნე, პროექტის ხელმძღვანელი
2. **მანანა სურამელაშვილი,** ხელოვნებათმცოდნე, პროექტის კოორდინატორი
3. **ნატო ცინცაბაძე,** არქიტექტორ-რესტავრატორი
4. **მათე სულხანიშვილი,** არქიტექტორ-რესტავრატორი

1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფუნდამენტური კვლევითი პროექტის - „ძველი თბილისის უცნობი ურბანული მემკვიდრეობა“, პირველი საანგარიშო პერიოდის მოცემული ეტაპისთვის ჩატარებულია პროექტის მიხედვით დაგეგმილი სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით:

1) შედგენილია დასამუშავებელი ლიტერატურის სავარაუდო ნუსხა და დამუშავებულია სამეცნიერო ლიტერატურის დიდი მოცულობა, გრძელდება დარჩენილი ლიტერატურის დამუშავება; ასევე, მიმდინარეობს საარქივო მასალის მოკვლევა და ანალიზი.
2) შესრულებულია ჯგუფური საველე სამუშაოები ლადო გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საკვლევ ობიექტებზე, ჩატარებულია ფოტოგადაღება; მოძიებულია თბილისის განვითარების ფონდში დაცული პროექტები და შერჩევის საფუძველზე შესრულებულია გრაფიკული საფიქსაციო სამუშაოები რეაბილიტაციის პროცესში გამოვლენილ შუა საუკუნეების იმ სადგომებზე, რომელთა შესახებ პროექტებში არსებული მასალა არ აღმოჩნდა სრულყოფილი.
3) განხორციელებულია მივლინებები ქალაქ ახალციხესა და გორში, რაც მიზნად ისახავდა იქ შემონახული შუა საუკუნეების პერიოდის ურბანული სტრუქტურის, გეგმარების და ცალკეულ შემორჩენილ ნაგებობათა გაცნობას, სამშენებლო ტრადიციების ლოკალური და საერთო მახასიათებლების გამოვლენას. შესრულებულია ამ ქალაქების ურბანული მემკვიდრეობის ნიმუშების ფოტოფიქსაცია. მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით დამუშავებულია ახალციხის ურბანული მემკვიდრეობის შედარებითი ანალიზი ძველ თბილისთან მიმართებით.

ქალაქ გორთან დაკავშირებით მსგავსი შედარებითი ანალიზი დამუშავების პროცესშია, თუმცა გარკვეული დასკვნების გაკეთება უკვე შესაძლებელია: ამ ქალაქში შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ურბანული მემკვიდრეობის საკმაოდ ბევრი ნიმუში; გვიანი შუა საუკუნეების სადგომები გორის ისტორიულ ნაწილში არსებულ, ძირითადად XIX ს-ის II ნახევარსა და XIX-XX

სს-ის მიჯნაზე აშენებული საცხოვრებელი სახლების ქვედა სართულებშია შემონახული და დღეისთვის ამ სახლების სარდაფებს წარმოადგენს; ეს სადგომები პროექტით გათვალისწინებულ თბილისის საკვლევ ობიექტებთან შედარებისას მრავალმხრივ მსგავსებას ამჟღავნებს; მაგალითად, ეს ეხება ტრადიციულ სამშენებლო მასალას და ტექნოლოგიას: - ძველი სადგომების ძირითადად აგურით ნაშენ კედლებში, თბილისის სარდაფების მსგავსად, გვხვდება „თევზიფხურად“ ნაწყობი რიყის ქვის რიგები და ფლეთილი ქვის ჰორიზონტალური ჩანართები; ეს სადგომები არქიტექტურული ფორმების, კამარის, ნიშებისა და ბუხრების დამუშავების მხრივაც მოგვაგონებს თბილისურ საცხოვრებელში შემორჩენილ გვიანი შუასაუკუნეების სარდაფებს;

ნინო ჭიჭინაძე

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

1) **ქალთა თვითრეპრეზენტაცია შუა საუკუნეების ქართულ ხატებზე** - *ხელოვნების ისტორია,*

დაწყება 2022 იანვარი, დამთავრება 2022 დეკემბერი

2) ნინო ჭიჭინაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

2. პროექტის შესრულების შედეგები

კვლევითი პროექტის ფარგლებში განხილულია შუა საუკუნეების ქართული ხატების წარწერები, სადაც მოხსენიებულნი არიან ქალები. მათ შორის ზოგიერთი ცნობილი ისტორიული პიროვნებაა, ზოგიერთის სახელი კი მხოლოდ მათი წარწერების წყალობით ხდება ჩვენთვის ცნობილი. თემაზე მუშაობისას გაანალიზდა წარწერათა შინაარსი, ფუნქცია, მოხსენიებულ ქალთა სოციალური სტატუსი და მათი თვითრეპრეზენტაციის ხერხები. თანმიმდევრულად არის განხილული ქალთა როლი და ადგილი საზოგადოებაში, როგორ ახდენენ თავის იდენტობის წარმოჩენას.

კვლევამ ცხადყო, რომ თუ შუა საუკუნეებში საერო, თუ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალი თითქმის არ ჩანს, რელიგიურ ცხოვრებაში მათი „ხმა“ მოკრძალებულად, მაგრამ მაინც „ისმის“ მათი წარწერების წყალობით.

პრაქტიკული შედეგი - სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ნაკლებად ცნობილი პირთა სახლები, საგვარეულო კუთვნილება. ასევე, გაცხადდა ქალთა როლი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნაში.

6.4. სტატიები:

საქართველოს სიძველენი, N 25, 2022, თბილისი, ISBN 1512-1321

ნინო ჭიჭინაძე, ***ათონის მთის ივირონის მონასტრის ხელოვნების პატრონაჟის რეკონსტრუქციისთვის (11-13სს),*** გვ. 135-145

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ათონის მთის ივირონის მონასტრის შემწირველთა და მომგებელთა ზრუნვა მონასტრის გამშვენიერება-გალამაზებისთვის. წერილობითი და ეპიგრაფიკული მასალის საფუძველზე განხილულია შემწირველ-მომგებელთა ვინაობა, მათი სოციალური და პოლიტიკური, თუ რელიგიური მიზნები. საეკლესიო ნივთები მონასტერში სხვადასხვა მიზნებითა და მიზეზებით ივანებდა, თუმცა მათი მბოძებლები უწინარეს ყოვლისა ცოდვათა შენდობასა და სულის ცხონებაზე ზრუნავდნენ. მომგებელ-შემწირველები ბოძებული ძღვენის წყალობით მონასტერში საკუთარ „მყოფობას“ უზრუნველყოფდნენ. ივირონის ხელოვნების პატრონაჟის თვალის გადევნება საუკუნეების განმავლობაში საშუალებას იძლევა მონასტრის ისტორიის უფრო სრული რეკონსტრუქციისა და მისი რელიგიურ-პოლიტიკური განზომილების გააზრებისთვის.

8. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

1. გ. ჩუბინაშვილის სახ. ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის კონფერენცია „ორნამენტი და კულტურა“

ანოტაცია

მოხსენებაში განხილულია შუა საუკუნეების ფერწერული ხატების ჭედური შესამოსლის ორნამენტული დეკორი და მისი სემანტიკური საზრისი. შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებაში გამოსახულებისა და ორნამენტის ურთიერთმიმართება ყველაზე უფრო „მძაფრად“ ფერწერულსახიან მოჭედილ ხატებში მჟღავნდება.ხატების ჭედური შესამოსლის თითოეული ნაწილი, რომელსაც აქვს თავისი დანიშნულება, სიმბოლური დატვირთვა და პლასტიკური გამომსახველობა, ხატის სახისმეტყველების ორგანული შემადგენელი ნაწილია. არქიტექტურის, მინიატიურული თუ ფრესკული მხატვრობის შემთხვევაში ორნამენტი იმავე მასალით არის გამოსახული, ხოლო ფერწერული ხატების დეკორირებისას გამოსახულებას განსხვავებული მასალის „აქტიური“ პლასტი ემატება. ლითონის ორნამენტს სამგანზომილებიანობა შემოაქვს ფერწერულ გამოსახულებაში, რასაც ფენომენალური ცვლილება შეაქვს ორგანზომილებიან გამოსახულებაში. კვლევის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭედური ორნამენტულდეკორიანი ხატებს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ექნებოდათ რელიგიურ პრაქტიკაში.

2. **სვანეთის ხატები: ხელოვნება და თაყვანისცემა** (ინგ.), ჩუბინაშვილის ცენტრის, ფრიბურგის (შვეიცარია) უნივერსიტეტისა და მასარიკის (ჩეხეთი) უნივერსიტეტის ერთობლივი კონფერენცია The Interaction of Objects, Images, and Bodies with Built and Natural Spaces in Medieval Svaneti

ანოტაცია

მოხსენება ეძღვნებოდა ხატების თაყვანისცემის ტრადიციას შუა საუკუნეების სვანეთში. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კალას თემის სოფელ ხეს წმ ბარბარეს ეკლესიის საკურთხეველში გამოსახულ ეკლესიის მამათა ფრესკულ ხატებს. მათ პროტოტიპებსა და ფუნქციას. მოხმობილი მრავალრიცხოვანი პარალელები ბიზანტიური და ბალკანური ხელოვნებიდან ათვალსაჩინოებს სვანეთის ეკლესიის საკურთხევლის დეკორში ინტეგრირებული ფრესკული ხატების კავშირს რიტუალთან და ზოგადად, მართლმადიდებელ კულტურასა და ტრადიციაში დამკვიდრებული ვიზუალური და კონცეპტუალური პარადიგმების მიმღეობას.

თამარ ხუნდაძე

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი (გარდამავალი) - **„ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე ასახული სამეფო ინსიგნიები მეზობელ კულტურებთან კავშირში“**. პროექტის დაწყება - 2022წ., დასრულება-2024 წ.
   პროექტის შემსრულებელი - **თამარ ხუნდაძე**

ანოტაცია:

პროექტის - „ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე ასახული სამეფო ინსიგნიები მეზობელ კულტურებთან კავშირში“, ფარგლებში გამოვლენილ და შესწავლილ იქნა ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ქვის პლასტიკაში არსებული უმაღლეს საერო ხელისუფალთა გამოსახულებების ატრიბუტები - სამოსი, გვირგვინი-თავსაბური, შარავანდი, კვერთხი-სკიპტრა და სხვ. განისაზღვრა თითოეული ისიგნიის რაობა, წარმომავლობა, სიმბოლურ-იდეური საზრისი, სოციალური დატვირთვა; კონკრეტულ შემთხვევებში, ამა თუ იმ ატრიბუტის ფორმებისა თუ მხატვრულ გადაწყვეტის მიხედვით, გამოიკვეთა სხვა ქვეყნების კულტურული ზეგავლენა და წარმოჩინდა ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი.

პროექტის განხორციელებისთვის ამ ეტაპზე შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

1.მოძიებულ იქნა საკვლევი მასალა - ადრეული შუა საუკუნეების ქვაზე კვეთილი რელიეფები;

2. მოძიებული მასალა დაჯგუფდა ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად;

3.დამუშავდა ქართული და უცხოური სამეცნიერო (სახელოვნებათმცოდნეო და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი) ლიტერატურა;

4.დამუშავდა ქართული ისტორიული და ლიტერატურული წყაროები;

5. მოძიებული იქნა პარალელური მასალა სხვა ქვეყნების სახვითი ხელოვნებიდან.

პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე შესწავლილ იქნა ადრეული შუა საუკუნეების ქვაჯვარებსა და ტაძართა ფასადებზე გამოკვეთილ ერისმთავართა, პიტიახშთა, მამასახლისთა, ასევე წარჩინებულ მანდილოსანთა რელიეფური გამოსახულებების ატრიბუტიკა. უცხოურ პარალელებთან შედარების საფუძველზე, ნათლად გამოჩნდა, რომ V-VII სს-ის ქართველ

ხელისუფალთა სამოსისა თუ ინსიგნიების გადაწყვეტაში სასანური ირანის იკონოგრაფიიდან მომდინარე, ძალაუფლების აღმნიშვნელი ატრიბუტები დომინირებს, როგორიცაა ე. წ. "ბაფთიანი" თავსაბურები (მაგ. ბოლნისის „ლამაზი გორას" პიტიახშის, ატენის სიონის ნადირობის სცენის მხედრისა და სხვა გამოსახულებები), შროშანისებრი ყვავილი დიდებულთა ხელში (ბრდაძორის, უკანგორის, დმანისის, ნაგზაურას ქვაჯვარათა ფიგურები და სხვ.). თუმცა, ასევე თვალსაჩინოა ბიზანტიური ხელოვნების გავლენაც, როგორც მხატვრულ შესრულებაში (მაგ. მცხეთის ჯვრის რელიეფები), ისე შესამოსელის დეტალების ფორმებში (მაგ. სამწევრისის ფილა - ბიზანტიური ტავლიონი, პენდილიებიანი თავსაბური). ამავდროულად, ამ პერიოდის ნიმუშებზე, საერო ხელისუფალთა დიდი ნაწილი, ადგილობრივი (კავკასიური) ხასიათის ცრუსახელოებიანი მოსასხამებით წარმოგვიდგებიან (მაგ. მცხეთის ჯვრის ქტიტორები, ატენის სიონისა და ქვაჯვარათა ისტორიულ პირთა გამოსახულებანი). ამგვარი ტრადიციული სამოსი გვხვდება შემდგომი ხანის სამეფო გამოსახულებებზეც, როგორიცაა მაგ., X საუკუნის ლეონ აფხაზთა მეფის რელიეფი კუმურდოს ტაძარში, ტბეთის სკულპტურა და სხვ.).

გვირგვინით წარმოდგენილი უმაღლესი ხელისუფალი, ქართულ რელიეფებში იშვიათად გვხვდება. მეფენი უმეტესწილად, თავდაუბურავი ან სხვადასხვა ფორმის თავსაბურავითა თუ ქუდებით გამოისახებიან. თუმცა, „ქართლის ცხოვრებაში" არაერთგზის გვხდება პასაჟები, სადაც მირიან მეფის, ვახტანგ გორგასლისა თუ სხვა მეფეთა გვირგვინებია მოხსენიებული და აღწერილი.

პროექტის ამ ეტაპზე განხილულმა მასალამ, საერო ხელისუფალთა რელიეფური გამოსახულების ატრიბუტიკის მეშვეობით, ნათლად წარმოაჩინა როგორც შუა საუკუნეების საქართველოს მმართველთა ძალაუფლების ადგილობრივი რეგალიები, ისე, ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს დიპლომატიური ორიენტაცია, ამა თუ იმ ქვეყნის (ძირითადად, სასანური ირანისა და ბიზანტიის) პოლიტიკურ-კულტურული ზეგავლენები და კავშირები.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების გრანტით დაფინანსებული პროექტი

3, 1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტი - **„ სამეფო ატრიბუტიკა ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში"**

სამეცნიერო მიმართულება - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, ქართული ლიტერატურა, ხელოვნება და კულტურა

პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი FR-21-5352

პროექტის დაწყება - 2022, დასრულება - 2025

2) პროექტში ჩართული პერსონალი

თამარ ხუნდაძე - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი

ქრისტინე საბაშვილი - პროექტის კოორდინატორი, მკვლევარი

მარიამ გველესიანი - მკვლევარი

ანა კლდიაშვილი - მკვლევარი

ქეთევან მიქელაძე - მკვლევარი

თამარ დადიანი - მკვლევარი

ანოტაცია

მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოს ვიზუალურ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უმაღლეს საერო ხელისუფალთა (მეფე-დედოფალთა, მსხვილ ფეოდალთა) გამოსახულებებს, რომლებიც მათი სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი სამოსითა და ინსიგნიებით წარმოგვიდგებიან. საქართველოში მეფობის კონცეფციის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესაბამისად, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ყოველ ატრიბუტს გარკვეული, ზოგჯერ განსხვავებული იდეურ-შინაარსობრივი საზრისი აქვს.
პროექტი მიზნად ისახავს ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში (ქვის რელიეფები, კედლის და წიგნის მხატვრობა, ჭედურობა, ხატწერა, ნუმიზმატიკა) არსებული უმაღლეს საერო ხელისუფალთა გამოსახულებების ატრიბუტიკის, როგორიცაა, გვირგვინი-თავსაბური, შარავანდი, კვერთხი-სკიპტრა, სამოსი, იარაღი მეცნიერულ შესწავლას, თითოეული ატრიბუტის წარმომავლობის, სიმბოლურ-იდეური საზრისის, სოციალური დატვირთვის განსაზღვრას; კონკრეტულ შემთხვევებში ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის წარმოჩენას; სხვა ქვეყნების კულტურული ზეგავლენის გამოკვეთას ამა თუ იმ ატრიბუტის ფორმებსა თუ მხატვრულ გადაწყვეტაზე.

პროექტის ფარგლებში 2022 წლის ზაფხულში მოეწყო ორი ექსპედიცია - ქართლში (ატენის სიონი, ყინცვისი, გორის მუზეუმი) და კახეთში (ალავერდი, გრემი, ალვანი, ახალი შუამთა, ნეკრესი, მატანი). ექსპედიციების დროს ჩატარდა ამ ძეგლებზე და მუზეუმში არსებული საერო ხელისუფალთა ატრიბუტიკის მოძიება, წინასწარული შესწავლა, ფოტოფიქსაცია.

პროექტის ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოძიებული მასალის შესწავლა, ტიპოლოგიური დაჯგუფება, ანალიზი; არსებული სამეცნიერო და ლიტერატურისა და ისტორიული წყაროების დამუშავება.

6. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების პროექტი - **„ნიკოლ და მიშელ ტიერები საქართველოს შესახებ“ (სამეცნიერო სტატიების ფოტოტიპური კრებული).**
პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი: SP-21-679.
პროექტის დაწყება - 2021წ-ის ივლისი, დასრულება-2022 აპრილი.
პროექტში ჩართული პერსონალი:
ბუბა კუდავა -იდეის ავტორი
თამარ ხუნდაძე - პროექტის ხელმძღვანელი
ნესტან ბაგაური - პროექტის კოორდინატორი
ნათია ხიზანიშვილი - პროექტის შემსრულებელი
ინგა ანთიძე - პროექტის შემსრულებელი

ანოტაცია

პროექტი მიზნად ისახავდა ქართული კულტურის მოამაგეების, ფრანგი მეცნიერების, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორების – ნიკოლ და ჟან-მიშელ ტიერების ქართულ ხელოვნების შესახებ გამოქვეყნებული სტატიების ერთად თავმოყრასა და კრებულის გამოცემას.

ნიკოლ და ჟან-მიშელ ტიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია ტიერების ღვაწლი ტაო-კლარჯეთის ძეგლების მოძიება-ფიქსაციასა და მეცნიერულ შესწავლაში. ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო მარის ექსპედიციების შემდეგ, ტიერები იყვნენ პირველნი, რომლებმაც განაახლეს ტაო-კლარჯეთის ძეგლების კვლევა. მათი კვლევების შედეგები

სისიტემატიურად იბეჭდებოდა ქართველოლოგიური ჟურნალის „ბედი ქართლისა“-ს და სხვა სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში, ასევე, წარმოდგენილი იყო საერთაშორისო სიმპოზიუმებსა თუ კონფერენციებზე.

კრებულის მოსამზადებლად მოვიძიეთ ნიკოლ და ჟან-მიშელ ტიერების მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები, როგორც საქართველოში (კერძო კოლექციები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრი), ასევე უცხოეთში (საფრანგეთი: პროფესორ ბერნარ უტიესა და თავად ქალბატონი ნიკოლ ტიერის პირადი არქივები, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკა, ოქსფორდის ბიბლიოთეკა და სხვ.). სტატიების თავმოყრის პარალელურად, მომზადდა მათი მაღალი ხარისხის ციფრული ასლები.

პროექტის შესრულების შედეგად გამოიცა წიგნი - ნიკოლ და ჟან-მიშელ ტიერები „კავკასია და ანატოლია, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება“, თბილისი, 2022, გამომცემლობა - „არტანუჯი“, ISBN 978-9941-494-76-7; გვერდების რაოდენობა -1004.

კრებულში შესული სტატიები ასახავს ექსპედიციებსა და გამოკვლევებს შემდეგი რეგიონების შესახებ: ტაო-კლარჯეთი, კაპადოკია, ანისი, სომხეთში მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, საკუთრივ დღევანდელი საქართველო - ზემო სვანეთი, დავით გარეჯი და სხვ.

კრებულს აქვს წინათქმა და შესავალი ქართულ და ფრანგულ ენებზე, საძიებლები (პირთა, გეოგრაფიულ ადგილთა და ეთნიკურ სახელთა) და ბიბლიოგრაფია.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8, 2 უცხოეთში

თამარ ხუნდაძე, ქრისტინე საბაშვილი

Royal “portraits” and their attributes as represented in 10th-11th c. Georgian sculpture (სამეფო „პორტრეტები“ და მათი ატრიბუტიკა 10-11 საუკუნეების ქართულ ქანდაკებაში)

2022 წლის 4-5 ნოემბერი

შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული ქანდაკებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია - Georgian Medieval Architectural Sculpture in Interaction with Neighbouring Cultures. Organized by Prof. Dr. Neslihan Asutay-Effenberger (RUB) and Dr. Dr. Nina Iamanidze (Collège de France)
with support of Deutsche Fosrchungsgemeinschaft

ანოტაცია

მოხსენებაში განხილული იყო X-XI საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრულ ქანდაკებაში წარმოდგენილი საერო ხელისუფალთა გამოსახულებანი და მათი ატრიბუტიკა მეზობელ კულტურებთან (ბიზანტია, სომხეთი, ირანი) კავშირში. სამეფო რელიეფური გამოსახულებების, მათი ატრიბუტებისა და თანმხლები წარწერების მეშვეობით, წარმოჩინდა როგორც შუა საუკუნეების საქართველოს მმართველთა ძალაუფლების გამომხატველი ადგილობრივი რეგალიები, ისე, ამ ეპოქის საქართველოს სახელმწიფოებრივი ორიენტაცია და ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული ზეგავლენები და კავშირები.

მოხსენებაში ასევე, გარკვეული ყურადღება დაეთმო საერო ხელისუფალთა სკულპტურული გამოსახულებების ტაძართა არქიტექტურულ სტრუქტურაში განთავსებისა და მათი მხატვრული შესრულების საკითხებს; არსებული მასალისა და უცხოური პარალელების მოხმობით ნათლად გამოიკვეთა ამ ეპოქის ქართული სკულპტურის არტისტული ტენდენციები - ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების გაგრძელება და სტილური ინოვაციები, ბიზანტიური თუ აღმოსავლური სახვითობის გავლენები.

მარინე ყენია

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. სვანური ფერწერული სკოლა XIII-XIV საუკუნეებში; 2021-2023

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **მარინე ყენია**, მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი ითვალისწინებს სვანური ფერწერული სკოლის განვითარების ორი მნიშვნელოვანი ეტაპის ამსახველ მოხატულობათა ჯგუფების ანალიზს, კერძოდ, XIII საუკუნის ანსამბლებისა ქვემო (ტვიბი, მამი, მუწდი) და ზემო (ჟიბიანის ლამარია, ფხოტრერი, მესტიის ფუზდი, წვირმის თარინგზელ-ზაგარი, ჭოხულდი; ხე, თანღილი) სვანეთში, ისევე როგორც XIV საუკუნის მოხატულობებისა ზემო სვანეთში (იენაში, ლაღამი [ზედა ეკლესია], ფარის სვიფი, მხერი, ლაშთხვერი; ღეშტერის კაიშე-თარგლეზერი).

პროექტის 2022 წლის ეტაპზე დასრულებულია XIV საუკუნის მოხატულობათა ანალიზი: გამოვლენილია მათი საერთო იდეური გადაწყვეტის თავისებურებანი, კანონზომიერებანი, რომელნიც საფუძვლად უდევს ანსამბლის საერთო სისტემის აგების თავისებურებებს, ისევე, როგორც მხატვრობის სტილური მახასიათებლები; დადგენილია ზოგად-ეპოქალურ სულიერ თუ მხატვრობის განვითარების საერთო ტენდენციათა ასახვა ამ ანსამბლებში, რაც, გარკვეულწილად, აფართოებს ჩვენს ცოდნას ქართული კედლის მხატვრობის ისტორიაზე და ავსებს მისი განვითარების საერთო სურათს განსახილველ ეპოქაში.

თავისი ხასიათისა და წამოჭრილ პრობლემათა სპეციფიკიდან გამომდინარე, ე.წ. ხალხური მოხატულობათა ჯგუფის (ხე, თანღილი, XIII ს.; ღეშტერი, XIV ს.) კვლევა ცალკე, პროექტის განხორციელების დამასრულებელ ეტაპებზეა გათვალისწინებული.

პროექტის ამ ეტაპის პრაქტიკულ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებული დაკვირვებანი თუ დასკვნები დამატებით მასალად შეიძლება გამოდგეს ქართული კედლის მხატვრობის მკვლევართათვის და მის შემსწავლელ სტუდენტთათვის.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1.საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. **მარინე ყენია, The Image of the Virgin in the Medieval Painting of Svaneti**; საერთაშორისო კონფერენცია - ობიექტების, გამოსახულებების და მოცულობების ურთიერთმიმართება ბუნებრივ და ნაშენ გარემოსთან შუა საუკუნეების სვანეთში, თბილისი, 16.09.2022

ფლერ დევდარიანი

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. ხელოვნების ისტორია; **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის ოთხი მუნიციპალიტეტის - ცხინვალის, ყორნისის, ჯავის, ახალგორის - ეკლესიებში შემონახული მონუმენტური მხატვრობის ძეგლთა (არმაზი, ყანჩაეთის კაბენი, წირქოლი, დორეთკარი, იკორთა, თირი და სხვ.) აღწერილობა.**

2. 2022-2024

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

მონაწილე პერსონალი

1. თ. დვალი (პროექტის ხელმძღვანელი)

2. ბ. კუპრეიშვილი (არქიტექტურის ძეგლებზე მასალის შეგროვება); ი. მამასახლისი (ფერწერის ძეგლებზე მასალის შეგროვება)

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. გარდამავალი პროექტი; ხელოვნების ისტორია;

აღწერილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის ოთხი მუნიციპალიტეტის ცხინვალის, ყორნისის, ჯავის, ახალგორის - ეკლესიებში შემონახული მონუმენტური მხატვრობის ძეგლები. ეს გულისხმობს მეტწილად უცნობი ან ნაკლებად შესწავლილი ძეგლების მიკვლევას, ადგილზე მათ შესწავლას და მოპოვებული მასალის შემდგომ დამუშავებას: კომპოზიციათა შინაარსის და ასევე, ცალკე მოცემულ გამოსახულებათა ვინაობის განსაზღვრა, შემონახული წარწერების წაკითხვა, სახელოვნებათმცოდნეო ანალიზის საფუძველზე სპეციფიკური სტილისტური ნიშნების გამოვლენა, მოხატულობის დათარიღება, სხვადასხვა ფერწერული ფენების დადგენა.

3. 2022-2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თ. დვალი (პროექტის ხელმძღვანელი)

2. ბ. კუპრეიშვილი (არქიტექტურის ძეგლებზე მასალის შეგროვება); ი. მამასახლისი (ფერწერის ძეგლებზე მასალის შეგროვება)

ვრცელი ანოტაცია

1. დავასრულე ადრეული IX და X სს. კედლის მხატვრობის ნიმუშთა - არმაზი, წირქოლი, ყანჩაეთის კაბენი - შესწავლა, გამოვიყენე ტ. შევიაკოვას და რ. შმერლინგის ნაშრომები, ასევე ჩემი ჩანაწერები, ფოტოები, რომლებიც გავაკეთე ადრე, ამ ძეგლებზე მოწყობილი ექსპედიციების დროს.
   უკიდურესად მძიმე პირობებში, რომლებიც შეიქმნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არქიტექტურისა და მხატვრობის ძეგლები ძალიან დაზიანდა: ჩამოინგრა ყანჩაეთის კაბენის გუმბათი, ხოლო მასთან ერთად განადგურდა „ჯვრის ამაღლების“ უნიკალური X-XI სს. კომპოზიცია.
   ჩემს ხელთ არსებული მასალის შესწავლის საფუძველზე აღვწერე ტაძრის ცალკეულ ნაწილებში - ტრომპებში, საკურთხეველში და სხვ. - შემონახული მხატვრობის ფრაგმენტები, განვსაზღვრე მათი შესრულების დრო.
   ისინი სხვადასხვა პერიოდს მიეკუთვნებიან (X, XI, X-XII სს.) და მონასტრის ფარგლებში, დროის საკმაოდ ხანგრძლივი მონაკვეთის მანძილზე, არსებული შემოქმედებითი მოღვაწეობის ცალკეულ ეტაპებს წარმოგვიდგენენ.
   IX-X სს. ქართული მონუმენტური მხატვრობის განსხვავებულ მიმართულებებს წარმოგვიდგენენ არმაზის და წირქოლის მოხატულობები.

2) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2. სამივე ეკლესიის მოხატულობათა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ისინი სხვადასხვა პროფესიული დონის ოსტატთა ხელითაა შესრულებული. ასევე განსხვავებულია მათი შესრულების მანერა, რომელიც ინდივიდუალური სტილისტური ნიშნებით ხასიათდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მოხატულობებისათვის დამახასიათებელი მხატვრული ტენდენციები, რომლებიც მჟღავნდება ასევე საქართველოს სხვა რეგიონების (სვანეთი, რაჭა, ქართლი და სხვ.) IX-X სს. ძეგლებში.
   ამდენად, სამივე მოხატულობა ქართული კულტურის ორგანული ნაწილია და წარმოგვიდგენს ქართული ხელოვნების ამ დარგის ჩამოყალიბების თავისებურებებს განვითარების ადრეულ ეტაპზე.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის ოლის მითითებით)

1. **თ. დვალი** (პროექტის ხელმძღვანელი)

2. **ბ. კუპრეიშვილი** (არქიტექტურის ძეგლებზე მასალის შეგროვება); ი. მამასახლისი (ფერწერის ძეგლებზე მასალის შეგროვება)

ასმათ ოქროპირიძე

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. **სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:**

1. 2.

1) დასრულებული კვლევითი პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დასრულების წლები

1. **„დავით კაკაბაძის ქანდაკება Z˜ ინტერპრეტაცია. 2022 წწ.**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ასმათ ოქროპირიძე, მკვლევარი**

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

დავით კაკაბაძის სახელგანთქმული ქანდაკება Z უმეტესად განიხილება როგორც აბსტრაქტულ-დეკორატიული ქმნილება, ერთგვარი ობიექტი. ნაშრომში მოცემულია მცდელობა მისი სხვაგვარი ინტერპრეტაციის, კერძოდ კი მასში ქრისტიანული რწმენის და შესაბამისად, ხელოვნების სიმბოლოების არქეტიპების გამოკვეთა, ინტერპრეტაცია, რაც ძალიან მწყობრი შინაარსის მქონე სურათს ქმნის.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

„სივრცის პრობლემა აშოტ კურაპალატის რელიეფში!

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ოპიზის ტაძრის შემამკობელი რელიეფი (ამჟამად ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში) აშოტ კურაპალატის საქტიტორო გამოსახულებით მხატვრული გადაწყვეტის მხრივ სრულიად ბრტყელი გამოსახულების შთაბეჭდილებას ახდენს. მოხსენებაში განხილული იყო ნაწარმოების აღქმის დაახლოებით 5 დონე, რომლებშიც სწორედ სივრცის სიმბოლური ინტერპრეტაცია საკმაოდ მნიშვნელოვან შინაარსობრივ აქცენტებს ქმნის.

ქეთევან აბაშიძე

მეცნიერ-თანამშრომელი

1. პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო -კვლევითი თემა: კირანცის ტაძრის მხატვრული სახის გადაწყვეტის თავისებურებისათვის.

კვლევის შემსრულებელი პერსონალი: **ქეთევან აბაშიძე,** მკვლევარი

ანოტაცია: კირანცის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ჩრდილოეთ სომხეთში, ტავუშის ოლქში. იგი 12 კმ-ით არის დაშორებული ს. კირანცს (ადრ. გეთაშენი).

კომპლექსის ცენტრალური ნაგებობაა ჯვარგუმბათოვანი ტაძარი (XIII ს-ის პირვ. ნახ.), რომელიც განვითარებული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მშვენიერი, მეტად საყურადღებო და საინტერესო ნაგებობაა. მისი ხუროთმოძღვრება და მასთან ერთად მხატვრობა, XII-XIIIსს–ის მიჯნაზე საქართველოსა და სომხეთში წარმოჩენილ მნიშვნელოვან საამშენებლო და მხატვრულ ტენდენციებს და მიმდინარე პოლიტიკურ და საეკლესიო პროცესებს ასახავს. იგი მდებარეობს ტერიტორიაზე, რომელიც უწინ „ქართლის, სომხეთის და ალბანეთის სამეფოთა საზღვარი“ იყო და შერეული მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიას წარმოადგენდა. როგორც ისტორიკოსი დ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „მოსახლეობა აქ იყო ჭრელი, “უფრო ჭრელი“ რადგან აქ, „ქართლის, სომხეთის და ალბანეთის სამეფოთა საზღვარზე სამი ეთნიკური ელემენტი ირეოდა და პოლიტიკური მესაჭეობაც ხელიდან–ხელში გადადიოდა.“ ცხადია, ამგვარი ეთნიკური „სიჭრელე“ გარკვეულ კვალს ტოვებდა ამ რეგიონის კულტურაზე.

ისტორიული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა ძალიან მწირია. კირანცის ტაძრის შესახებ მცირე კვლევა გამოქვეყნებული აქვთ ჟან-მიშელ და ნიკოლ ტიერებს ჟურნალ - „BEDI KARTLISA”- revue de kartvelologie, Vol XLI, Paris 1983; - “A propos de l`eglise de Kiranc”. გ. ჩუბინაშვილი წიგნში – „АРХИТЕКТУРА КАХЕТИИ“, კირანცის ტაძარს იმოწმებს პარალელად XII ს-ისა და XIII ს–ის დასაწყისის ტაძრებისათვის. ტაძარს იხსენიებს ეკატერინე პრივალოვა ოზაანის ეკლესიის მხატვრობის შესახებ კვლევაში - „Роспись церкви „Вознесения“ – „Амаглеба“ в Озаани“ და სხვა.

კირანცის ტაძარი ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს მომეტებული აღმოსავლური იერით. ფრანგი მეცნიერის ჟან-მიშელ ტიერი კირანცის ტაძრის გუმბათის აღმოსავლური სახის პირდაპირ ეკვივალენტად ასახელებს აზერბაიჯანის სელჩუკურ არქიტექტურას, კერძოდ კი ნახჭევანის ადრეულ მავზოლეუმებს და განსაკუთრებით კი, მომინე ხათუნის მავზოლეუმს (1189–87წწ.). იგი თვლის, რომ ამ არქიტექტურამ შთააგონა საქართველოში XII ს-ის ბოლოს და XIII ს-ის დასაწყისში ყინცუისის, ტიმოთესუბნის, კირანცის ტაძრების მშენებლობა და მათი მხატვრული სახე.

კომპლექსის ცენტრალური ნაგებობა აგურით ნაგები ჯვარგუმბათოვანი ეკლესიაა, სამი მხრიდან ასევე აგურით ნაგები მინაშენებით. მას მაღალი, განიერი და „აწოწილი“ ნაირფერადი ჭიქურით შემკული რვაწახნაგა გუმბათი ადგას. იგი თავიდანვე იპყრობს

მნახველის ყურადღებას ტაძრის ჯვრულ კორპუსთან მიმართებაში არაპროპორციულად დიდი მოცულობით, ხისტი გეომეტრიულობითა და განსხვავებული მხატვრული გაფორმებით. ტაძრის მხატვრული სახის შექმნაში ფასადებზე განსაკუთრებულ როლს აგურის მხატვრულ-დეკორატიული წყობა თამაშობს. ეკლესიის საერთო მხატვრული სახის შექმნაში ხაზგასმით აღსანიშნავია კირის თეთრი ფერის როლი და მასზე ალაგ-ალაგ შეუმჩნევლად შინდისფერი საღებავით შექმნილი ცალკეული ნახატები - ვარსკვლავები, რომბები, სხივები და სხვა.

2. 3.1. ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი (მონოგრაფიული კვლევა) - დამთავრებულია სადისერტაციო ნაშრომის ტექსტის კორექტურა და რედაქტირება. გამოსაცემად თანხის მოძიებისათვის ვგეგმავ რუსთაველის სამეცნიერო ფონდში წარდგენას.

მარიამ გაბაშვილი

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.2 დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. სამეცნიერო თემა: **გრაგნილისებრი ორნამენტები შუა საუკუნეების ქართულ ქვაზეკვეთილობაზე (Inhabited Scrolls).**

ჰუმანიტარული მეცნიერებანი

ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2. 2020-2022 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი თითოეულის როლის მითითებით

1. **მარიამ გაბაშვილი** (ინდივიდუალური სამეცნიერო კვლევა). პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე:

შესრულებული სამეცნიერო თემა *„გრაგნილისებრი ორნამენტები შუა საუკუნეების ქართულ ქვაზეკვეთილობაზე (Inhabited Scrolls)“* საერთაშორისო მნიშვნელობისაა. ამ საკითხთან დაკავშირებული კვლევები მხოლოდ უცხოელ მეცნიერებთან გვხვდება. საქართველოში ამ თემის ირგვლივ საგანგებოდ არავის უმუშავია, შესაბამისად, ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში არსებული მასალის სამეცნიერო განხილვის პირველ მცდელობას.

შუა საუკუნეების ქართული ქვაზეკვეთილობის რეპერტუარში გრაგნილისებრი ორნამენტების არცთუ მრავალი, მაგრამ საინტერესო ნიმუშებია დაცული და ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება, მათ შორის სამხრეთ საქართველოს ისტორიულ მხარეში ტაო-

კლარჯეთში. გრაგნილისებრი ორნამენტებისადმი დაინტერესება ჩუქურთმის კვეთის ოსტატებისთვის საყოველთაო მოტივს წარმოადგენდა და სხვადასხვა საუკუნეში ისინი მას პერიოდულად მიმართავდნენ. გრაგნილისებრი ორნამენტის ძირითადი სახე შემოისაზღვრება მცენარეულ ხვიებში ან გეომეტრიულ ფორმებში ჩართული ზოომორფული, ანთროპომორფული თუ ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებებით. გვხვდება ასევე სტილიზებული მცენარეებიც. ამათგან ქართულ ჩუქურთმაში პოპულარულია წმინდა ზოომორფული და/ან ფანტასტიკურ-ზოომორფული გამოსახულებები (ძირითადად გრიფონების ან ფრთოსანი ლომების სახით), იშვიათად კი ანთროპომორფული სახეებიც ჩნდება. გრაგნილისებრი ორნამენტები ძირითადად ეკლესიათა ფასადებზეა ამოკვეთილი, უფრო კონკრეტულად კი იმ მონაკვეთებზე, სადაც ეს მოტივები ჩართულია ფასადის მორთულობის ძირითად ქარგაში. აქცენტირებულია ისეთი კონსტრუქციული ელემენტები როგორიც ტიმპანები ან ლავგარდანებია (მაგ., იშხანი). გრაგნილისებრი ხვეულები სარკმლის საპირეთა შემკულობის ნაწილიცაა (მაგ., ნიკორწმინდა, იშხნის გურგენისეული ეკლესია). გარდა საეკლესიო ფასადებისა, გრაგნილისებრი ორნამენტები მცირე არქიტექტურულ ფორმებზეც შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად, კანკელებზე. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განადგურებული კანკელის ფრაგმენტები მოგვიანებით საეკლესიო ფასადის წყობაში არის შერეული (მაგ., რუისის ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი).

საქართველოში შუა საუკუნეებამდე გრაგნილისებრი ორნამენტის მოტივები ჯერ კიდევ გვიანანტიკურ ხანაში არსებობს, კერძოდ, ძალისის ნაქალაქარის კომპლექსში, ტრიკლინიუმის იატაკის მოზაიკაზე. ჩვენში, ეს ის იშვიათი შემთხვევაა სადაც ბროწეულისა და ვაზის ხვიებში ადამიანის თავია ჩართული, ანუ ანთროპომორფული მოტივია შერჩეული.

დაწყებული ანტიკური და აქემენიდური (ზოგჯერ უფრო ადრეულიც) ხანიდან სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე და განსხვავებულ კულტურათა წიაღში ეს მოტივი ერთ-ერთი პოპულარული და მისაღები გახდა ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებთა შორის. ძველი მსოფლიოს წამყვანი კულტურების მხატვრულ რეპერტუარში მან თავისი ადგილი დაიმკვიდრა და არსებობა განაგრძო შუა საუკუნეების საეკლესიო ფასადებზე, წიგნის საილუსტრაციო შემკულობაში, მცირე არქიტექტურულ ფორმებზე, ქსოვილებზე, ხატების ზურგის შემამკობელ სპეციალურ ქსოვილებზე თუ ჭედურ მორთულობაში, შენობათა ინტერიერების გაფორმებაში და ა.შ. ყოველივემ წარმოქმნა აზრი იმის შესახებ, რომ ეს თემა გლობალურ ნიშნებს ატარებს და არ შემოიფარგლება მარტოოდენ რაიმე კონკრეტული რეგიონული კულტურული ტრადიციით.

აღნიშნული თემის ირგვლივ თავმოყრილი მასალა მრავალფეროვანი და მრავლისმომცველი გახდა და ამგვარად, საკითხის შესწავლა გასცდა წლიური სამეცნიერო კვლევის პროცესს. ის მონოგრაფიული სამუშაოს ჩატარებას მოითხოვს.

ამჟამინდელი კვლევისთვის შეირჩა ეკლესიების ფასადებზე არსებული მოტივები, შესრულდა მხატვრული კომპოზიციების აღწერა, ანალიზი და კლასიფიკაცია. პარალელურად, დამუშავდა უცხოელ მეცნიერთა მიერ შესრულებული კვლევების გარკვეული ნაწილი. ვინაიდან ეს მხატვრული მოტივი მკაფიოდ საერთაშორისო ხასიათისაა და მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი კულტურის თანმდევია, შესაბამისად მას დიდი ხნოვანებაც აქვს და მასზე ჩატარებული კვლევებიც მრავალშრიანია. ისინი იმ ლოკალურ საკითხებსაც ითვალისწინებს რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში, გარკვეული კულტურის ნიშნებთან ერთად მოიაზრება. ამიტომ, თემის სამეცნიერო

ლიტერატურის ქრონოლოგიური და კულტუროლოგიური ნიშნით დაჯგუფების პროცესიც შედგა.

დამუშავებული მასალა მოიცავს სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე და განსხვავებულ კულტურათა წიაღში წარმოქმნილ ხელოვნების ნაწარმოებს - ანტიკური, აქემენიდური, სასანური, შუა საუკუნეების აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანული, რენესანსული და ბაროკული საერო ხასიათის ექსტერიერებისა და ინტერიერების შემკულობებს.

პარალელური მასალა იმდენად მრავალფეროვანი და მრავლისმომცველი აღმოჩნდა, და ამასთან, ქრონოლოგიურ და დიაქრონულ ჭრილში ვრცლად გაშლილი, რომ მხოლოდ ძირითადი პოსტულატების გამოყოფა/აქცენტირება გახდა საჭირო. როგორც კვლევიდან გამოჩნდა, გრაგნილისებრი ორნამენტის მოტივები ძველ სამყაროშიც და შუა საუკუნეებშიც, ერთგვარი მეინსტრიმი იყო, რასაც წმინდა დეკორატიულთან ერთად, გარკვეული სემანტიკური კოდების სისტემები დაჰყვებოდა. ეს პოსტულატები ცალკე გაშლას და სხვადასხვა სპექტრში განხილვას ექვემდებარება. გამოიკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხიც როგორიცაა ხელოვნების ისტორიაში და მათ შორის ქართულ სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერებაში დასმული საგულისხმო და ჯერაც გადაუჭრელი თემა - კონსტანტური პარადიგმების და მოდულების რაობა და განვითარების ხაზი. ამგვარ ვრცელ და ფართო კულტუროლოგიურ ბადეში ჩაქსოვილი ქართული მოტივები სწორედ ერთ-ერთი პარადიგმული მოდულია რომელიც გლობალურ კონტექსტში მსოფლიოს არტეფაქტებთან თანასწორად არის შერწყმული.

6. სამეცნიერო პუბლიკაციები

6.3 სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით.

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა.

1. **გაბაშვილი მარიამი**
2. სტატიის სათაური: *ორნამენტის აღქმის საზრისები: ფიგურა თუ ცელესტიური კონფიგურაცია?*
3. ARS GEORGICA, ელექტრონული ჟურნალი, სერია B. # 1. თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. ISSN 1512-4088.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):

უძველესი დროიდან, როდესაც პრიმიტიული საზოგადოებები გაჩნდა თანამედროვე სამყაროში, ადამიანებმა ორნამენტების შექმნა დაიწყეს. მაშინდელი კრომანიონელებისთვის ორნამენტი გახდა უნივერსალური „ენა“ არსებული გარემოს ან უხილავი მოვლენების გამოსავლენად, რაც შესაძლოა ყოფილიყო ციური ობიექტები და მათი ვიზუალური ვარიაციები, პეიზაჟი, ფლორა და ფაუნა, ცხოველთა და ფრინველთა გადანაწილება მიწისა და ცის დონეებზე და ასევე მათი მოძრაობის ტრაექტორიები, პოზები და ა.შ. ყოველივე ეს ქმნიდა გარკვეულ ანიმაციას, რომელიც კრებსითად აღიქმებოდა ადამიანის მენტალურ ველში და მოდიფიცირდებოდა მის ცნობიერ და ქვეცნობიერ დონეზე. შესაბამისად, ადამიანი მხატვრულ აზროვნებას იწყებს და იქვე ჩნდება ისეთი მხატვრული ფენომენი, როგორიც სიმპატეტიკური

მაგიაა. ადამიანის არსებობისთვის აუცილებელი საქმიანობა ნადირობა და შესაბამისად, საკვების მოპოვება, ამ აქტით აღარ შემოიფარგლება, არამედ, მას წინ უსწრებს გარკვეული რიტუალი და ხშირად ამ რიტუალებს თან სახვითი ხელოვნების ელემენტები ახლავს. განვითარების შემდგომ ეტაპზე, როდესაც ადამიანი ტოვებს გამოქვაბულს მათ მატერიალურ ცხოვრებაში ახალი პრობლემები და გამოწვევები ჩნდება. მათ შორის კი ნაყოფიერებისა და სიკვდილ-სიცოცხლის თემებს დომინანტური პოზიცია უკავია. ორსავე კომპონენტში წამყვანი პოზიცია კვლავ რიტუალს და სახვით ხელოვნებას ეთმობა სადაც კოსმოგონია და ცელესტიურ მოვლენებზე დაკვირვება გადამწყვეტ როლს თამაშობს. ციური სხეულები გახდნენ სიმბოლური შემცვლელები რეალური საგნებისა თუ მოვლენებისათვის. უფრო კონკრეტულად კი, ცხოველები ან გარკვეული ორნამენტული ნიმუშები ასტრალური ფიგურების ინკარნაციებს წარმოადგენს. იზრდება ორნამენტის რეპერტუარი. ორნამენტთა მრავალსახეობა ძირითადად სტილიზებულია და ყველა მათგანს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ხშირ შემთხვევაში ისინი უძველესი ვიზუალური კოდებია, რომელთა მიღმაც გარკვეული ინფორმაციაა დაშიფრული და ისინი არქეტიპებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ორნამენტთა მრავალფეროვანი სახეებიდან გამოიყოფა S-ური სახე, რომელიც უძველეს, უნივერსალურ ხატად ითვლება. საქართველოში აღმოჩენილ არტეფაქტებს შორის ამ ტიპის ორნამენტი თავდაპირველად თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურის ისეთ ნიმუშებზე გვხვდება როგორი მოხატული კერამიკა და საიუველირო ნაწარმია. მას შემდეგ S-ური ორნამენტი მეტ-ნაკლები სიხშირით გამოიყენება სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა, სადაც კოლხური კულტურის მხატვრული ბრინჯაოს ნიმუშები და ცენტრალურკავკასიური გრავირებული სარტყლებია ნიშანდობლივი. ამ არტეფაქტებზე ცხოველებს ან ცალკეულ ნარატიულ კომპოზიციებს თან ახლავს ასტრალური ფიგურები და ორნამენტული სახეები. მათი უმეტესობა აღიქმება როგორც მზის ან მთვარის სიმბოლოები. ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ჩნდება ისეთი მხატვრული ფენომენი, როგორიც ბრინჯაოს სწორკუთხა ჭვირული ბალთებია. მათი კომპოზიციები ცენტრალური და დამატებითი ცხოველებისგან შედგება. მათგან ირმები უზარმაზარი რქებით ყველაზე პოპულარულია. მათ შორისაა ცხენები, ხარები, ჯიხვები ან აბსტრაქტული ცხოველები. დამატებით ცხოველთაგან კი ძაღლები, ფრინველები და რეპტილიები (გველი) გვხვდება. ცენტრალური ფიგურები აგებულია სწორედ S-ური ორნამენტის სქემაზე. ეს ფიგურები ერთდროულად მოიაზრება როგორც სხეულები და როგორც ორნამენტები. ამავე ორნამენტული სახითაა გაფორმებული ხშირ შემთხვევაში ბალთების ჩარჩოს არშიებიც. აღსანიშნავია, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი ცხოველი ქართული ხალხური და ეთნოგრაფიული მონაცემებით, მზის კულტის წარმომადგენელია. შესაბამისად, S-ური სქემა, ამ ცხოველების, როგორც სოლარული სხეულის, მისი ზოომორფული ინკარნაციის კონოტაციაზე მიუთითებს. ამრიგად, S-ური სქემა, რომელიც ამავდროულად ფიგურაცაა გვაუწყებს, რომ გარკვეული ცხოველი ასტრალური სხეულიცაა. ამის ნათელი დადასტურებაა რაჭაში აღმოჩენილი ერთადერთი ბალთა, სადაც ცენტრალური ცხოველის ნაცვლად, ასტრალური ფიგურაა მოცემული, რომლის სხივებიც იმგვარი პროექციითაა მოცემული, რომ ცხადად გვიჩვენებს მის მოძრაობას საათის ისრის საპირისპირო მიმართულებით.

S-ური ფორმის კონფიგურაცია რეალურად არსებული ცელესტიური კონფიგურაციაა, რომელიც ასტრონომიაშია კარგადაა ცნობილია და მას ანალემა ეწოდება. ანალემა არის დიაგრამა, რომელიც აჩვენებს ცაზე მზისა და მთვარის პოზიციას თვის განმავლობაში. დიაგრამა არაზუსტი მოხაზულობის „8-ნის“ ფორმას იმეორებს და ხშირად ის S-ურ მონახაზს ქმნის. თუ S-ის ფორმიანი ცხოველთა სხეულების ინტერპრეტაციას მივმართავთ, ის ანალემის შემცვლელ ასტრალურ

კონფიგურაციად შეიძლება მივიჩნიოთ, რომლებიც ოსტატმა სწორედ ციური სხეულების ჩასანაცვლებლად გამოიყენა სოლარული ან ლუნარული საკრალური მსახურების, რიტუალის შესრულებისას კულტის მსახურთა ატრიბუტად.

ყურადსაღებია, რომ ანალემის კონფიგურაცია ნათლად არის გამოსახული დედაბოძის რეპერტუარში, სადაც მას ფრონტალურად აღქმადი, ცენტრალური ადგილი უკავია ორ უზარმაზარ ასტრალურ სხეულთან ერთად.

8. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

8.1 საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **სამეცნიერო კონფერენცია:** ორნამენტი და კულტურა
მომხსენებელი**: მარიამ გაბაშვილი**

მოხსენების სათაური: ***ორნამენტის აღქმის საზრისები: ფიგურა თუ ცელესტიური კონფიგურაცია?***

ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი. 2022, 30 მაისი - 1 ივნისი. აღნიშნული მოხსენება წაკითხულ იქნა 1 ივნისს. მოხსენება ატვირთულია ჩუბინაშვილის ცენტრის YouTube პორტალზე და შესაძლებელია მისი სრული სახით ხილვა: https://www.youtube.com/watch?v=wcKS6j0xYP8

მოხსენება სრულად დაიბეჭდა ზემოთ მითითებულ ელექტრონულ ჟურნალში ARS GEORGICA და მისი ვრცელი ანოტაცია იხილეთ იმავე პუნქტის შესაბამის ველში.

ეკატერინე კვაჭატაძე

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

„შუა საუკუნეების საფასადო ქანდაკებისა და ხალხური ტრადიციის მიმართება XVII-XIX საუკუნეების ქართულ მემორიალურ ძეგლებზე“. 2018-2022 წწ.

. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ეკატერინე კვაჭატაძე (მკვლევარი)

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები:

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია

საქართველოს მემორიალური ძეგლები ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ქართული კულტურის ისტორიისა, რომელიც ამთლიანებს ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ეპიგრაფიკისა და სხვა სულიერი და მატერიალური ღირებულების შემქმნელი დარგების მრავალსაუკუნოვან შემოქმედებას.

ჩვენი სახელოვნებათმცოდნეო კვლევის საგანი დროითად მოსაზღვრული ეპოქის (გვიანი შუა საუკუნეებიდან XX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით) ფიგურულგამოსახულებიანი რელიეფებით შემკული საფლავის ქვებია. ნაშრომი საფლავის ძეგლთა სახელოვნებათმცოდნეო სამეცნიერო კვლევის პირველი მცდელობაა.

საქართველოს უმრავლეს მხარეში განხორციელებული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მდიდარი მასალის საფუძველზე შეიქმნა საკვლევად განსაზღვრული ეპოქის რელიეფური დეკორით გაფორმებული საფლავის ძეგლთა საერთო სურათი, სადაც თვალი გაედევნება რეგიონულ თავისებურებებს, სხვადასხვა სტილურ თუ მხატვრულ ტენდენციებს. განვიხილავთ უმთავრესად საფლავის ქვათა ფიგურულრელიეფიან გამოსახულებათა რეპერტუარს, იკონოგრაფიას, მხატვრულ და სახვით სპეციფიკას, რათა გამოვავლინოთ ამ გამოსახულებათა შუა საუკუნეების ქანდაკების ტრადიციასთან მიმართებისა და მისი მემკვიდრეობითობის რაგვაროვა ახალი დროის მსოფლმხედველობრივი და მხატვრული ტენდენციების ცვლილებათა ფონზე. შუა საუკუნეები საქართველოში XVIII საუკუნის ჩათვლით გახანგრძლივდა. ამ დიდი ეპოქის ქვაზე კვეთილობის ტრადიციაც თითქმის 14 საუკუნეს ითვლის. შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების განვითარების დამასრულებელ ეტაპზე - გვიან შუა საუკუნეებში სახისმეტყველებითი რთული პროგრამების შექმნის კვალად, თვალშისაცემია მხატვრული და საშემსრულებლო ოსტატობის ერთგვარი დაკნინება, ფორმის გაუბრალოება-გამარტივება. ამის მიუხედავად ხუროთმოძღვრული ქანდაკება ბოლომდე ინარჩუნებს ტრადიციის უწყვეტობასა და მდგრადობას. ამ ეპოქის ქართულ ქანდაკებას უმეტესად ეკლესიათა საფასადო რელიეფური პლასტიკის ძეგლებით ვიცნობთ. საყურადღებოა, რომ სწორედ გვიან შუა საუკუნეებში ჩნდება საფლავის ძეგლებზე სრული ტანით გამოსახულ გარდაცვლილთა ქვაზე კვეთილი პირველი ნიმუშები. ბევრად განსხვავებულია მოკრძალებულად, სადად, ხანაც ძალზე მწირად შემკული, ნაკლებად შემორჩენილი ადრეული ხანის საფლავის ქვები (V-XIV სს.), რომლებიც, სამწუხაროდ, თანდათან ნადგურდება და სულ უფრო უკვალოდ იკარგება. მათზე, უმეტესად, მხოლოდ ჯვრები და ეპიტაფიებია ამოკვეთილი ან მეომრის მარჯვენა მკლავი მშვილდ-ისრითა და ხმლით, ხანაც - გუთანი. გვხვდება აგრეთვე ცხვრისა და ცხენის მრგვალი ქანდაკებებიც, რომელთა ზედაპირები სხვადასხვა მსუბუქი სახოვანი კვეთილობებით არის ხოლმე დამშვენებული.

შუა საუკუნეების ტრადიციის შენარჩუნების მცდელობას, თუ ზოგჯერ ინერციას ვხედავთ ახალ დროშიც – XIX საუკუნეში, რაც სახვითი, იკონოგრაფიული სქემებისა თუ თემატური

რეპერტუარის თავისებურ მსგავსებაშიც გამოვლინდა. ამ მხრივ ორ ძირითად მიმართულებას გამოვყოფთ: ერთი მხრივ, შუა საუკუნეების მქანდაკებლობის ტრადიციის გამგრძელებელი საფლავის ქვათა რელიეფები (ეთნოგრაფიული-ხალხური ნაკადი), ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთევროპული და ბერძნული ნიმუშების გავლენით შექმნილი საეკლესიო ხუროთმოძღვრული ქანდაკება, რომელიც ამ დროისათვის უკვე სპორადულად გვხვდება.

გამოსახულებებით უფრო მდიდარია გვიანი საფლავის ქვები (XVIII-XIX, XX საუკუნის დასაწყისი), რომელთა მხატვრულ გაფორმებაში შუა საუკუნეების რელიეფური ქანდაკების სახვითი აზროვნება თავისებურ სახეცვალებად განვითარებას განაგრძობს. ამ ხანის საფლავის ძეგლები შუა საუკუნეების მონუმენტური სკულპტურის რამდენადმე შეწყვეტილი ტრადიციის „თავშესაფარი“ და, ამავდროულად, ხალხური შემოქმედების თავისუფალი „ასპარეზი“ ხდება. მათზე გამოკვეთილი რელიეფიანი გამოსახულებები უმეტესად ხალხური, ხელოსნური ხასიათისაა, თუმცა გვხვდება, საკმაო ოსტატობით და დახელოვნებით შესრულებული ნიმუშებიც.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

„მემორიალური ძეგლები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში“.
(სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები. HE-18-339

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები **1. 26.07.2018 - 07.10.2022**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (ხელმძღვანელი)
2. გიორგი პაპაშვილი (კოორდინატორი)
3. მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი)
4. ნოდარ არონიშიძე (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)

3.2 დასრულებული (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი **ანოტაცია** (ქართულ ენაზე)

პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში XVIII-XIX საუკუნეების ფიგურულრელიეფიან და არქიტექტურულად გადაწყვეტილ მემორიალურ ძეგლთა მოკვლევას, ფოტოფიქსაციას, საარქივო, სამუზეუმო, ბიბლიოგრაფიულ შესწავლას და კვლევის შედეგების მონოგრაფიის სახით გამოქვეყნებას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

კვლევის პროცესში ქრონოლოგიური ფარგლები გაფართოვდა და მოიცვა პერიოდი XVII საუკუნიდან XX საუკუნემდე.

შესრულდა პროექტის ფარგლებში დასახული შემდეგი ამოცანები:

1. შედგა მემორიალურ მრავალრიცხოვან ძეგლთა ანოტირებული ნუსხა (გეოგრაფიული საძიებლებით). საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაფანტული მემორიალური ძეგლების მოძიების მიზნით მოეწყო ექსპედიციები. მოხდა საველე სამუშაოების დროს მიკვლეული ძეგლების აღწუსხვა, ფოტოფიქსაცია, აზომვა, ძეგლთა კლასიფიკაცია, ტიპოლოგიური დაჯგუფება.
2. მოხდა XVII -XX საუკუნეების მემორიალური ძეგლების გამოსახულებათა იდენტიფიკაცია-დათარიღება; შეგროვებული და კლასიფიცირებული ძეგლების გამოსახულებათა კომპოზიციებისა და პირთა იდენტიფიკაცია, ასევე ეპიტაფიებსა და შესრულების სტილზე დაყრდნობით მათი დათარიღება.
3. განისაზღვრა მემორიალური ძეგლების გამოსახულებათა თემატიკა, იკონოგრაფია, სტილი, სპეციფიკა. გამოიკვეთა რეგიონალური ნიშნები და მოხდა ძეგლების გამოსახულებათა გავრცელებული თემატიკისა და რეპერტუარის ტიპოლოგიზაცია-დაჯგუფება. კვლევამ გამოკვეთა ქართული მემორიალური ძეგლების კომპოზიციური და მხატვრული გადაწყვეტის თვითმყოფადობა. კვლევამ ასევე დააზუსტა საქართველოში დაკრძალვის რიტუალის შუა საუკუნეების ტრადიციის განვითარება და მისი შემდგომი დროის პრაქტიკასთან მიმართების საკითხი, რომელმაც ერთგვარი ასახვა პოვა მემორიალურ ძეგლთა კომპოზიციათა თავისებურებაზეც.
4. გამოიკვეთა საქართველოში მემორიალურ ძეგლთა განვითარების საერთო სურათი ეპოქის სახვითი ხელოვნების კონტექსტში. გამოვლინდა მემორიალური ძეგლების კომპოზიციათა თანადროულ საეკლესიო ქანდაკებასთან ურთიერთმიმართების საკითხები; განისაზღვრა XIX-XX საუკუნეების მემორიალური ძეგლების როლი და ურთიერთგავლენები თანადროულ მხატვრობასა და ფოტოგრაფიაში, აგრეთვე სახვითი ხელოვნების სხვა დარგებსა და არქიტექტურაში. დადგინდა მემორიალურ ძეგლებზე რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი და პოლიტიკური ცვლილებების ზეგავლენა.

პროექტის დასრულების შედეგად გამოიცა უხვად დასურათებული მონოგრაფია „საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში“ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ მეტი შუქი მოჰფინა გვიანი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის (XVII საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე) ქართული მემორიალური ძეგლების რაობის, თვითმყოფადობისა და სპეციფიკურობის საკითხს, რამაც ამავდროულად წარმოაჩინა ზოგადად საქართველოში მემორიალური კულტურის მსოფლმხედველობრივი და მხატვრული კონცეფცია. კვლევა ასახავს საქართველოში დაკრძალვის ტრადიციასა და მეხსიერების ადგილების მონუმენტებით შემკობის წესს, მხატვრული ფორმების ნაირგვაროვნებას, სახვითი ენის სიმბოლურობას, ქართული შუა საუკუნეების და თანადროული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების კონტექსტის გათვალისწინებით. ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებული ეს საკითხები ხელს შეუწყობს შუა საუკუნეების ქართული სულიერი და მხატვრული კულტურის უფრო ღრმა გაგებას.

პროექტის შედეგი არა მხოლოდ მონაცემებისა და ფაქტების თავმოყრაა, არამედ მეთოდოლოგიურად ინოვაციური გამოკვლევა, რამაც გამოავლინა ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის მრავლისმომცველი და გლობალური ასპექტები და საინტერესოა მემორიალური კულტურის ძეგლებით დაინტერესებული ნებისმიერი უცხოელი მკვლევრისათვისაც. პროექტის შედეგად შექმნილი მემორიალური ძეგლების ბაზა (ფოტოები, სქემები, საარქივო მასალა) სრულად გადაეცა გ.ჩუბინაშვილის ცენტრს, სადაც შეინახება იგი ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიაში და არქივში. მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორ ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებისთვის, ისე ნებისმიერი მსურველისათვის.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გვერდების რაოდენობა

1. **საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში (ე. კვაჭატაძე, ს.ლეჟავა, მ.ლილუაშვილი, გ.პაპაშვილი, ნ.არონიშიძე), თბ. 2022 (372 გვერდი). ISBN 978-9941-8-3727-2**
2. **The Funerary Monuments of Georgia From the Seventeenth to the Nineteenth Centuries (E. Kvachatadze, S.Lejava, M.Liluashvili, G.Papashvili, N.Aronishidze), Tb. 2022 (332 p). ISBN 978-9941-8-3785-2**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოს მემორიალური ძეგლები ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელია ქართული კულტურის ისტორიისა, რომელიც აერთიანებს ქართული სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ეპიგრაფიკისა და სულიერი და მატერიალური ღირებულების შემქმნელი სხვა დარგების მრავალსაუკუნოვან შემოქმედებას.

ჩვენი სახელოვნებათმცოდნეო კვლევის საგანი დროითად მოსაზღვრული ეპოქის: გვიანი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ფიგურული რელიეფებით შემკული საფლავის ქვები და არქიტექტურულად გადაწყვეტილი საფლავის მონუმენტებია. ნაშრომი საფლავის ძეგლთა სახელოვნებათმცოდნეო თვალსაზრისით განვრცობილი სამეცნიერო კვლევის პირველი მცდელობაა.

საყურადღებოა, რომ გვიან შუა საუკუნეებში ჩნდება, ამჟამად ცნობილი, საფლავის ქვებზე სრული ტანით გამოსახულ გარდაცვლილთა ქვაზე კვეთილი პირველი ნიმუშები. ბევრად განსხვავებულია მოკრძალებულად, სადად, ხანაც ძალზე ლაკონიურად შემკული, ადრეული ხანის, ნაკლებად შემორჩენილი საფლავის ძეგლები (V-XV საუკუნეები), რომლებიც თანდათან ნადგურდება და უკვალოდ იკარგება. მათზე, უმეტესად, მხოლოდ ჯვრები და ეპიტაფიებია ამოკვეთილი ანდა მეომრის მკლავი მშვილდ-ისრითა და ხმლით, ხანაც - გუთანი. გვხვდება აგრეთვე ცხვრისა და ცხენის მრგვალი ქანდაკებებიც, რომელთა ზედაპირები სხვადასხვა

მსუბუქი სახოვანი და ფიგურული კვეთილობებით არის ხოლმე დამშვენებული; მემორიალურ ძეგლებს უნდა წარმოადგენდეს ბოლნური ჯვრებით შემკული ადრეული სტელების (V-VII საუკუნეები) გარკვეული ნაწილიც, ასევე იოანე ზედაზნელის კანკელის რელიეფი (VII საუკუნე).

შუა საუკუნეების ქანდაკების ტრადიციის შენარჩუნების მცდელობას, თუ ზოგჯერ, ინერციას ვხედავთ ახალ დროშიც – XIX საუკუნეში, რაც სახვითი, იკონოგრაფიული სქემებისა თუ თემატური რეპერტუარის თავისებურ რემინისცენციებშიც გამოვლინდა. ამ მხრივ ორი ძირითადი მიმართულება გამოიყოფა: შუა საუკუნეების მქანდაკებლობის ტრადიციის გამგრძელებელი და, ამავდროულად თავისებური სიახლეების შემომტანი საფლავის ქვათა რელიეფები (ხალხური ნაკადი) და დასავლეთევროპული და ბერძნული ნიმუშების გავლენით შექმნილი საეკლესიო ხუროთმოძღვრული ქანდაკება, რომელიც ამ დროისათვის უკვე სპორადულად გვხვდება.

გამოსახულებებით უფრო მდიდარია საფლავის ქვების გვიანდელი ნიმუშები, რომელთა მხატვრულ გაფორმებაში შუა საუკუნეების რელიეფური ქანდაკების სახვითი აზროვნება თავისებურ, სახეცვალებად განვითარებას განაგრძობს. ამ ხანის საფლავის ძეგლები შუა საუკუნეების მონუმენტური სკულპტურის რამდენადმე შეწყვეტილი ტრადიციის „თავშესაფარი“ და, ამავდროულად, ხალხური შემოქმედების თავისუფალი „ასპარეზი“ ხდება. მათზე გამოკვეთილი რელიეფიანი გამოსახულებები უმეტესად ხალხური, ხელოსნური ხასიათისაა, თუმცა გვხვდება, საკმაო ოსტატობითა და დახელოვნებით შესრულებული ნიმუშებიც.

შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების სახვითი ტრადიცია, ფორმათმეტყველებითი ენა უმეტესად დაბალი რელიეფის სახით ჩამოყალიბდა, თუმცა გვაქვს გამორჩეული ფასეულობის ჰორელიეფური ნიმუშებიც (ოშკი, ხახული და სხვა). ამდენად, XIX საუკუნის შუა ხანებამდე მრგვალი ქანდაკება არც მემორიალურ ძეგლებს შორის გვხვდება.

თავმოყრილი მასალის საფუძველზე განისაზღვრა საქართველოში საუკუნეების მანძილზე გავრცელებული მემორიალური ძეგლების ერთგვარი ტიპოლოგია: საფლავის ლოდები; ჯვრის, აკვნის, სკივრისა (ტაგრუცი) და კუბოს ფორმის ქვები; აგრეთვე ცხვრისა და ცხენის მრგვალი ქანდაკებები; ობელისკები, სტელები, მატურები; არქიტექტურულად გადაწყვეტილი საფლავის ძეგლები: ეკლესიის მოდელები, ბალდაქინები, აკლდამები. XIX საუკუნის ბოლოდან ანგელოზთა და მგლოვიარე ქალთა ქანდაკებები, ბიუსტები და სხვა.

დღეისათვის დაბეჯითებით ძნელი სათქმელია თუ როდის იღებს დასაბამს შუა საუკუნეების საქართველოში საფლავის ქვაზე გარდაცვლილის სრულად გამოსახვის ტრადიცია, თუმცა, ცნობილია რამდენიმე ფერწერული მაგალითი: წმინდანთა გამოსახულებით მოხატული უნდა ყოფილიყო დავით გარეჯელის, დოდო გარეჯელისა და წმ. ნინოს საფლავის ქვები.

საქართველოში საფლავის ძეგლთაგან უპირატესად გავრცელებული ტიპი ქვის ლოდია, რომლის შემკულობაშიც განსაკუთრებით ნათლად აისახა სხვადასხვა ეპოქის მხატვრული ესთეტიკა და სახვითი ტენდენციები. თუმცა სხვა ტიპის ფიგურულრელიეფიან მემორიალურ ძეგლებზეც ასევე ცხადადაა გამოხატული ეპოქის მსოფლმხედველობა, ეკონომიკურ-სოციალური ფონი, გარდაცვლილის პროფესიული საქმიანობა თუ სოციალური კუთვნილება, ყოფის ელემენტები.

საქართველოში XVII საუკუნიდან 1930-იან წლებამდე პერიოდის ფიგურულგამოსახულებიანი საფლავის ძეგლთა განხილვამ ცხადყო საფლავის დეკორის

რეგიონული თავისებურებანი და მრავალფეროვნება, გამოსახულებათა რეპერტუარისა და იკონოგრაფიის „მემკვიდრეობითი“ კავშირი შუა საუკუნეების რელიეფური ქანდაკების ტრადიციებთან; ამავდროულად, ეპოქის საერთო სულისკვეთება, მსოფლმხედველობითი ცვლილებები, იკონოლოგიური, სტილური, შინაარსობრივი, ესთეტიკური სიახლეები და ტენდენციები საფლავის რელიეფურ დეკორში გარკვეული სიმპტომატური, სტილური ნიშნებითაც იხილვება. აქ თანაარსებობს ინტენსიური ხალხური შემოქმედება, სადაც აშკარაა სეკულარიზაციის, გარკვეული რეალიზმის ტენდენციები, რომელიც შუა საუკუნეების ე. წ. პროფესიულ ნაკადს შორდება და, ამავდროულად, ერთგვარი ევროპეიზაციის: ნეოკლასიცისტურ, ნეობაროკულ და მოდერნის სტილთა, ზოგჯერ თავისებური ეკლექტიზმის სახით შემოდინება თვალსაჩინოვდება.

საფლავის ფიგურულმა დეკორმა ასახა ხალხური მქანდაკებლობის ხასიათი: დროისა და სივრცის გადმოცემის პირობითობა, ხანდახან მიამიტური, გულუბრყვილო პირდაპირობა, ზოგჯერ გაუწაფავი ოსტატობა, ფორმის, სამეტყველო ენისა თუ სახვითი ხერხების გამარტივება. საკუთარი ხატოვანი ხალხური შემოქმედებისთვის ნიშანდობლივი სახეთა „კრებითი“ ტიპიზაციის მიუხედავად, საფლავის ძეგლები ცოცხლად გვიამბობენ თანადროული ეპოქის სოციალური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ, სიკვდილსა და სიცოცხლეზე, ეპოქის მსოფლმხედველობრივ სივრცეზე, სამზეოსა და საიქიოს ცხოვრებაზე, რწმენაზე, სიყვარულზე, სინანულზე, წუთისოფლის სიმუხთლესა და ხანმოკლეობაზე და მარადიულობაზე, რაც მრავალრიცხოვან ეპიტაფიებში განსაკუთრებით მძლავრად ამოიფრქვა.

საგულისხმოა, რომ საფლავის ქვის იკონოგრაფია და მხატვრული ხედვა XIX-XX საუკუნეების მხატვრობაში, ჭედურ ხელოვნებასა და ფოტოგრაფიაში თავისებურად აისახა და შემოქმედებითი ძიებისა თუ მხატვრული რეპლიკების ნიმუშები შემოგვთავაზა.

ძალზე ყურადსაღებია ისიც, რომ ძველი საფლავის ძეგლთა კვლევა და დაცვა მატერიალური კულტურის შენარჩუნების გარდა, ისტორიული მეხსიერებისა და მემკვიდრეობის შენახვის უპირობო მოვალეობაა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჯერ კიდევ შემორჩენილი საფლავის ქვათა ეპიტაფიები და ფიგურული გამოსახულებანი ქართული კულტურის ბევრ საგულისხმო ფაქტს, ადგილობრივი მოსახლეობის მკვიდრობის ისტორიასა და ტრადიციის უწყვეტობას გვამცნობს და, ამდენად, ქვაში გამოკვეთილი, ფასდაუდებელი ისტორიული ღირებულების დოკუმენტებს წარმოადგენს.

ეკატერინე გედევანიშვილი

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

1. **სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო - კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:**

1.1. იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა.

წლევანდელი სამუშაოს უმთავრესი ფოკუსი ამ მოხატულობაში წარმოდგენილი წმ. გიორგის უნიკალური ცხოვრების ციკლია. მე12 საუკუნის შუა წლებით დათარიღებულ ძეგლში წმ. გიორგის ამსახველი შვიდი სცენაა. სადაც განსაკუთრებულ ადგილს ქართულ სახვით ხელოვნებაში გამორჩეულად პოპულარული ორის სცენა იკავებს - წმ. გიორგის მიერ ყრმის

გამოხსნისა და ე.წ. ლასიას სასწაულის სცენები. ნაშრომი ამ სცენათა შეწყვილების სავარაუდო სიმბოლურ მნიშვნელობაზე მსჯელობს და მათი შეწყვილების ტრადიციაში შინაარსობრივი „პარალელიზმის“ პრინციპზე ამახვილებს ყურადღებას - სახლში/სამოთხეში დაბრუნებული ყრმა და გამოხსნილი ქალაქი ლასია/იერუსალიმი. ეს სიმბოლური ინტერპრეტაცია არაერთი პარალელური მაგალითითაა შემაგრებული.

განსაკუთრებული ადგილი ადგილი ეთმობა საქართველოში გავრცელებულ სარკინოზთა მიერ წმ. გიორგის ხატის შეურაცხყოფის სცენას. ეს უკანასკნელი ანტიმუსულმანურ კონტექსტთან ერთად უდავოდ საქართველოში ხატთაყვანისცემის ტრადიციის დემონსტრირებადაც ჩნდება; ის სომხური სარწმუნოების ხატმებრძოლეობის ერთგვარ პასუხადაც იქცევა. მსჯელობა ფართო ისტორიულ-კულტურულ კონტექსტშია გაშლილი.

სრულებით უნიკალურია იკვში ასახული წმ. გიორგის მიერ მთაში დანთქმული ეშმაკის გამოსახულება, რომელსაც პარალელი ჩემთვის ნაცნობ მასალაში, არასად ეძებნება. აღნიშნული გამოსახულება უდავოდ მაცხოვრის ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის სცენაში ჩართულ ეშმაკის დაბორკვის ტრადიციული გამოსახულებითაა ინსპირირებული. წმ. გიორგის ცხოვრების სცენები, ნაშრომში მთელი მოხატულობის კონტექსტშია განხილული. ამ მოხატულობის ახლებური გააზრება წმ. მეომართა კულტისადმი მიძღვნილ მონოგრაფიულ ნაშრომში იქნა ჩართული (იხ. შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი)

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო -კვლევითი პროექტები.

3.2. (გარდამავალი) **წმ. მეომართა კულტი და გამოსახულება შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში** (FR-19-10194). ფუნდამენტური კვლევის გრანტი, რომელიც სამწლიან სამუშაოს გულისხმობს. მიმართულება ქართველოლოგიური კვლევები.

პროექტის დაიწყო: 2019/მარტი. მისი დასრულების ვადაა: 2023 /მარტი

2) პროექტში ჩართული პერსონალი:

პროექტის ხელმძღვანელი - ეკატერინე გედევანიშვილი. მონოგრაფიულ ნაშრომში მისი ავტორობით წარმოდგენილი იქნება შემდეგი თავები - შესავალი თავი, სადაც განხილულია წმ. მხედრების იკონოგრაფიის ფორმირების პროცესი და შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნებისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი - მაგ., სატაძრო მოხატულობებში წმ. მეომართა განთავსების „ადგილობრივი“ ტრადიცია და მისი სიმბოლურ -კონტექსტუალური კვლევა. წმ. მკურნალების წმინდა მხედრებად წარმოდგენის ფენომენი, წმ. მეომრების კულტის პოლიტიკური ასპექტი, მაგ., წმ. ევგენი ტრაპიზონელის გამოსახულება ვარძიის სატაძრო მოხატულობაში და სხვა. წმ. მხედართა საკურთხევლის წინა თუ საპროცესიო ჯვრებში განთავსების ტრადიცია და სხვა.

ნაშრომის ყველაზე დიდი თავი წმ. გიორგის კულტსა და გამოსახულებას ეთმობა (130 გვერდი). ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოს მფარველი წმინდანის ადგილობრივ იკონოგრაფიულ ვერსიას - წმ. გიორგის მიერ დიოკლეტიანეს დალახვრის სცენას. განხილულია ამ ვერსიის შესაძლო გენეტიკური ძირები, რომელსაც წინარექრისტიანული წმ. მხედრის

საკრალურ გამოსახულებამდე მივყავართ. ფართოდაა გაშლილი ამ გამოსახულების გიორგი ჩუბინაშვილისეული „პოლიტიკური“ კონტექსტის თეორია.

ნაშრომში ცალკე თავებადაა გამოყოფილი წმ. გიორგის იკონოგრაფიული ტიპები. საგანგებო მსჯელობის საგნადაა წარმოდგენილი წვეროსანი წმ. გიორგის იკონოგრაფია. განხილულია ქართველთა ეროვნული დღესასწაულის - 10 ნოემბრის გენეზისის საკითხი და ამ დღესასწაულის სახისმეტყველებითი ასპექტები.

საგანგებო ყურადღება ეთმობა საქართველოში წმ. გიორგის ცხოვრების ციკლებსა და მათ თავისებურებას - სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილ ძეგლებთან ერთად, აქამდე უცნობი მასალაც ჩნდება: მაგ., ცუცხვათის წმ. გიორგის გამოსახულებიანი კანკელის ფილა, სადაც დიოკლეტიანეს ნაცვლად ჰეროდე მეფის გამოსახულებაა წარმოდგენილი. ან თუნდაც, ცაგერის ეკლესიის პატრონიკეს მოხატულობა, რომელიც აქამდე შესწავლილი არაა. ის კი წმ. გიორგის ერთ-ერთ ყველაზე გავრცობილი ციკლის მაგალითს წარმოგვიდგენს და ქართული სახვითი ხელოვნებისთვის უნიკალურ გამოსახულებას - წმ. გიორგის მიერ საწამლავით გამოცდის ეპიზოდს შეიცავს. ნაშრომში ქრისტიანული აღმოსავლეთის პარალელებთან ერთად დასავლეთ ევროპის ნიმუშებიცაა მოხმობილი.

მესამე თავი წმ .დემეტრე თესალონიკელს ეძღვნება. ამ თავის უმთავრესი საკვლევი მასალა გარეჯის მრავალთავში 2015 წელს აღმოჩენილი წმ. დემეტრე თესალონიკელის ცხოვრების ციკლია. ნაშრომი ამ ციკლის იკონოგრაფიულ და სტილისტურ თავისებურებებზე ამახვილებს ყურადღებას.

ასევე განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სვიფის წმ. გიორგის ეკლესიის საფასადო მოხატულობაში საგანგებოდ გამახვილებულ წმ. დემეტრეს გამოსახულებას. წმ. დემეტრეს მეტად აქცენტირებული მნიშვნელობა მკვლევარს საფასადო შემკულობის სავარაუდო ქტიტორის პიროვნებასთან აქვს დაკავშირებული. სწორედ ქტიტორის პიროვნებითვე იხსნება საფასადო შემკულობის სრულებით უნიკალური პროგრამა - წმ. სამების გამოსახულება, რომელსაც სამი წმ. მხედარი ახლავს.

პროექტში სამი ახალგაზრდა მეცნიერი მონაწილეობს.

ნიკოლოზ ალექსიძე - მისი ნაშრომი ეძღვნება კავკასიაში წმ. მხედართა კულტის ჩასახვასა და ეტაპობრივ განვითარებას. წმ. მეომართა კულტის ტრანსფორმაცია გვიანანტიკური პერიოდიდანაა წარმოდგენილი - მარტვილის წმ. მეომრად ფორმირების პროცესი ნაშრომის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ასევე პოლიტიკური თეოლოგიის საკითხებს - წმ. მხედართა კულტის პოლიტიკურ ასპექტებსა და ბაგრატოვანთა სამეფო გვარის პატრონაჟის საკითხს, რომელიც წმ. გიორგის კულტის ასპექტშია განხილული.

ირმა მამასახლისი - მისი ნაკვეთი წმ. ევსტატე პლაკიდასადმი მიძღვნილ თავს წარომგვიდგენს. სადაც წმ. ევსტატეს ცხოვრების რეადქციებთან ერთად, მისი ცხოვრების იკონოგრაფიული რეადაქციებია წარმოდგენილი. ნაშრომის უმთავრესი ფოკუსი ერთაწმინდის მოხატულობა და მისი სტილისტურ-იკონოგრაფიული თავისებურებაა. ამასთან ერთად ნაშრომში შეძლებისდაგვარად ამ წმინდანთან დაკავშირებული ხატწერისა და რელიეფური ქანდაკების, ნაქარგობის ნიმუშებიც არის მოხმობილი. აქ არაერთი აქამდე უცნობი მასალაც ჩნდება.

თამარ დადიანი - წმ. თევდორე ტირონისა და წმ. თევდორე სტრატილათის თავზეა პასუხისმგებელი. ახალგაზრდა მკვლევარი ამ ორი წმინდანის იკონოგრაფიულ მახასიათებლებს წარმოგვიდგენს და ქართულ სინამდვილეში მათი „სინთეზირების“ საინტერესო ტენდენციას გამოყოფს. საგანგებო ყურადღებას უთმობს ცხენოსანი მხედრის სიმბოლურ იკონოგრაფიას და ლიტურგიკული მასალის მოშველიებით წარმოგვიდგენს ამ წმ. მეომართა გამოსახულებათა იკონოლოგიურ კვლევას.

ქეთევან მამასახლისი - მისი ნაშრომი ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში ასახულ წმ. მეომრების თაყვანისცემის ფართო და გამოწვლილვითი კვლევის შედეგებს წარმოგვიდგენს. ქრონოლოგიურ რიგზე წარმოდგენილია ამა თუ იმ წმ. მეომრის ცხოვრების მოკლე ისტორია და მათი თაყვანისცემის ლიტურგიკული პრაქტიკა. განსაკუთრებით საინტერესო ქართველი ეროვნული მხედრების თაყვანისცემის სურათია.

7. უცხოური გრანტებით დაფინანსებული პროექტები:

5-15 სექტემბერი გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრისა, ფრიბურგის უნივერსიტეტისა და მიასარიკის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიცია ზემო სვანეთში (ექსპედიციის ხელმძღვანელი ეკატერინე გედევანიშვილი).

16 სექტემბერს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ცენტრში ჩატარებული კონფერენცია“ The Interaction of Objects, Images and Bodies with Built and Natural Spaces in Medieval Svaneti” . კონფერენცია ჩატარდა გიორგი ჩუბინაშვილისა, ფრიბურგის უნივერსიტეტისა და მიასარიკის უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში. კონფერენციის მასალები სრულად დაიმეჭდება 2023 წელს (პერიოდულ გამოცემა - Convivium Supplementum-ში)

7 1 ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში:

Ekaterine Gedevanishvili, Unpainted Image -Textual and Visual Tradition in Medieval Georgia, Recent Studies on the Image of Edessa, Iconography, History and Theology, ed. Mark Guskin, 2002 , 46-75, Cambridge Scholars Publishing house.

ნაშრომში განხილულია ხელთუქმნელი ხატის ისტორია საქართველოში. მის კულტისა და იკონოგრაფიის თავისებურება. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ანჩისხატის თაყვანისცემის საკითხს და ანჩისხატის მნიშვნელობის ასახულობას ქართულ სასულიერო ლიტერატურასა და სახავით ხელოვნებაში. გამოთქმულია მოსაზრება რომ ქართულ სატაძრო მოხატულობებში ხელთუქმნელი ხატის გამოსახვის ტრადიცია - მისი ტრაპეზის თავზე წარმოდგენა, ერთი მხრივ, პირიღმრთისას სირიული არქეტიპის გავლენას, მეორეს მხრივ კი ანჩისხატის მნიშვნელობას უნდა უკავშირდებოდეს. ანჩისხატისავე მნიშვნელობას ეხმიანება ქართულ სახვით ტრადიციაში ასახული ე.წ. „მხრებიანი“ მანდილიონების გამოსახვის უჩვეულო ტრადიციაც. ნაშრომში ქართული ძეგლების იკონოგრაფიული თავისებურებანი საღვთისმეტყველო და ისტორიული კონტექსტითაა განხილული.

Ekaterine Gedevanishvili -Mobility of Text: A Key to Understanding the Murals of the Svip'i Façade Painting, გადაცემულია დასაბეჭდად Brill -ის გამომცემლობაში კრებულში „ Sacred Mobilities in Byzantium and Beyond “People, Objects and Relics“ (25 გვერდი).

აღნიშნული მოხსენება ეძღვნება სვიფის წმ. გიორგის ტაძრის საფასადო შემკულობას (12 ს). სადაც სრულებით უნიკალური სცენაა ასახული - აბრაამის სტუმართმოყვარეობის გამოსახულება და

მასთან ერთად სამი წმ. მხედრის ფიგურა. ამ კომპოზიციის კომპონირება ამ ორი „სიუჟეტის“ შინაარსობრივ ერთობას მოწმობს. წმ. მხედართა შორის მნიშვნელობით გამორჩეულია, ცენტრში გამოსახული წმ. დემეტრე თესალონიკელის ფიგურა. მისი განსაკუთრებული აქცენტირება წმ.გიორგის ტაძრის მოხატულობაში რამდენადმე საკვირველია. ეს თავისებურება სვიფის საფასადო მოხატულობის სავარაუდო ქტიტორის ვინაობითაა ახსნილი. ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სვიფის საფასადო მოხატულობა სამეფო კართან, კერძოდ დემეტრე I - თან უნდა იყოს დაკავშირებული, რასაც თავისებურად სვიფის ეკლესიაშივე დასვენებული წმ. გიორგის თავი - ხატიც უნდა მოწმობდეს. რომლის ჩარჩოს მოჭედილობაც, ფაქტობრივად, ხახულის ხატის ანალოგად შეიძლება ჩაითვალოს. უჩვეულო სიუჟეტის თავისებურებაც, ტექსტში „სამეფო“ კონტექსტითაა ახსნილი; სიუჟეტი ბიზანტიელი იმპერატორის ლეონ ბრძენის წმ. დემეტრე თესალონიკელისადმი მიძღვნილი საგალობლის „ილუსტრაციადაა“ გააზრებული- სადაც აბრაამის მიერ წმინდანის სამოთხეში/ ნადიმზე მიღების თემაა გამახვილებული. საგალობელში ნაგულისხმევი რჩეული მეფის იდეა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც პოვებს გამოძახილს და ბაგრატოვანთა სამეფო გვარის იდეოლოგიის გამოხატულებად იქცევა, რაც თავისებურად სვიფის საფასადო შემკულობის იკონოგრაფიაშიცაა გამჟღავნებული.

The ‘Reading’ of the Scene of the “Apparition of the Angel to Joshua son of Non” in the Iprari Church of the Archangels, გადაცემულია დასაბეჭდად (Convivium Supplementum) (24 გვერდი)

წინამდებარე პუბლიკაციაში სვანეთის ერთ-ერთი გამორჩეული მოხატულობაა განხილული, სადაც ისუ ნავეს გამოჩინების სცენაა ასახული. ნაშრომი ამ სცენის ი.იაკობაშვილისეულ წაკითხვას განავრცობს და ისუ ნავეს მიღმა ნაგულისხმევ დავით აღმაშენებლის ისტორიული ალუზიის იდეას ავითარებს. ეს მოსაზრება ლიტერატურული თუ ვიზუალური პარალელებითაა შემყარებული. საგანგებოდაა მოხმობილი ამ „ლიტერატურული შედარების“ ხერხის მაგალითები ბიზანტიურ კულტურაში, რომელიც იფრარის გამოსახულების უშუალო პარალელად ჩნდება. საგანგებო ყურადღება ეთმობა ამ სცენის პატროლოგიურ განმარტებას, რაც თავის მხრივ, ამ გამოსახულების ისტორიულ ინტერპრეტაციას უქმნის საფუძველს.

8. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

2022, 27-29 მაისი, საერთაშორისო კონფერენცია „ბიბლია სიტყვებსა და სახეებში“, თბილისი, თსუ,

მოხსენება: “The Reflection of Biblical Models on ST. George’s Iconography in Georgian Art, (On the examples of the Urtkhva Altar screen (11th c.) and the Tsatskhvati relief (10th -11th cc.)“

ნათია ნაცვლიშვილი

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

საეკლესიო ხმოვანების ინსტრუმენტები შუა საუკუნეების საქართველოში: სარეკელი და ზარი

ჰუმანიტარული მეცნიერებები
ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2022 (ერთწლიანი პროექტი)

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნათია ნაცვლიშვილი - მკვლევარი

კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ბიზანტიის იმპერიასა და მის მეზობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, უცნობი იყო ზარის რელიგიური ფუნქციით გამოყენება. ლათინური სამყაროსგან განსხვავებით, სადაც ზარის უკვე მეექვსე საუკუნიდან ფართოდ იყენებდნენ მლოცველთა ღმრთისმსახურებაზე მოსახმობად, აღმოსავლური ეკლესია უპირატესობას ანიჭებდა სემანტრონს - ხის დაფას, რომელზეც ხის ჩაქუჩით ურტყამდნენ. საქართველოში ამ ინსტრუმენტს სარეკელი ან ძელი ერქვა.

ჰაგიოგრაფიული ძეგლები და სამონასტრო ტიპიკონები ადასტურებს, რომ სარეკელი საქართველოში ადრე შუა საუკუნეებიდანვე ფართოდ გამოიყენებოდა და ჩვენთან წმინდა მიწიდან გავრცელდა. სინას მთის ქართულმა ხელნაწერმა (#12) შემოგვინახა სარეკელის კურთხევის წესი, რაც ადასტურებს, რომ ინსტრუმენტის გამოყენებას ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა. სარეკელის მოხმარების წესები აღწერილია 1042 წელს გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარსა და მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმის მონასტრისათვის დამტკიცებულ სვიმეონწმინდის ტიპიკონში.

ზარი ღვთისმსახურებაზე მორწმუნეთა მოსახმობად საქართველოში მხოლოდ მეცამეტე საუკუნიდან ჩნდება და მათ თავდაპირველად მხოლოდ მონასტრებში იყენებდნენ. მეცამეტე საუკუნის მიწურულიდან ზარი ფართოდ ვრცელდება მთელ ქვეყანაში, რაზეც საგანგებოდ მის დასაკიდად განკუთვნილი არქიტექტურული ნაგებობის - სამრეკლოს სიმრავლე მიუთითებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რეგიონში ზარმა სარეკელი ბოლომდე ვერ ჩაანაცვლა. როგორც ცნობილია, სამეგრელოში ლითონის სიძვირის გამო ზარები მხოლოდ ზოგიერთ ეკლესიაში ჰქონდათ და გვიან შუა საუკუნეებშიც მთავარ ხმოვან საეკლესიო ინსტრუმენტს მაინც სარეკელი წარმოადგენდა. მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება ზარები სვანეთში. მათი უმეტესობა კახეთის სამეფო ოჯახის მიერ არის გაგზავნილი. საინტერესოა, რომ საქართველოში ზარის კურთხევის საგანგებო წესი არასოდეს შემოუღიათ და ახალი ინსტრუმენტის საკურთხებლად სარეკელის კურთხევის წესს იყენებდნენ.

ზუსტად დათარიღებული შუა საუკუნეების ზარი საქართველოში უცნობია. სავარაუდოდ, ერთ-ერთი უადრესია აბასთუმანში, რუსუდანის მონასტერში აღმოჩენილი ზარი, რომელიც საგანგებოდ იყო დამალული საძვალეში სავარაუდოდ, ოსმალთა ერთ-ერთი შემოსევის დროს. ყველაზე ადრეული ზარი 1510 წლით თარიღდება. სხვადასხვა პერიოდში ლითონის საჭიროებიდან გამომდინარე ხშირი იყო ზარების ქურდობა და მათი გადადნობა, რის გამოც შუა საუკუნეების ზარების დიდმა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მუზეუმებისა თუ ცალკეულ ეკლესიებში დარჩენილი ზარების აღწერა და ინვენტარიზაცია მომავალი და უფრო ხანგრძლივი კვლევის საგანია.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

„ქალები, ძალაუფლება და არქიტექტურის პატრონაჟი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში“

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

YS-21-629

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ნათია ნაცვლიშვილი - მკვლევარი

ქეთევან ყავალაშვილი - დამხმარე პერსონალი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 2022 წელს მუშაობა მიმდინარეობდა პროექტით დასახულ ორ კვლევით ამოცანაზე: ,,სამეფო ოჯახის წევრი ქალების არქიტექტურული პატრონაჟი“ და "დიდგვაროვან ქალთა ხელოვნებისა და არქიტექტურის პატრონაჟი". კვლევითი ამოცანების განსახორციელებლად დასახული იყო შემდეგი აქტივობები: პირველადი და მეორადი წყაროების შესწავლა, მათი ანალიზი და ინტერპრეტაცია და საველე სამუშაო საქართველოში.

კვლევით ამოცანებთან დაკავშირებით დამუშავდა ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა. შესწავლილი იქნა ჰაგიოგრაფიული თხზულებები, მატიანეები და ისტორიული დოკუმენტები. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შუა საუკუნეების ეკლესიების კედლებზე და სხვადასხვა ნივთებზე დატანილ წარწერათა კორპუსები, რომლებიც წარმოადგენს ფასეულ წყაროს სამეფო ოჯახის წევრი და დიდგვაროვანი ქალების მიერ დაფინანსებული ეკლესიებისა და საეკლესიო ნივთების (ხატები, ნაქარგობა და ლიტურგიკული ნივთები) შესასწავლად.

შედგა მივლინებები წალკის, თეთრი წყაროს, კასპის, ბოლნისის, მარნეულის, ახმეტისა და თელავის მუნიციპალიტეტებში. მივლინების დროს ადგილზე შევისწავლე შემდეგი ძეგლები - ვაკის (დიდგვაროვან ქალ ასფანის აღმშენებლობა, XII საუკუნე), კარალეთის (ქსნის ერისთავთა წარმომადგენლის სალომეს აგებული, 1787 წელი), ლეჩხუმის ცხეთის (რაჭის ერისთავის ასულის გულქან ჭილაძის მშენებლობა, XVIII საუკუნე), ლაბეჭინის (რუსუდან დედოფლის დაფინანსებით აგებული, XIV საუკუნე), ქორეთის (მარიამ დედოფლის აღმშენებლობა, 1000 წელი; ანა დედოფლის განახლება, XVIII საუკუნე), ეხვევის, დარკვეთის, სავანის ეკლესიები. ბოლო სამი ძეგლის მშენებლობა დაკავშირებულია ქორეთის მაშენებელი მარიამ დედოფლის მემკვიდრეებთან და მათი შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც არქიტექტურის თვალსაზრისით, ისე ეპოქის სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური მდგომარეობის გასააზრებლად; არმაზის

მონასტერი (დიდგვაროვან ქალ მარიამის, ხათუნყოფილის აღმშენებლობა, XII საუკუნე), რკონის მონასტერი (კახა თორელის მეუღლის ხათუთას აღდგენა და მისივე დაკვეთით შესრულებული მხატვრობა, XIII საუკუნე), აბელიანის ეკლესია (დავით ნარინის მეუღლის თამარის მშენებლობა, XIII საუკუნე), ბოლნისისა და ქვათახევის მონასტრები, არწევანისა და საპიტიახშოს ეკლესიები (საქართველოს დედოფლის, მარიამ დადიანის მშენებლობა, 1630-იანი წლები), მატანის მონასტერი (ანასტასია ჯავახიშვილის დაკვეთით შესრულებული მხატვრობა, XVII საუკუნე), მაღალაანთ ეკლესია (ელენე მაღალაშვილის გამოსახულება), სამშვილდის წმ. თევდორეს ეკლესია (ვახტანგ V-ის ასულის, ელენეს გამზრდელი ქალის მშენებლობა), არწევანის, ხოჟორნის, ხორაკერტის, ეკლესიები. შუა საუკუნეების საქართველოში ქალთა სამონასტრო ცხოვრების შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ექსპედიციას თელავის მუნიციპალიტეტში, სადაც მოვინახულე აკურას, კისისხევის, კონდოლის, ძველი და ახალი შუამთისა და რუისპირის ეკლესიები. მოხდა თითოეული ძეგლის დეტალური ფოტოგადაღება და ჩატარდა არქიტექტურულ-სტილისტური ანალიზი.

ასევე ვიმუშავე ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ხელოვნების განყოფილების ძვირფასი ლითონებისა და ნაქარგობის ფონდებში და თელავის ისტორიული მუზეუმის ეთნოგრაფიულ ფონდში სადაც მოვიძიე შუა და გვიანი შუა საუკუნეების ქალების დაკვეთით შესრულებული ნივთები და თითოეული მათგანი დეტალურად გადავიღე. ეს მასალა სრულად შევა პროექტის საბოლოო შედეგში, რომელიც PDF ფორმატის ანოტირებულ ნუსხას წარმოადგენს.

დაწყებულია მუშაობა ანოტირებულ ნუსხაზე, რომელშიც უკვე შევიდა ასამდე დედოფალი და დიდგვაროვანი ქალი. კვლევის შედეგად გამოვლინდა და იდენტიფიცირდა მათი დაკვეთით აშენებული ეკლესიები და დიდი რაოდენობით ნაქარგი ნივთები (ენქერები, ოლარები, გარდამოხსნები და სხვა), ლიტურგიკული ნივთები (ფეშხუმები, ლანგრები, კოვზები და სხვა) და ხატები. ამ ეკლესიებისა და ნივთების დიდი ნაწილი გვიან შუა საუკუნეებზე მოდის. მათი შესწავლა საშუალებას მოგვცემს წარმოვიდგინოთ გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურისა და ხელოვნების ზოგადი ხასიათი, მასშტაბი და მხატვრული ხარისხი. ამასთან, პროექტის განხორციელების პირველივე პერიოდში ცხადად გამოიკვეთა შემდგომი კვლევის უმთავრესი ასპექტები. ცხადი გახდა, რომ იმის წარმოსაჩენად, თუ როგორ აფინანსებდნენ არქიტექტურას და ხელოვნების ნივთებს შუა და გვიანი შუა საუკუნეების დიდგვაროვანი ქალები, საგანი განხილული უნდა იყოს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ფართო ფონზე, აღმოსავლეთ საქრისტიანოსა და ისლამური სამყაროს სხვა ქვეყნების ხელოვნებასთან შედარებით კონტექსტში. არსებითად, ეს არის კვლევა, რომელიც აქამდე არ განხორციელებულა ქალის, როგორც შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის და ხელოვნების დამკვეთის და პატრონის როლთან დაკავშირებით.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8. 2.უცხოეთში

1)მომხსენებელი/მომხსენებლები

ნათია ნაცვლიშვილი

2) მოხსენების სათაური

იმპერიალიზმი და არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში: მანგლისის კათედრალი (Imperialism and Architectural Restoration: The Case of Manglisi Cathedral)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
7-8 ივლისი, 2022, ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტი (ETH), ციურიხი, შვეიცარია

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში ძეგლების რესტავრაცია ორი მნიშვნელოვანი მოვლენით იყო განპირობებული - 1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს დაპყრობა და 1811 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. საერთო რწმენის სახელით რუსული საეკლესიო ადმინისტრაცია ერთპიროვნულად იყო პასუხისმგებელი შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო შენობების რესტავრაციაზე და ის ამ პროცესს იმპერიული პროპაგანდისთვის ფართოდ იყენებდა.

მოხსენება ეხება ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტში მდებარე მანგლისის კათედრალს, რომელიც თბილისიდან დაახლოებით 60 კილომეტრში მდებარეობს. მეხუთე საუკუნეში აგებული კათედრალი იმთავითვე იქცა მომლოცველთა მნიშვნელოვან ცენტრად იქ დაცული ქრისტოლოგიური რელიკვიების გამო. 1020-იან წლებში კათედრალი მნიშვნელოვნად გადაკეთდა. მომდევნო საუკუნეებში ის არაერთხელ დაზიანდა შემოსევების დროს.

1824 წელს მანგლისში რუსეთის სამხედრო ნაწილები დაბანაკდა. ეკლესიითა და მისი ადგილმდებარეობით მოხიბლულმა ჯარისკაცებმა ეგზარქოს ისიდორეს თაოსნობით მისი განახლება გადაწყვიტეს. სარესტავრაციო სამუშაოები 1850-იან წლებში დაიწყო. პროცესს სამხედრო არქიტექტორი ჩულკოვი ხელმძღვანელობდა, ხოლო ქვის სამუშაოებს ბერძენი ოსტატები ასრულებდნენ. ამ რესტავრაციას ძეგლის ისტორიული წარწერები და ჩუქურთმები ემსხვერპლა. ისინი ახალი წარწერებითა და დეკორით ჩაანაცვლეს, რაც ახალი რეჟიმისათვის ხოტბის შესხმას ემსახურებოდა. სამხრეთ ფასადზე, მთავარი შესასვლელის ასწვრივ, ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე რუსული იმპერიის გერბი - ორთავიანი არწივის რელიეფი განთავსდა.

მანგლისის კათედრალის რესტავრაციის მაგალითზე მოხსენების ამოცანა იყო ეჩვენებინა როგორ იყენებდა ახალი რეჟიმი მნიშვნელოვან რელიგიურ შენობებს იმპერიული იდენტობის დასამყარებლად; რამდენად მისაღები იყო ძეგლზე გამოყენებული სარესტავრაციო მეთოდები; რა გავლენა იქონია ბერძენი ოსტატების ძეგლზე მუშაობამ რესტავრაციის საბოლოო შედეგზე.

1)მომხსენებელი/მომხსენებლები
ნათია ნაცვლიშვილი

2) მოხსენების სათაური
ქალები, ადგილი და დანახვადობა შუა საუკუნეების საქართველოში
(Women, Place, and Visibility in Medieval Georgia)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
14-15 ოქტომბერი, 2022, ბიზანტინისტთა ასოციაციის მეცამეტე საერთაშორისო კონფერენცია (AEMB), პარიზი, საფრანგეთი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მიუხედავად იმისა, რომ ქალების სეგრეგაცია და მათი დანახვადობა ბიზანტიურ საეკლესიო სივრცეში ბოლო რამდენიმე ათწლეულია კვლევის საგანს წარმოადგენს მწირი და

წინააღმდეგობრივი ისტორიული წყაროების გამო საკითხთან დაკავშირებით კითხვა უფრო მეტია, ვიდრე პასუხი. გამონაკლისს არც შუა საუკუნეების საქართველო წარმოადგენს. ისტორიული საბუთების უქონლობა და დამაბნეველი ტერმინოლოგია მკვლევრისთვის ხელჩასაჭიდს ბევრს არაფერს იძლევა.

მოხსენება ეხებოდა მეთორმეტე საუკუნის თიღვის ეკლესიას, რომლის არქიტექტურა საინტერესოდ წარმოგვიდგენს თუ როგორ განსაზღვრავდა ქალის მიერ ღვთისმსახურების დროს დაკავებული ადგილი ერთი მხრივ მის სოციალურ სტატუსს და მეორე მხრივ მის დანახვადობას.

თიღვის მონასტერი დავით აღმაშენებლის ქალიშვილმა თამარმა დააარსა. 1110-იან წლებში ის შირვანში გაათხოვეს შაჰ მანუჩარ მესამეზე. 1140-იან წლებში თამარი ქმარს გაშორდა და საქართველოში დაბრუნდა. ის აქტიურ როლს ასრულებდა თავისი ძმისშვილისა და საქართველოს მომავალი მეფის გიორგი მესამის აღზრდაში. როგორც ჩანს, სამშობლოში დაბრუნებიდან მალევე თამარმა ზრუნვა დაიწყო საკუთარი საცხოვრებელი და განსასვენებელი ადგილის აგებაზე. 1152 წელს თიღვის მონასტერი აკურთხეს და თამარიც იმავე წელს მონაზვნად აღიკვეცა.

თიღვის ეკლესია ჩაწერილი ჯვრის ტიპს მიეკუთვნება. გუმბათი დასავლეთით ორ თავისუფლად მდგომ ბურჯს, ხოლო აღმოსავლეთით საკურთხევლის შვერილებს ეყრდნობა. დასავლეთ მკლავს მეორე სართულზე დაბალ სვეტებზე გადაყვანილი თაღებით გახსნილი პატრონიკე შემოუყვება. მასზე მოხვედრა მხოლოდ ჩრდილოეთ კედელში, მეორე სართულის დონეზე მოწყობილი კარით არის შესაძლებელი. კარი ხიდით უკავშირდებოდა თამარ დედოფლის საცხოვრებელ რეზიდენციას, რომელიც ეკლესიიდან დაახლოებით 3.5 მეტრის დაშორებით იდგა. ეკლესიის უჩვეულო გეგმარება, რომელიც ცალსახად თამარის მიერ იყო ნაკარნახევი დედოფალყოფილს საშუალებას აძლევდა საკუთარი სენაკის დატოვების გარეშე მოხვედრილიყო ეკლესიაში.

მოხსენების მიზანი იყო ეჩვენებინა თუ რა როლი შეიძლება ითამაშოს არქიტექტურამ შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო სივრცეში ქალის ფიზიკურ დანახვადობასა და მის აღქმაზე შეზღუდვის დაწესებაში.

ნატალია ჩიტიშვილი

მეცნიერ-თანამშრომელი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

ხიდები შუა საუკუნეების საქართველოში

6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ნატალია ჩიტიშვილი, მკვლევარი

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში.

პროექტის შიფრი: FR2017/ FR17_221

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები
6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2018-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
მარიამ დიდებულიძე - პროექტის ხელმძღვანელი
დავით ხოშტარია - მკვლევარი
ნატალია ჩიტიშვილი - კოორდინატორი, მკვლევარი
ქრისტინე საბაშვილი - მკვლევარი
მარინე ყენია - მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
იხ. მ.დიდებულიძის ანგარიში

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1)ავტორი/ავტორები
1. **მარიამ დიდებულიძე**
2. **დავით ხოშტარია**
3. **ქრისტინე საბაშვილი**
4. **ნატალია ჩიტიშვილი**

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
არქიტექტურის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში, მ. დიდებულიძის და დ. ხოშტარიას საერთო რედაქციით, ISBN 978-9941-8-4477-5
თავი:III: **სამგანზომილებიანი არქიტექტურული მოდელები შუა საუკუნეების საქართველოში**

3)გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი,

4)გვერდების რაოდენობა
ჩემი თავი: 109 გვერდი (გვ. 239-348)
(წიგნის გვერდები სულ 365)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სამგანზომილებიანი არქიტექტურული მოდელების შექმნას შუა საუკუნეების საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ჩვენამდე შემორჩენილი ნიმუშები ნათლად აჩვენებს შუა საუკუნეების მშენებელ-ოსტატთა თუ ხელოსანთა გაწაფულობას სხვადასხვა მასალისგან (ხე, ქვა, ლითონი) სხვადასხვა დანიშნულების (ლიტურგიკული თუ მემორიალური) მოდელთა შექმნაში. მათი შესწავლა მნიშვნელოვნად გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ

აღიქვამდნენ ოსტატები რეალურ არქიტექტურას და როგორ გარდაქმნიდნენ მას მცირე ფორმებში, რათა აღქმადი და მისაღები ყოფილიყო მნახველისათვის.

აღმოსავლეთ საქრისტიანოს სხვა რეგიონების მსგავსად, საქართველოშიც არქიტექტურულ მოდელებს სხვადასხვა მიზნით აკეთებდნენ. გვხვდება ეკლესიის ფორმის მქონე აკროტერიონები, საფლავის ძეგლები, სანაწილეები, საცეცხლურები, ბალდაქინები, სეფისკვერის საბეჭდავები და სხვა. სამწუხაროდ, ამ ნივთების დიდი ნაწილი განადგურებულ-დაკარგულია, ნაწილი კი კონტექსტის გარეშეა გაბნეული სხვადასხვა საცავებსა თუ ეკლესია-მონასტერთა ეზოებში, რაც ზოგჯერ ართულებს მათი თავდაპირველი ფუნქციის დადგენას.

თავი შედგება რამდენიმე ქვეთავისგან:

1. აკროტერიონები

ქართულ სატაძრო არქიტექტურაში ფართოდ გამოიყენებოდა ეკლესიის შენობის მოყვანილობის აკროტერიონები. შემორჩენილი ნიმუშების რაოდენობით, ეს ჩვენში შუასაუკუნოვანი სამგანზომილებიანი არქიტექტურული მოდელის ყველაზე გავრცელებული სახეობა ჩანს. აკროტერიონებისათვის ეკლესიის ფორმის მიცემა, საქართველოს გარდა, სომხეთშიც დასტურდება. შემორჩენილ ნიმუშებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ეს ტრადიცია სამხრეთკავკასიური მოვლენაა, რომლის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ქვით მშენებლობის და ქვაში სახეების კვეთის მაღალი კულტურა. რეგიონში სამშენებლო ქვის მოპოვებისა და დამუშავების მრავალსაუკუნოვანი კულტურა არსებობდა, რასაც მოწმობს ჩვენამდე მოღწეული ანტიკური და შუა საუკუნეების საერო თუ რელიგიური დანიშნულების მაღალი არქიტექტურული ღირებულების მქონე ნაგებობები, რომელთა არა მხოლოდ კედლები და კამარები, არამედ ხშირად სახურავიც ქვით არის გაკეთებული. ამ პირობებში ადგილობრივად განვითარდა ქვაში ეკლესიის მოცულობითი გამოქანდაკების ტრადიცია სხვადასხვა დანიშნულებით, მათ შორის აკროტერიონებისთვის.

საქართველოში, როგორც ითქვა, ეკლესიის მოდელის სახის აკროტერიონები, სავარაუდოდ, X საუკუნიდან ჩნდება (უადრესია ნიმუშები კურცხანის ხეობიდან, თრიალეთის ახალქალაქიდან და ტირძნისის სამების ეკლესიიდან). შემდგომ ხანებში ისინი ნელ-ნელა სატაძრო არქიტექტურის არსებით ნაწილად იქცევა, განსაკუთრებით აქტიურად კი მათ XIII საუკუნიდან მოყოლებული აკეთებენ XIX საუკუნემდე - ყოველ შემთხვევაში, წილი შემორჩენილი აკროტერიონებისა ამ პერიოდიდან უფრო მეტია.

კვლევის დროს აკროტერიონთა არსებობა დადასტურდა 50-მდე ეკლესია-მონასტერში, სადაც მათმა საერთო რაოდენობამ 100-მდე მიაღწია. ამ აკროტერიონთაგან ნაწილი ახლა მუზეუმებშია გადატანილი, ზოგიც უკვე აღარ არსებობს და მხოლოდ XIX საუკუნისა და XX საუკუნის I ნახევრის სიძველეთმცოდნეების ჩანაწერებითა და ძველი ნახაზებითა თუ ფოტოსურათებით არის ცნობილი (მაგალითად, ეკლესიის მოდელები წრომიდან, ანანურიდან, საფარის მონასტრიდან).

საქართველოში გვხვდება როგორც გუმბათიანი, ასევე უგუმბათო ეკლესიის ფორმის აკროტერიონები. არსებულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ძირითადად აკროტერიონებად გამოიყენებოდა ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის მოდელები _ როგორც ჩახაზული, ისე თავისუფალი ჯვრის ტიპისა. შედარებით ნაკლებად მიმართავენ აკროტერიონების შემქმნელი ქვისმთლელები უგუმბათო არქიტექტურას, კერძოდ დარბაზულ (ცალნავიან) ტიპს. რაოდენობრივი არათანაფარდობა გუმბათიან და უგუმბათო მოდელებს შორის აიხსნება იმით, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ოსტატებისთვის თვითმიზანი არასოდეს ყოფილა რეალური ტაძრის არქიტექტურული ფორმის ზუსტი ასახვა. შორიდან აღქმისას ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის სტრუქტურა უფრო თვალსაჩინო და გაიგივებადი არქიტექტურული ფორმაა, ვიდრე დარბაზული ეკლესიის ერთიანი მართკუთხა მოცულობა. ამიტომაც უგუმბათო ეკლესიებზეც კი უმეტესად

ჯვარგუმბათოვანი სახის აკროტერიონები იდგმებოდა. სომხეთში დარბაზული ეკლესიის სახის მოდელები საერთოდ არ არის ცნობილი, იქ აკროტერიონები ყოველთვის გუმბათიანია.

2. სხვადასხვა დანიშნულების ქვის მოდელები

გარდა აკროტერიონებისა, შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესიათა სამგანზომილებიან ქვის მოდელებს ფართოდ იყენებდნენ სხვა დანიშნულებითაც. კერძოდ, შემორჩენილია მემორიალური ფუნქციის მოდელები - ეკლესიის სახის საფლავის ქვები. მათი ზუსტი დათარიღება რთულია, რადგან წარმოდგენილი არქიტექტურა ძალიან განზოგადებული ხასიათისაა და, როგორც წესი, რომელიმე ეპოქისათვის დამახასიათებელ ხუროთმოძღვრულ ელემენტებს არ გვიჩვენებს. მათზე არც წარწერებია შემორჩენილი, რაც დაგვეხმარებოდა ქვების დათარიღებაში. ის კი ცხადია, რომ ეკლესიის მოდელების საფლავის ძეგლებად გამოყენებას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა საქართველოში და ის XIX საუკუნეშიც გაგრძელდა.

ეკლესიის ფორმის საფლავის ქვები ორად შეიძლება დაჯგუფდეს: ვერძის ქანდაკებაზე მდგარი ეკლესიის მოდელები, რომლებიც ვერძთან ერთად ერთიან მასიურ ქვაშია გამოთლილი და დამოუკიდებლად მდგარი ეკლესიის მოდელები. ორსავე შემთხვევაში ეკლესიათა ტიპოლოგია მრავალფეროვანია. გუმბათიანი ტაძრებიდან გვხვდება როგორც თავისუფალი ჯვრის (საფლავის ქვები ტბისიდან და ორჯალარიდან), ასევე ჩაწერილი ჯვრის ტიპის ტაძრები (ქილდა). ასევე ფართოდ მიმართავენ უგუმბათო არქიტექტურასაც, ძირითადად დარბაზულ ეკლესიებს (სამსარა, პრტენა, ბუზავეთი, თორია). სათხის ეკლესიის ეზოში მდგარ ვერძს სამნავიანი ბაზილიკაც კი ადგას ზურგზე.

ყველა შემთხვევაში სახვითი ენა პირობითი და განზოგადებულია. საფლავის ქვები არ ასახავს რომელიმე კონკრეტულ ეკლესიას. არის შემთხვევები, როდესაც ვერძზე მხოლოდ გუმბათია დასმული, ზოგჯერ სულაც ყელის გარეშე _ მხოლოდ გადახურვა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ზედ კრამიტისა თუ ლორფინის საბურველია მინიშნებული, მნახველზე ძნელად თუ ტოვებს გუმბათის შთაბეჭდილებას.

3. ეკლესიის სამგანზომილებიანი მოდელის ფორმის ლითონის ნაწარმი

ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში საეკლესიო ლიტურგიკულ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ლითონისგან (ბრინჯაო, ვერცხლი, ოქრო) დამზადებული ეკლესიის ფორმის ნივთები, იქნებოდა ეს საცეცხლურები, სანაწილეები, საწინამძღვრო თუ საპროცესიო ჯვრების ბუნები, სხვადასხვა ტიპის ლამპრები, აკროტერიონები და სხვა.

საქართველოში ლიტურგიკული დანიშნულების ლითონის ნივთები საკმაოდ დიდი რაოდენობით შემორჩა, თუმცა ბევრად მეტი საუკუნეების განმავლობაში და განსაკუთრებით კი 1920-იანი წლების ანტირელიგიური მოძრაობის დროს განადგურდა. ჩვენამდე მოღწეულ ნივთთაგან ცოტას თუ აქვს ეკლესიას ან ეკლესიის ამა თუ იმ ნაწილს მიმსგავსებული ფორმა. ძირითადად ესენია საცეცხლურები და საწინამძღვრო ჯვრების ბუნები, რომლებიც გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება. საქართველოში შემორჩენილ ეკლესიის ფორმის საცეცხლურთაგან ერთ-ერთი უადრესი - სავარაუდოდ, XVII საუკუნისა - მომდინარეობს ახალი შუამთის მონასტრიდან.

ქრისტიანულ დასავლეთსა და აღმოსავლეთში შემორჩენილი საცეცხლურები ან სრულად გადმოგვცემს ტაძრის აღნაგობას (მაგალითად, ტისმანის მონასტრის საცეცხლური, რუმინეთი, XVI საუკუნე), ან ნაწილობრივ, რაც გამოიხატება საცეცხლურის ზედა ნაწილისათვის ერთი ან რამდენიმე გუმბათის ფორმის მიცემაში. საქართველოში გვხვდება მხოლოდ საცეცხლურები ეკლესიის ზედა ნაწილის არქიტექტურული ფორმით. ორ შემთხვევაში ესაა ხუთგუმბათიანი საცეცხლურები (ნიკორწმინდიდან _ ქიმ #3763/362 და სოფ. ჩხუტელიდან – ცაგერის მუზეუმი), ერთ შემთხვევაში _ შვიდგუმბათიანი (ახალციხის მუზეუმი). დანარჩენ საცეცხლურებს ერთი გუმბათი ამკობს.

ამ ნივთების გამომჭედავ ოსტატთა მიზანი საეკლესიო ნაგებობის რამდენადმე სრულად ასახვა არ არის. მათი მიზანია საცეცხლურის შექმნა, რომელიც ფორმით ეკლესიის ყველაზე სახასიათო ელემენტთან ასოცირდება. მნახველისთვის გუმბათებით წარმოდგენილი არქიტექტურა საკმარისი იქნებოდა, რათა მათში ამოეკითხათ საცეცხლურთა სიმბოლური საზრისი და დაენახათ ეკლესიით გადმოცემული ზეციური იერუსალიმის ხატება.

4. არქიტექტურული მოდელები ეკლესიის ინტერიერში

საქართველოში რამდენიმე ტაძრის ინტერიერში შემოინახა სხვადასხვა დანიშნულების მცირე არქიტექტურული ფორმები, რომლებიც ასე თუ ისე ასახავს ეკლესიის შენობას. უნდა ითქვას, რომ მათი რაოდენობა ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დიდი ნაწილი შეეწირა ჟამთა ავბედითობასა და განსაკუთრებით კი 1920-იანი წლების ანტირელიგიურ მოძრაობას.

შემორჩენილ ნიმუშთაგან ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანი, მაგრამ მხატვრულ-ისტორიულად უთუოდ ყველაზე საინტერესოა ხის ბალდაქინი, რომელიც ნიკორწმინდის საკათედრო ტაძრის საკურთხეველში, ტრაპეზის ზემოთ, კედლებში ჩამაგრებულ ორ ჰორიზონტალურ ძელზე მოწყობილ ხისავე კვადრატულ პლატფორმაზე დგას. ბალდაქინი მთლიანად მოხატულია როგორც გარედან, ისე შიგნიდან.

ნიკორწმინდის ბალდაქინი გელათის მონასტრის ღმრთისმშობლის შობის ტაძრის არქიტექტურულ მოდელს წარმოადგენს. ბალდაქინის ფრთებზე გამოსახული სცენები, მათი იკონოგრაფია და შესრულების მანერა, სადაც აშკარად ვლინდება უკვე XVII საუკუნეში თავჩენილი ტენდენცია ევროპული ნიმუშების მიბაძვისა, დიდ მსგავსებას პოულობს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ისეთ ძეგლებთან, როგორიცაა მაგალითად ხის ჭვირული იკონოსტასი გელათის ჩრდილო-აღმოსავლეთ ეგვტერში და ამავე ტაძრის ჩრდილო-დასავლეთი ეგვტერის ტემპლონის მოხატულობა. მათი შექმნა უკავშირდება 1770-იან წლებში გელათში მოღვაწე ზაქარია გაბაშვილის (1717-1783) მიერ მონასტერში შექმნილ კალიგრაფიულ და სამხატვრო სკოლას. ჩემი აზრით, სწორედ ამ სკოლაში უნდა იყოს დამზადებული ნიკორწმინდის სალხინებელიც.

საქართველოში ეკლესიის მოდელით გაფორმებული სხვა ტრაპეზზედა ბალდაქინი ჩემთვის არაა ცნობილი, მაგრამ არის სხვა არქიტექტურული სახისა და დანიშნულების ბალდაქინები. XVII საუკუნიდან მოყოლებული ქართულ ეკლესიათა ინტერიერებში გვხვდება სამეფო და სამღვდელმთავრო საყდრები ორ და ან ოთხ სვეტზე დაფუძნებული გადახურვით, რომლის არქიტექტურული გადაწყვეტაც ასე თუ ისე ჰბაძავს ტაძრის გუმბათის ფორმას.

საქართველოში ეკლესიათა ინტერიერის შესამკობად გამოიყენებოდა ხოლმე ეკლესიის ფორმის არქიტექტურული ელემენტები, რომლებიც სხვადასხვა მასალისგან მზადდებოდა. ხისგან დამზადებული ეკლესიები აქტიურად გამოიყენებოდა ზოგადად ბიზანტიურ სამყაროში, რასაც მოწმობს ასევე გვიანი საუკუნეების მასალა სამღვდელმთავრო საყდრების, ბალდაქინებისა და მოდელების სახით. ისინი მონიშნავდნენ ლიტურგიულად თუ იერარქიულად მნიშვნელოვან ადგილებს ტაძრის სივრცეში (განსაკუთრებით XVI საუკუნიდან მოყოლებული მრავლადაა შემორჩენილი სამღვდელმთავრო საყდრები დასრულებული შენობის ფორმებით); მათ ასევე იყენებდნენ საეკლესიო პროცესიებისათვისაც.

4, უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

კულტურული ურთიერთკავშირები შუა საუკუნეების სამხრეთ კავკასიაში: ისტორიოგრაფიული და სახელოვნებათმცოდნეო-ისტორიული პერსპექტივები.

2021-2023, ჩართული ვარ როგორც დოქტორანტი, მკვლევარი.

ფრიბურგის და ბრნოს უნივერსიტეტების ერთობლივი პროექტი რომელსაც აფინანსებს შვეიცარიის ეროვნული ფონდი (SNF).

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8. 2.უცხოეთში
1)მომხსენებელი/მომხსენებლები
ნატალია ჩიტიშვილი

2) მოხსენების სათაური
ლიტურგიკული გეგმარების ზოგიერთი ასპექტი სამხრეთ კავკასიაში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
მხატვრული კავშირები კავკასიაში: ახალი კვლევები და პერსპექტივები: 2022, ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია

*მოხსენების **ანოტაცია** (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*
მოხსენება შეეხებოდა ლიტურგიკული გეგმარების ზოგიერთ ასპექტს ქართულ და სომხურ არქიტექტურაში. განხილული იყო ორი ძირითადი საკითხი: სამრევლო სივრცის დანაწევრება და დამხმარე სივრცეთა ფუნქციური დანიშნულება. მოხსენებაში საუბარი იყო ისეთ ძეგლებზე როგორიცაა ბოლნისის სიონი, ვანათისა და ქვემო ბოლნისის ეკლესიები, სვეტიცხოველი, ერერუიქი, ავანი, წიწერნავანქი. სომხური და ქართული საეკლესიო არქიტექტურის ძეგლები განხილული იყო ვრცელ ქრისტიანული აღმოსავლეთის კონტექსტში, არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე.

ქრისტინე საბაშვილი
მეცნიერ-თანამშრომელი

1.სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

მეფეთა გამოსახულებები ქართული ნუმიზმატიკის ნიმუშებზე

2022–2024 (გარდამავალი)

6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1.ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ქრისტინე საბაშვილი –მკვლევარი

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო –კვლევითი პროექტები

3.1

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **სამეფო ატრიბუტიკა ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში** ,

საიდენტიფიკაციო კოდი: FR-21-5352

დაწყების და დამთავრების წლები : 2022–2025

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

თამარ ხუნდაძე – პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი

ქრისტინე საბაშვილი – პროექტის კოორდინატორი , მკვლევარი

ანა კლდიაშვილი – მკვლევარი

ქეთევან მიქელაძე – მკვლევარი

თამარ დადიანი– მკვლევარი

მარიამ გველესიანი – მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

იხ. თამარ ხუნდაძის ანგარიში

2.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში.

საიდენტიფიკაციო კოდი: FR2017/ FR17_221

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 2018-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

მარიამ დიდებულიძე - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი

ნატალია ჩიტიშვილი - პროექტის კოორდინატორი,მკვლევარი

დავით ხოშტარია - მკვლევარი

ქრისტინე საბაშვილი - მკვლევარი

მარინე ყენია - მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული

შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

იხ. მ. დიდებულიძის ანგარიში

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1)ავტორი/ავტორები
1. მარიამ დიდებულიძე
2. დავით ხოშტარია
3. ქრისტინე საბაშვილი
4. ნატალია ჩიტიშვილი

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
არქიტექტურის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში, მ. დიდებულიძის და დ. ხოშტარიას საერთო რედაქციით, ISBN 978-9941-8-4477-5
თავი: სამგანზომილებიანი არქიტექტურული მოდელები შუა საუკუნეების საქართველოში 365 გვ

3)გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი,
იხ. მ. დიდებულიძის ანგარიში

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.2. უცხოეთში

მომხსენებელი/ მომხსენებლები; მოხსენების სათაური;ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.ვორქშოპი,ფორუმი : MMA Summer Research program (supported by Byzantine Studies Association of North America, the Medieval Academy of America)

მომხსენებელი: **ქრისტინე საბაშვილი**

მოხსენების სათაური: Cultural Border and Art in the Early Medieval South Caucasus

ჩატარების დრო და ადგილი: Yale University ,17-19 August ,

2.საერთაშორისო კონფერენცია : International online colloquium: Artists and Craftsmen on the Road: Georgian Medieval Architectural Sculpture in Interaction with Neighbouring Cultures

მომხსენებლები: **თამარ ხუნდაძე, ქრისტინე საბაშვილი**

მოხსენების სათაური: Royal “portraits” and their attributes as represented in 10th-11th c. Georgian sculpture

ჩატარების დრო და ადგილი : Kunstgeschichtliches Institute, Ruhr Universitat, Bochum, 04-05 November, 2022

მანონ ლილუაშვილი

მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

შროშანის მოტივი XVII-XVIII საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში
2022-2023

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
მანონ ლილუაშვილი (მკვლევარი)

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები:
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ორნამენტულ რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შროშანის მოტივს. ეს არის სამკუთხა საფუძველზე გამობმული სამყურა ყვავილი, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში ახალი და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოტივია. ის დროის საკმაოდ ვიწრო მონაკვეთის მანძილზე გვხვდება - ჩნდება XVII საუკუნის შუა ხანაში და ქრება XVIII საუკუნის ბოლოსთვის. აღსანიშნავია, რომ ასეთი ჩუქურთმით გაფორმებული ეკლესიების ნიმუშები ძირითადად ქართლსა და კახეთში იძებნება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მუხრანის, საგარეჯოს პეტრე-პავლეს, გორულის წმ. ნიკოლოზის, თეკენების „შველის ეკლესია“ და სხვა. შროშანების მწკრივი, როგორც წესი, ეკლესიის კარს ან სარკმლის საპირეს ამკობს. ზოგჯერ აღინიშნება მოტივის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. გვხვდება შედარებით გართულებული სახით ან გამარტივებული. შროშანის მოტივით გაფორმებულია ამავე ხანის საფლავის ძეგლებიც (ედიშერ ერისთავის საფლავის ბალდაქინი, საფლავის ქვები ღოუბანსა და ბოლნისში), კანკელი, ტრაპეზის ბალდაქინი, იარაღი, ქსოვილები და სხვა.

ვფიქრობ, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ასეთი სახის შროშანის მოტივის გაჩენა და გავრცელება ისლამურ სამყაროსთან ჩვენი ქვეყნის მჭიდრო კულტურული კავშირებით უნდა აიხსნას. თუმცა, კვლევის ამ ეტაპზე ეს მხოლოდ წინასწარი ვარაუდი შეიძლება იყოს.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

„მემორიალური ძეგლები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში“.
(სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

HE-18-339

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 26.07.2018 - 07.10.2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (ხელმძღვანელი)
2. გიორგი პაპაშვილი (კოორდინატორი)
3. მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი)
4. ნოდარ არონიშიძე (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)

3.2 დასრულებული (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში XVIII-XIX საუკუნეების ფიგურულრელიეფიან და არქიტექტურულად გადაწყვეტილ მემორიალურ ძეგლთა მოკვლევას, ფოტოფიქსაციას, საარქივო, სამუზეუმო, ბიბლიოგრაფიულ შესწავლას და კვლევის შედეგების მონოგრაფიის სახით გამოქვეყნებას ქართულ და ინგლისურ ენებზე.
კვლევის პროცესში ქრონოლოგიური ფარგლები გაფართოვდა და მოიცვა პერიოდი XVII საუკუნიდან XX საუკუნემდე.

შესრულდა პროექტის ფარგლებში დასახული შემდეგი ამოცანები:

1. შედგა მემორიალურ მრავალრიცხოვან ძეგლთა ანოტირებული ნუსხა (გეოგრაფიული საძიებლებით). საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაფანტული მემორიალური ძეგლების მოძიების მიზნით მოეწყო ექსპედიციები. მოხდა საველე სამუშაოების დროს მიკვლეული ძეგლების აღნუსხვა, ფოტოფიქსაცია, აზომვა, ძეგლთა კლასიფიკაცია, ტიპოლოგიური დაჯგუფება.

2. მოხდა XVII -XX საუკუნეების მემორიალური ძეგლების გამოსახულებათა იდენტიფიკაცია-დათარიღება; შეგროვებული და კლასიფიცირებული ძეგლების გამოსახულებათა კომპოზიციებისა და პირთა იდენტიფიკაცია, ასევე ეპიტაფიებსა და შესრულების სტილზე დაყრდნობით მათი დათარიღება.
3. განისაზღვრა მემორიალური ძეგლების გამოსახულებათა თემატიკა, იკონოგრაფია, სტილი, სპეციფიკა. გამოიკვეთა რეგიონალური ნიშნები და მოხდა ძეგლების გამოსახულებათა გავრცელებული თემატიკისა და რეპერტუარის ტიპოლოგიზაცია-დაჯგუფება. კვლევამ გამოკვეთა ქართული მემორიალური ძეგლების კომპოზიციური და მხატვრული გადაწყვეტის თვითმყოფადობა. კვლევამ ასევე დააზუსტა საქართველოში დაკრძალვის რიტუალის შუა საუკუნეების ტრადიციის განვითარება და მისი შემდგომი დროის პრაქტიკასთან მიმართების საკითხი, რომელმაც ერთგვარი ასახვა პოვა მემორიალურ ძეგლთა კომპოზიციათა თავისებურებაზეც.
4. გამოიკვეთა საქართველოში მემორიალურ ძეგლთა განვითარების საერთო სურათი ეპოქის სახვითი ხელოვნების კონტექსტში. გამოვლინდა მემორიალური ძეგლების კომპოზიციათა თანადროულ საეკლესიო ქანდაკებასთან ურთიერთმიმართების საკითხები; განისაზღვრა XIX-XX საუკუნეების მემორიალური ძეგლების როლი და ურთიერთგავლენები თანადროულ მხატვრობასა და ფოტოგრაფიაში, აგრეთვე სახვითი ხელოვნების სხვა დარგებსა და არქიტექტურაში. დადგინდა მემორიალურ ძეგლებზე რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი და პოლიტიკური ცვლილებების ზეგავლენა.
პროექტის დასრულების შედეგად გამოიცა უხვად დასურათებული მონოგრაფია „საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში“ ქართულ და ინგლისურ ენებზე.
პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ მეტი შუქი მოჰფინა გვიანი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის (XVII საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე) ქართული მემორიალური ძეგლების რაობის, თვითმყოფადობისა და სპეციფიკურობის საკითხს, რამაც ამავდროულად წარმოაჩინა ზოგადად საქართველოში მემორიალური კულტურის მსოფლმხედველობრივი და მხატვრული კონცეფცია. კვლევა ასახავს საქართველოში დაკრძალვის ტრადიციასა და მეხსიერების ადგილების მონუმენტებით შემკობის წესს, მხატვრული ფორმების ნაირგვარობას, სახვითი ენის სიმბოლურობას, ქართული შუა საუკუნეების და თანადროული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების კონტექსტის გათვალისწინებით. ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებული ეს საკითხები ხელს შეუწყობს შუა საუკუნეების ქართული სულიერი და მხატვრული კულტურის უფრო ღრმა გაგებას.

პროექტის შედეგი არა მხოლოდ მონაცემებისა და ფაქტების თავმოყრაა, არამედ მეთოდოლოგიურად ინოვაციური გამოკვლევა, რამაც გამოავლინა ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის მრავლისმომცველი და გლობალური ასპექტები და საინტერესოა მემორიალური კულტურის ძეგლებით დაინტერესებული ნებისმიერი უცხოელი მკვლევრისათვისაც. პროექტის შედეგად შექმნილი მემორიალური ძეგლების ბაზა (ფოტოები, სქემები, საარქივო მასალა) სრულად გადაეცა გ.ჩუბინაშვილის ცენტრს, სადაც შეინახება იგი ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიაში და არქივში. მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორ ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებისთვის, ისე ნებისმიერი მსურველისათვის.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გვერდების რაოდენობა

1. **საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში (ე. კვაჭატაძე, ს.ლეჟავა, მ.ლილუაშვილი, გ.პაპაშვილი, ნ.არონიშიძე), თბ. 2022 (372 გვერდი).**
ISBN 978-9941-8-3727-2
2. **The Funerary Monuments of Georgia From the Seventeenth to the Nineteenth Centuries (E. Kvachatadze, S.Lejava, M.Liluashvili, G.Papashvili, N.Aronishidze), Tb. 2022 (332 p).**
ISBN 978-9941-8-3785-2

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
იხ. ე. კვაჭატაძეს ანგარიში

თამარ დადიანი

მეცნიერ-თანამშრომელი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები:
   1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
      1. **„წმ. თევდორეს იკონოგრაფია შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში“,** ხელოვნების ისტორია, ქართული შუა საუკუნეების ხელოვნება
      2. 2021-2021
   2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
      1. თამარ დადიანი – პროექტის შემსრულებელი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წლიური თემა ეხება წმ. თევდორეს იკონოგრაფიას შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგში (ქვის რელიეფი, ჭედურობა, ხატწერა, მონუმენტური მხატვრობა) და გულისხმობს ვრცელ შედარებით ანალიზს უცხოური მასალის მოხმობით. თემის ნაწილი, ცალკე თავის სახით, შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში შედის („წმინდა მეომართა კულტი და გამოსახულებანი შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში“).

პროექტის შესრულების მეორე წელს მოხდა ხატწერისა და მონუმენტური მხატვრობის იკონოგრაფიული ანალიზი (ძირითადად სვანეთის, ქართლისა და კახეთის მასალის მაგალითზე) და შედარებითი ანალიზი (კაბადოკიური, ბიზანტიური, ბერძნული მასალა).

წმ. თევდორეს იკონოგრაფია, რომელიც საკმაოდ ადრე ჩამოყალიბდა, საქართველოში ყოველთვის კლასიკური სქემებით ხასიათდებოდა. X საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე გვიან შუა საუკუნეებამდე ქართველი ოსტატები ბიზანტიურ და ბერძნულ მხატვრულ ტრადიციებს ეყრდნობოდნენ. X-XIII საუკუნეების ხატები და მოხატულობები ადვილად პოულობენ პარალელებს ოსიოს ლუკას, ნეა მონის, ათონისა და წმ. ეკატერინეს მონასტრის კომპოზიციებთან. ამასთანავე, კარგად ჩანს ის თავისებურებებიც, რომელიც საქართველოში ყოველთვის საინტერესოდ იჩენდა თავს.

როგორც ვთქვით, ძალზე პოპულარული იყო წმ. თევდორეს კრებითი სახე, წმ. თევდორე ტირონისა და წმ. თევდორე სტრატილატის იკონოგრაფიულ ნიშანთა "გადანაწილება". ზოგჯერ გამოსახულებები წმ. თევდორე სტრატილატის მკაფიო ნიშნებს ატარებდა (ხატები, მოხატულობები). ზოგჯერ კი წმინდანის იკონოგრაფია საკმაოდ იშვიათი ფორმებით ვლინდებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ წმ. თევდორეს საქართველოში გრძელი და მდიდარი ისტორია ჰქონდა. ერთის მხრივ, ქართულ სახვით ხელოვნებაში ის ძირითადად, როგორც წმ. გიორგის თანმხლები გვევულება, თუმცა გვაქვს მაგალითები წმ. თევდორეს დამოუკიდებელი გამოსახულებებისა. ქართული ფერწერული ანსამბლებიც გვიჩვენებს წმ. თევდორეს განსაკუთრებულ როლს იკონოგრაფიულ პროგრამებში, სადაც მისი სახე ზოგჯერ ზომითა და კომპოზიციური ხერხებით, ზოგჯერ კი სცენათა აზრობრივი "გადაკვეთებით" იყო ხაზგასმული. ცალკეულ ანსამბლთა იკონოგრაფიულმა ანალიზმა კარგად დაგვანახა, რომ წმ. თევდორეს სახეს ღრმად საკრალური, ევქარისტიული სამსხვერპლო მნიშვნელობაც ჰქონდა მინიჭებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის არა მხოლოდ ქრისტიანულ საიდუმლოთა მცველად გაიაზრებოდა, არამედ მლოცველთათვის მსხვერპლისა და ცხონების დოგმებსაც შეახსენებდა.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1 1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„სამეფო ატრიბუტიკა ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში", ხელოვნების ისტორია, ქართული შუა საუკუნეების ხელოვნება, FR-19-7356**
2. 2022-2025

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თ. ხუნდაძე – ხელმძღვანელი
2. ქ. მიქელაძე – მკვლევარი
3. ა. კლდიაშვილი – მკვლევარი
4. მ. გველესიანი – მკვლევარი
5. ქრისტინე საბაშვილი – მკვლევარი, კოორდინატორი

6. თ. დადიანი – მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი „სამეფო ატრიბუტიკა ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში“ მიზნად ისახავს შუა საუკუნეების საქართველოს უმაღლეს საერო ხელისუფალთა ინსიგნიების (დიადემა–გვირგვინი-თავსაბური, კვერთხი-სკიპტრა და სხვ.) ამსახველი მასალის კვლევას. პროექტის ფარგლებში დამევალა ჭედურობასა და ხელნაწერებში შემონახული მასალის შესწავლა/გაანალიზება. 2022 წლის განმავლობაში მოხდა მასალის, სამეცნიერო ლიტერატურის (სახელოვნებათმცოდნეო და ისტორიული კვლევები) დამუშავება, ასევე ჭედურ ხატებზე მუშაობა. სამეფო ატრიბუტიკა ჭედურობაში გვიანი პერიოდის (XVI-XVIII სს.) ხატებზე გვხვდება. ესაა საქტიტორო კომპოზიციები ქართველ მეფეთა და თავადთა (გურიელები, დადიანები) პორტრეტებით, რაც მასალის ინტერდისციპლინარულ შესწავლას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რეგალიების ინტერპრეტაცია ისტორიულ კონტექსტში. მაგალითად, XVI საუკუნის გელათის ხატზე იმერეთის მეფე ბაგრატ III ბიზანტიური ინსიგნიებითაა წარმოდგენილი. სულ სხვა ტიპისაა კორცხელის („წინასწარმეტყველთა“) ხატი (1640 წ.) ლევან დადიანის ოჯახის საქტიტორო გამოსახულებებით. დადიანები აღმოსავლური ყაიდის რეგალიებით წარმოგვიდგებიან. ამ პერიოდის გვირგვინთა ფორმები ძველ ქართულ ტრადიციებთან ინარჩუნებს კავშირს და, ამასთანავე, თანადროული ისტორიული ტენდენციების გამომხატველია.

2.2

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„წმინდა მეომართა კულტი და გამოსახულებანი შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში“,** ხელოვნების ისტორია, ქართული შუა საუკუნეების ხელოვნება,

FR-19-10194; 2. 2020-2023

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე გედევანიშვილი – ხელმძღვანელი

2. ირმა მამასახლისი – კოორდინატორი და პროექტის მონაწილე

3. ნიკოლოზ ალექსიძე, ქეთევან მამასახლისი, თამარ დადიანი – პროექტის მონაწილეები

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წმ. გრიგოლ ნოსელი მოგვითხრობს წმ. თევდორეს ხატის შესახებ, რომელიც ოდესღაც წმინდა მეომრის ტაძარს ამშვენებდა. ღვთისმეტყველის ლაკონიური აღწერა წმინდანის სასამართლოს, წამებისა და სიკვდილის ამსახველ სცენებს გვიხატავს. თუმცა ჩვენამდე მოღწეული ადრეული შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშებში წმ. თევდორეს ჰაგიოგრაფიული ციკლები არსად გვხვდება და უფრო გვიანი პერიოდის ნიმუშებით არის ცნობილი (მაგალითად, რუსული ხატები (XVI ს.); ბერძნული ხატი ციხიჯვარიდან (1878 წ.), რომელზედაც გველეშაპთან შებრძოლების სცენის ქვემოთ "ცხორების" ოთხი კომპოზიციაა გაშლილი). სირია-პალესტინის, მცირე აზიისა და კავკასიის, ასევე იტალიის შუასაუკუნეობრივ ხელოვნებაში, სადაც წმ. თევდორეს კულტი განსაკუთრებით იყო გავრცელებული, ძირითადად მხოლოდ ვეშაპთან მებრძოლი წმინდა მეომრის ცალკეულ, ხატისებრ გამოსახულებებს თუ ვნახავთ. ეს ტენდენცია საქართველოშიც არსებობს, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ცხოვრების ციკლები და წმინდა მეომართა მიერ ვეშაპის (ან ადამიანის, დემონის) განგმირვის მოკლე სცენები დამოუკიდებლად, ერთმანეთის პარალელურად ვითარდებოდა. ამგვარი კომპოზიციური ფორმულა (არქეტიპული და ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მომდინარე) უადრესი დროიდან ჩნდება ქრისტიანულ ხელოვნებაში – იმპერატორთა და წმინდანთა იკონოგრაფიაში. ამდენად, როგორც ჩანს, ვეშაპის მლახვრელი წმ. თევდორეს ხატისებრი კომპოზიციებიც არ უკავშირდებოდა მის ციკლს (მიუხედავად იმისა, რომ წმინდანი უკვე VIII საუკუნის წყაროებში ვეშაპთან მებრძოლად არის ცნობილი).

ურჩხულთა განმგმირავი მეომრების ამსახველი ფორმულა ქრისტიანული წმინდანებისათვის ტრადიციული გახდა. ამდაგვარი ზოგადი, ყველასათვის საერთო სქემით ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში გამოიხატებოდნენ, როგორც წმ. გიორგი, ასევე წმ. თევდორეც. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ წმ. თევდორეს იკონოგრაფიის ორი შესაძლებელი ვარიანტიდან – ლაკონიური ხატურ-სიმბოლური სახე და თხრობითი ციკლი – შემდგომი გაგრძელება მხოლოდ ერთმა პოვა.

ამავდროულად, ქართულ ხელოვნებაში წმ. თევდორე, ტრადიციისამებრ, წმ. გიორგის თანმხლებად გვევლინება (კაპადოკიური მონუმენტური მხატვრობის მსგავსად), თუმცა წმინდანის მნიშვნელობა ქართველებისათვის არაერთი ლიტერატურული წყაროთი თუ ხელოვნების ნიმუშით დასტურდება.

ნოდარ არონიშიძე

მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„მატანის ცხრაკარა“ - ტიპოლოგიურ თავისებურებათა გამო** - ხელოვნების ისტორია, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.ნოდარ არონიშიძე - მკვლევარი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. „მატანის ცხრაკარა“ - ტიპოლოგიურ თავისებურებათა გამო - ხელოვნების ისტორია, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნოდარ არონიშიძე - მკვლევარი

გარდამავალი კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომი წარმოადგენს შუა საუკუნეების გამორჩეული ძეგლის, მატანის „ცხრაკარას“ ცენტრალური და იმავდროულად უძველესი ნაგებობის ახლებურ კვლევას. მატანის კომპლექსის უძველესი ნაგებობა მიჩნეული იყო V საუკუნის ძეგლად და მისი ამგვარი დათარიღება გ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის. მკვლევარის მიერ ძეგლის V საუკუნით დათარიღებას, ცხადია, გააჩნდა გარკვეული სამეცნიერო საფუძველი და ის უმთავრესად ძველი შუამთის ბაზილიკასთან კავშირს გულისხმობდა. გეგმარებითი თვალსაზრისით ესოდენ მსგავსი ძეგლები, როგორებიცაა ძველი შუამთის V საუკუნის ბაზილიკა და მატანის „ცხრაკარა“ აჩენდა გარკვეულ ასოციაციას, რაც გახდა საფუძველი მატანის აღნიშნული ძეგლისასევე V საუკუნით დათარიღებისა.

გასულ წელს „პროგრამული კვლევების“ ფარგლებში ჩვენ მიერ ძეგლი დათარიღებულ იქნა VIII-IX საუკუნეებით. აღსანიშნავია, რომ მატანის ბაზილიკის გადათარიღებისთვის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა გარდამავალი ხანის ორნავიანი ეკლესიების უმნიშვნელოვანესი ჯგუფი, რომელიც სრულად VIII-IX საუკუნეების ნიშნეულ აღმშენებლობას წარმოადგენს. შესაბამისად, გეგმარებითი თავისებურებების, სივრცითი მოწყობის, დეკორატიული ელემენტებისა თუ საერთო სტილისტური გააზრებით მატანის „ცხრაკარა“ VIII-IX საუკუნეების ძეგლად უნდა ჩაითვალოს.

ძეგლის შესწავლის პროცესში, მისი საერთო გეგმარების ანალიზისა და ინტერიერის მოწყობის პრინციპების მიხედვით, როგორც ზემოთ უკვე იქნა შენიშნული, გამოაშკარავდა არსებითი კავშირი აღნიშნულ ძეგლსა და ორნავიან ეკლესიებს შორის. გეგმის მოწყობისა და ინტერიერის გააზრების თვალსაზრისით არსებითად გვესახება სამნავიანი ბაზილიკის ზოგიერთი ნიმუშისა და ორნავიანი ეკლესიების ურთიერთშედარება. გარდამავალი კვლევის ფარგლებში სწორედ ამ შედარებითი ანალიზის შედეგად მიღებული შედეგები იქნება წარმოჩენილი. მიგვაჩნია, რომ გარდამავალ ხანაში, VIII-IX საუკუნეებში, სამნავიან ბაზილიკად მიჩნეული რამდენიმე ძეგლი, შესაძლოა სხვაგვარად იქნეს გააზრებული და დაზუსტდეს მათი ტიპოლოგიური კუთვნილება-თავისებურება. აღსანიშნავია, რომ მოცემული კვლევის ფარგლებში ჩნდება ნაგებობათა ჯგუფი, რომელთა გეგმარებითი თავისებურება ნაკარნახევია როგორც სამნავიანი ბაზილიკის ისე, ორნავიანი ეკლესიის საერთო გამოცდილებით საფუძველში.

გარდამავალი კვლევის საგანს კვლავაც „მატანის ცხრაკარა“ წარმოადგენს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში კვლევის მიზანია ამ უკანასკნელის ტიპოლოგიური თავისებურების გამორკვევა.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.2. დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.„საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში“ - ხელოვნების ისტორია, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება; HE-18-339 26/07/18; 2018-2022;

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე - პროექტის ხელმძღვანელი; გიორგი პაპაშვილი - კოორდინატორი; მანონ ლილუაშვილი - მკვლევარი; ნოდარ არონიშიძე - მკვლევარი; სამსონ ლეჟავა - რედაქტორი; ელდარ ნადირაძე - კონსულტანტი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

იხ. ე. კვაჭატაძის ანგარიში

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გვერდების რაოდენობა

1. **საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში (ე. კვაჭატაძე, ს.ლეჟავა, მ.ლილუაშვილი, გ.პაპაშვილი, ნ.არონიშიძე), თბ. 2022 (372 გვერდი).**
   ISBN 978-9941-8-3727-2
2. **The Funerary Monuments of Georgia From the Seventeenth to the Nineteenth Centuries**

(E. Kvachatadze, S.Lejava, M.Liluashvili, G.Papashvili, N.Aronishidze), Tb. 2022 (332 p). ISBN 978-9941-8-3785-2

1. ეკატერინე კვაჭატაძე - პროექტის ხელმძღვანელი; გიორგი პაპაშვილი - კოორდინატორი; მანონ ლილუაშვილი - მკვლევარი; ნოდარ არონიშიძე - მკვლევარი; სამსონ ლეჟავა - რედაქტორი; ელდარ ნადირაძე - კონსულტანტი; „საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში“; ISBN 978-9941-8-3727-2; თბილისი, შპს. „ფავორიტი“, 372 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

იხ. ეკა კვაჭატაძის ანგარიში

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ნოდარ არონიშიძე; „მატანის ცხრაკარა“ - დათარიღების საკითხი;** საქართველოს სიძველენი N25, თბილისი, „ფავორიტი-სტილი“, 27 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომი წარმოადგენს შუა საუკუნეების გამორჩეული ძეგლის, მატანის „ცხრაკარას“ ცენტრალური და იმავდროულად უძველესი ნაგებობის ახლებურ კვლევას. მატანის კომპლექსის უძველესი ნაგებობა მიჩნეული იყო V საუკუნის ძეგლად და მისი ამგვარი დათარიღება გ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის. მკვლევარის მიერ ძეგლის V საუკუნით დათარიღებას, ცხადია, გააჩნდა გარკვეული სამეცნიერო საფუძველი და ის უმთავრესად ძველი შუამთის ბაზილიკასთან კავშირს გულისხმობდა. გეგმარებითი თვალსაზრისით ესოდენ მსგავსი ძეგლები, როგორებიცაა ძველი შუამთის V საუკუნის ბაზილიკა და მატანის „ცხრაკარა“ აჩენდა გარკვეულ ასოციაციას, რაც გახდა საფუძველი მატანის აღნიშნული ძეგლისასევე V საუკუნით დათარიღებისა.

ახალი კვლევებისა და ძეგლის ადგილზე შესწავლის საფუძველზე მატანის „ცხრაკარა“ V საუკუნიდან გადათარიღდა VIII-IX საუკუნეებში. ძეგლის სახელოვნებათმცოდნეო მეთოდოლოგიით შესწავლამ და პარალელური მასალის ახლებურმა დათარიღებამ აჩვენა, რომ რეალურად მატანის ბაზილიკა მეტ სიახლოვეს ავლენს გარდამავალი ხანის ძეგლებთან, ხოლო მისი მსგავსება ძველი შუამთის ბაზილიკასთან მხოლოდღა მისი მიბაძვით იქნა გამოწვეული. ძეგლის ძველი დათარიღების ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად მიჩნეულ იქნა ახმეტის „ღვთაების“ ეკლესია, რომელიც საიმდროოდ VI საუკუნით იყო დათარიღებული, შესაბამისად გ. ჩუბინაშვილმა ახალ შუამთასთან თავჩენილი გეგმარებითი სიახლოვისა და ახმეტის დასახელებული ნაგებობის გეგმარებით-სივრცითი მოწყობის მსგავსების საკითხი მატანის „ცხრაკარასთან“ ამ უკანასკნელის V საუკუნით დათარიღების საფუძვლად მიიჩნია. მოგვიანებით, სამეცნიერო კვლევების საფუძველზე ახმეტის „ღვთაების“ ეკლესია გადათარიღდა და მისი აგების დროითი მონაკვეთი VIII-IX საუკუნეებით განისაზღვრა. ამრიგად, ის მათარიღებელი პარალელები, რომლებიც „ცხრაკარას“ ადრეულობით დათარიღების საფუძველს წარმოადგენდა, შეიცვალა და, უფრო მეტიც, ის უშუალოდ გარდამავალი ხანის ნიშნებთან გაიგივდა.

აღსანიშნავია, რომ მატანის ბაზილიკის გადათარიღებისთვის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა გარდამავალი ხანის ორნავიანი ეკლესიების უმნიშვნელოვანესი ჯგუფი, რომელიც სრულად VIII-

IX საუკუნეების ნიშნეულ აღმშენებლობას წარმოადგენს. შესაბამისად გეგმარებითი თავისებურებების, სივრცითი მოწყობის, დეკორატიული ელემენტებისა თუ საერთო სტილისტური გააზრებით მატანის „ცხრაკარა“ VIII-IX საუკუნეების ძეგლად უნდა ჩაითვალოს.

თამარ ხოსროშვილი
მეცნიერ-თანამშრომელი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით:

1. თბილისის სიონის მოხატულობა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2022-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თამარ ხოსროშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის XIX საუკუნის მოხატულობა 1853-1856 წლებში, რუსი თავადის, გრიგორი გაგარინის ინიციატივით, პროექტით და თაოსნობით შესრულდა. ეს მხატვრობა ორი რამითაა განსაკუთრებულად გამორჩეული, საყურადღებო და მნიშვნელოვანი. პირველია ის კონტექსტი, რომელსაც მისი შექმნის დრო განაპირობებს - საქართველოს რუსეთის გუბერნიად ყოფნის პერიოდი, მეორე კი, თავად ამ მოხატულობის ნეობიზანტიური სტილია - სიონის მხატვრობა ამ სტილის ერთ-ერთი უადრესი ნიმუშია.

გრიგორი გაგარინი იმ დროს რუსეთში ძალზე პოპულარული „რუსულ-ბიზანტიური“ სტილის მიმდევარი და აპოლოგეტი იყო.

პირველად გრიგორი გაგარინმა თავის ნეობიზანტიურ მისწრაფებებს საქართველოში შეასხა ფრთები და მისი ჩანახატები თუ თეორიები სწორედ თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში *განახორციელა.*

1948 წლიდან თბილისში ჩამოსულ გრიგორი გაგარინს იდეალური შესაძლებლობა მიეცა თავისი ჩანაფიქრი ისეთ ქვეყანაში განეხორციელებინა, რომელსაც ერთი მხრივ შუა საუკუნეების ხელოვნების მდიდარი და ძველი ტრადიცია ჰქონდა, მეორე მხრივ კი, ის იყო რუსეთის იმპერიას დაქვემდებარებული გუბერნია, სადაც გაცილებით ადვილი იყო ასეთ პროექტზე ნებართვის აღება და მისი განხორციელება.

1801-1918 წლების საეკლესიო მხატვრობაში მძაფრად აისახა საქართველოს რუსეთის კოლონიად ყოფნის პირობებში მიმდინარე რთული პროცესები. აღნიშნულ მოხსენებაში განხილული სიონის გაგარინისეული კანკელის ამბავი სწორედ პოსტკოლონიურ კონტექსტშია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი.

3.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. **FR17¬_271**

სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტი „შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში“

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **2018-2022**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი - ქეთევან მიქელაძე
2. მკვლევარი - მარიამ დიდებულიძე
3. პროექტის კოორდინატორი - თამარ ხოსროშვილი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში ვიმუშავე ჩემს კუთვნილ ტექსტზე. ტექსტი XVI-XVII საუკუნეებში კახეთში ჩამოსულ მოსკოველი ხატმწერების შესახებაა. რამდენჯერმე მოხდა უკვე დასრულებული ტექსტის ახლიდან გადახედვა, დამატებითი მასალის ჩამატება და კორექტირება. ასევე, დავამუშავე რამდენიმე წიგნისთვის საჭირო ტექსტი. ასევე, ვმუშაობდი ანოტაციებზე, რომელთა შეტანაც დაგეგმილი იყო წიგნში, თუმცა ბოლოს ეს ანოტაციები წიგნში აღარ შევიდა.

6.3. კრებულები
1)ავტორი/ავტორები

1. **ქეთევან მიქელაძე**
2. მარიამ დიდებულიძე
3. თამარ ხოსროშვილი

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **თბილისის, 2022 წელი**

4) გვერდების რაოდენობა **307 გვერდი**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კრებულში სამი ავტორის მიერ დაწერილი ტექსტია შუა საუკუნეების მხატვრების შესახებ. ჩემი ტექსტი XVI-XVII საუკუნეებში კახეთში ჩამოსულ მოსკოველი ხატმწერების შესახებაა. dRemde SemorCenili XVI-XVII saukuneebis Canawerebis wyalobT cnobilia am periodSi kaxeTSi Camosuli xatmwerebis raodenobac da TiToeulis vinaobac. mefe aleqsandres II-s dros samjer Camovidnen xatmwerebi kaxeTSi, orwliani SualediT 1589, 1591, 1601 wlebSi, sul rva adamiani. Semdgom ki, 1637 wels, Teimurazis I-is mefobis Jams, erTjeradad kidev ori xatmweri Camovida. rac Seexeba kaxeTSi am xatmwerebis saqmianobas, rusul dokumentebSi dasaxelebulia oTxi konkretuli adgili sadac rus mxatvrebs umuSaviaT. esenia: ToRa, alaverdi, gremi da zagemi. rusi xatmwerebis ToRasa da alaverdSi muSaobis Sesaxeb informacias jer kidev XVI saukunis wyaroebSi vxvdebiT, gremisa da zagemis Sesaxeb ki – XVII

saukunis dokumentebSia informacia daculi. alaverdi rogorc XVI, aseve XVII saukunis sabuTebSic aqtiurad figurirebs. vecade, Zvel dokumentebsa da sxadasxva kvlevaze dayrdnobiT gamomerkvia Tu sad da ra samuSao Seasrules moskovelma xatmwerebma, rogor cxovrobdnen isini saqarTveloSi ra miisiT iyvnen gamogzavnilebi da riT iyo gamowveuli is faqti, rom maTze didi moTxovna iyo ara mxolod kaxeTSi, aramed saqarTvelos sxva kuTxeebSic.

6.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1)ავტორი/ავტორები
1. **თამარ ხოსროშვილი**
2. თამთა ხოსროშვილი

2)სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1. **გრიგორი გაგარინი და ნეობიზანტიური სტილი საქართველოში ISBN1512-4048**
2. **თბილისის სიონის გაგარინისეული კანკელი - დღემდე უცნობი საარქივო მასალა ISBN 978-9941-8-2946-8**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. **Ars Georgica, ელექტრონული ჟურნალი, სერია B**
2. **კრებული: VII საერთაშორისო კონფერენცია** „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. **თბილისი**
2. თბილისი

5) გვერდების რაოდენობა
1. **7**
2. 6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის XIX საუკუნის მოხატულობა 1853-1856 წლებში, რუსი თავადის, გრიგორი გაგარინის ინიციატივით, პროექტით და თაოსნობით შესრულდა. ეს მხატვრობა ორი რამითაა განსაკუთრებულად გამორჩეული, საყურადღებო და მნიშვნელოვანი. პირველია ის კონტექსტი, რომელსაც მისი შექმნის დრო განაპირობებს - საქართველოს რუსეთის გუბერნიად ყოფნის პერიოდი, მეორე კი, თავად ამ მოხატულობის ნეობიზანტიური სტილია - სიონის მხატვრობა ამ სტილის ერთ-ერთი უადრესი ნიმუშია.
გრიგორი გაგარინი იმ დროს რუსეთში ძალზე პოპულარული „რუსულ-ბიზანტიური“ სტილის მიმდევარი და აპოლოგეტი იყო.
პირველად გრიგორი გაგარინმა თავის ნეობიზანტიურ მისწრაფებებს საქართველოში შეასხა ფრთები და მისი ჩანახატები თუ თეორიები სწორედ თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში *განახორციელა.*

2. თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში 1980-იან წლებამდე მეცხრამეტე საუკუნის კანკელი იდგა, რომელიც თავად გრიგორი გაგარინის ინიციატივითა და პროექტით აღიმართა 1855-1862 წლებში.

რუსეთის იმპერატორის ფლიგელ ადიუტანტი, შემდგომში პოლკოვნიკი თავადი გრიგორი

გაგარინი რამდენიმე წელი ცხოვრობდა საქართველოში, სადაც მან არაერთი მასშტაბური პროექტი განახორციელა. მისი პროექტით და ხელმძღვანელობით გაფორმდა თბილისის თეატრის ინტერიერი 1849 წელს. გადაკეთდა და მოიხატა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი. გრიგორი გაგარინს გაუხსნია თბილისში პაპიე-მაშეს ქარხანა, სადაც მისი ესკიზებით თეატრის დეკორაციები მზადდებოდა და ა.შ.

საქართველოს ეროვნულ არქივში გაგარინისეული სიონის კანკელის შესახებ ძალზე სრული და საინტერესო ინფორმაციაა დაცული. შემონახულია პროექტის ესკიზი, კანკელზე მომუშავე არქიტექტორების, მხატვრებისა თუ ხელოსნების ხელშეკრულებანი, მათი სამუშაოს აღწერილობა და საფასური, იმპერატორის რამდენიმე განკარგულება. ამ ხელშეკრულებებში, აღწერილობებში, განცხადებებსა თუ ბრძანებებში გარდა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ინფორმაციისა, ისეთი ამბებიც წერია, რაც აცოცხლებს და ხელშესახებს ხდის იმდროინდელ მოვლენებს და ბევრი რამის გაანალიზების საშუალებას გვაძლევს.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1.საქართველოში

1)მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **თამარ ხოსროშვილი**
2. **თამარ ხოსროშვილი**

2) მოხსენების სათაური

1. **თბილისის სიონის გაგარინისეული კანკელი - დღემდე უცნობი საარქივო მასალა**
2. **გრიგორი გაგარინი და ნეობიზანტიური სტილი საქართველოში**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **8 სექტემბერი, 2022_** *საქართველოს ეროვნული არქივი_ VII საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“*

მოხსენება გადაცემულია გამოსაქვეყნებლად არქივის ფორუმის მასალებში

2. **28 ნოემბერი, 2022**_*გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის კონფერენცია თანამედროვე და უახლესი ხელოვნების საკითხებზე*

მოხსენება გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჩუბინაშვილის ცენტრის ჟურნალში „Ars Georgica”

დავით ჩიხლაძე

მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო–კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

ჰუმანიტარული მეცნიერებები, ხელოვნების ისტორია და თეორია. შუა საუკუნეების არქიტექტურა

“ბერების სერის ჯვარ–გუმბათური ეკლესიის არქიტექტურული კვლევისა და კონტექსტის დადგენის მცდელობა”

2022 წელი

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):

1. **დავით ჩიხლაძე,** შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების განყოფილება, მეცნიერი თანამშრომელი. მიმართულება: კლდეში ნაკვეთი მონასტრების არქიტექტურა.

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო–კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1

1) გარდამავალი (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

‘‘ბერების სერის ჯვარ–გუმბათური ეკლესიის არქიტექტურული კვლევისა და კონტექსტის დადგენის მცდელობა’’
2022 წელი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):

1. **დავით ჩიხლაძე,** შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების განყოფილება, მეცნიერი თანამშრომელი. მიმართულება: კლდეში ნაკვეთი მონასტრების არქიტექტურა.

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრების ჯგუფში ცალკე კლასტერს წარმოადგენს ივრისპირეთის მონასტრების ჯგუფი, რომელთა შორის ერთ–ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ბერების სერის მონასტერს. მისი ერთ–ერთი ქვაბთა ჯგუფი საბერეების მონასტრის აღმოსავლეთით მდებარეობს. აქ, კლდის ცალკე მდგომი ქიმის სამხრეთ ფერდზე შემორჩენილია სხვადასხვა ქვაბთა დაზიანებული ფრაგმენტები და ორი, გვერდი–გვერდ განლაგებული დარბაზული და ჯვარ–გუმბათოვანი ეკლესია, რომლებიც ამ ქიმის ცენტრიდან აღმოსავლეთით მდებარეობენ.

ამ ორი ტაძრიდან ჯვარ–გუმბათოვანი ეკლესია აღმოსავლეთისკენ მდებარეობს. ის მცირე ზომის, გეგმაში კვადრატულთან მიახლოებულ და სიმაღლეში აზიდულ ტაძარს წარმოადგენს, რომელშიც ჯვრის მკლავები კედლისწინა და სატრიუმფო თაღებითაა შექმნილი. მსუბუქად ნალისებური მოყვანილობის საკურთხეველი კონქითაა გადახურული, ხოლო მასიური ტრაპეზი კედლიდან განუცალკევებლადაა გამოკვეთილი.

გუმბათი ჭერის სიბრტყეშია ამოჭრილი და კონუსური მოყვანილობისაა. გუმბათის ძირის დაუზიანებელ მონაკვეთებზე ჩანს თანაბარი ზომის, რიტმულად განლაგებული ნახევარსფერული ჩაღრმავებები, რომლებიც გუმბათზე გარდამავალი კონსტრუქციის იმიტაციას წარმოადგენენ. საკუთრივ გუმბათის შიდა ზედაპირი ძლიერაა დაზიანებული, თუმცა ორ

კუთხეზე ჩანს ლილვების ფრაგმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც ნ. ბახტაძემ აქ ჯვრული კამარის მაგვარი ფორმა წარმოიდგინა.

სწორკუთხა მოყვანილობის ღიობი სამხრეთ კედელშია განლაგებული, რომლის აყოლებაზეც დიდი ზომის ლუნეტია გაჭრილი. კიდევ ერთი, მცირე ზომის სარკმელი სამხრეთიდან საკურთხეველს ანათებდა. დეკორატიული ელემენტებიდან გამოსაყოფია თაღების პირის საფეხურად ჩაკვეთა, რომლებიც თაროსებრ კაპიტელებზეა დამყარებული. თავის მხრივ, მომიჯნავე კაპიტელები ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

ტაძარი აქამდე ცალკე შესწავლილი არ ყოფილა, თუმცა მისი ჭრილი და გეგმა თვის მონოგრაფიაში გამოქვეყნებული აქვს მკვლევარ ნ. ბახტაძეს. ეკლესიის არქიტექტურული შესწავლამ რიგ მნიშვნელოვან დასკვნებამდე მიგვიყვანა:

1. დაგვიდასტურა გარეჯის მონასტრების კლდეში გამოკვეთილი გუმბათური ტიპის ტაძრის ფორმირების ის ასპექტები, რომლებიც ამ ტიპის ტაძრების იერ–სახის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებენ, განსაკუთრებით კი რედაქტირების პრინციპები.

2. გუმბათქვეშა კონსტრუქციის მიხედვით ეს ტაძარი მიეკუთვნება გარეჯის ქვაბოვანი გუმბათური ტაძრების ყველაზე დიდ, ამ ეკლესიის ჩათვლით 4 ტაძრიან, და ყველაზე უკეთ შესწავლილ ჯგუფს.

უკანასკნელის კვლევა ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი თუმანიშვილმა წამოიწყო საბერეების მონასტრის არქიტექტურისადმი მიძღვნილ ნაშრომში, რომელშიც მან გამოყო პირველწყარო, N7 ეკლესიად წოდებული გუმბათური ტაძარი და მისი შედარებით მოგვიანო რეპლიკა, N8 ეკლესია. თავის მხრივ, მკვლევარმა გიორგი გაგოშიძემ, დოდორქის მონასტრის ახლად აღმოჩენილი გუმბათური ტაძრისადმი მიძღვნილ კვლევაში გაიზიარა დიმიტრი თუმანიშვილის ანალიზის შედეგები და თარიღები, რის საფუძველზეც აღნიშნული ეკლესია ამ ჯგუფის მესამე ნიმუშად მიიჩნია და დაათარიღა. ჩვენც სრულიად სარწმუნოდ მივიჩნევთ ამ მკვლევართა დასკვნებსა და თარიღებს, რაზე დაყრდნობითაც ბერთა სერის ჯვარ–გუმბათურ ტაძარს ამ ჯგუფის ამჟამად ცნობილ უკანასკნელ ნიმუშად განვიხილავთ, რომლის გამოკვეთის თარიღადაც მე–10 ს–ს პირველ ნახევარს მოვიაზრებთ.

3. ბერების სერის ჯვარ–გუმბათური ეკლესიის არქიტექტურული კონტექსტის გარკვევამ დაგვიდასტურა ჩვენს მიერ წინა კვლევებში გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, რიგ შემთხვევებში მაინც, ახალი მონასტრების დაფუძნებისას არქიტექტურული თემებისა და ფორმების ნიმუშად, დანამდვილებით, გამოიყენებოდა არა უშუალოდ წმ. დავითის ლავრის, არამედ უფრო მოგვიანებით შექმნილი მონასტრების არქიტექტურა. ჩვენს შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ ბერთა სერის ეს ეკლესია საბერეების ეკლესიების არქიტექტურულ რეპლიკის ნიმუშს წარმოადგენს, რომელშიც, ამასთან დოდორქის ახლად აღმოჩენილი ეკლესიის მხატვრულ–ტექნიკური ილეთების ცოდნაც იკითხება.

ამ კვლევის შედეგად, კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს გარკვეულ ფორმათა მიგრაციასთან, რომლებზე თვალის მიდევნებაც საშუალებას გვაძლევს წავიკითხოთ გარეჯის უდაბნოთა დღევანდელი ფორმით ჩამოყალიბების საერთო სურათი უფრო ცხადად და დასაბუთებულად.

ნინო ციციშვილი
მეცნიერ-თანამშრომელი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით:
დამკვეთის როლი ისლამური ხელოვნების ელემენტების შემცველ საეკლესიო ხელნაწერთა მხატვრული გაფორმების გადაწყვეტაში (XV-XVIII სს)

1. ჰუმანიტარული მეცნიერებები: ხელოვნების ისტორია და თეორია 2. ისტორია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. დაწყების წელი: 2021
2. დასრულების წელი:2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ნინო ციციშვილი/შემსრულებელი**
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევითი სამუშაო ითვალისწინებდა:

- XV-XVIII საუკუნეების სასულიერო ხელნაწერთა იმ ნიმუშთა მოკრებას, რომელთა მხატვრულ შემკულობაში გამჟღავნებულია ისლამური ხელოვნების გავლენები და ასევე, შემორჩენილია ცნობები (ანდერძი/მინაწერი) ხელნაწერის დამკვეთის შესახებ.
- მოკრებილი მასალის სისტემატიზებას და დამუშავებას.
- ხელნაწერების დამკვეთი ისტორიული პირების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიებას მათი მონაწილეობის შესახებ თანადროულ სახელოვნებო და ზოგადკულტურულ პროცესებში.
- საკვლევი ნიმუშებისთვის პარალელური მასალის მოძიებას თანადროული სახვითი ხელოვნების სხვა დარგებში.
- არსებული მასალის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურის მოკრება/დამუშავებას.
- ინფორმაციის შეჯერებას.

სამუშაო მიზნად ისახავდა საეკლესიო ხელნაწერთა იმ ჯგუფის მოძიებას, მოკრება და დამუშავებას, რომელთა მხატვრულ გაფორმებაში, ერთი მხრივ ისლამური ხელოვნების გავლენების ამოცნობაა შესაძლებელი, მეორე მხრივ კი, დამკვეთთა ვინაობაა გამჟღავნებული. მასალა XV-XVIII საუკუნის ნიმუშებს მოიცავს, რადგან სწორედ XV საუკუნის მიწურულიდან საეკლესიო ხელნაწერთა რიგ ნიმუშებში ჩნდება სპარსულ-ოსმალური ორნამენტული სახეები და მხატვრული გაფორმების პრინციპები, რომელიც ე.წ. პოსტბიზანტიური თუ ადგილობრივი მხატვრული ტრადიციის გვერდით თანაარსებობს. მიუხედავად ნიმუშთა მრავალრიცხოვნებისა, სამწუხაროდ, ყველა მათგანი არ შეიცავს სათანადო ცნობებს დამკვეთის ვინაობის შესახებ. თუმცა ადრეული ხანის ნიმუშებისგან განსხვავებით, მათ შესახებ ცნობები გვიან შუა საუკუნეებში

უფრო გულუხვადაა შემორჩენილი, რაც ამ მიმართულებით კვლევის გაფართოების და გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

კვლევისთვის ზოგადეპოქალური მხატვრულ - კულტურული ტენდენციების გარდა, მნიშვნელოვანი იყო ყურადღების იმ ასპექტზე გამახვილება, რომელიც დამკვეთის გემოვნებას, მის სოციალური სტატუსს, სასულიერო თუ საერო იერარქიისადმი კუთვნილებას, საქმიანობის არეალსა თუ მსოფლმხედველობას ენიჭება, რაც სასულიერო დანიშნულების ხელნაწერების მხატვრობაში რელიგიური დოგმატის და კანონიკური იკონოგრაფიული სქემების მიღმა კონკრეტული პირის ინდივიდუალურ ხედვას, მისი დაკვეთით გადაწერილ-შეკაზმულ ხელნაწერებზე ზემოქმედების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. გამოჩნდა კიდეც, რომ დამკვეთის ფაქტორმა მნიშვნელოვანი წინაპირობა შექმნა სასულიერო ხელნაწერის გაფორმებაში სპარსული და ოსმალური ხელოვნების შემოდინებისათვის. ამ მხრივ ყველაზე ნიშნეული სამცხის საათაბაგოსთან და ჯაყელთა ძლევამოსილ სახლეულთანაა დაკავშირებული ხელნაწერთა ჯგუფია (ფსალმუნი,1494 წ. ხეც. A 351; სახარება,1502 წ. ქსიმ K 375; სახარება,1504 წ. ხეც Q 921; ვალეს ოთხთავი, 1514 წ. ხეც. A 401; სახარება, XVI საუკუნის დასაწყისი, ქსიმ K 362; სახარება, XVI საუკუნის დასაწყისი, ხეც A 685ბ). სწორედ მათ მხატვრობაში ჩნდება პირველად განსხვავებული ესთეტიკისა და ისლამის რელიგიური დოქტრინის მიხედვით ჩამოყალიბებული ორნამენტული სახეები. ეს ყოველივე კი არსებული რთული ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების - სპარსეთ-ოსმალეთის მძლავრი ექსპანსიის და შიდა აშლილობის გარდა, საკუთრივ ჯაყელთა პოლიტიკური ამბიციების, დამპყრობელ ქვეყნებთან კონტაქტისა თუ ფართოდ გაშლილი კულტურული საქმიანობის ამრეკლავი პროცესების მხატვრული გამოხატულებაა.

მოგვიანო ხანის რიგ ნიმუშებში, რომლებიც ასევე ავლენენ კავშირს ისლამურ ხელოვნებასთან, განსხვავებული სურათი იკვეთება. აქ მას უკვე დამკვიდრებული ტრადიციის სახე აქვს და XV-XVI საუკუნეების სამცხესთან დაკავშირებული ნიმუშებისგან განსხვავებით არა სიახლის, არამედ უკვე მიღებულ-გათავისებული მხატვრული პროცესების ამსახველია. პროცესების, რომელიც არა მხოლოდ სახელოვნებო და ზოგადკულტურულ ტენდენციებს განსაზღვრავს, არამედ იმ ხანად ყოფით და სოციალურ გარემოზე ახდენს მნიშვნელოვან გავლენას. დიდი ალბათობით, სწორედ ამიტომაც, რიგ შემთხვევებში სპარსულ-ოსმალური მხატვრული ფორმებისა თუ გვერდის გაფორმების წესში ერთგვარი ინერციულობაც კი იგრძნობა, როგორც ეს მაგალითად თეიმურაზ II-ის მიერ მოგებულ დოგმატიკონში გვხვდება (ხეც H 601, 1746 წ), სადაც ჯვარცმის მინიატიურის მხატვრულ-სტილურ შესრულებასა და დეტალებში აშკარად ვხედავთ ევროპული ხელოვნებისადმი სწრაფვას, ხოლო გამოსახულების მომსაზღვრელი ჩარჩოს კუთხეების მამკობი მცენარეული ორნამენტი წინარე ხანიდან შეთვისებული ისლამური მოტივის მექანიკურ განმეორებად მოჩანს. ამავე ტენდენციას მიედევნება თვალი ბატონიშვილი ლევანის დაკვეთით გადაწერილი ოთხთავის მხატვრობაში (A619, XVII ს), სადაც ხელნაწერი წიგნის გაფორმების სპარსულ-ოსმალურ ტრადიციასთან კავშირს ტექსტის და მინიატიურის მომსაზღვრელი მრავალხაზოვანი ჩარჩო ინარჩუნებს მხოლოდ. მეორე მხრივ, ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური და ზოგადკულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, ასევე გასაკვირი არაა კათოლიკურ სამყაროსთან პოლიტიკური და დასავლეთ ევროპასთან კულტურული კავშირის დამყარება-განმტკიცების მოსურნე ვახტანგ VI-ის დაკვეთით შექმნილ ხელნაწერებში სპარსული ხელნაწერი წიგნის გაფორმების პრინციპების სიჭარბეც (ორნამენტი, უნვანისებრი თავსართები, გვერდის გაფორმების ზოგადი პრინციპი, ფერთა გამა, არშიების ორნამენტით გაფორმება და სხვა, A 910, კრებული, XVIII ს. დასაწყისი), რაც ზოგადკულტურული თუ ყოფითი გარემოს გარდა, თავად ვახტანგის ცხოვრების და შაჰის კართან მისი, თუნდაც ძალდატანებითი, ურთიერთობების ამრეკლავიცაა.

ვიმედოვნებთ, დამკვეთთა როლის გამოკვეთა ხელნაწერთა შემკულობის მოხილვისას არსებული ცოდნის კიდევ ერთხელ გადააზრების, განსხვავებული პერსპექტივიდან საკითხის აღქმის შესაძლებლობას იძლევა, რაც ავსებს ცოდნას, როგორც ნიმუშების, ისე, თავად ისტორიული პირების ბიოგრაფიის შესწავლისას. ინფორმაციის შეჯერება კი თანადროული სახვითი ხელოვნებაში მიმდინარე მხატვრული პროცესების შესახებ საგულისხმო დასკვნების გაკეთების წინაპირობას ქმნის.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. ოკუპირებული ტერიტორიების ხელნაწერი მემკვიდრეობა ორენოვანი ინტეგრირებული გამოცემა და გამოფენა/ჰუმანიტარული მეცნიერებები: ქართველოლოგია, წყაროთმცოდნეობა, ხელოვნების ისტორია

2. OTG-I-22-625

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. დაწყების წელი: 2022
2. დასრულების წელი: 2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ესმა მანია/პროექტის ხელმძღვანელი
2. ბეჟან ხორავა/პროექტის თანახელმძღვანელი
3. თეიმურაზ ჯოჯუა/პროექტის კოორდინატორი
4. თეა ქართველიშვილი/პროექტის მკვლევარი
5. ნინო ციციშვილი/პროექტის მკვლევარი/
6. ირინა გოგონაია/პროექტის მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი მიმდინარეა. მის ფარგლებში ჩემს მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული იმ ხელნაწერების (სასულიერო და საერო დანიშნულების) კვლევას, რომლებიც მხატვრულადაა გაფორმებული.

ამ ეტაპზე დაწყებულია სამუშაო და მიმდინარეობს: მასალის მოძიება, მოკრება, ქრონოლოგიზაცია, სისტემატიზაცია და დამუშავება.

ასევე, საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, მოკრება და დამუშავება.

3.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. **წმ. დიმიტრის თაყვანისცემა შუა საუკუნეების საქართველოში.** უცნობი მოხატულობა დავითგარეჯიდან/

2. FR.18.3030

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. დაწყების წელი: 2019
2. დასრულების წელი: 2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **მარინე ბული**/პროექტის ხელმძღვანელი
2. **მზია ჯანჯალია**/ძირითადი შემსრულებელი
3. **ნინო ციციშვილი**/ახალგაზრდა მეცნიერი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

დასრულდა მუშაობა პროექტზე, რომელიც მოიცავდა დავითგარეჯაში, დოდორქის მონასტრის ტერიტორიაზე 2015 წელს გამოჩენილი, აქამდე უცნობი ეკლესიის მხატვრობის კომპლექსურ კვლევას. პროექტის ფარგლებში კვლევის ეს ნაწილი ითვალისწინებდა ქართული სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ფარგლებში წმ. დიმიტრის გამოსახულებების მოძიება/მოკრებას, სისტემატიზაციას და იკონოგრაფიული თავისებურებების შესწავლას. პროექტის დასრულების თარიღმა 2021 წლიდან 2022 წლამდე გადაიწია კოვიდ პანდემიის პერიოდში წარმოქმნილი რიგი დამაბრკოლებელი გარემოებების გამო.

პროექტის დამასრულებელ ეტაპზე მომზადდა სტატია: "წმ. დიმიტრი თესალონიკელი ქართულ ხელოვნებაში: მხატვრულ-იკონოგრაფიული ტრადიცია და თავისებურებები"

კვლევისას ქართული სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების მოხილვამ აჩვენა რომ საქართველოში წმ. დიმიტრის პირველი გამოსახულება X საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნის ჩათვლით გვხვდება. წმინდანის თაყვანისცემის ტრადიციაზე ჩვენში ნიმუშთა მრავალრიცხოვნება, უწყვეტი ქრონოლოგია და იკონოგრაფიულ ტიპთა მრავალფეროვნება მიუთითებს. დადგინდა, რომ ბიზანტიაში გამორჩეულად თაყვანსაცემი თესალონიკელი დიდმოწამის კულტის ჩვენში შემოსვლა დროში თანხვდა X საუკუნიდან მეომარ წმინდანთა რიგებში მის შერაცხვას და მთელს აღმოსავლეთ საქრისტიანოში წმინდანის პოპულარობის ზრდას. ისიც საგულისხმოა, რომ წმ. დიმიტრის ცხოვრების, წამებისა და სასწაულების ექვთიმე მთაწმინდელისეული თარგმანების (X საუკუნის II ნახევარი) პარალელურად საქართველოში თითქმის ერთდროულად შემოვიდა წმინდანის ორი იკონოგრაფიული ტიპი: ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ ხანაში ჩამოყალიბებული ჭაბუკი მოწამისა (მარტვილის მინანქრის გულსაკიდი ჯვარი X ს) და წმინდანის სტატუსის ცვლილების კვალდაკვალ გაჩენილი მეომარი დიმიტრის გამოსახულებები (ნიკორწმინდის სპილოსძვლის ტრიპტიქი, X-XI სს). ზოგადად, წმ. დიმიტრის კულტის განვითარებასა თუ ცვლილებებთან დაკავშირებული ნებისმიერი სიახლე

ქართულ ხელოვნებაში მყისიერ გამოძახილს პოულობდა, იმდენად, რომ ქართულ ხელოვნებაში დასტურდება არა მხოლოდ მისი ფართოდ გავრცელებული, არამედ თანადროულ ბიზანტიურ სამყაროში ჯერ კიდე ახლად ჩამოყალიბებული იკონოგრაფიული ტიპებიც კი. მაგალითისთვის XI საუკუნის დასაწყისის სეტის წმ. გიორგის ჭედური ხატის ჩარჩოზე წარმოდგენილი ცხენოსანი წმ. დიმიტრიც კმარა, რაც საიმდროოდ თავად ბიზანტიურ ხელოვნებაში დიდ იშვიათობას წარმოადგენდა და პირველობას ფეხზე მდგომ, სამხედრო ჩინით წარმოდგენილ წმ. დიმიტრის უთმობდა.

საგულისხმოა ისიც, რომ ქართულ ხელოვნებაში ვხვდებით რამდენამდე ინტერპრეტირებულ და ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებსა თუ მხატვრულ-იკონოგრაფიულ ტრადიციებს მორგებულ გამოსახულებებსაც, როგორიცაა მაგ: მიქაელ მაღლაკელისეული მაცხვარიშის ეკლესიის მოხატულობაში (1140 წ.) ადამიანის განმგმირავი წმ. დიმიტრი. იმ ხანად, ბერძნულ ნიმუშებში ცხენზე ამხედრებული წმინდანი მხოლოდ ტრიუმფატორის სახით გამოისახებოდა. მოგვიანებით, 1207 წელს თესალონიკის ალყისას მოკლული რეალური ისტორიული პირის-ბულგართა მეფე კალოიანის მკვლელობის მისტიფიკაციის შედეგად გაჩნდა კომპოზიცია, რომელიც მხედარ დიმიტრისა და მის მიერ განგმირულ კალოიანს ასახავს. ქართული ნიმუშის შესრულების თარიღის გათვალისწინებით, მაცხვარიშის გამოსახულება ვერაფრით იქნება დაკავშირებული ამ კომპოზიციასთან და იგი, უდავოდ, წმ. გიორგის მიერ დიოკლეტიანეს მოკვდინების ტრადიციული გამოსახულებითაა შთაგონებული, რაც მას განსაკუთრებულ ნოვატორულ მნიშვნელობას სძენს არა მხოლოდ ქართულ, არამედ ამავე პერიოდის აღმოსავლეთქრისტიანულ სახვით ხელოვნებაში.

ზოგადად კი, ქართული სახვითი ხელოვნების ნიმუშები წმ. დიმიტრის თითქმის ყველა იკონოგრაფიულ ტიპს წარმოგვიდგენს. გამონაკლისი მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში სლავურ ქვეყნებში გავრცელებული ტახტზე მჯდომი წმ. დიმიტრია. სხვა მხრივ, კი სურათი ნამდვილად მრავალფეროვანია. ერთი მხრივ, მეომარი დიმიტრის სხვადასხვა ვარიაციები იქცევს ყურადღებას, იქნება ეს „კლასიკური“ ფეხზე მდგომი, სრული ეკიპირებით წარმოჩენილი მეომარი (ალავერდის, ალვანის, გელათის მთავარი ტაძრის ცენტრალური სივრცის მოხატულობა, ყველა XVI ს; ილორის (ზუგდიდის) წმ. გიორგის კარედი ხატი, 1572-1582 წწ; ზემო ჭალის კარედი ხატი 1577-1582 წწ; შემოქმედის მაცხოვრის ხატი, XVI ს-ის ფენა, გულანი, ჟამუშის მაცხოვრის #1 და #2 ხატები, ორივე 1565-1578 წლებს შორის; ხობის კარედი ხატი, XVII ს; სეა #1446.302 XVI ს; წმ. დიმიტრის ხატი, ქსიმ #3124-1776, XVI ს; სადღესასწაული, K 104 XVII-XVIII სს; ალბომი ხეც S 4978, 1856 წ და სხვა), თუ, საიმდროოდ, პოსტბიზანტიურ სამყაროში ესოდენ გავრცელებული კალოიანის მლახვრავი, ბოროტებაზე გამარჯვებული ტრიუმფატორი მხედარი დიმიტრი (ყანჩაეთის ჟამწ-გულანი, ხეც H1452, 1674 წ; სვეტიცხოვლის გულანი, ხეც A30, 1681 წ, შემოქმედის გულანი, ხეც Q103a, 1749 წ, ავგაროზი, ხეც H-2076, XVIII ს, იკონოსტატის ხატი მოწამეთადან, ქსიმ #4600-53-24, XVIII ს; საკოსი, სხმ/1364, XVIII ს. და სხვა). ამავდროულად, გვიანი შუა საუკუნეების რთული ისტორიული კონტექსტის საპასუხოდ კვლავ აქტუალური ხდება მოწამის სახება (გრემის მთავარანგელოზის ეკლესიის მოხატულობა, XVI ს; კორცხელის მაცხოვრის ხატი, 1640 წ. იბაკონი ქსიმ K 258 და ქსიმ K 357, ორივე XVIII ს; სახარება, ხეც A 619, XVII-XVIII და ა.შ.)

სხვადასხვა დროის ნიმუშებში დასტურდება ე.წ. სინთეზური იკონოგრაფიული ტიპიც ანუ გამოსახულება, რომელიც თავის თავში აერთიანებს, როგორც მოწამის, ისე მეომრის სახებას. ეს უკანასკნელი სწორედ ქართულ ნიმუშებშია ყველაზე უხვადაა შემორჩენილი და, მიუხედავად იმისა, რომ აქაც ბიზანტიური პროტოტიპით შთაგონების ალბათობა ძალზედ დიდია, ჩანს, რომ სწორედ ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ ამ კონკრეტული იკონოგრაფიული ვერსიისადმი ინტერესი XI საუკუნიდან ვიდრე XVIII საუკუნემდე შეინარჩუნა (ხახულის კარედი ხატის XI და XII საუკუნეების მინანქრის გამოსახულებები, წალენჯიხის მაცხოვრის ხატის მინანქრის მედალიონი, XII ს-ის I ნახევარი, უბისის წმ. გიორგის ტაძრის მოხატულობა, ლაშხუთის ხის კარედი ხატის გამოსახულება, ორივე XIV ს, სადღესასწაული ქსიმ K 104, XVII-XVIII სს, ლიტურგიკული კრებული, ხეც A 910, 1705-1712 წწ; ასევე ლიტურგიკული კრებული A 515, 1733 წ; ოქტომბრის კალენდრის ხატი შუამთიდან, XVIII ს).

ზოგადად, კვლევამ აჩვენა, რომ წმ. დიმიტრის თაყვანისცემას ჩვენში ძლიერი და უწყვეტი ტრადიცია ჰქონდა. გარეჯის დოდორქისეული სამლოცველოს მოხატულობამ (XII-XIII სს/მხატვრობა სიღრმისეულად შეისწავლა და დაათარიღა შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების მკვლევარმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა მარინე ბულიამ) კი წარმოაჩინა დრო, როდესაც საქართველოში წმ. გიორგის უპირობო დომინაციის მიუხედავად, წმ. დიმიტრის თაყვანისცემამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა და, შეიძლება ითქვას, პიკს მიაღწია კიდეც, რაც არა მხოლოდ საამდროოდ არსებული მხატვრული, არამედ ისტორიული და პოლიტიკური ვითარების ამსახველიცაა.

წმ. დიმიტრის იკონოგრაფიული თავისებურებების კვლევამ არა მხოლოდ ამ კონკრეტული წმინდანის გარშემო არსებული ინფორმაციული ვაკუუმი შეავსო, არამედ გააფართოვა ჩვენი ცოდნა საქართველო-ბიზანტიასა და საქართველო-პოსტბიზანტურ სამყაროს შორის რელიგიური, მხატვრულ-კულტურული და ისტორიული ურთიერთობების შესახებ.

გიორგი ჭანიშვილი

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

გოხნარის (აძიკვის) წმ. გიორგის ეკლესია

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

გიორგი ჭანიშვილი (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აძიკვის ეკლესია არის ვულკანური ჯიშის ღია მონაცრისფრო ბაზალტის თლილი კვადრებით აგებული საშუალო ზომის დარბაზული შენობა, მინაშენებით სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე და ჩრდილოეთიდან მხოლოდ აღმოსავლეთ მონაკვეთზე. საერთო ზომები: 10.17X11.1მ. (ძირითადი ეკლესია 10.7X5.76მ. სამხრეთი მინაშენი 10.7X2.91. ჩრდილოეთი მინაშენი 4.6X2.3). მთავარი ეკლესიის გადახურვა და კედლების ზედა ნაწილები მონგრეულა. სანახევროდ დანგრეულია სამხრეთი მინაშენი. ჩრდილოეთისა კი, მხოლოდ გეგმა იკითხება. ეკლესიას ირგვლივ შემოფარგლავს ქვის წყობის, თავისუფალი გეომეტრიული ფორმის დაბალი ზღუდე, რაც დამახასიათებელია ამ რეგიონის თითქმის ყველა ეკლესიისათვის. ზღუდის შიგნით ძველი სასაფლაოა.
X-XIსს-ში აგებული დარბაზული ეკლესია წარმოადგენს ქართული საკულტო არქიტექტურის საინტერესო ძეგლს. ნაგებობაში მკვეთრად არის გამოვლენილი ეპოქისათვის დამახასიათებელი სამშენებლო ხელოვნების და არქიტექტურული სტილის ღირებულებები, შენობის კომპოზიციური გადაწყვეტის მეთოდი და პროპორციები, სამშენებლო ტექნოლოგია;
ამჟამად მუშავდება სარეაბილიტაციო პროექტი (არქიტექტორ-რესტავრატორები: მ. გელაშვილი, გ. ქალებაშვილი; გეოლოგები დ. მღებრიშვილი, გ. ბიძინაშვილი). პროექტის შედგენისას გათვალისწინებულია ჩემი კვლევის რეკომენდაციები.

ეთერ ედიშერაშვილი

მეცნიერ-თანამშრომელი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. **„პერსონალია და ისტორიული ანარეკლები ქართული ისტორიული საბუთების მხატვრობაში“**

ჰუმანიტარული მეცნიერებები: ხელოვნების ისტორია და თეორია, ისტორია, წყაროთმცოდნეობა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. დაწყების თარიღი: 2021
2. დასრულების თარიღი: 2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ეთერ ედიშერაშვილი/მკვლევარი**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წლიური თემის განხორციელება მოიცავდა 2 ეტაპად (2021-2022 წლების პერიოდში) შესასრულებელ შემდეგ სამუშაოებს: მასალის ქრონოლოგიური და რეგიონული ნიშნებით დამუშავებას, შესაბამისი სახელოვნებათმცოდნეო, ისტორიული და ფილოლოგიური სამეცნიერო

ბიბლიოგრაფიის მოძიებას და დამუშავებას (საბუთების გამოქვეყნებული ტექსტები, საკვლევ მასალასთან დაკავშირებული ისტორიული წყაროები, სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურა და სხვა).
2022 წელს შესასრულებელი სამუშაო ითვალისწინებდა წინა ეტაპის სამუშაოს შეჯერებას და საკითხის კომპლექსურად შესწავლას ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში. სამუშაო მოიცავდა ქართული ისტორიული საბუთების მხატვრობაში ასახული იკონოგრაფიული, სტილური მახასიათებლებისა და თავისებურებების შეჯერებას წყაროებთან, ტექსტსა და თანადროული სახვითი ხელოვნების ნიმუშებთან, რომლებიც საბუთების მხატვრობაში გამჟღავნებული მეფეთა ფსიქოლოგიური პორტრეტების მახასიათებლების და ასევე, თანადროული პოლიტიკური მოვლენების გავლენების გამოვლენის წინაპირობა იყო.

საუკუნეების განმავლობაში ცალკეული დიპლომატიკური წესების მიხედვით ჩამოყალიბებული ქართული ისტორიული საბუთების მხატვრობა ტექსტთან ერთად, თანადროული ისტორიული წყაროების მსგავსად, თავისი ეპოქის ერთგვარ მხატვრულ-ისტორიულ ქრონიკად იქცა, რომლის კიდევ ერთ განმაპირობებელ ფაქტორს საკუთრივ იურიდიული დანიშნულების ორიგინალური ტექსტის გარდა, მოგვიანო მინაწერებიც წარმოადგენდა. ისტორიული საბუთში მისი გამცემის - მეფის თუ დიდებულის ბრძანებულების თუ ნების ამსახველი ტექსტი, კანონიერების მტკიცებულების ნიშნები – ხელრთვა, ბეჭედი და მხატვრული გაფორმება ერთად იყრის თავს, რაც მოხატულ ისტორიულ საბუთს შუა საუკუნეების საერო ხელოვნების მნიშვნელოვან ნიმუშად აქცევს. მოხატული საბუთების, როგორც მხატვრული ფენომენის ერთ-ერთ საყურადღებო ასპექტს საბუთების მხატვრობაში ასახული პოლიტიკური რეალიების გამომახილი და ისტორიული პერსონებია, რომელთა პორტრეტული გამოსახულებების მიღმა თანადროული კულტურულ-ისტორიული კონტექსტი იკითხება. საბუთების მხატვრობაში წარმოდგენილი გამოსახულებების ამოკითხვისას ყველაზე მკაფიო გზავნილად მათი იკონოგრაფია და სიმბოლური ნიშან-ხატები იქცევა, რომელთა საშუალებითაც ისტორიული პირების ფსიქოლოგიური პორტრეტები ისახება და უფრო მრავალფეროვანი ხდება მათი საქმიანობის შესახებ არსებული ცოდნაც. ამას თან ერთვის სტილური ხერხებით შექმნილი ვიზუალური იერსახე და მთლიანობაში პორტრეტები პერსონალურ ბეჭდებად, ერთგვარ დამღად, ავტოგრაფად წარმოგვიდგება. საკითხის შესწავლა ითვალისწინებდა ეპოქის, თანადროული ისტორიული და კულტურული გარემოს გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდოლოგიით მეფეთა მიერ გაცემულ ისტორიულ საბუთებში ასახული პერსონალური პორტრეტების წარმოჩენას და იმ პოლიტიკური რეალიების ანარეკლების სურათის წარმოჩენას, რაც სხვადასხვა ეპოქის საბუთების მხატვრულ გაფორმებაში აისახა და რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ისტორიული დოკუმენტების მხატვრობის იერსახის ფორმირებაში.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით 11-14 აპრილი – განხორციელდა მივლინება ქუთაისის მუზეუმში, რომლის ფარგლებში მოხდა გვიანი შუა საუკუნეების, კერძოდ კი XVI-XVII საუკუნეების მოხატული ისტორიული საბუთების (ორი ნიმუში) და თანადროული მოხატული ხელნაწერების აღწერა და შესწავლა..

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. **“პატრონაჟი და პოლიტიკის ანარეკლები გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში (მეფეთა და დიდებულთა მოხატული საბუთები)”**/ჰუმანიტარული მეცნიერებები: ხელოვნება/ხელოვნების ისტორია
2. PHDF-21-1456

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. დაწყების თარიღი: 2021
2. დასრულების თარიღი: 2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ეთერ ედიშერაშვილი/შემსრულებელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

“პატრონაჟი და პოლიტიკის ანარეკლები გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში (მეფეთა და დიდებულთა მოხატული საბუთები)” პროექტის ფარგლებში მოხდა XVI-XVIII საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების: მინიატიურის, ჭედურობის, რელიეფური ქანდაკებისა და მინიატიურის ნიმუშების მოკრება, შედგა მოძიებული ნიმუშების დეტალური სიები, დამუშავდა მასალის შესახებ არსებული სამეცნიერო ბიბლიოგრაფია.

გრანტის I ეტაპზე განსაზღვრული სამუშაოები მოიცავდა XVI-XVIII საუკუნეებში მეფეების გაცემული მოხატული ისტორიული საბუთების გაუშიფრავი და გამოუქვეყნებელი ტექსტების წაკითხვას, ნიმუშების დეტალურ აღწერა-სისტემატიზაციას და თანადროული სახვითი ხელოვნების დარგებში პარალელური მასალის მოძიებას, მოკრებას და დამუშავებას. შემდეგ ეტაპზე სამუშაო გაგრძელდა, რომელმაც მოიცვა უცხოური პარალელური მასალის მოძიების პროცესი და ასევე, უცხოურენოვანი ბიბლიოგრაფიის დამუშავება. ამ პროცესის ნაწილს წარმოადგენდა ვიზიტი რომის საპიენცას უნივერსიტეტში, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სამუშაოები არა მხოლოდ საპიენცას, არამედ ვატიკანისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში. პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შეჯერების შედეგად მისი დასრულება დაგეგმილია 2023 წელს.

24 ოქტომბერი-14 იანვარი - სასწავლო ვიზიტი რომის საპიენცას უნივერსიტეტში, რომელიც წარმოადგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის: “პატრონაჟი და პოლიტიკის ანარეკლები გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში (მეფეთა და დიდებულთა მოხატული საბუთები), /PHDF-21-1456/“ ნაწილს.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8. 2.უცხოეთში

1)მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **ეთერ ედიშერაშვილი**

2) მოხსენების სათაური

1. **"Late Medieval Georgian Illuminated Documents: The State of Study and Research Perspectives"/ Aesthetics, Art, and Architecture in the Caucasus** Lecture Series Part II
2.
3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, ფორუმი შედგა zoom პლატფორმის ონლაინ ფორმატში

2.

2. 1 მარტი, 2022
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენებაში განხილული იყო გვიანი შუა საუკუნეების მხატვრულად გაფორმებული ისტორიული საბუთების კვლევის მდგომარეობა სახელოვნებათმცოდნეო და, კონტექსტის შესაბამისად ისტორიული და ფილოლოგიური თვალსაზრისით. მოხსენება მოიცავდა ისტორიული დოკუმენტების, როგორც კომპლექსური მხატვრული ფენომენის კვლევის სამომავლო პერსპექტივების განხილვას, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი უკავია როგორც შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის კვლევის თვალსაზრისით, ასევე ზოგადად შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნებისა და კულტურულ-ისტორიული პროცესების შესწავლისა და არსებულ ცოდნის სხვაგვარად, ახალი კუთხით გააზრების თვალსაზრისით.

1)მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **ეთერ ედიშერაშვილი**
2. მზია ჯანჯალია

2) მოხსენების სათაური
1. "On the Threshold: Georgian Religious Visual Culture in the Eleventh Century"/ XIX SEB Conference on Byzantine 2) მოხსენების Studies
2.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენებაზე წარდგენილ ი
3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 26-29 იანვარი, 2022
2.
ინტერდისციპლინური პროექტის " საქართველო და ბიზანტიური თანამეგობრობა: პოლიტიკა, კულტურა და იდენტობა იმპერიის საზღვრებზე (XI საუკუნე)", /FR-19-225/ წინასწარი კვლევის შედეგები. მოხსენების მთავარ ორიენტირს წარმოადგენდა XI საუკუნე, შუა საუკუნეების ქართული კულტურის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელიც გაერთიანებული ქართული სამეფოს და ეკლესიის კონსტანტინოპოლისკენ, როგორც მკაფიოდ გამოკვეთილი ორიენტირისკენ, სწრაფვით აღინიშნება, რამაც გავლენა იქონია, როგორც საღვთისმსახურო წესის ცვლილებაზე, ისე იმ დროის კულტურულ და სახელოვნებო სივრცეში მიმდინარე პროცესებზე. პრეზენტაციაში XI საუკუნის ქართული რელიგიური სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების (კედლის მხატვრობა, ხელნაწერი წიგნის შემკულობა, ქვის რელიეფები, ჭედურობა და მინანქარი) მაგალითზე განხილულ იქნა თანადროული

სახელოვნებო ტენდენციები: სიახლეები, ცვლილებები თუ მათი კონსერვატიული ხასიათი, რაც თავისთავად, არაერთი კითხვის დამსმელია და სამომავლოდ ქართულ სამეცნიერო წრეებში და ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებისა თუ ტერმინების ხელახლა გააზრებასა და შესაძლოა, ცვლილებასაც კი მოიაზრებდეს.

1)მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **ეთერ ედიშერაშვილი**
2.

2) მოხსენების სათაური
1. "Illuminated HIstorical Documends from Late Medieval Georgia: Overview and Research Methodology"
2.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 25 ნოემბერი, 2022
2. Sapienza University of Rome/რომი, იტალია
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო საქართველოს მასშტაბით არსებულ მუზეუმებსა და არქივებში დაცული გვიანი შუა საუკუნეების ქართული ისტორიული დოკუმენტების კვლევის გარშემო სხვადასხვა საკითხი, რაც მოიცავდა არსებული მასალის მდგომარეობის განხილვას, ინვენტარიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს (დაცულობა, ფიზიკური მდგომარეობა, აღწერილობები და კატალოგები), ნიმუშების გარშემო არსებული ბიბლიოგრაფიის მიმოხილვასა და საბუთების მხატვრობის კვლევისთვის საჭირო მეთოდოლოგიაზე მსჯელობას, რაც ინტერდისციპლინურ მიდგომის აუცილებლობას გულისხმობს სახელოვნებათმცოდნეო, ისტორიული და ფილოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით.

8.2.11.საზაფხულო სკოლებში მონაწილეობა:

2. Zoroastrian Summer School, SOAS, University of London and the University of Bergen; 20 24 June, The Norwegian Institut in Rome, Italy.

3. „Teaching (in) the Middle Ages: Arts – Rituals – Education", The Network for Medieval Arts and Rituals (NetMAR), Summer School, 25-31 July 2022, University of Bamberg, Germany.

თინათინ ხოშტარია

მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:
   1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **ბობნევის წმ. იოანე მახარებლის ტაძრის მოხატულობა (XVII საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიიდან)**

ხელოვნებათმცოდნეობა, ძველი ქართული ხელოვნების ისტორია, გვიან შუასაუკუნეების მხატვრობა

2. 2022-25 წლები.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **თინათინ ხოშტარია,** მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.

პროექტის შედეგები შემდეგნაირია: ბობნევის ეკლესია დარბაზული ტიპის მცირე ზომის შენობაა, აგებული წმინდა იოანე მახარებლის სახელზე 1661-1683 წლებს შორის და მოხატული 1683 წელს ამ დროის ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პოეტის, თბილისის ეპისკოპოსის იოსებ თბილელის ხარჯითა და თაოსნობით.

ნაშრომი ძირითადად ტაძრის მოხატულობის განხილვა ანალიზს ეთმობა, თუმცა ყურადღება გავამახვილეთ სხვა ასპექტებზეც, როგორიცაა მაგალითად ტაძრის წარწერები, დამკვეთის ვინაობა და პორტრეტი, მხატვრობის ძირითადი სტილური მახასიათებლები.

ბობნევის მოხატულობა იმ შემთხვევათაგანია, რომელიც ბევრი მიმართულების დაფიქრების საშუალებას გვაძლევს, ვიცით შესრულების თარიღი, დამკვეთი, მხატვრის სახელი და წარწერა. საფუძვლიანი შესწავლისთვის ჩვენ გარკვეული პარალელები გავავლეთ გვიან შუა საუკუნეების ქართულ და ასევე პოსტ ბიზანტიურ მონუმენტურ მხატვრობის სხვა ნიმუშებთან. ჩვენ თვალნათლივ დავინახეთ, რომ ათონის მთიდან საქართველოში ჩამოსულ ბობნევის ეკლესიის მომხატველზე ქართულ კულტურას თვალსაჩინო გავლენა მოუხდენია.

მას ორგანულად აუთვისებია ქართული ტრადიციები. თუმცა ასევე ვხედავთ ბერძნულ იკონოგრაფიულ ტიპებს გარკვეულ კომპოზიციებში.

ზოგადად ამ ეპოქის საეკლესიო მხატვრობას, მოწიფული შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების დონესთან შედარებით საგრძნობლად აკლია შემოქმედებითი სიძლიერე და მხატვრული სინატიფე, თუმცა ამ ფონზე ბობნევის მოხატულობას XVII საუკუნის ძეგლებს შორის არ დაუკარგავს მონუმენტური შუასაუკუნეების ტრადიციები და შინაგანი შემოქმედებითობა.

დღეს ბობნევის ეკლესიის მოხატულობისა და მის პარალელურ ძეგლთა ისტორიულ პროცესში შესწავლის საფუძველზე გარკვეულწილად ირკვევა გვიანფეოდალური ხანის ქართული მხატვრობის შემოქმედებითი ცხოვრების გზა.

ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილება

მარიამ გაჩეჩილაძე

განყოფილების გამგე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

3. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1) **XX ს-ის 1920-50-იან წლები გამოცემული ჟურნალების მხატვრული გაფორმება**
ხელოვნების ისტორია, თანამედროვე ხელოვნება, გამოყენებითი გრაფიკა
2) **გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება**
ხელოვნების ისტორია, თანამედროვე ხელოვნება, საფონდო-საარქივო მიმართულება
3) **გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული მხატვარ ჯემალ ლოლუას არქივის დამუშავება**
ხელოვნების ისტორია, თანამედროვე ხელოვნება, საფონდო-საარქივო მიმართულება
4) **გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული მხატვარ ვახტანგ ჯაფარიძის არქივის დამუშავება**
ხელოვნების ისტორია, თანამედროვე ხელოვნება, საფონდო-საარქივო მიმართულება
5) **გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული მხატვარ თამაზ ჯაფარიძის არქივის დამუშავება**

პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1) 2020-2022
2) 2016 - .... (პროექტი საჭიროებს გაგრძელებას, მასალის სიუხვისა და სირთულის გამო)
3) 2017 - .... (პროექტი საჭიროებს გაგრძელებას, მასალის სიუხვისა და სირთულის გამო)

4) 2022 - .... (პროექტი საჭიროებს ხანგრძლივ დამუშავებას, მასალის სიუხვისა და სირთულის გამო)
5) 2022 - .... (პროექტი საჭიროებს ხანგრძლივ დამუშავებას, მასალის სიუხვისა და სირთულის გამო)

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1) მარიამ გაჩეჩილაძე

(მკვლევარი)

XX ს-ის 1920-50-იან წლები გამოცემული ჟურნალების მხატვრული გაფორმება

XX ს-ის 1920-50-იან წლები გამოცემული ჟურნალების (ჟ. „H2SO4“, „ლიტერატურა და სხვა“, „მნათობი“, „ნაკადული“, „ჯეჯილი“, „თეატრი და ცხოვრება“, „შევარდენი“, „ლომისი“, „წითელი სხივი“, „ჩირაღდანი“, „ხელოვნება“, „დურუჯი“, „დროშა“ და სხვ.) შესწავლა-დამუშავების საფუძველზე მოხდა გაანალიზება და განვითარების პროცესების გამოკვეთა თუ რა სახით გარდაიქმნა 1920-იან წლებში დაწყებული თანამედროვე მხატვრული მიმართულებების წარმართვა სოც. რეალისტური მხატვრობის მოთხოვნილებებისადმი დამორჩილებაზე.

(მასალის დიდძალი რაოდენობის გამო სრულად ვერ მოხდა დამუშავება. კვლევა ითხოვს გაგრძელებას და შემდგომი წლების საჟურნალო-მხატვრობის შესწავლას)

4. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები
   2.1.
   1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
   1.
   მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება
   2.
   მხატვარ ჯემალ ლოლუას არქივის დამუშავება
   3.
   მხატვარ ვახტანგ ჯაფარიძის არქივის დამუშავება
   4.
   მხატვარ თემურ ჯაფარიძის არქივის დამუშავება

   2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის მითითებით)

   1. **მარიამ გაჩეჩილაძე**
      (პროექტის ხელმძღვანელი)
      ჩასატარებელი სამუშაო - მასალის დასკანერების გაგრძელება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, შესაძლებლობის ფარგლებში დაარქივება.
   2. **სოფიო ჩიტორელიძე**
      (პროექტის წევრი)

ჩასატარებელი სამუშაო - მასალის დასკანერების გაგრძელება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, შესაძლებლობის ფარგლებში არქივიზაცია

3. **მარინა მემმარიაშვილი**
(პროექტის წევრი)
ჩასატარებელი სამუშაო - მასალის დასკანერების გაგრძელება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, რუსულენოვანი დოკუმენტაციის თარგმნა.
4. **დალი ლებანიძე**
(პროექტის წევრი)
ჩასატარებელი სამუშაო - მასალის დასკანერების გაგრძელება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, რუსულენოვანი დოკუმენტაციის თარგმნა.

ამ ეტაპზე თანმიმდევრულად ხდებოდა თითოეული მხატვრის არქივის დამუშავება:

- სერგო ქობულაძის არქივის შემთხვევაში გაგრძელდა დოკუმენტაციის დასკანერება და არქივში დაცული ფოტო-ფირების დეგიტალიზაცია.
- დამუშავდა ჯემალ ლოლუას არქივის დოკუმენტაცია, დასკანერდა მის პირად არქივში არსებული ორიგინალები (სხვადასხვა ტიპის ესკიზები, ილუსტრაციები, ფოტო-მასალა და ა.შ). მასალის დამუშავების საფუძველზე მომზადდა ჯემალ ლოლუას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ალბომი.
- განხორციელდა ვახტანგ ჯაფარიძის ნამუშევრების ფოტოფიქსირება და საარქივო დოკუმენტაციის ჩუბინაშვილის ცენტრში გადმოტანა.
- განხორციელდა თამაზ ჯაფარიძის ნამუშევრების ფოტოფიქსირება და დასკანერება.

5. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

„2021 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების შესახებ“ 2022 წლის 28 იანვრის #12 დადგენილების საფუძველზე

პროექტი: **XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422; 2022—2024**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

პროექტის ხელმძღვანელი: თამარ ბელაშვილი; პროექტის კოორდინატორი: მარიამ გაჩეჩილაძე. პროექტის ძირითადი პერსონალი: მზია ჩიხრაძე, მაია მანია, გიორგი ხოშტარია, ცისია კილაძე, ლალი ანდრონიკაშვილი, ელენე თუმანიშვილი, მარიანა ოკლეი, მარინე მემმარიაშვილი, სამსონ

ლეჟავა, სოფიო ჩიტორელიძე, ნინო ჭინჭარაული, თეა ტაბატაძე, თემურ ქანთარია-ჯაბადარი, თამაზ გერსამია, ნანა ყიფიანი

პროექტის ხანგრძლივობა - 3 წელი

მარიამ გაჩეჩილაძე - შესასრულებელი სამუშო - **1930-50 იანი წწ. გრაფიკული ხელოვნება (დაზგური გრაფიკა, წიგნისა და პერიოდული გამოცემების გაფორმება, პლაკატი, ექსლიბრისი).**

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი **ანოტაცია** (ქართულ ენაზე)

პროექტი გულისხმობს XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების (არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება) ერთიანი, გაბმული ისტორიის შექმნას და გამოცემას.

6.1. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

საიუბილეო წიგნი-ალბომი **„ჯემალ ლოლუა-90“.** *პროექტის ხელმძღვანელი მარიამ გაჩეჩილაძე; წიგნზე იმუშავეს: მარიამ გაჩეჩილაძე,* სოფიო ჩიტორელიძე; *ტექსტის ავტორი მარიამ გაჩეჩილაძე;* რედაქტორი მარინა მემმარიაშვილი. ISBN 978-9941-8-4844-5; თბილისი, სტამბა „სეზანი“, 2022, გვ. 272 (ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე)

წიგნი ეძღვნება მხატვარი-გრაფიკოსი, მამია (ჯემალ) ლოლუას დაბადებიდან 90 წლისთავს.

ჯემალ ლოლუა ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში 1950-ანი წლების II ნახევრიდან შემოდის და წამყვან გრაფიკოსად გვევლინება. თავისი შემოქმედების მანძილზე იგი გრაფიკის სხვადასხვა სახეობებში მუშაობს - ასურათებს და აფორმებს წიგნებს, ქმნის პლაკატებს, კარიკატურულ ნახატებსა და ექსლიბრისებს.

მის მიერ გაფორმებული სხვადასხვა ქვეყნების ცნობილი ავტორების ნაწარმოებების ილუსტრაციები ძალზედ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საბავშვო-საყმაწვილო ლიტერატურისა და ქართული და უცხოური ზღაპრების დასურათებას.

ჯემალ ლოლუა აქტიურად იყო ჩართული პერიოდული პრესის ილუსტრირებაშიც. ხანგრძლივი დროის მანძილზე თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „ცისკარი“, „პიონერი“, „დილა“. განსაკუთრებულია მისი წვლილი ქართული სატირული ნახატის განვითარებაში, იყო ჟურნალ „ნიანგი“-ს მხატვრული რედაქტორი. ამ ჟურნალის ფურცლებზე მუდმივად იბეჭდებოდა ჯ. ლოლუას მიერ შესრულებული კარიკატურები. 1954 წლიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე (2001წ.) არ გამოსულა არცერთი ნომერი მისი კარიკატურებით რომ არ ყოფილიყო ილუსტრირებული.

მხატვრის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი კინო აფიშასა და პოლიტიკურ პლაკატსაც უჭირავს.

სიცოცხლის ბოლო წლებში (2000-2001 წ.წ.) მხატვარი ექსლიბრისის ანუ წიგნის ნიშნის ხელოვნების ათობით საუკეთესო ნიმუშს ქმნის.

წიგნი მომზადდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნულ ცენტრში დაცული მხატვრის არქივში არსებულ მასალებზე დაყრდნობით. სადაც გარდა ალბომში განთავსებული ესკიზებისა და ნამუშევრებისა შემონახულია მხატვრის ჩანაწერები, წერილები, რომელიც ეხმიანება XX ს-ის ბოლოს, საქართველოს ისტორიაში განვითარებულ უმწვავეს მოვლენებს: აფხაზეთს ტრაგედიას, ქვეყნის მძიმე სოციალური ყოფას, რუსეთ-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობას და მრავალ მტკივნეულ პრობლემას. წერს მწვავე საგაზეთო წერილებს, რომელშიც ფიქსირდება მისი როგორც საკუთარ სამშობლოზე მზრუნველი მოქალაქის პოზიცია.

წიგნს დართული აქვს სამეცნიერო აპარატი, რომელიც მოიცავს მხატვრის დაწვრილებით ბიოგრაფიულ მონაცემებს, მის შესახებ გამოქვეყნებული სტატიების ნუსხას და ძირითადი ნამუშევრებისა და გაფორმებული წიგნების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩამონათვალს.

6.1. წიგნი-ალბომი: **ხელოვნების მუზეუმის ახალი კოლექცია. 2021-2022.** რედაქტორ-შემდგენელი: ალექსანდრა გაბუნია. ტექსტის ავტორები: ალექსანდრა გაბუნია, მარიამ გაჩეჩილაძე. ISBN 978-9941-9754-9-3. თბილისი, სტამბა „სეზანი“, 2022, გვ.259 (ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე)

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდისთვის ქართველ გრაფიკოს მხატვართა ნამუშევრების შესაძენად არჩევანი შეჩერდა მხატვრებზე, რომლებმაც თავისი შემოქმედებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ეროვნული გრაფიკული ხელოვნების განვითარებაში.

საბედნიეროდ ქართველ გრაფიკოსთა რიცხვი არც თუ ცოტაა და ჩვენს წინაშე დასმული ამოცანა შეგვერჩია მხატვრები, რომელთა ნამუშევრებითაც გრაფიკის დარგში გაცნობიერებული ადამიანი ისურვებდა სამუზეუმო ფონდის გამდიდრებას, ძალზე რთული აღმოჩნდა. შესაბამისად, ამ პროცესის დასაწყისში მთავარ კრიტერიუმად ავიღეთ გარკვეული მოცემულობა, ანუ მრავალ რჩეულთა შორის ყურადღება შევაჩერეთ ისეთ ხელოვანებზე ვისი ნამუშევრებიც ძალზე მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი (ნოდარ და მამია მალაზონია, ლალი ზამბახიძე, ლორეტა შენგელია-აბაშიძე, მანანა თუმანიშვილი, ზაურ დეისაძე, გოგი წერეთელი, კარლო ფაჩულია, მედეა ჯაბუა, ნანა ცინცაძე, ლალი ლომთაძე), ან საერთოდ არ ინახებოდა (გიორგი როინიშვილი, თამარ კარბელაშვილი, გივი ვაშაკიძე, ნუგზარ მეძმარიაშვილი, მალხაზ კუხაშვილი, რუსუდან გაჩეჩილაძე, ნინო ზაალიშვილი, ნანა ჭურღულია, მარინე ივანიშვილი, თამაზ ვარვარიძე, სოფიო კინწურაშვილი, ია გიგოშვილი, ნინო ჯიშკარიანი) ხელოვნების მუზეუმის გრაფიკის ფონდში. გარდა ამისა, მხატვრები შეირჩა თაობათა თანმიმდევრობის მიხედვით, უფრო სწორად იმის მიხედვით, რომელ წლებში იწყება მათი შემოქმედებით ასპარეზზე აქტიური გამოსვლა და თავის დამკვიდრება. ასევე, გათვალისწინებული იყო მათი წვლილი ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიის განვითარების პროცესში.

სასიხარულოა, რომ სამუზეუმო ფონდების შევსების დასაწყისშივე გაჩნდა თბილისის სამხატვრო აკადემიის პირველკურსდამთავრებულთა თაობის ორი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის - სერგო ქობულაძისა და ირაკლი თოიძის ნამუშევრების შეძენის შესაძლებლობაც. მხატვრებსა, რომელთაც თავისი პედაგოგების - იოსებ შარლემანისა და ევგენი ლანსერეს მიერ გაკვალული გზა გააგრძელეს და გრაფიკის დარგი ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად აქციეს.

ზემოთ ნახსენები მხატვრები კი, უკვე მათ მიერ აღზრდილ გრაფიკოსებს წარმოადგენენ, 1950-80-ანელთა თაობას, რომელთაც თავისი სიძლიერითა და პროფესიონალიზმით ქართული გრაფიკის ხელოვნების ყველა მიმართულებას მრავალგზის მოუპოვეს წარმატება: იქნება ეს - დაზგური თუ წიგნის გრაფიკა, პლაკატი, ექსლიბრისი თუ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით (კომპიუტერული გრაფიკა) შესრულებული ნაწარმოებები.

თითოეული მათგანის შემოქმედების გარეშე კი დღეს შეუძლებელი იქნებოდა იმ მაღალი დონის მიღწევა, რაც ქართული გრაფიკის დარგში არსებობს და რომლის მნიშვნელოვნება და მხატვრული ღირებულება აღიარებულია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამას მოწმობს ის მრავალი ჯილდო და წოდება, რაც ამ მხატვრებს თავისი მოღვაწეობის მანძილზე მიენიჭათ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებზე, კონკურსებსა თუ ბიენალეებზე. აღნიშნულ მხატვრების შემოქმედებაზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა კი კატალოგში მოწვდილი მწირი ინფორმაციითაა შესაძლებელი.

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონული ჟურნალის „Ars Georgica“, სერია B, ISSN 1512-4088. georgianart.ge;

2022 წლის პირველ ნომერში გამოსაქვეყნებლად გადაცემულია სტატია:

მარიამ გაჩეჩილაძე - „ქართული წიგნის ხელოვნებაში გამოყენებული ორნამენტი (ლადო გრიგოლიას შემოქმედების მაგალითზე)“

ქართული გამოყენებითი გრაფიკის ისტორია ქართული ბეჭდური წიგნის წარმოშობის დღიდან (1629 წ.) იწყება და აქტიურ განვითარებას XIX საუკუნის მანძილზე აღწევს. იგი ძირითადად მოიცავს წიგნისა და საჟურნალო-საგაზეთო მხატვრობას, სარეკლამო დანიშნულების პროდუქციას.

ბუნებრივია, ამ ბეჭდურ პროდუქციას თან ახლავს მხატვრულად გასაფორმებელი ელემენტები, რომლებიც პირველნაბეჭდი წიგნიდან მოყოლებული თანდათან მკვიდრდებოდა, იხვეწებოდა და იძენდა ეროვნულ ნიშნებს.

მხედრული შრიფტით ნაბეჭდი პირველი ქართული წიგნები: „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ 1629 წელს რომში, „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში გამოიცა.

ქართული წიგნის შემდგომი ნიმუშები რუსეთში იბეჭდება და მეფე არჩილის (1647-1713) სახელს უკავშირდება. არც ამ წიგნების მორთულობის ელემენტებში იკვეთება ეროვნული ნიშნები. პარალელურად კი თბილისში 1709-10 წლებში მეფე ვახტანგ VI მიერ დაარსებულ სტამბაში გამოდის „სახარება“, „ჟამნი“, „კონდაკი“, „ლოცვანი“, 1712 წელს კი „ვეფხისტყაოსანი“.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და 1900-იანი წლების დასაწყისიდან, ჟურნალებისა და გაზეთების თავფურცელზე ძირითადად კი ყმაწვილთათვის განკუთვნილ წიგნებში ჩნდება

ორნამენტით შემკული სასათაურო შრიფტები, საზედაო ასო-ნიშნების ჩანართები. უმნიშვნელოვანესია გრიგოლ ტატიშვილის წვლილი ქართული შრიფტის გარნიტურების შემუშავებასა და თავსართ-ბოლოსართებისა და საზედაო ასო-ნიშნების ქართული დეკორით შემკობაში, რაც განსაკუთრებით 1888 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“.

1922 წელს დაარსებულ თბილისის სამხატვრო აკადემიაში აღზარდეს ქართველ გრაფიკოსთა თაობები - მხატვრები რომელთაც შემდგომი წლების მანძილზე განავითარეს ქართული დაზგური თუ გამოყენებითი გრაფიკა და დიდი წვლილი შეიტანეს შრიფტისა და ორნამენტის თანამედროვე ენაზე ამეტყველებაში (ლადო გრიგოლია, ლადო ქუთათელაძე, სერგო ქობულაძე, შოთა კუპრაშვილი, სევერიან კეცხოველი, სამსონ ნადარეიშვილი, იოსებ და დავით გაბაშვილები, რევაზ თარხან მოურავი, ლევან ცუცქირიძე, დავით დუნდუა, მამია და ნოდარ მალაზონიები, ოთარ ჯიშკარიანი, ჯემალ ლოლუა, თამარ კარბელაშვილი, თენგიზ მირზაშვილი, ემირ ბურჯანაძე და სხვები).

1930-იანი წლებიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე (1979) მხატვარი-გრაფიკოსი ლადო გრიგოლია ქართული წიგნის გრაფიკის წამყვან ოსტატად გვევლინება. მის შემოქმედებაზე თვალის მიდევნებით ხილულად ვლინდება შემდგომი ათწლეულების მანძილზე წიგნში ორნამენტისა და შრიფტის განვითარებაში შემოტანილი ცვლილებები.

1940-იან წლების წიგნის გაფორმებაში მხატვარი ფაქიზ, მაქმანისებურ დეკორს იყენებს, რომელიც შედგენილია უწვრილესი პატარა ყვავილებითა და ქართული ფრესკის ორნამენტის მსგავსი ზიგზაგისებური ღეროებითა და ფოთლებით.

1940-იანი წლების მეორე ნახევრიდან თანდათან „უკან იხევს“ მაქმანისებური დეკორი და ზოგჯერ სიბრტყობრივ *ლაქობრივ* ხასიათს იძენს, მოჩარჩოების ელემენტებში სწორი ფაქიზი ხაზების მატება შეინიშნება. მომდევნო ათწლეულების ორნამენტში კი თანდათან ხაზობრივ-გეომეტრიული ფორმები ჭარბობს, მეტია განზოგადება, მცენარეული დეკორი უფრო სქემატური ხდება. ორნამენტის ხასიათის ცვლასთან ერთად შრიფტიც შესატყვისად იცვლის ფორმებს. კავშირი ქართული არქიტექტურის, ფრესკის, ქსოვილის, ჭედურობისა თუ *ხელნაწერი წიგნის* დეკორთან მუდმივად შეიცნობა.

დღესდღეობით ქართული წიგნის მხატვრულ გაფორმებაში წამყვანი ადგილი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას აქვს დათმობილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ახალი თაობის გრაფიკოსმა მხატვრებმა შეძლონ და ალღო აუღონ თანამედროვეობას და, ამავე დროს, შეინარჩუნონ ქართული შრიფტისა და ორნამენტის განუმეორებელი ეროვნული ხასიათი.

2. გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონული ჟურნალის „Ars Georgica“, სერია B, ISSN 1512-4088. georgianart.ge;

2022 წლის მეორე ნომერში გამოსაქვეყნებლად გადაცემულია სტატია:

მარიამ გაჩეჩილაძე - „თამარ (თალიკო) კარბელაშვილი“

მხატვარ-გრაფიკოს თამარ (თალიკო) კარბელაშვილს 2022 წელს 85 წელი შეუსრულდა. მან მთელი თავისი ცხოვრება ჩუმ შრომასა და მოღვაწეობაში გაატარა და როგორც პირადი შემოქმედებით, ასევე, საკუთარი სამსახურისადმი არსებული მოვალეობის პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულებით, უდიდესი სამსახური გაუწია ზოგადად ქართული ხელოვნებას, კონკრეტულად კი - ქართულ წიგნის გრაფიკას.

თამარ კარბელაშვილის შემოქმედებითი ცხოვრების გზა აკადემიის დამთავრებისთანავე დაიწყო. თავდაპირველად, იგი გამომცემლობა „განათლებაში“ იწყებს მუშაობას და 1969 წლიდან ამავე გამომცემლობის მთავარი მხატვარია. ასევე, თანამშრომლობს სხვა გამომცემლობებთანაც - „ნაკადული“, „საბჭოთა საქართველო“ და სხვა.

დასურათებული აქვს 50-მდე წიგნი, მრავალი სხვადასხვა სახის ლიტერატურა. 1960-80 წწ.-ში აფორმებს სასკოლო სახელმძღვანელოებსაც. მოსკოვში 2-ჯერ გამოიცა მის მიერ შესრულებული ილუსტრაციები ქართული ხალხური ზღაპრებისა და ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“-სთვის.

გარდა ლინოგრავიურისა, დაზგური ნამუშევრებს შესრულებისას, მხატვარი აქტიურად იყენებს *სანგინას,* პასტელს, გუაშს და ტემპერის საღებავებს. მუშაობს, ასევე, ლინოგრავიურისა და ლითოგრაფიის ტექნიკით.

თავშეკავებული ჟღერადობითა და დახვეწილი ფერადოვნებით ქმნის იგი პეიზაჟებს, ნატურმორტებს; გამოსახავს სვანეთის, თიანეთისა თუ თბილისის ხედებს. მუშაობს ზეთის საღებავებითაც და ცინცხალი, ხალასი ფერებით ასრულებს ფერწერულ ნამუშევრებს - პეიზაჟებსა და ნატურმორტებს.

წიგნების მხატვრული გაფორმებისათვის, მას მიენიჭა პირველი ხარისხის დიპლომი. მეორე ხარისხის დიპლომი კი - მხატვრული რედაქტირებისთვის. მიღებული აქვს, ასევე, საკავშირო და საქართველოს *ალკკ* ცენტრალური კომიტეტების მედლები, სიგელები, 1988 დაჯილდოვდა მედლით „შრომის ვეტერანი“.

1960 წლიდან მონაწილეობს ჯგუფურ (1963, 1965, 1966, 1971, 1990, 1991) რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში.

2.

სტატია:

მარიამ გაჩეჩილაძე - „კვალი ნათელი (ეძღვნება მხატვარ გიორგი (გოგი) როინიშვილს)“. საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის - ალმანახი „მწიგნობარი-22“. (გადაცემულია დასაბეჭდად).

მხატვარმა გიორგი (გოგი) როინიშვილმა (1921-2000), თავისი შემოქმედების დიდი ნაწილი ქართველ ყმაწვილთათვის გაწეულ ზრუნვასა და შრომას მოახმარა.
მისი სახელი უპირველესად დაკავშირებულია საბავშვო ჟურნალი „დილას“ მხატვრობასთან, რომლის ილუსტრირებაზე მუშაობა შემოქმედების ადრეულ ეტაპზე, თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე, 1946 წელს დაიწყო და 1962 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ამავე ჟურნალის მთავარი სამხატვრო რედაქტორი.

გარდა ამ ჟურნალისა გოგი როინიშვილი განსაკუთრებული სიყვარულითა და სიფაქიზით აფორმებს უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის და ყმაწვილთათვის გაფორმებულ ათეულობით წიგნს. მხატვარი მოთხრობების თავსართ-ბოლოსართების კომპოზიციებს

ილუსტრირების პრინციპით ქმნის და მწერლის მიერ გააზრებულ პერსონაჟებს ადეკვატური გარეგნობის, ტიპაჟებისა და პეიზაჟების გამოსახვით ნაწარმოებთა სახასიათო გარემოში „გვამოგზაურებს“.

გარდა წიგნისა და საჟურნალო მხატვრობისა მისი შემოქმედება მოიცავს ათეულობით დაზგურ ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევარს. ქმნიდა პეიზაჟებს, პორტრეტებს, თემატურ და აბსტრაქტულ ტილოებს, სატირულ ნახატებს. ნამუშევრების განხორციელებისათვის იყენებდა სხვადასხვა მასალას: ზეთისა და ტემპერის საღებავებს, გუაშს, აკვარელს, ფანქარს, ტუშსა და კალამს. მუშაობდა ასევე თეატრისა და კინოს მხატვრობაში - აფორმებდა სპექტაკლებსა და ფილმებს.

გიორგი როინიშვილი მუდმივად მაძიებელი და დაუღალავი ენერგიის მხატვარი იყო. თავის შემოქმედებით მან ანალიტიკოსი მხატვრის მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მხატვრის, რომელიც მუდამ ახალგაზრდული შემართებით ეძებდა ფერისა და ფორმის, სიბრტყისა და მოცულობის შეთავსებისა თუ ვერ შეთავსების პრობლემებს, და რაც ასევე უმნიშვნელოვანესია მომავალ თაობას დაუტოვა ჟურნალი „დილასა“ და წიგნთა დასურათების ის უნიკალური ნიმუშები, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

ინტერდისციპლინური კონფერენცია: „ორნამენტი და კულტურა“

2022 წლის 30, 31 მაისი, 1 ივნისი - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრი

მოხსენება: **„ქართული წიგნის ხელოვნებაში გამოყენებული ორნამენტი (ლადო გრიგოლიას შემოქმედების მაგალითზე)“**

8.2.
სამეცნიერო კონფერენცია ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე.

2022 წლის 28-29 ნოემბერს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრი

მოხსენება: **„თამარ (თალიკო) კარბელაშვილის შემოქმედება“**

გიორგი ხოშტარია
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

2) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. სამეცნიერო კვლევის თემა - **ახალი და უახლესი დროის ქართული ქანდაკების ისტორია 2021-2023 წწ.**

2. სამეცნიერო კვლევის თემა - **ვიზუალური ხელოვნების კრიზისი მე-20 საუკუნის 50-იან წლებიდან დღემდე 2022-2023 წწ.**

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **გიორგი ხოშტარია**

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1. **სამეცნიერო მოხსენება, რომლის პუბლიკაციაც იგეგმება ცენტრის პერიოდულ გამოცემაში Ars Georgica**

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **თანამედროვე ხელოვნების ისტორიული კანონზომიერებანი და მათი კავშირი ზოგად კულტურულ მოვლენებთან**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1**. გიორგი ხოშტარია**

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ქართული ქანდაკების პრობლემატიკა 2022 წლის გაზაფხული

2. სახვითი-ვიზუალური ხელოვნების კრიზისი 2022 წლის დეკემბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემებში არ გამოქვეყნებულა)

8.2.

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემებში არ გამოქვეყნებულა)

ქართული ქანდაკების პრობლემატიკა (2022 წლის გაზაფხული) - ანოტაცია

გამოვდივართ პოსტულატიდან, რომ თუ მხატვრობა არსობრივად გულისხმობს ორგანზომილებიანობას და სახვას, ქანდაკება გულისხმობს ფორმათა სამ განზომილებაში

მოაზრებას. ამგვარი ქანდაკების დიდ ოსტატად გვევლინება ნიკოლოზ კანდელაკი. განვიხილავთ მის საუკეთესო ნაძერწ ფორმებს და სივრცობრივ აზროვნებას. გარდა ამისა განხილული იქნება მისი მიმდევრები: გოგი ოჩიაურია და ალიკა რატიანი.

სახვითი-ვიზუალური ხელოვნების კრიზისი (2022 წლის დეკემბერი) ანოტაცია

ზედა პალეოლითიდან დაწყებული დღემდე მიმოვიხილავთ სხვადასხვა ეპოქალურ მნიშვნელობის ძეგლებს, მოხდება მათი შეფასებით მსჯელობა - აღინიშნება უნიკალურობა, ერთადერთობა და განუმეორებლობა. შესაბამისად კაცობრიობის ევოლუციურ ხაზში მკვეთრი განსხვავება ეთიკურ და ესთეტიკურ სფეროებში.

სამსონ ლეჟავა

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

3) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

„დავით კაკაბაძე და ხალხური ხელოვნება“

პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები - **2021-2022 წწ.**

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

სამსონ ლეჟავა - მკვლევარი

1.2 პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტი - 2021-2022

ნაშრომში **„დავით კაკაბაძე და ხალხური ხელოვნება“** განიხილება დავით კაკაბაძის მიმართება ხალხურ ხელოვნებასთან.

ყველაზე დიდი სიახლოვე მჟღავნდება ამ დიდი ოსტატისა კოლხური ოდა-სახლის სტრუქტურასთან. ამ ტიპის შენობის გარემოცვაში აღზრდილი, დიდი ოსტატი „ისისხლხორცებს“ ამ ნაგებობის ნათელ სტრუქტურას, მკაფიო აღნაგობას, ტექტონიკურ პრინციპებს, რასაც არაპირდაპირ ასახავს თავისი მხატვრობის უპირატესად შინაგან პრინციპებში, და არა მხოლოდ გარეგან გამოხატულებაში (იგი ცხადია, იმერულ ლანდშაფტებში ასახავდა კიდეც ოდა-სახლს). მოგვიანოდ, მხატვარი მეცნიერულად შეისწავლის და აფიქსირებს კიდეც ამ ტიპის შენობებს - მაგ. რაჭაში. აღსანიშნავია ისიც, რომ სავარაუდოდ, მის აბსტრაქციებში ასტრალურ მოტივთა აქტუალიზაცია შესაძლოა, ინსპირირებული იყოს კოლხური ოდის ასტრალური მოტივებითაც.

მის იმერულ ლანდშაფტებში გარკვეული ასოციაცია აღიძვრება თუშური ფარდაგის მწყობრ აღნაგობასთან და მჟღერ, მაგრამ თავდაჭერილ ფერადოვნებასთან.

„ქართულ ნატურმორტში“ - ოსტატი არსობრივად, და არა მხოლოდ ეთნოლოგიურ დონეზე, წარმოაჩენს ტრადიციულ საღვინე ჭურჭლის სტრუქტურასა და საზრისს - იგი ფაქტობრივად, ამ სურათში - ნათელყოფს იმას, რომ საქართველო ღვინის კულტურის აკვანია.

ამგვარი „თარგმანება“ ხალხური ხელოვნების შიდა სტრუქტურებისა, ძალიან ამდიდრებს კაკაბაძისეული ხელოვნების მრავლისმომცველობას და ტევადობას.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. „2021 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების შესახებ“ 2022 წლის 28 იანვრის #12 დადგენილების საფუძველზე

პროექტი: **XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422; 2022—2024**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

პროექტის ხელმძღვანელი: თამარ ბელაშვილი; პროექტის კოორდინატორი: მარიამ გაჩეჩილაძე. პროექტის ძირითადი პერსონალი: მზია ჩიხრაძე, მაია მანია, გიორგი ხოშტარია, ცისია კილაძე, ლალი ანდრონიკაშვილი, ელენე თუმანიშვილი, მარიანა ოკლეი, მარინე მემმარიაშვილი, სამსონ ლეჟავა, სოფიო ჩიტორელიძე, ნინო ჭინჭარაული, თეა ტაბატაძე, თემურ ქანთარია-ჯაბადარი, თამაზ გერსამია, ნანა ყიფიანი

პროექტის ხანგრძლივობა - 3 წელი

4) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
იხ. თ. ბელაშვილის ანგარიში

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტი გულისხმობს XIX/XX სს.-ის ქართული ხელოვნების (არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება) შესახებ ერთიანი, გამოცემის მომზადებას. აღნიშნული ნაშრომი, სტრუქტურის თვალსაზრისით ნარკვევების ერთობლიობას წარმოადგენს. პროექტის მონაწილე თითოეული მკვლევარი თემატიკის, ქრონოლოგიისა და პრობლემის შესაბამისად, ტექსტის კონკრეტული ნაწილის (თავი, პარაგრაფი, და ა.შ.) ავტორია. წიგნის სტრუქტურული წყობა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას მიჰყვება და ამიტომ საბოლოო ჯამში XIX/XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორიის გაბმული სურათის შექმნა ხდება შესაძლებელი.

XIX ს.-ის არქიტექტურა

- ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება

- გამოყენებითი ხელოვნება
- 50-იანელების ფერწერა

  ამ ეპოქის ხელოვანები: ლევან ცუცქირიძე, ავთო ვარაზი,ზურაბ ნიჟარაძე, ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე, თენგიზ მირზაშვილი, ჯიბსონ ხუნდაძე, კოკი მახარაძე, ოთარ სულავა, ნატალია ფალავანდიშვილი, სერგო ჩახოიანი, რევაზ თარხან-მოურავი, ლევ ბოიახჩევი, ვასილ შუხაევი, გურამ ქუთათელაძე, დიმიტრი ხახუტაშვილი, ედმონდ კალანდაძე, გურამ გელოვანი, მერაბ დურგლიშვილი, ვაჟა მდივანი, ალბერტ დილბარიანი, მიხეილ ხვიტია (?), კოკა იგნატოვი, ჟანი მეძმარიაშვილი, ბელა ბერძენიშვილი, გივი კასრაძე

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში“** - ხელოვნების ისტორია, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება; HE-18-339 26/07/18; 2018-2022;

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე - პროექტის ხელმძღვანელი; გიორგი პაპაშვილი - კოორდინატორი, მკვლევარი; მანონ ლილუაშვილი - მკვლევარი; ნოდარ არონიშიძე - მკვლევარი; **სამსონ ლეჟავა - რედაქტორი**; ელდარ ნადირაძე - კონსულტანტი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს მემორიალური ძეგლები ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ქართული კულტურის ისტორიისა, რომელიც ამთლიანებს ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ეპიგრაფიკისა და სხვა სულიერი და მატერიალური ღირებულების შემქმნელი დარგების მრავალსაუკუნოვან შემოქმედებას.

ჩვენი სახელოვნებათმცოდნეო კვლევის საგანი დროითად მოსაზღვრული ეპოქის (გვიანი შუა საუკუნეებიდან XX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით) ფიგურულგამოსახულებიანი რელიეფებით შემკული საფლავის ქვებია. ნაშრომი საფლავის ძეგლთა სახელოვნებათმცოდნეო სამეცნიერო კვლევის პირველი მცდელობაა.

საქართველოს უმრავლეს მხარეში განხორციელებული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მდიდარი მასალის საფუძველზე შეიქმნა საკვლევად განსაზღვრული ეპოქის რელიეფური დეკორით გაფორმებული საფლავის ძეგლთა საერთო სურათი, სადაც თვალი გაედევნება რეგიონულ თავისებურებებს, სხვადასხვა სტილურ თუ მხატვრულ ტენდენციებს. განვიხილავთ უმთავრესად საფლავის ქვათა ფიგურულრელიეფიან გამოსახულებათა რეპერტუარს, იკონოგრაფიას, მხატვრულ და სახვით სპეციფიკას, რათა გამოვავლინოთ ამ გამოსახულებათა შუა საუკუნეების ქანდაკების ტრადიციასთან მიმართებისა და მისი მემკვიდრეობითობის რაგვაროვა ახალი დროის მსოფლმხედველობრივი და მხატვრული ტენდენციების ცვლილებათა ფონზე. შუა საუკუნეები საქართველოში XVIII საუკუნის ჩათვლით გახანგრძლივდა. ამ დიდი ეპოქის ქვაზე კვეთილობის ტრადიციაც თითქმის 14

საუკუნეს ითვლის. შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების განვითარების დამასრულებელ ეტაპზე - გვიან შუა საუკუნეებში სახისმეტყველებითი რთული პროგრამების შექმნის კვალად, თვალშისაცემია მხატვრული და საშემსრულებლო ოსტატობის ერთგვარი დაკნინება, ფორმის გაუბრალოება-გამარტივება. ამის მიუხედავად ხუროთმოძღვრული ქანდაკება ბოლომდე ინარჩუნებს ტრადიციის უწყვეტობასა და მდგრადობას. ამ ეპოქის ქართულ ქანდაკებას უმეტესად ეკლესიათა საფასადო რელიეფური პლასტიკის ძეგლებით ვიცნობთ. საყურადღებოა, რომ სწორედ გვიან შუა საუკუნეებში ჩნდება საფლავის ძეგლებზე სრული ტანით გამოსახულ გარდაცვლილთა ქვაზე კვეთილი პირველი ნიმუშები. ბევრად განსხვავებულია მოკრძალებულად, სადად, ხანაც ძალზე მწირად შემკული, ნაკლებად შემორჩენილი ადრეული ხანის საფლავის ქვები (V-XIV სს.), რომლებიც, სამწუხაროდ, თანდათან ნადგურდება და სულ უფრო უკვალოდ იკარგება. მათზე, უმეტესად, მხოლოდ ჯვრები და ეპიტაფიებია ამოკვეთილი ან მეომრის მარჯვენა მკლავი მშვილდ-ისრითა და ხმლით, ხანაც - გუთანი. გვხვდება აგრეთვე ცხვრისა და ცხენის მრგვალი ქანდაკებებიც, რომელთა ზედაპირები სხვადასხვა მსუბუქი სახოვანი კვეთილობებით არის ხოლმე დამშვენებული.

შუა საუკუნეების ტრადიციის შენარჩუნების მცდელობას, თუ ზოგჯერ ინერციას ვხედავთ ახალ დროშიც – XIX საუკუნეში, რაც სახვითი, იკონოგრაფიული სქემებისა თუ თემატური რეპერტუარის თავისებურ მსგავსებაშიც გამოვლინდა. ამ მხრივ ორ ძირითად მიმართულებას გამოვყოფთ: ერთი მხრივ, შუა საუკუნეების მქანდაკებლობის ტრადიციის გამგრძელებელი საფლავის ქვათა რელიეფები (ეთნოგრაფიული-ხალხური ნაკადი), ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთევროპული და ბერძნული ნიმუშების გავლენით შექმნილი საეკლესიო ხუროთმოძღვრული ქანდაკება, რომელიც ამ დროისათვის უკვე სპორადულად გვხვდება.

გამოსახულებებით უფრო მდიდარია გვიანი საფლავის ქვები (XVIII-XIX, XX საუკუნის დასაწყისი), რომელთა მხატვრულ გაფორმებაში შუა საუკუნეების რელიეფური ქანდაკების სახვითი აზროვნება თავისებურ სახეცვალებად განვითარებას განაგრძობს. ამ ხანის საფლავის ძეგლები შუა საუკუნეების მონუმენტური სკულპტურის რამდენადმე შეწყვეტილი ტრადიციის „თავშესაფარი“ და, ამავდროულად, ხალხური შემოქმედების თავისუფალი „ასპარეზი“ ხდება. მათზე გამოკვეთილი რელიეფიანი გამოსახულებები უმეტესად ხალხური, ხელოსნური ხასიათისაა, თუმცა გვხვდება, საკმაო ოსტატობით და დახელოვნებით შესრულებული ნიმუშებიც.

6.1. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;

გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ე. კვაჭატაძე, **ს. ლეჟავა,** მ. ლილუაშვილი. გ. პაპაშვილი, ნ. არონიშიძე, „საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში“; ISBN 978-9941-8-3727-2; თბილისი, 2022, (372 გვერდი)

2. E. Kvachatadze, **S. Lejava,** M. Liluashvili, G.Papashvili, N.Aronishidze, *The Funerary Monuments of Georgia From the Seventeenth to the Nineteenth Centuries*, Tbilisi, 2022 (332 pages).
ISBN 978-9941-8-3785-2

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს მემორიალური ძეგლები ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელია ქართული კულტურის ისტორიისა, რომელიც აერთიანებს ქართული სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ეპიგრაფიკისა და სულიერი და მატერიალური ღირებულების შემქმნელი სხვა დარგების მრავალსაუკუნოვან შემოქმედებას.

ჩვენი სახელოვნებათმცოდნეო კვლევის საგანი დროითად მოსაზღვრული ეპოქის: გვიანი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ფიგურული რელიეფებით შემკული საფლავის ქვები და არქიტექტურულად გადაწყვეტილი საფლავის მონუმენტებია. ნაშრომი საფლავის ძეგლთა სახელოვნებათმცოდნეო თვალსაზრისით განვრცობილი სამეცნიერო კვლევის პირველი მცდელობაა.

საყურადღებოა, რომ გვიან შუა საუკუნეებში ჩნდება, ამჟამად ცნობილი, საფლავის ქვებზე სრული ტანით გამოსახულ გარდაცვლილთა ქვაზე კვეთილი პირველი ნიმუშები. ბევრად განსხვავებულია მოკრძალებულად, სადად, ხანაც ძალზე ლაკონიურად შემკული, ადრეული ხანის, ნაკლებად შემორჩენილი საფლავის ძეგლები (V-XV საუკუნეები), რომლებიც თანდათან ნადგურდება და უკვალოდ იკარგება. მათზე, უმეტესად, მხოლოდ ჯვრები და ეპიტაფიებია ამოკვეთილი ანდა მეომრის მკლავი მშვილდ-ისრითა და ხმლით, ხანაც - გუთანი. გვხვდება აგრეთვე ცხვრისა და ცხენის მრგვალი ქანდაკებებიც, რომელთა ზედაპირები სხვადასხვა მსუბუქი სახოვანი და ფიგურული კვეთილობებით არის ხოლმე დამშვენებული; მემორიალურ ძეგლებს უნდა წარმოადგენდეს ბოლნური ჯვრებით შემკული ადრეული სტელების (V-VII საუკუნეები) გარკვეული ნაწილიც, ასევე იოანე ზედაზნელის კანკელის რელიეფი (VII საუკუნე).

შუა საუკუნეების ქანდაკების ტრადიციის შენარჩუნების მცდელობას, თუ ზოგჯერ, ინერციას ვხედავთ ახალ დროშიც – XIX საუკუნეში, რაც სახვითი, იკონოგრაფიული სქემებისა თუ თემატური რეპერტუარის თავისებურ რემინისცენციებშიც გამოვლინდა. ამ მხრივ ორი ძირითადი მიმართულება გამოიყოფა: შუა საუკუნეების მქანდაკებლობის ტრადიციის გამგრძელებელი და, ამავდროულად თავისებური სიახლეების შემომტანი საფლავის ქვათა რელიეფები (ხალხური ნაკადი) და დასავლეთევროპული და ბერძნული ნიმუშების გავლენით შექმნილი საეკლესიო ხუროთმოძღვრული ქანდაკება, რომელიც ამ დროისათვის უკვე სპორადულად გვხვდება.

გამოსახულებებით უფრო მდიდარია საფლავის ქვების გვიანდელი ნიმუშები, რომელთა მხატვრულ გაფორმებაში შუა საუკუნეების რელიეფური ქანდაკების სახვითი აზროვნება თავისებურ, სახეცვალებად განვითარებას განაგრძობს. ამ ხანის საფლავის ძეგლები შუა საუკუნეების მონუმენტური სკულპტურის რამდენადმე შეწყვეტილი ტრადიციის „თავშესაფარი“ და, ამავდროულად, ხალხური შემოქმედების თავისუფალი „ასპარეზი“ ხდება. მათზე გამოკვეთილი რელიეფიანი გამოსახულებები უმეტესად ხალხური, ხელოსნური ხასიათისაა, თუმცა გვხვდება, საკმაო ოსტატობითა და დახელოვნებით შესრულებული ნიმუშებიც.

შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების სახვითი ტრადიცია, ფორმათმეტყველებითი ენა უმეტესად დაბალი რელიეფის სახით ჩამოყალიბდა, თუმცა გვაქვს გამორჩეული ფასეულობის ჰორელიეფური ნიმუშებიც (ოშკი, ხახული და სხვა). ამდენად, XIX საუკუნის შუა ხანებამდე მრგვალი ქანდაკება არც მემორიალურ ძეგლებს შორის გვხვდება.

თავმოყრილი მასალის საფუძველზე განისაზღვრა საქართველოში საუკუნეების მანძილზე გავრცელებული მემორიალური ძეგლების ერთგვარი ტიპოლოგია: საფლავის ლოდები; ჯვრის, აკვნის, სკივრისა (ტაგრუცი) და კუბოს ფორმის ქვები; აგრეთვე ცხვრისა და ცხენის მრგვალი ქანდაკებები; ობელისკები, სტელები, მატურები; არქიტექტურულად გადაწყვეტილი საფლავის ძეგლები: ეკლესიის მოდელები, ბალდაქინები, აკლდამები. XIX საუკუნის ბოლოდან ანგელოზთა და მგლოვიარე ქალთა ქანდაკებები, ბიუსტები და სხვა.

დღეისათვის დაბეჯითებით ძნელი სათქმელია თუ როდის იღებს დასაბამს შუა საუკუნეების საქართველოში საფლავის ქვაზე გარდაცვლილის სრულად გამოსახვის ტრადიცია, თუმცა, ცნობილია რამდენიმე ფერწერული მაგალითი: წმინდანთა გამოსახულებით მოხატული უნდა ყოფილიყო დავით გარეჯელის, დოდო გარეჯელისა და წმ. ნინოს საფლავის ქვები.

საქართველოში საფლავის ძეგლთაგან უპირატესად გავრცელებული ტიპი ქვის ლოდია, რომლის შემკულობაშიც განსაკუთრებით ნათლად აისახა სხვადასხვა ეპოქის მხატვრული ესთეტიკა და სახვითი ტენდენციები. თუმცა სხვა ტიპის ფიგურულრელიეფიან მემორიალურ ძეგლებზეც ასევე ცხადადაა გამოხატული ეპოქის მსოფლმხედველობა, ეკონომიკურ-სოციალური ფონი, გარდაცვლილის პროფესიული საქმიანობა თუ სოციალური კუთვნილება, ყოფის ელემენტები.

საქართველოში XVII საუკუნიდან 1930-იან წლებამდე პერიოდის ფიგურულგამოსახულებიანი საფლავის ძეგლთა განხილვამ ცხადყო საფლავის დეკორის რეგიონული თავისებურებანი და მრავალფეროვნება, გამოსახულებათა რეპერტუარისა და იკონოგრაფიის „მემკვიდრეობითი“ კავშირი შუა საუკუნეების რელიეფური ქანდაკების ტრადიციებთან; ამავდროულად, ეპოქის საერთო სულისკვეთება, მსოფლმხედველობითი ცვლილებები, იკონოლოგიური, სტილური, შინაარსობრივი, ესთეტიკური სიახლეები და ტენდენციები საფლავის რელიეფურ დეკორში გარკვეული სიმპტომატური, სტილური ნიშნებითაც იხილვება. აქ თანაარსებობს ინტენსიური ხალხური შემოქმედება, სადაც აშკარაა სეკულარიზაციის, გარკვეული რეალიზმის ტენდენციები, რომელიც შუა საუკუნეების ე. წ. პროფესიულ ნაკადს შორდება და, ამავდროულად, ერთგვარი ევროპეიზაციის: ნეოკლასიცისტურ, ნეობაროკულ და მოდერნის სტილთა, ზოგჯერ თავისებური ეკლექტიზმის სახით შემოდინება თვალსაჩინოვდება.

საფლავის ფიგურულმა დეკორმა ასახა ხალხური მქანდაკებლობის ხასიათი: დროისა და სივრცის გადმოცემის პირობითობა, ხანდახან მიამიტური, გულუბრყვილო პირდაპირობა, ზოგჯერ გაუწაფავი ოსტატობა, ფორმის, სამეტყველო ენისა თუ სახვითი ხერხების გამარტივება. საკუთარი ხატოვანი ხალხური შემოქმედებისთვის ნიშანდობლივი სახეთა „კრებითი“ ტიპიზაციის მიუხედავად, საფლავის ძეგლები ცოცხლად გვიამბობენ თანადროული ეპოქის სოციალური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ, სიკვდილსა და სიცოცხლეზე, ეპოქის მსოფლმხედველობრივ სივრცეზე, სამზეოსა და საიქიოს ცხოვრებაზე, რწმენაზე, სიყვარულზე,

სინანულზე, წუთისოფლის სიმუხთლესა და ხანმოკლეობაზე და მარადიულობაზე, რაც მრავალრიცხოვან ეპიტაფიებში განსაკუთრებით მძლავრად ამოიფრქვა.

საგულისხმოა, რომ საფლავის ქვის იკონოგრაფია და მხატვრული ხედვა XIX-XX საუკუნეების მხატვრობაში, ჭედურ ხელოვნებასა და ფოტოგრაფიაში თავისებურად აისახა და შემოქმედებითი ძიებისა თუ მხატვრული რეპლიკების ნიმუშები შემოგვთავაზა.

ძალზე ყურადსაღებია ისიც, რომ ძველი საფლავის ძეგლთა კვლევა და დაცვა მატერიალური კულტურის შენარჩუნების გარდა, ისტორიული მეხსიერებისა და მემკვიდრეობის შენახვის უპირობო მოვალეობაა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჯერ კიდევ შემორჩენილი საფლავის ქვათა ეპიტაფიები და ფიგურული გამოსახულებანი ქართული კულტურის ბევრ საგულისხმო ფაქტს, ადგილობრივი მოსახლეობის მკვიდრობის ისტორიასა და ტრადიციის უწყვეტობას გვამცნობს და, ამდენად, ქვაში გამოკვეთილი, ფასდაუდებელი ისტორიული ღირებულების დოკუმენტებს წარმოადგენს.

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

3. გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონული ჟურნალის „Ars Georgica“, სერია B, ISSN 1512-4088. georgianart.ge; ნაწილი I

ორნამენტი ქართულ საერო არქიტექტურაში (დედაბოძისა და კოლხური ოდა სახლის მაგალითზე)

ხალხური ხელოვნების ნიმუშებში ნათელყოფილია სამყაროს ხედვის მთლიანობითი, ორგანული ხასიათი და ერთგვარი საიდუმლოსმიერობა. მთლიანობაში, ორნამენტი მაღალორგანიზებული, წინარეურბანული, წინარედამწერლობითი სისტემაა, ერთგვარი სულიერი „კონსტრუქცია“, სოციუმში სიმდგრადის შემომტანი, რომელშიც გვეძლევა სამყაროს შინაწყობისა და მასში გავრცობილი დინამიკის ფუნდამენტურად არაიმიტაციური თარგმანება. იგი წმინდა წყლის გეომეტრიული „თაურფორმების“, ზოგან, რადიკალურად სახეცვლილი ბიომორფული სტრუქტურებისა და „დაწურულად“ ასტრალური კონფიგურაციების სამერთიანობას გვაწვდის. მასში სიმეტრიულობის პრინციპი ეკონომიურობის შემომტანია, ხოლო დიფერენცირებულობას ინტეგრალურობა გადაწონის - რაც საყოველთაობისადმი მიკუთვნებას იგულვებს და, შესაბამისად, - ინდივიდუალური საწყისის გამოვლენილობა მიზანმიმართულად დამცხრალია ჩუქურთმაში, თუმცა, არაა გამქრალი.

სახელდობრ, საქართველოშიც, ტრადიციული ხალხური საცხოვრისის ნიმუშები იმკობოდა იმ სახის მორთულობით, რომელიც ამ ნაგებობათა საზრისის, მათი შინა წყობის განმმარტებელი, გამათვალსაჩინოებელი და, უთუოდ, გამაძლიერებელიც იყო. მაგალითად, კოლხური ოდა-სახლის ორნამენტი, სუბორდინირებულად რომ ერთვებოდა საცხოვრისის, როგორც სამყაროს მოდელის სტრუქტურაში, მას კიდევ სხვა დატვირთვის მქონე, მეტ სიღრმით განზომილებას სძენდა. ამ ულამაზესად „დაქარგულ“, ერთი მხრივ - ლამის საზეო სიმწყობრითა და მეორე

მხრივ - გულმისავალი უბრალოებით გამორჩეულ სამშვენისებს, მრავალფუნქციურობა გამოარჩევდა. ძირეულად, მათში ღვთის სახოტბო ინტონაციებიც შეიგრძნობოდა.

სრულებით განსაკუთრებულად ძლევამოსილია მისი დეკორი, რომელიც დედაბოძისავე მთელი საზრისის გამომხატავი და გამორჩეულად განმამტკიცებელიც არის.

ძალუმი თავმოყრილობა და მკაფიო აგებულობა დარბაზისავე მორთულობისა, გაცილებით სადა, ლაკონიური და ფოკუსირებულია, ვიდრე, ოდა-სახლში, რომლის ორნამენტაცია მონახაზთა ნაირსახეობა-მრავალტრაექტორიანობით, შედარებით რთული სახისაა.

დედაბოძის „სხივმოსილი“ ორნამენტი ესადაგება არათუ მხოლოდ ერდოდან შემოსულ შუქს, არამედ, კერის ცეცხლსაც, ოდა-სახლის მორთულობაში მზესთან „შეგებებას“ უფრო მეტად აივნის სივრციდან ვხედავთ, როდესაც მზის სხივთა ჭავლი „მსჭვალავს“ ამ დეკორს, რომელიც, იმავდროულად, ვიტრაჟისებრ, „გრაფიკულად“ დემატერიალიზებულ „ხილვად გარდაისახება, თუმცა, მწუხრის ჟამს, ამ ჩუქურთმას კიდევ სხვაგვარი ენიგმატურობაც შეეძინება.

მთლიანობაში, ემოციური ეფექტი ჩვენ შინაგანად აღგვავსებს გარკვეული თერაპიული დატვირთვაც. თავის მხრივ, როდესაც ვუმზერთ დედაბოძის შემკულობას, გაცილებით ცხადად შევიგრძნობთ მის თავმოყრილობა-კვინტენსენციურობას, მისსავ ნაჯერ, „დაკუმშულ“ ორნამენტში ჩენილს.

4. გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონული ჟურნალის „Ars Georgica“, სერია B, ISSN 1512-4088. georgianart.ge; ნაწილი II

ნიკო ფიროსმანაშვილი და დავით კაკაბაძე

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISSN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ე. კვაჭატაძე, **ს. ლეჟავა,** მ. ლილუაშვილი. გ. პაპაშვილი, ნ. არონიშიძე, „საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში“; ISBN 978-9941-8-3727-2; თბილისი, 2022, (372 გვერდი)
2. E. Kvachatadze, **S. Lejava,** M. Liluashvili, G.Papashvili, N.Aronishidze, *The Funerary Monuments of Georgia From the Seventeenth to the Nineteenth Centuries*, Tbilisi, 2022 (332 pages).
   ISBN 978-9941-8-3785-2

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

ინტერდისციპლინური კონფერენცია: „ორნამენტი და კულტურა“

2022 წლის 30, 31 მაისი, 1 ივნისი - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრი

კონფერენციის კურატორი და მომხსენებელი

მოხსენება: **ორნამენტი ქართულ საერო არქიტექტურაში** (დედაბოძისა და კოლხური ოდა სახლის მაგალითზე)

8.2.

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

სამეცნიერო კონფერენცია ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე.

2022 წლის 28-29 ნოემბერს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრი

მოხსენება: **ნიკო ფიროსმანაშვილი და დავით კაკაბაძე**

მარინა მეძმარიაშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

გარდამავალი თემა: **სოც. რეალიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში**

1. მუშაობის საწყის ეტაპზე მოხდა თემასთან დაკავშირებული არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ვიზუალური მასალის შესწავლა.
2. მოხდა სოც. რეალიზმის ისტორიის წინაპირობების განხილვას-გაანალიზება.
3. ნაშრომში აღნიშნულია საქართველოში არსებული მხატვრული ტენდენციები XX საუკუნის დასაწყისში.
4. განხილულია 1920-1950 წწ. სოც. რეალიზმის მეთოდით შესრულებული ნაწამოებების ძირითადი თვისებები: თემები, მხატვრული თვისებები და ა.შ.
5. ნაჩვენები არის როგორ აისახა მხატვრობაში სახელმწიფოს დიქტატორი და იდეოლოგია.
6. ორი გამოჩენილი მხატვრის მოსე თოიძის და დავით კაკაბაძის შემოქმედების მაგალითზე გამოიკვეთა ამ მეთოდის გავლენა მხატვრების შემოქმედებაზე.

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის მითითებით)

5. **მარიამ გაჩეჩილაძე**
   (პროექტის ხელმძღვანელი)
   ჩასატარებელი სამუშაო - მასალის დასკანერების გაგრძელება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, შესაძლებლობის ფარგლებში არქივიზაცია
6. **სოფიო ჩიტორელიძე**
   (პროექტის წევრი)
   ჩასატარებელი სამუშაო - მასალის დასკანერების გაგრძელება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, შესაძლებლობის ფარგლებში არქივიზაცია
7. **მარინა მემმარიაშვილი**
   (პროექტის წევრი)
   ჩასატარებელი სამუშაო - მასალის დასკანერების გაგრძელება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, რუსულენოვანი დოკუმენტაციის თარგმნა.
8. **დალი ლებანიძე**
   (პროექტის წევრი)
   ჩასატარებელი სამუშაო - მასალის დასკანერების გაგრძელება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, რუსულენოვანი დოკუმენტაციის თარგმნა.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

„2021 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების შესახებ“ 2022 წლის 28 იანვრის #12 დადგენილების საფუძველზე

პროექტი: **XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422; 2022—2024**

მ. მემმარიაშვილი - 1) სოც. რეალიზმის მეთოდის დამყარება საქართველოში; 2) 1950-იანელების ფერწერა

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

პროექტის ხელმძღვანელი: თამარ ბელაშვილი; პროექტის კოორდინატორი: მარიამ გაჩეჩილაძე. პროექტის ძირითადი პერსონალი: მზია ჩიხრაძე, მაია მანია, გიორგი ხოშტარია, ცისია კილაძე, ლალი ანდრონიკაშვილი, ელენე თუმანიშვილი, მარიანა ოკლეი, მარინე მეძმარიაშვილი, სამსონ ლეჟავა, სოფიო ჩიტორელიძე, ნინო ჭინჭარაული, თეა ტაბატაძე, თემურ ქანთარია-ჯაბადარი, თამაზ გერსამია, ნანა ყიფიანი

პროექტის ხანგრძლივობა - 3 წელი

პროექტი გულისხმობს XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების (არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება) ერთიანი, გაბმული ისტორიის შექმნას და გამოცემას.

იხ. თ. ბელაშვილის ანგარიში

6.1. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

საიუბილეო წიგნი-ალბომი **„ჯემალ ლოლუა-90“.** პროექტის ხელმძღვანელი მარიამ გაჩეჩილაძე; წიგნზე იმუშავეს: მარიამ გაჩეჩილაძე, სოფიო ჩიტორელიძე; ტექსტის ავტორი მარიამ გაჩეჩილაძე; ***რედაქტორი მარინა მეძმარიაშვილი.*** ISBN 978-9941-8-4844-5; თბილისი, სტამბა „სეზანი“, 2022, გვ. 272 (ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე)

წიგნი ეძღვნება მხატვარი-გრაფიკოსი, მამია (ჯემალ) ლოლუას დაბადებიდან 90 წლისთავს.

იხ. მარიამ გაჩეჩილაძის ანგარიში

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

„ახალი მხატვრული ფორმების ძიებიდან-სოცრეალიზმამდე (მოსე თოიძე, დავით კაკაბაძე)“

გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონული ჟურნალის „Ars Georgica“, სერია B, ISSN 1512-4088. georgianart.ge;

სოცრეალიზმი, როგორც მე-20 საუკუნის ხელოვნებისა და ლიტერატურის მეთოდი ოფიციალურად გაფორმდა 1934 წელს საკავშირო მწერალთა ყრილობაზე. თუმცა ამ მეთოდის საფუძველი 1918 წელს ჩაეყარა „ლენინის მონუმენტური პროპაგანდის გეგმით“. 1920-იან წლებში ლუნაჩარსკიმ პირველად გამოიყენა ტერმინი „ახალი სოციალური რეალიზმი“ ლიტერატურასთან მიმართებით. 20-იანი წლების დასაწყისში ეს ცვლილებები, რომლებიც თრგუნავდა სახვითი ხელოვნების საბაზისო ღირებულებებს, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება, ინდივიდუალიზმი, თვითგამოხატვა, ჯერ კიდევ არ ახდენდა გავლენას ქართულ ხელოვნებაზე (იმ წლებში საქართველოს რესპუბლიკა რუსეთისგან დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო), თუმცა უკვე 1930-იანი წლებიდან ახალმა იდეოლოგიამ რადიკალურად შეცვალა ქვეყნის ხელოვნების განვითარება.

1930-40-იან წლებში, განსაკუთრებულად ძლიერი სახელმწიფო დიქტატის პერიოდში, მოქანდაკეების, გრაფიკოსების, ფერმწერების და ა.შ. მთელი პლეადა მოღვაწეობდა საქართველოში.

პროფესიონალიზმის დონიდან, მსოფლმხედველობიდან, შემოქმედებით ხელწერისა და სხვა ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე მხატვრები, მიუხედავ სისტემის სიმკაცრისა, მაინც მეტად თუ ნაკლებად ავლენდნენ თავიანთი პიროვნულ თვისებებს.

იმ პერიოდის ქართული ხელოვნების ორი გამორჩეული ფიგურა: მოსე თოიძე და დავით კაკაბაძე წარმოადგენენ იმის მაგალითს, თუ როგორ ცვლიდა სახელმწიფო ჩარევა მხატვრული ძიების გზებს.

მიუხედავად იმისა რომ ამ ორი მხატვრის შემოქმედება და ცხოვრება 1930-1950-იან წწ. მკვეთრად განსხვავებული იყო, მათ ერთი რამ აერთიანებდა: ვერც დ.კაკაბაძემ და ვერც მ.თოიძემ ვერ განახორციელეს თავიანთი ამოცანები ხელოვნებაში, ვერ მოახდინეს ნიჭის ბოლომდე რეალიზება, ვერ გამოავლინეს ის ინტერესი, რაც ჰქონდათ წინა პერიოდებში და, რაც მთავარია, არ იყვნენ თავისუფალნი და ორივეს მოუწია „სოც. რეალიზმის“ მეთოდის მძიმე ტვირთის ზიდვა.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

8.2
სამეცნიერო კონფერენცია ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე.

2022 წლის 28-29 ნოემბერს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრი

მოხსენება: **„ახალი მხატვრული ფორმების ძიებიდან-სოცრეალიზმამდე (მოსე თოიძე, დავით კაკაბაძე)“**

თამაზ გერსამია

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

5) **არქიტექტორი მიხეილ ოჰანჯანოვი,** არქიტექტურის ისტორია

პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. 2020 – 2022

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **თამაზ გერსამია**

6. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1. მიხეილ ოჰანჯანოვი იმ თბილისელ არქიტექტორთა რიცხვს მიეკუთვნება რომლებმაც მნიშვნელოვანი ღვაწლი შეიტანეს თბილისის XIX - XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურის განვითარებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მის ცხოვრებაზე და შემოქმედებით საქმიანობაზე ცოტა რამ ვიცოდით. მ. ოჰანჯანოვი დაიბადა თბილისში 1870 წელს. გადმოცემით უმაღლესი სპეციალური განათლება მიიღო მოსკოვში, სტროგანოვის სასწავლებელში. თბილისში დაბრუნების შემდეგ 1898 წლიდან მუშაობდა ქალაქის თვითმართველობაში, ჯერ შტატგარეშე ტექნიკოსად, შემდეგ ტექნიკოსის და საუბნო არქიტექტორის თანამდებობებზე,

ხოლო1914-იდან იგი თბილისის ახალი სასაკლაოს ტექნიკური ნაწილის გამგეა. მ.ოჰანჯანოვი ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. 1906-იდან იყო მე-5 ქალთა გიმნაზიის სამეურვეო საბჭოს წევრი, 1909-იდან კავკასიის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების,არქიტექტურის განყოფილების თავმჯდომარე, 1913-იდან კავკასიის "სამაცივრო საქმის" კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი. მისი პირველი პროექტები 1898-იდან ჩნდება. ამ დროიდან მოყოლებული 1915-წლამდე მის მიერ თბილისში ბევრი საცხოვრებელი სახლი, სახაზინო, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობაა აგებული. იგი ძირითადად მიმართავდა მოდერნის სტილს, რომელსაც აქტიურად ნერგავდა. კერძოდ, მისი პროექტით აშენებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსი (ყოფ. სახელმწიფო ბანკის კანტორის შენობა, 1910 წ., თანაავტორი გ.ალაჯანი); ყოფ. საქართველოს ეროვნული ბანკის შენობა ლეონიძის (ყოფ. სოლოლაკის) ქუჩაზე, 1913 წ.; მთაწმინდის რაიონის გამგეობის შენობა (ყოფ. ზუბალაშვილისეული დავრდომილთა სახლი), ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე, 1902-1906 წწ.; საცხოვრებელი სახლები # 4 (1903 წ.) და #12 (ერთი ყველაზე დამახასიათებელი მოდერნული ფასადთაგანი თბილისში), 1912 წ. (თანაავტორი ი.პ.კოლჩინი), ორივე ჭონქაძის ქუჩაზე; საცხოვრებელი სახლი, # 3 კარგარეთელის ქუჩაზე, 1914 წ.; არქიტექტორის საკუთარი საცხოვრებელი სახლი მაზნიაშვილის ქუჩაზე, # 16 (1912 წ.); ზუბალაშვილების ბავშვთა საავადმყოფო (არამიანცის საავადმყოფოს ტერიტორიაზე), 1913 წ.; ზაქ. ერისთავის სახლი (თაბუკაშვილის შეს., # 3), 1903 წ.; ძმები რიჩის ყოფ. კინოთეატრი "მოდერნის" შენობა, საბჭოთა ხელისუფლების დროს "კომკავშირელი" (დავით აღმაშენებლის პროსპექტი, 91), 1908 წ.; თბილისის ახალი სასაკლაო, რომელიც მნიშვნელოვანი პროექტი იყო ქალაქისათვის და წარმოადგენდა სხვადასხვა დანიშნულების შენობების კომპლექს, რომელსაც 12,8 ჰა ტერიტორია ეკანა და სხვა. 1902-09 წლებში მ.ოჰანჯანოვი ხელმძღვანელობდა მარჯანიშვილის თეატრის (ყოფ. ზუბალაშვილისეული სახალხო სახლის) მშენებლობას, რომლის განხორციელების დროს მან გარკვეული კორექტივები შეიტანა თავდაპირველ დამტკიცებულ ვარიანტში. პროექტზე მუშაობისას გავეცანი სპეციალურ ლიტერატურას, აგრეთვე გავეცანი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 1890–იანი წლების დასაწყისიდან 1910–იანი წლების ჩათვლით დაცულ პრესას, სადაც მოვიპოვე გარკვეული ცნობები არქიტექტორის მოღვაწეობის შესახებ. საქართველოს ეროვნულ არქივში, სადაც ჩვენი ვარაუდით შეიძლება ყოფილიყო

დაცული არქიტექტორის მიერ შესრულებული პროექტები, გეგმით გათვალისწინებული კვლევითი სამუშაოს ჩატარების შედეგად მოპოვებულ იქნა 30-მდე პროექტი, მათ შორის მისი ჩვენთვის მანამდე უცნობი შენობა-ნაგებობების პროექტები. გარდა ამისა, მიუხედავად ყველასათვის ცნობილი რთული ვითარების გამო (პანდემია, კარანტინი) მოვახდინე დღეისათვის თბილისის განაშენიანებაში შემორჩენილი მ.ოჰანჯანოვის პროექტით აგებული შენობების ფოტოფიქსაცია. ამასთანავე ერთად, მ.ოჰანჯანოვის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მუშაობის შესახებ დამატებითი ცნობების მოსაპოვებლად მივმართე რუსეთის სახელმწიფო ისტორიის არქივს, რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივს, მოსკოვის სტროგანოვის სახ. სახელმწიფო სამხატვრო-სამრეწველო აკადემიასთან არსებულ მუზეუმს, თუმცა შესაბამისი საარქივო მასალები მის შესახებ მათი წერილობითი

პასუხებისა იქ არ აღმოჩნდა. მიხეილ ოჰანჯანოვი ტრაგიკულად გარდაიცვალა 1917 წელს. დაკრძალულია თბილისში კუკიის სასაფლაოზე. აღსანიშნავია ისიც, რომ პანდემიის გამო 2020 წელს ვერ მოხერხდა არქიტექტორის დაბადებიდან 150- წლისთავის აღნიშვნა.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2021 წლის კონკურსის „ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის“ პროექტი - „XIX-XX საუკუნის ქართული ხელოვნება“.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია; საქართველოს შემსწავლელი

მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422;

2022—2024

იხ. თ. ბელაშვილის ანგარიში

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.თამაზ გერსამია, "Исторический курьез" ჟურნ. "Русский клуб", №1, ISSN 1512-2972; თბილისი, საერთაშორისო კულტურულ-განმანათლებელი კავშირი, გვ. 49-52.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე (ყოფ. პიონერთა სასახლე) თავისი ისტორიული და არქიტექტურული მნიშვნელობით უდავოდ ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი შენობაა. საინტერესოა მისი ისტორია. თავდაპირველად ამ ადგილზე 1802 წელს იყო აშენებული მთავარმართებლის სასახლე. 1807 წელს მის ნაცვლად ააშენეს ახალი, რომელიც გადააკეთეს 1809 წელს. როგორც ჩანს სასახლე საფუძვლიანად გადაკეთდა 1810-იან წლებში, ვინაიდან თბილისის პანორამაზე, რომელიც 1831 წელს ნატურიდან იყო შესრულებული მხატვარ ნ. ჩერნეცოვის მიერ, ნაჩვენებია სასახლის ფასადი რომელიც ჩვენთვის ცნობილია ძველი 1850-60-იანი ფოტოგრაფიების მიხედვით. შემდეგ ეტაპად ბოლო ხანებში რატომღაც თვლიან თითქოს 1845-47 წლებში არქიტექტორ ნ. სემიონოვის პროექტით აშენებულ სასახლის ახალ შენობას. სასახლის ბოლო გადაკეთება კი განხორციელებული იყო 1864-69 წლებში თბილისელი არქიტექტორის ო. სიმონსონის მიერ. ამ რეკონსტრუქციის შედეგად შენობამ მიიღო თავისი საბოლოო არქიტექტურული იერი. სასახლის მშენებლობის ხანგრძლივ პერიოდიდან ჩემში, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო გარკვეულ უნდობლობას იწვევდა 1845-47 წლებში სასახლის ახალი შენობის აგების შესაძლებლობა არქიტექტორ ნ. სემიონოვის პროექტით, თუმცა ამ ფაქტს აღნიშნავენ ცალკეული პუნლიკაციები, კერძოდ თ.კვირკველიას წიგნი - "Архитектура Тбилиси" (მოსკოვი, 1988), ზოგიერთი ენციკლოპედიები, მაგრამ ამ დროს არ მიუთითებენ წყაროს. ინტერნეტ-პუბლიკაციების დიდი რაოდენობა იმეორებს ამ ვერსიას. ჩემი სკეფტიციზმი დამყარებული იყო შემდეგ ფაქტებზე: თბილისის 1831 წლის პანორამაზე წარმოდგენილი სასახლის ფასადი იდენტურია იმ სასახლის ფასადისა რომელიც გადაკეთებული იყო 1864-69 წლებში. ასევე გავრცელებულია აზრი, რომ ი.სემიონოვის პროექტით შედგენილი სასახლე ააგეს 1845-47 წლებში მეფისნაცვალ თავად მ.ვორონცოვისათვის. მაგრამ, ჩნდება ეჭვი რატომ მან დაავალა ეს პროექტი ნ.სემიონავს, რომელსაც ალბათ არ იცნობდა და რომელიც მაშინ იყო სანქტ-პეტერბურგში. თავადი მ.ვორონცოვი პირადად იცნობდა რამდენიმე გამორჩეულ არქიტექტორს ოდესაში, სადაც იგი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულ არქივში მუშაობისას მე მოვიძიე დოკუმენტი - საარქივო საქმე "О вновь предполагаемых постройках в доме г.наместника Кавказского в 1845 г. и починках (началось 24.IV.1845 г. – закончилось 13.XI.1848 г.", სადაც როგორც ვხედავთ არც ერთი სიტყვა არ არის ნახსენები ახალი შენობის აგებაზე. ბუნებრივია, რომ თუ ჩვეულებრივ რემონტს ესაჭიროებოდა საგანგებო საქმე, მით უმეტეს ამას მოითხოვდა ახალი სასახლის მშენებლობა ახალი. ამას შეიძლება დაუმატოთ, რომ კვლევის შედეგად 1910 წლის „კავკაზსკი კალენდარის“ დანართში აღმოვაჩინე სტატია იმპერატორ ალექსანდრე III-ის 1888 წელს კავკასიაში მოგზაურობის შესახებ, სადაც საუბარია მეფისნაცვლის სასახლეზე და აღნიშნულია რომ "სასახლე რომელიც აშენებულია 1817 წელს გენერალ ერმოლოვის დროს, რომელშიც ცხოვრობდა თავადი ვორონცოვი, იყო გადაკეთებული 1864-65

წლებში". როგორც ჩანს აქ მითითებულია მშენებლობის დაწყების თარიღები. ამასთან ერთად, 1817 წელს აგებული ნაგებობა შეესაბამება იმ სასახლის გეგმას რომელიც მოყვანილია ვ. ბერიძის წიგნში და რაც მთავარია სასახლის იმ გეგმას, რომელიც გამოიყენა ო. სიმონსონმა სასახლის რეკონსტრუქციის პროექტზე მუშაობისას. ამგვარად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ე.წ. ვორონცოვის სასახლე აშენებულია 1810-იანი წლების მიწურულს. ამჟამად დასადგენი დარჩა კიდევ ერთი საკითხი - იყო თუ არა ი.სემიონოვი 1817 წლის სასახლის პროექტის ავტორი და აგრეთვე იმის დადგენა საიდან გავრცელდა ინფორმაცია მასზე, როგორც თბილისში მეფისნაცვლის სასახლის პროექტის ავტორზე. ხანგრძლივი და საკმაოდ რთული კვლევის შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ ალბათ, ამის მიზეზი გახდა სტატია (მოკლე ჩანაწერი) ჟურნალ "Архитектура СССР"-ის 1939 წლის, № 9-ში, საიდანაც ამონაწერი გააკეთა თბილისის ერთ-ერთმა მკვლევარმა გ.ბეჟანიშვილმა. სტატია მიძღვნილი იყო ი.სემიონოვის ხსოვნის პატივსაცემად (გარდაიცვალა 1865 წელს). მასში აღნიშნულია, რომ ი.სემიონოვი 1817 წლიდან 1840-იანი წლების დასაწყისამდე მუშაობდა "в Грузии" ე.ი. საქართველოში, ჯერ უმცროს არქიტექტორად და 1820 წლიდან ყველა სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელად. "в Грузии" - არის ბეჭდური შეცდომა, თანაც ძალიან უხეში, რომელიც სრულიად ცვლის აზრს, ამ წლებში იგი მუშაობდა არა "в Грузии", როგორც წერია სტატიაში, არამედ გრუზინოში ("Грузино") გრაფ ა. არაკჩეევის მამულში მდებარე ნოვგოროდის ოლქში. კიდევ ერთი შეცდომა - ნ. სემიონოვის ნამუშევართა სიაში აღნიშნულია "ყოფ. მეფისმაცვლის სასახლე თბილისში, ამჟამად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობა", რომლის რეკონსტრუქციის პროექტის ავტორი როგორც ცნობილია იყო ო.სიმონსონი. აქედან გამომდინარე, ალბათ ის ვერსია, რომ ნ.სემიონოვი 1845-47 წლების სასახლის პროექტის ავტორია უკვე მომდევნო წლებში გაჩნდა. ამ ყველაფერს კიდევ შეგვიძლია დაუმატოთ ისიც, რომ ი. სემიონოვი გრაფ ა. არაკჩეევის ყმა იყო და მხოლოდ 1840-იან წლების დასაწყისში ბატონ-ყმობიდან განთავისუფლების შემდეგ მიიღო არქიტექტორის დამადასტურებელი საბუთი. ამრიგად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოხერხდა ამ ნამდვილად "ისტორიული კურიოზის" მიზეზის დადგენა.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **"თბილისში, გალაკტიონის ქ. # 11-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა ზოგადი ანალიზი და შეფასება".** სამეცნიერო კონფერენცია 2022 წლის 28-29 ნოემბერი. გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი. თბილისი, ათონელის, 9/6.

მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:
   1.2. პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

„რელიგიური თემა თანამედროვე ქართულ მხატვრობაში (გურანდა ქლიბაძის შემოქმედების მაგალითზე)“ (2019-2022).

ახალგაზრდა მხატვრის გურანდა ქლიბაძის შემოქმედებით მოღვაწეობაზე დაკვირვება და გაანალიზება თანამედროვე ხელოვნების განვითარების ჭრილში, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.
იგი ხშირად უბრუნდება ერთი და იმავე თემას და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ და ახალ-ახალ ხედვასა და გააზრებას გვთავაზობს.
მხატვრის შემოქმედების შესწავლა გულისხმობს მის მხატვრობაზე თვალის მიდევნებას, ახალ მიღწევათა სრულად გააზრებას.

გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება ხელოვნების ისტორია, თანამედროვე ხელოვნება, საფონდო-საარქივო მიმართულება

დალი ლებანიძის მიერ ხდება სერგო ქობულაძის არქივში დაცული სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციის თარგმნა.

იხ. მარიამ გაჩეჩილაძის ანგარიში

თამარ ბელაშვილი

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:
1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. *XIX/XXსს.-ის მიჯნის ქართული ქანდაკება; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. 2022-2023*

2) **პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**
1. *თამარ ბელაშვილი - მკვლევარი*

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. *XIX/XXსს.-ის მიჯნის ქართული ქანდაკება; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. 2022-2023*

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თამარ ბელაშვილი - მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ქართული ქანდაკების ისტორია უძველეს წარსულში იღებს სათავეს და ამის საილუსტრაციოდ არაერთი არქეოლოგიური არტეფაქტის დასახელებაა შესაძლებელი; საუბარია, უმთავრესად მცირე პლასტიკის ნიმუშებზე. განუზომლად დიდია ქრისტიანული შინაარსის მქონე ქართული რელიეფის მნიშვნელობა და მხატვრული ღირებულება. შუასაუკუნეების ქართული რელიეფები დარგის ისტორიის უდიდეს პერიოდს მოსაზღვრავს. რაც შეეხება მრგვალ პროფესიულ ქანდაკებას, მას საფუძველი XIXს.-ში ჩაეყარა და ამასთან ამ პროცესში დიდი როლი ითამაშეს არაქართველმა, ჩამოსულმა ოსტატებმა. XIXს.-ის მიწურულს, ჯერ ისევ არ არსებობს საქართველოში სპეციალური სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებელი და ცხადია მთელი დატვირთვა უცხოელ ოსტატებზე და ქვეყნის გარეთ განათლების მისაღებად წასულ ახალგაზრდა ქართველ ხელოვანებზეა. მნიშვნელოვანია ეპოქის ზოგადისტორიულ-კულტურული ფონი. ასევე მნიშვნელოვანია იმ პროცესების გათვალსწინება, რაც არა მხოლოდ ქანდაკებაში, არამედ, ზოგადად, იმ დროის ქართულ სახვით ხელოვნებაში მიმდინარეობს. ინფორმაციის უმეტესი ნაწილი, რაც ქართული მრგვალი ქანდაკების საწყის ეტაპს უკავშირდება, საარქივო ან წერილობით მასალაშია გაბნეული. ამის თაობაზე არსებობს ცალკეული კვლევებიც, თუმცა შემორჩენილია იმხანად შესრულებული რამდენიმე კონკრეტული ნამუშევარიც. მათი ნაწილი თბილისის ქუჩებშია განთავსებული, ნაწილი კი მუზეუმშია დაცული. აღნიშნული მასალის თანამიმდევრული კვლევა შესაძლებლობას ქმნის დარგის განვითარების ისტორიაში, ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის (XIX/XX) მეტი სისრულით გასაანალიზებლად.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422; 2022—2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თამარ ბელაშვილი - პროექტის ხელმძღვანელი (2022-2024)
2. მარიამ გაჩეჩილაძე - პროექტის კოორდინატორი (2022-2024)
3. მზია ჩიხრაძე - პროექტის მონაწილე (2022)
4. მაია მანია- პროექტის მონაწილე (2023)
5. გიორგი ხოშტარია- პროექტის მონაწილე (2022)
6. ცისია კილაძე- პროექტის მონაწილე (2023)
7. ლალი ანდრონიკაშვილი- პროექტის მონაწილე (2022)
8. ელენე თუმანიშვილი- პროექტის მონაწილე (2023)
9. მარიანა ოკლეი- პროექტის მონაწილე (2022)
10. ნანა ყიფიანი- პროექტის მონაწილე (2022)
11. მარინა მეძმარიაშვილი- პროექტის მონაწილე (2023)
12. სამსონ ლეჟავა- პროექტის მონაწილე (2022)
13. სოფიო ჩიტორელიძე- პროექტის მონაწილე (2023)
14. ნინო ჭინჭარაული- პროექტის მონაწილე (2023)
15. თეა ტაბატაძე- პროექტის მონაწილე (2023)
16. თემურ ქანთარია-ჯაბადარი- პროექტის მონაწილე (2022-2024)
17. თამაზ გერსამია- პროექტის მონაწილე (2022)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტი გულისხმობს XIX/XX სს.-ის ქართული ხელოვნების (არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება) შესახებ ერთიანი, გამოცემის მომზადებას. აღნიშნული ნაშრომი, სტრუქტურის თვალსაზრისით ნარკვევების ერთობლიობას წარმოადგენს. პროექტის მონაწილე თითოეული მკვლევარი თემატიკის, ქრონოლოგიისა და პრობლემის შესაბამისად, ტექსტის კონკრეტული ნაწილის (თავი, პარაგრაფი, და ა.შ.) ავტორია. წიგნის სტრუქტურული წყობა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას მიჰყვება და ამიტომ საბოლოო ჯამში XIX/XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორიის გაბმული სურათის შექმნა ხდება შესაძლებელი.

ამ ეტაპზე ჩემს მიერ მზადდება პროექტის ის ნაწილი, რომელიც ქართული სცენოგრაფიის განვითარების ხაზს მოიცავს, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს სათანადო მასალის მოძიება, თეატრში მოღვაწე მხატვრების შემოქმედების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ერთად თავმოყრა. სწორედ მსგავსად სისტემატიზირებული მასალაა აუცილებელი XXს.-ის ბოლო სამი ათწლეულის ქართული სცენოგრაფიის ისტორიის ერთიან ხაზში სათანადო აქცენტების გამოკვეთისთვის და პროცესის თანმიმდევრულად წარმოჩენისათვის.
6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. *თამარ ბელაშვილი; ალექსანდრე (შურა) ბანძელაძის ილუსტრაციები შოთა რუსთაველის პოემისთვის „ვეფხისტყაოსანი“;* ჟურ. „მაცნე“; 2022 N3; გადაცემულია დასაბეჭდად.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ქართულ სახვით ხელოვნებაში 50-ანელთა თაობის სახელით ცნობილ მხატვრებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ალექსანდრე (შურა) ბანძელაძეს. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა არაერთ დარგსა და მიმართულებას მოიცავს. მათ შორისაა წიგნის გრაფიკა. წიგნის ილუსტრაციაზე შურა ბანძელაძე მუშაობდა მუდმივად. არ ჰქონდა მნიშვნელობა ეს საბავშვო ლიტერატურა, პერიოდული გამოცემა, ხალხური თქმულება თუ კლასიკოსი ავტორის ნაწარმოები იყო. ის თავად კარგად იცნობდა იმხანად მოღვაწე ბევრ ქართველ მწერალსა და პოეტს. არაა გასაკვირი, რომ მათთან ერთობლივი მუშაობაც ძალიან უადვილდებოდა. შურა ბანძელაძის მიერ გაფორმებულ წიგნებს შორის მაინც შეიძლება გამოირჩეს ის ნამუშევრები, რომელთაც საეტაპო მნიშვნელობა შეიძინეს, როგორც საკუთრივ ხელოვანის, ასევე ქართული ხელოვნების ისტორიაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, მის მიერ ორჯერ დასურათებული და გამოცემული „არსენას ლექსი“, ილუსტრაციები კიპლინგის მოთხრობისთვის „მაუგლი“, გროგოლ აბაშიძის ნაწარმოებები და ბოლოს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. სწორედ „ვეფხისტყაოსნისთვის“ მის მიერ შექმნილ ნამუშევრებს ეძღვნება აღნიშნული სტატია.
როგორც ჩანს ხელოვანი კარგად იცნობს ტექსტთან და გამოსახულებასთან მუშაობის, შუასაუკუნეობრივ ტრადიციებს. მის ნამუშევრებში, ამ სპეციფიკური მახასიათებლების გამოყენების არაერთ მაგალითს ვხვდებით. ასევე მნიშვნელოვანია ის მკაფიო კონცეპტუალური ხაზი რომელიც მხატვარს შემოაქვს ნაწარმოების დაწყებისთანავე და რასაც ქრისტიანული მხატვრულ სააზროვნო ველში გადააქვს მთლიანად მოვლენა, იმის მიუხედავადაც კი, რომ აღმოსავლური ვიზუალური მოტივები მთელი ნაწარმოების მანძილზე თხრობის შესატყვისად შენარჩუნებული იქნება. საგულისხმოა ნამუშევრების ზომა და სასურათე ზედაპირზე მათი გადანაწილება-მორგების პრობლემაც, ის რაც საშუალებას იძლევა მოვლენა პოსტმოდერნული კონცეპტუალიზმის პლანში იქნას დანახულ-აღქმული და შესაბამისად განხილულიც. აქ ტექსტი ვიზუალის დატვირთვასაც იძენს და კვლავაც შუასაუკუნეების წიგნების დარად უმთავრეს გამომსახველობით ელემენტად ევლინება მაყურებელს, თუმცა შუასაუკუნეებისგან განსხვავებით ახლებური კონცეფციით და კონტექსტით.

ნაწარმოები ხელოვანს დაუსრულებელი დარჩა, თუმცა თუ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ისტორიას გადავავლებთ თვალს, ნათელია, ამ გამოსახულებათა ხაზი ქართული სახვითი ხელოვნების თავისებურ ისტორიულ რეტროსპექტივას ქმნის და ამ წრფეში ბანძელაძის ნამუშევარს გამორჩეული ადგილი ეთმობა.

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ქანდაკება როგორც მეხსიერება, თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია; გამოფენის „სამი თაობა“ კატალოგი; ელ. გამოცემა; სტატია გადაცემულია გამოსაქვეყნებლად.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

XX/XXI საუკუნეთა მიჯნაზე ხელოვნებამ არაერთი რადიკალური სახეცვლა განიცადა. ეს მარტოოდენ ცალკეული მიმდინარეობების ან ტენდენციების გადასხვაფერება, ახლით

ჩანაცვლება როდია. შეიცვალა დარგობრივი არეალები, ასევე, ამა თუ იმ ტერმინის შინაარსობრივი ტევადობა. გაჭირდა, ერთსა და იმავე მედიაში შესრულებული ქანდაკებებისა და ინსტალაციების, თუნდაც ცნებების დონეზე, ურთიერთისაგან გამიჯვნა. შესაბამისად, თავისთავად გააქტიურდა კრებითი კატეგორია -ობიექტის - დატვირთვაც.

მართალია, დარგობრივი საზღვრების გაბუნდოვნებისკენ სწრაფვა, გასული საუკუნის პირველ ნახევარშიც შეინიშნებოდა (მარსელ დიუშანი, კურტ შვიტერსი...), მაგრამ ამ პროცესს, ტენდენციის სახე თანამედროვეობამ შესძინა. გაფართოვდა ქანდაკებაში გამოსაყენებელ მასალათა სპექტრი. ტრადიციულის გარდა (ქვა, ბრინჯაო), არტისტებმა მუშაობა დაიწყეს მტვრევად-მსხვრევად, აქროლად, მყიფე და თავისთავად შლად მასალაზე. შესაბამისად ლიმიტირებული გახდა ქანდაკების საარსებო დროითი მონაკვეთი. მუდმივობის კატეგორიის დაძლევა ხელოვნებაში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში აღინიშნა, რაც მსოფლიო ომების, შემდგომ კი, ზოგადად ომის საფრთხის, რეალურად განცდად საშინელებათა გადააზრებას უკავშირდებოდა. სისასტიკისა, რომელიც არა თუ უარყოფილ იქნა კაცობრიობის მიერ, არამედ ცივილიზაციის პროგრესის კვალად, სულ უფრო გამძაფრდა. ხელოვანების რეფლექსია მსგავს სამყაროზე, ზედმიწევნით ზუსტია - რთულია იფიქრო მხატვრულ ნაწარმოებზე, რომელმაც საუკუნეებს უნდა გაუძლოს, თუ ხედავ, რომ ხვალინდელი დღე - შესაძლოა აღარც დადგეს. ამიტომ ზოგადად სახვით ხელოვნებაში განხორციელებული გარდატეხა,რაც მუდმივობის კატეგორიის უგულებელყოფას გულისხმობდა (დადაისტები), არავის გაჰკვირვებია. თუმცა, ვფიქრობ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ქანდაკება, მაინც განკერძოებით მსჯელობას საჭიროებს. აღწერილი პროცესების ფონზე, ის კიდევ დიდხანს ახერხებდა საკუთარი ავტონომიური დამოკიდებულების შენარჩუნებას მარადიულობის კატეგორიისადმი. არა იმიტომ, რომ ყოფიერების სწრაფწარმავლობის შესახებ მოსაზრებას არ იზიარებდა, არამედ ალბათ უფრო იმიტომ, რომ მუდმივმყოფობის ყველაზე ეფემერული და მომხიბვლელი ქიმერისადმი ტრფიალ-მორჩილება არ ეთმობოდა.

XX/XXI საუკუნეების მსოფლიო სახვით ხელოვნებაში და მათ შორის ქანდაკებაში მიმდინარე მსგავსი პროცესები, ქართულ მხატვრულ რეალობაზე რთულად განივრცობა. აქ დამატებითი ფაქტორებია გასათვალისწინებელი და ყველა მათგანი გასული საუკუნის დასაწყისში ქვეყნის გასაბჭოებას უკავშირდება. არავისთვისაა უცხო, რომ ქართული ხელოვნების და სკულპტურის განვითარებას XX და შემდგომ უკვე XXI საუკუნეში თავისებური „არათანმიმდევრულობა“ გამოარჩევს. ტოტალიტარიზმის ხანამ ახალი ღირებულებათა სისტემა შექმნა, რასაც ფორმისმიერი ინტერპრეტაციის და შინაარსობრივი ქარგის მკვეთრი ცვლილება მოჰყვა. ბოლო ათწლეულების მანძილზე ქართულ სახვით ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს პირობითად ცალკეულ პერიოდებად თუ დავყოფთ და ამ დაყოფის უმთავრეს საფუძვლად მხატვრული ტენდენციების სახეცვლას ჩავთვლით, ნათელი გახდება რომ სულ მცირე სამ სხვადასხვა თაობაზე მოგვიწევს მსჯელობა. XX ს.-ის ბოლო ათწლეულები, XXI ს.-ის პირველი ათწლეული და მიმდინარე პროცესები. ცხადია ამ მონაცემებს დრო კიდევ არაერთგზის დააკორექტირებს, თუმცა აღნიშნული პერიოდის სკულპტორთა ნამუშევრებს საფუძვლიანი ანალიზი, ცხადია ამ პერიოდის ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე არაერთი პროცესის მკაფიოდ წარმოჩენას გახდის შესაძლებელს.

2. ***ლუკა ლასარეიშვილის მხატვრული სერია „მსოფლიოს შვიდი საოცრება“;*** *გიორგი*

ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელ ჟურნალი ARS GEORGICA; სერის B; 2022; სტატია მზადდება ჟურნალის რედკოლეგიისთვის გადასაცემად

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. ლუკა ლასარეიშვილი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი არტისტია. გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მოყოლებული მან საკმაოდ რთული შემოქმედებითი გზა განვლო. საქართველოს დატოვების შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა გერმანიაში, შემდგომ კი, აშშ-ში სადაც რჩება დღემდე. სერია „მსოფლიოს შვიდი საოცრება“ 1991 წელსაა შესრულებული. ამ დროს მხატვარი გერმანიაში იმყოფება. აღნიშნული სერია უკავშირდება სპარსეთის ყურის მეორე ომს. ხელოვანი გამოსახავს მსოფლიოს შვიდ საოცრებას თითოეულს თითო, დიდი ზომის ტილოზე. ყველა მათგანის ზედაპირზე დააქვს ვრცელი ტექსტუალური მასალა. საოცრებებს ის უმატებს კიდევ ერთს, მერვე საოცრებას, რომლის სახითაც მნახველს თავად „სამყაროს“ წარუდგენს, არტისტი ამ სერიისთვის კონცეფციასაც ქმნის, სადაც ყველა იმ ძირითად საკითხსა და პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ნამუშევრების შექმნის მაპროვოცირებლად იქცა. საუბარია, იმაზე, რომ სასურათე ზედაპირებზე დატანილი ტექსტები, ქართული შრიფტით შესრულებული გერმანული ტექსტებია, რასაც ომის შესახებ გადმოსცემდნენ საინფორმაციო საშუალებები. აქვეა მინიშნება ადამიანების მიერ საოცრებებად აღიარებულ ობიექტებზე, რომელთაც თავადვე ადამიანი დაუნდობლად ანადგურებს. და ბოლოს, ომის აფსურდულობასა და სისასტიკეზე, რაც თანამედროვე სამყაროში კიდევ უფრო ტრაგიკულად ჟღერს.

ნამუშევრებში აშკარაა კონცეპტუალიზმის გავლენები. მნიშვნელოვანია მაყურებელთან კომუნიკაციის დასამყარებლად გამოყენებული ტექსტუალური და ვიზუალური მასალის ერთდროულობა, ირონიის ელემენტები, აღსავსე მძაფრი დრამატიზმით და ზოგადსაკაცობრიო პრობლემის ინტერპრეტირების კიდევ ერთი ძალიან საინტერესო მაგალითი, რომელიც ახერხებს ბაბილონის გოდოლის ენათა აღრევის თემიდან მოყოლებული, თანამედროვეობის უკიდურესად დახვეწილი მაღალტექნოლოგიური გარსით შეფუთული გულგრილობის ჩათვლით მოიცვას და საკუთარ თავში დაიტიოს ყოველივე.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1.საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. თამარ ბელაშვილი; ალექსანდრე (შურა) ბანძელაძის ილუსტრაციები შოთა რუსთაველის პოემისთვის „ვეფხისტყაოსანი“; 2022. 3-5 ოქტომბერი; საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, თბილისი

2. თამარ ბელაშვილი; ლუკა ლასარეიშვილის მხატვრული სერია „მსოფლიოს შვიდი საოცრება“; 2022. 28-29 ნოემბერი; გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი; სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი

მარიანა ოკლეი

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. **სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:**

1.1 პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.**რელიგიური თემა თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში (აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი).** ხელოვნების ისტორია და თეორია. ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულება.
2.2021-2022

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.**მარიანა ოკლეი**

7. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.რელიგიური თემა თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში (აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი) ხელოვნების ისტორია და თეორია.
2.2021-20222

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.კვლევითი პროექტი „რელიგიური თემა თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში“(აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი) ითვალისწინებს საკითხის მრავალმხრივი კვლევას და გათვლილი იყო ორწლიან მუშაობაზე, 2021-2022.რელიგიური თემის ინტერპრეტაციამ საკმაოდ მრავალმხრივი ხასიათი მიიღო თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში. ის მოიცავს სხვადასხვა დარგებს - მონუმენტური ფერწერა, დაზგური ფერწერა და გრაფიკა. ინტერესი ამ თემისადმი მკაფიოდ იკვეთება თანამედროვე ქართულ ჭედურ ხელოვნებაში, წიგნის ილუსტრაციაში და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში, განსაკუთრებით მინანქარში. სავარაუდოდ აქ საქმე გვაქვს ასევე საეკლესიო დაკვეთებიდან გამომდინარე მხატვრების მოღვაწეობასთან. მიუხედავად ამ თემის მრავალმხრივი ასახვისა ხელოვნების სხვადასხვა დარგებში, ჩვენ შემოვიფარგლეთ, როგორც სათაურშია მითითებული სახვითი ხელოვნებით - ფერწერულ-გრაფიკული მაგალითებით. მასალა აღმოჩნდა გაცილებით უფრო მასშტაბიანი, ვიდრე ეს თავიდან გვეჩვენებოდა, რაც მაფიქრებს ,რომ ამ საკითხზე კვლევა უნდა გაგრძელდეს, გაფართოვდეს, რათა მაქსიმალურად მოცული და გაანალიზებული იყოს იმ შემოქმედთა მოღვაწეობა, რომლებიც ამ თემაზე ქმნიან ნამუშევრებს. საბოლოოდ ეს შესაძლოა ცალკე სამეცნიერო წიგნის სახით იყოს გამოცემული. წიგნში უნდა აისახოს ზემოთ აღნიშნული ქართული ხელოვნებისათვის ისტორიულად ცნობილი ხელოვნების დარგების ნიმუშები.
მთავარ ამოცანად ამ ორწლიანი მუშაობის შედეგად მივიჩნიეთ თავი მოვუყაროთ მასალას, აქცენტი გავაკეთოთ ყველაზე მნიშვნელოვან სახეებზე და გამოვყოთ მათი მრავალფეროვანი შემოქმედებიდან განსახილველ თემაზე შესრულებული ნამუშევრები. ამასთან ერთად გავიაზროთ და შევაფასოთ ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ის ნოვატორულობა, რომელიც თემის ინტერპრეტაციასთან მიმართებაში გამოვლინდა.

მაშასადამე ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა თუ რა გზას გადის და როგორ ვითარდება, რა კონტექსტუალურ სიახლეს გვთავაზობს ამ დარგში მოღვაწე ქართველი ხელოვანები. როგორია მათი დამოკიდებულება არა მარტო ტრადიციისადმი, არამედ როგორ აღიქვამენ და როგორ „წაკითხვას“იძლევიან თანამედროვე პოსტმოდერნისტულ ეპოქაში.

ის რომ ქრისტიანულ თემატიკას უპირველესი ადგილი უჭირავს მსოფლიო ხელოვნების ისტორიის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, ეს სრული ჭეშმარიტებაა და არ მოითხოვს დამატებით დასაბუთებას. ის, რომ წამყვანია ქართულ ხელოვნებაში მთელი მისი ისტორიის განვითარების მანძილზე, ეს საკითხიც უდავოა. ჩვენი ინტერესია თუ როგორ ხდება მისი ინტერპრეტირება თანამედროვე სინამდვილეში.

ქართული ხელოვნების განვითარების, მხატვრული სახის ჩამოყალიბების და სულიერი რაობის დადგენისათვის ქრისტიანულ სარწმუნოებას და მის მოძღვრებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება. რელიგია მეტ-წილად ყველა დროსა ეპოქაში ადამიანთა ცხოვრების წესის, მათი წარმოდგენების, შეფასებებისა და საზრისის მაჩვენებელია.ის საზოგადოების მსოფლშეგრძნების გამომხატველია, რომელიც ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ აღქმაზეა დაფუძნებული. თავისი არსი მან არც თანამედროვე კულტურაში დაკარგა და პირიქით ახალი ძალით, ახალი ენერგეტიკით და გამოსახვის ახალი ფორმებით შეივსო. აქ იკვეთება მრავალმხრივი შემოქმედებითი მიდგომა. ზოგ შემთხვევაში ის უფრო ტრადიციულია, ზოგან აბსოლუტურად ახლებური, სადაც თავს იჩენს არსობრივი ბმა იმ პოსტმოდერნისტულ ეპოქასთან, რომელშიც მხატვრები არსებობენ. ეს არის მარადიული ფასეულობების თავისებური აღქმა და მათი განცდა აბსოლუტურად თვითმყოფადი ვიზუალური ინტერპრეტაციით. ეს არ არის უბრალოდ მნიშვნელოვანი ამბის თხრობა, არამედ ზემოქმედების მოხდენა ცნობიერებაზე, მიმართული,როგორც ავტორის, ასევე მაყურებლის პიროვნებისეული „ეგო“-ს წარმოჩენაზე.

XX-XXI საუკუნეში ამ მიმართულებით არა ერთი ქართველი მხატვარი მუშაობს.მონუმენტურ ხელოვნებაში ლადო გუდიაშვილი, ალექსანდრე ბანძელაძე, ლევან ცუცქირიძე, დავით სულაკაური, გიორგი მაღლაკელიძე, მამუკა მიქელაძე. დაზგურში- ირაკლი ფარჯიანი, მერაბ აბრამიშვილი, გურანდა ქლიბაძე, და სხვა. ამ მხატვრების შემოქმედების ანალიზზე მოხდა ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა

პროექტის დასრულების შემდეგ ქართულ სამეცნიერო და ფართო საზოგადოებას ექნება სრული სურათი თუ რა გზით განვითარდა რელიგიური თემატიკა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში.

8. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. 1. **XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია;** საქართველოს შემსწავლელი

მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422;

2022—2024

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

იხ. თამარ ბელაშვილის ანგარიში

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. იხ. თამარ ბელაშვილის ანგარიში

2.პროექტში ჩემი კვლევის საგანია ქართული კინო-მხატვრობის ისტორიის წარმოჩენა XX საუკუნის განმავლობაში.კინემატოგრაფიის ხელოვნებამ დასაბამი აიღო XIX საუკუნის ბოლოდან, დოკუმენტური კინოს სახით და შემდგომ იგი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების შექმნაში გადაიზარდა. ეს მოხდა XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის. ჩვენი ამოცანაა ამ დროიდან მოყოლებული თვალი გავადევნოთ ქართული კინოს და მისი მხატვრობის განვითარების ისტორიას კინოავანგარდიდან საუკუნის ბოლომდე. გამოვყოთ ძირითადი ეტაპები და დროისათვის სახასიათო ტენდენციები.

კინოში სახვითი ხელოვნებიდან და თეატრიდან არა ერთი გამოჩენილი მხატვარი მოვიდა: ი. გამრეკელი, დ. კაკაბაძე, ლ.გუდიაშვილი, დ. შევარდნაძე, ვ. სიდამონ-ერისთავი და სხვა. ასევე ცალკე აღსანიშნავია ჯგუფი მხატვრებისა, რომლებიც თავისი მოღვაწეობა უმეტესად კინოს მხატვრობას დაუკავშირეს (თუმცა ეს არ გამორიცხავს მათ მოღვაწეობას სახვითი ხელოვნების სხვა სფეროებში) ნ. ყაზბეგი, (ცნობილია ასევე როგორც თეატრის მხატვარი), დ. ერისთავი, კ. ხუციშვილი, გ. მიქელაძე და სხვა.

კინომხატვრები მუშაობას იწყებენ, როგორც ფილმის მოსამზადებელ ეტაპზე, ასევე უშუალოდ ჩართულები არიან გადაღების პერიოდში. მხატვარი რეჟისორთან და ოპერატორთან ერთად ფილმის გაერთიანებულ ვიზუალს ქმნის. პასუხისმგებელია რეალობად აქციოს რეჟისორის ვიზუალური ჩანაფიქრი და ამბის მხატვრული სტილი. ჩვენი ამოცანაა ასევე წარმოვაჩინოთ ხელოვანის მნიშვნელოვანება კინო შედევრების შექმნის პროცესში.

2.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში.გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია. ახალი თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე.

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მარიანა ოკლეი. „ქალი ხელოვანები“ .

2. 2022 წელი, 28-29 ნოემბერი,თბილისი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემებში არ გამოქვეყნებულა)

8.2. იბეჭდება ელექტრონულ ჟურნალში “ARS GEORGICA” ,სერიაB. გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევითი ცენტრი. ახალი და თანამედროვე განყოფილება. ISSN1512-4088.

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1 თბილისის სცენოგრაფიის მეოთხე საერთაშორისო ბიენალეს ფარგლებში საერთაშორისო სიმპოზიუმი.

2.მარიანა ოკლეი. მოდერატორი პრეზენტატორი. „სოლიკო ვირსალაძე“.

2022, 10-12 ოქტომბერი, თბილისი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემებში არ გამოქვეყნებულა)

სტატია დაიდება საიტზე, http/www.tbilisibiennale.com./2022/symposium speaker/.

მაია მანია

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

6) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **შოთა რუსთაველის პროსპექტის # 54-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (1898) სახელოვნებათმცოდნეო კვლევა. 2021 -2022 წწ.**

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **მაია მანია - არქიტექტურის ისტორიკოსი, მკვლევარი.**

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

შოთა რუსთაველის პროსპექტის #54-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მხატვრულ-არქიტექტურულმა კვლევამ მრავალი სიახლე გამოავლინა.

ერთი შენობის ფუნდამენტურმა შესწავლამ უამრავ საარქივო მასალას მოუყარა თავი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა არა თუ ერთი ნაგებობის, არამედ მისი

მიმდებარე მთელი ურბანული ქსოვილის ისტორიული ფაქტების დადგენის, არქიტექტურულ-სტილისტური თავისებურებების გამოვლენის და ურბანული კვანძის ანალიზის გაკეთების.
შენობის კვლევა დასრულებულია.
მაგრამ 2023 წლის დასაწყისში ვგეგმავთ კვლევის პროცესში მოპოვებული პროექტების, ვასილ გაბაშვილის შთამომავლების არქივებში დაცული, თუ საქართველოს ეროვნულ არქივში მოპოვებული პროექტებისა და კვლევის პროცესში გადაღებული, ნაგებობის ექსტერიერისა და ინტერიერის დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი ფოტოების გამოყენებით, ერთ ფაილად შეკრული ნაშრომი წარმოვადგინოთ (იგულისხმება არა ოფსეტურად დაბეჭდილი, არამედ უორდ-ის ფაილში მომზადებული ნაშრომი), რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს არქიტექტორ-რესტავრატორების ჯგუფს ნაგებობის სარესტავრაციოდ.
ჩატარებული კვლევა შენობის დაცვას ემსახურება.

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1. **მარია ჯანდიერის შემოქმედება, 2021-2022 წწ.**
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1**. მაია მანია - არქიტექტურის მკვლევარი.**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მარია ჯანდიერი ფართოდ არის ცნობილი როგორც არქიტექტურის მკვლევარი და თეორეტიკოსი. გიორგი ლეჟავასთან ერთად იგი არის თანაავტორი არაერთი გამოკვლევისა საქართველოს და კავკასიის მთის არქიტექტურის შესახებ.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს მარია ჯანდიერის მთლიანი შემოქმედების კვლევა და მისი, როგორც პრაქტიკოსი არქიტექტორის გამოვლენა.

კვლევის შედეგად ჩვენს მიერ დაზუსტებულია მარია ჯანდიერის ბიოგრაფია, გაანალიზებულია მისი მეცნიერული მემკვიდრეობა, დაზუსტებულია მისი ბიბლიოგრაფია, გამოვლენილია მის მიერ მოსკოვში აშენებული რამდენიმე შენობის ავტორობა. მიმდინარეობს მის მიერ თბილისში აშენებული შენობების იდენტიფიკაცია.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422; 2022—2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
იხ. თამარ ბელაშვილის ანგარიში

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
იხ. თამარ ბელაშვილის ანგარიში

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1. ლექციების სერია (*Architecture and Power.Political Representations in East and West*) ორგანიზებული ქალაქ ლინცის კათოლიკური კერძო უნივერსიტეტისა (Katholische Privat-Universität Linz) და აპოლონ ქუთათელაძის თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში (ERASMUS-ის პროგრამით). 2021-2022.
ლექციების კითხვა მაია მანიას მიერ ჩატარდა ZOOM-ით შემდეგ თემებზე:
1. „XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურა: დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხვედრის ადგილი“;
2. „ ევროპელი არქიტექტორები XIX საუკუნის თბილისში“.
3. „ თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის კომპლექსის მთავარი შენობის ევროპული პროტოტიპები“.
https://art.edu.ge/aceng/index.php?newsid=517

https://ku-linz.at/kunstwissenschaft/wirstellenaus/details/architecture-power-and-representation-in-cross-cultural-references

1**). მაია მანია** - აკადემიური პერსონალი, არქიტექტურის ისტორიკოსი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1**. დავით ხოშტარია. აკადემიური პერსონალი (ლექტორი)**

2. ნინო ჭოღოშვილი. აკადემიური პერსონალი (ლექტორი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ERASMUS-ის პროგრამით წაკითხული ლექციების სერიის შედეგად ქალაქ ლინცის კათოლიკურ კერძო უნივერსიტეტში (Katholische Privat-Universität Linz) გაიმართა სტუდენტებისა და პროფესორთა ერთობლივი შემაჯამებელი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პლაკატები. მაია მანიამ წარადგინა პლაკატი თემაზე: „ თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის კომპლექსის მთავარი შენობის არქიტექტურა და სივრცითი სტრუქტურა“.

ჩვენს მიერ წაკითხული ლექციების შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებიდან მოვლენილმა სტუდენტებმა კონკრეტულ თემებზე წარმოადგინეს თავიანთი მოხსენებები პოსტერ-პრეზენტაციების სახით. გამოფენა შედგა ლინცის უნივერსიტეტის დარბაზში. წარმოდგენილი პლაკატებიდან ორი სტუდენტის თემა ეძღვნებოდა საქართველოს.

2022 წლის 19 მაისს ლინცის უნივერსიტეტში გაიმართა მაია მანიას ლექცია თემაზე: *„თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის შენობის არქიტექტურა და მისი ადგილი XIX საუკუნის თბილისის ურბანულ სტრუქტურაში“.*

4.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია, სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა, პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

30.06.2022 მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის რესტავრაციის ფაკულტეტზე მაია მანიამ წაიკითხა ლექცია თემაზე: *„თბილისის ურბანული და არქიტექტურული მემკვიდრეობა“*.ლექცია ორგანიზებული მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა (Politecnico di Milano) და აპოლონ ქუთათელაძის თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ERASMUS-ის პროგრამით.

მომხსენებელი: მაია მანია, აკადემიური პერსონალი, არქიტექტურის ისტორიკოსი;

მოხსენების ჩატარების დრო: 30.06 2022.

მოხსენების ჩატარების ადგილი: მილანი, იტალია. მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

https://art.edu.ge/aceng/index.php?newsid=524

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.**მაია მანია, აკადემიური პერსონალი, არქიტექტურის ისტორიკოსი.**

2.2. დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ლექცია თემაზე *„თბილისის ურბანული და არქიტექტურული მემკვიდრეობა“* წაკითხულ იქნა მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. ლექციის მთავარი ფოკუსი ძველი თბილისის ურბანული და არქიტექტურული მემკვიდრეობა იყო. ლექციაზე განხილული იყო XIX საუკუნის თბილისის ურბანული ქსოვილის შემადგენელი ნაგებობების არქიტექტურის ტიპოლოგიური და სტილისტური თავისებურებები. ნაჩვენები იყო ძველი ქალაქის უწყვეტი ქალაქგეგმარებითი განვითარება. წარმოდგენილი და გაანალიზებული იყო თბილისში მიმდინარე საამშენებლო პროცესები ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში. ლექცია დასურათებული იყო ავტორისეული ფოტოებითა და საარქივო მასალით.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1მომხსენებელი: **მაია მანია , არქიტექტურის ისტორიკოსი.**

მოხსენების სათაური: ***„ადრეული ნეოკლასიკური არქიტექტურა თბილისში“ .***

ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **ფლორენციის მაქს პლანკის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ერთობლივი სემინარების ფარგლებში ჩატარებული სემინარი-ლექცია.**

მოხსენების ჩატარების დრო: **26.06 2022.**

მოხსენების ჩატარების ადგილი :**თბილისი-ფლორენცია (ZOOM-ით);**

https://www.khi.fi.it/en/aktuelles/veranstaltungen

/2022/06/maia-mania-early-neoclassical-architecture-in-tbilisi.php.

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენება-სემინარი თემაზე „ადრეული ნეოკლასიკური არქიტექტურა თბილისში“ XIX საუკუნის დასაწყისის თბილისის ოთხ, დღემდე არსებულ და რამდენიმე აღარარსებულ ადრეული კლასიცისტური სტილის ნიმუშს განიხილავს . ნაჩვენებია მათი არქიტექტურის გენეტიკური საფუძველი და მათი, როგორც სივრცითი მახვილების როლი თბილისის ძველ პანორამასა და დღევანდელ ურბანულ ქსოვილში. XIX საუკუნის დასაწყისის თბილისის ურბანულმა ქსოვილმა და მისმა შემადგენელმა ყოველმა ცალკეულმა კომპონენტმა, სივრცითი ორგანიზაციის უწყვეტმა ტრადიციამ და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელმა, მაგრამ უკვე დიდად თვითმყოფადმა ქალაქურმა ქსოვილმა კლასიცისტური არქიტექტურის ერთეული შენობების ქალაქური სივრცისადმი დამოკიდებულების სხვათაგან განსხვავებული სახე ჩამოაყალიბა. პრეზენტაცია შეიცავს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცულ ფოტომასალას და ავტორის მიერ ორი ათეული წლის განმავლობაში გადაღებული ნაგებობების თანამედროვე მდგომარეობის ამსახველ ფოტოებს.

8.2.

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.
https://drive.google.com/file/d/1mYQ8rvN8M_XLZqv_5bhl2Qp1S5xbuWXB/view

მომხსენებელი: **მაია მანია, არქიტექტურის ისტორიკოსი;**

მოხსენების სათაური: ***„კლასიციზმის დასაწყისი თბილისში. იაკობ ზუბალაშვილის სახლი“.***

ფორუმის ჩატარების დრო: **7-8-9 დეკემბერი, 2022;**

ფორუმის ჩატარების ადგილი: **თბილისი, თბილისის სახ. სამხატვრო აკადემია.**

მოხსენების **ანოტაცია** (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემებში არ გამოქვეყნებულა)

XIX საუკუნის დასაწყისის თბილისის ძველი და ახალი ქალაქის ზღვარზე, 1830-იან წლებში აშენებული იაკობ ზუბალაშვილის სახლი, რომელშიც1952 წელს მუზეუმი განთავსდა, ადრეული კლასიცისტური სტილის უმნიშვნელოვანესი ნიმუშია თბილისში. მოხსენება განიხილავს ნაგებობის არქიტექტურის გენეტიკურ საფუძველს და აღნიშნულ შენობას როგორც თბილისის ძველი პანორამისა და დღევანდელი ურბანული ქსოვილის მნიშვნელოვან სივრცით მახვილს. მოხსენებაში საუბარია კლასიცისტური სტილის თავისებურებებზე თბილისის არქიტექტურაში და განხილული და გაანალიზებულია აღნიშნული სტილის სხვა ნაგებობებიც. მოხსენება გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს როგორც იაკობ ზუბალაშვილის, ისე მისი თაოსნობით აშენებული შენობის ავტორის, არქიტექტორ ჯუზეპე ბერნარდაცის შესახებ. მოხსენებაში დაზუსტებულია შენობის აშენების თარიღი.
პრეზენტაცია ილუსტრირებულია დიდძალი საარქივო მასალით (პროექტები, თბილისის ძველი გეგმები, ფოტოები) და თბილისის ადრეული კლასიცისტური შენობების თანამედროვე მდგომარეობის ამსახველი ავტორისეული ფოტოებით.

ლალი ანდრონიკაშვილი
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

3. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:
   7) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; **XX საუკუნის 60-70-80-იანი წლების ქართული არქიტექტურის მიმოხილვა.**
   პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
   1. 2022-2023

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ლალი ანდრონიკაშვილი** ხელოვნებათმცოდნე - ექსპერტი

4. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **2020-21 წლებში თბილისის ისტორიულ ცენტრში მიმდინარე და დაგეგმილი ურბანული პროექტების განხილვა-ანალიზი** (მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოში მუშაობის და სახელოვნებათმცოდნეო კვლევების შედეგების მიხედვით). ა) გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტი, ბ) თბილისში არსებული ტექნიკურ-სამრეწველო დანიშნულების ობიექტების რეკონსტრუქციის პროექტების კვლევითი ნაწილი: თბილისის №1 ღვინის ქარხანა პეტრიაშვილის ქ. №1; ყოფილი „თბილთბოელექტროსადგური “ - დ. აბაშიძის ქ. №10 და №1 პურის ქარხანა - ჩუბინაშვილის ქ. №55;

2. 2020-2021

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ლალი ანდრონიკაშვილი** ხელოვნებათმცოდნე - ექსპერტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ა) თბილისის ისტორიულ ცენტრში 2020-21 წლის განმავლობაში მიმდინარე და დაგეგმილი მსხვილი სარეაბილიტაციო, თუ ურბანული პროექტების შესწავლა, გაანალიზება და ქალაქის შემდგომი განვითარებისთვის მათი მნიშვნელობის შეფასება აუცილებელია დედაქალაქის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და რევიტალიზაციისათვის. უკანასკნელი წლების განმავლობაში თბილისის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოში მუშაობამ და პარალელურად ამავე სფეროში კვლევითმა საქმიანობამ განაპირობა წარმოდგენილი წლიური თემის შინაარსი.

2020-21 წლის განმავლობაში ქალაქის ისტორიულ ცენტრში დაიგეგმა და განხორციელდა მთელი რიგი პროექტებისა, რომელთა ინიციატორი იყო როგორც თბილისის განვითარების ფონდი, ასევე კერძო ინვესტორი. ყველა ეს პროექტი განხილული იყო ზემოხსენებული საბჭოს მიერ და ხანგრძლივი შესწავლისა და რეკომენდაციების შემუშავების შემდგომ მიეცა დადებითი შეფასება. მრავალი პროექტიდან გამოვყავით ქალაქისთვის მეტად მნიშვნელოვანი მსხვილი მოცულობის და არქიტექტურული ღირებულების ობიექტები:

გუდიაშვილის მოედანი - ისტორიული ექსკურსი გუდიაშვილის (ყოფ. ალავერდოვის, აბასაბადის) მოედანი ქვემო კალას უბანში ისტორიული ძეგლებით მდიდარ გარემოში მდებარეობს. გუდიაშვილის მოედანი ერთ-ერთია იმ იშვიათი მოედნებისგან, რომლებიც ძველი თბილისის ისტორიული ნაწილის ფარგლებში არსებობს. უბნის ეს ნაწილი ქვემო კალას და სოლოლაკის მიჯნაზე მდებარეობს, რაც კარგად იკითხება ისტორიულ რუკებზე. სწორედ აქ ერწყმის ერთმანეთს შუასაუკუნეებრივი თბილისის კლაკნილ ქუჩათა ქსელი უკვე XIX ს-ში, საიმპერიო მმართველობის დროს დაგეგმარებულ სწორხაზოვან ქუჩათა ქსელს.

გუდიაშვილის მოედნის განაშენიანების უმეტეს ნაწილს კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების აღმნიშვნელი სტატუსი აქვს, რაც განპირობებულია ამ ძველთბილისური შენობების განსაკუთრებულად სახასიათო, მრავალმხრივი არქიტექტურული ღირებულებით. დანარჩენი შენობები ფონური განაშენიანების ნიშანს ატარებდა, თუმცა, უმეტესობა მათგანი დღეს დანგრეულია.

გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე სივრცეში რამდენიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ქუჩა და ჩიხი არსებობს, რომელთა მნიშვნელობა ისტორიული ქალაქის შუაგულისთვის გადაუჭარბებლად საკვანძოა, რადგანაც ამ განაშენიანების ხილულ მიწისზედა ღირებულებასთან ერთად, თითოეული მათგანი მიწის ქვევით არსებული ერთ და ორდონიან სარდაფების სისტემებს შეიცავს, რომელთა კვლევა და შემდგომი ინტეგრირება რეაბილიტირებულ არეალში გადაუდებელი აუცილებლობაა.

ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე არეალში ჩატარებული საველე კვლევის შედეგად

მკაფიოდ გამოიკვეთა ზოგადად თბილისის ურბანული მემკვიდრეობისთვის დამახასიათებელი სიძველეთა შენარჩუნების მყარი ტრადიცია. არეალის საცხოვრებელი სახლების უმეტესობა ძველ ფუძეზეა დაშენებული და სარდაფის სართულში დაცულ სხვადასხვა დანიშნულების ძველ სადგომებს, ან მათ ფრაგმენტებს შეიცავს, ხოლო ის სახლები, რომლებშიც ძველი ფენები არ შემორჩა, ძირითადად ახლად გადაგეგმარებულ და გაფართოებულ ქუჩებზე ნაწილდება, სადაც, ჩანს მიწისქვეშა სამშენებლო ფენები სწორედ ამ პროცესში ჩაიჭრა და სერიოზულად დაზიანდა. გვიანი შუა საუკუნეების - XVII-XVIII სს-ის სარდაფები საპროექტო არეალის მთელ ტერიტორიაზეა გამოვლენილი; XIX ს-ის სხვადასხვა პერიოდის სახლების ქვეშ დაცული ძველი სადგომების განსაკუთრებული სიმრავლე ბ. ახოსპირელის ჩიხებში აღინიშნება, თუმცა ძველი სარდაფების საყურადღებო ნიმუშები ბ. კუფტინზე, გ. ჯიბლაძეზე, აბო თბილელზე და სხვა ქუჩებზეც მრავლად ფიქსირდება.

შეუცვლელია მდიდარი მასალის შემცველი სარდაფის სადგომების მეცნიერული მნიშვნელობა საცხოვრებლის ტრადიციული ტიპებისა და ქალაქგეგმარების დაკარგული სურათის აღდგენისას. ამავე დროს, დიდია ადამიანების თვალისგან დამალული, ინტერესის აღმძვრელი, მიწისქვეშ დაცული **„ძველი ქალაქის“** მიმზიდველობა, რომლისთვის თანამედროვე მისაღები ფუნქციის მინიჭება ხელს შეუწყობს მათ **„გაცოცხლებას“** და ხელმისაწვდომს გახდის დათვალიერებას ფართო საზოგადოების მიერ. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვის საგანს წარმოადგენს კონსერვაციის არეალის შენობების ქვეშ არსებული გვიანი შუა საუკუნეებისა და XIX სის სარდაფები, რომელიც თბილისის ურბანული მემკვიდრეობის სპეციფიკურ, დიდი კულტურულ-ისტორიული ფასეულობის მქონე ნაწილია. მით უფრო, რომ მათი გაჯანსაღება პირდაპირ უკავშირდება ნაგებობათა ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გუდიაშვილის მოედნის განაშენიანების უმეტეს ნაწილს კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების აღმნიშვნელი სტატუსი აქვს, რაც განპირობებულია ამ ძველთბილისური შენობების განსაკუთრებულად სახასიათო, მრავალმხრივი არქიტექტურული ღირებულებით. დანარჩენი შენობები ფონური განაშენიანების ნიშანს ატარებდა, თუმცა, უმეტესობა მათგანი დღეს დანგრეულია.

გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე სივრცეში რამდენიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ქუჩა და ჩიხი არსებობს, რომელთა მნიშვნელობა ისტორიული ქალაქის შუაგულისთვის გადაუჭარბებლად საკვანძოა, რადგანაც ამ განაშენიანების ხილულ მიწისზედა ღირებულებასთან ერთად, თითოეული მათგანი მიწის ქვევით არსებული ერთ და ორდონიან სარდაფების სისტემებს შეიცავს, რომელთა კვლევა და შემდგომი ინტეგრირება რეაბილიტირებულ არეალში გადაუდებელი აუცილებლობაა.

1. კვლევითი სამუშაოები – სამეცნიერო-საძიებო და პრაქტიკული სამუშაოები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ძეგლთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, მათ შორის, მისი მდგომარეობის, დაზიანებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა, სარეაბილიტაციო ღონისძიებათა შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;
2. სარეაბილიტაციო სამუშაოები – ძეგლის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

განხორციელებული, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი წესით ჩატარებული სამუშაოების ერთობლიობა. უძრავ ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით ჩასატარებელია შემდეგი სახის სამუშაოები: დაზვერვა; გაწმენდა; გ) კონსერვაცია; რესტავრაცია; რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია; ზ) უძრავი ძეგლის ცვლილება.

3. მოძრავ ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით ჩასატარებელია შემდეგი სახის სამუშაოები: დაზვერვა; გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია.

4. არქეოლოგიურ ძეგლზე ან სხვა სახეობის ძეგლის განამარხებულ ფრაგმენტზე კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით დაგეგმილია არქეოლოგიური სამუშაოები.

5. არქეოლოგიურ ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოების ფარგლებში დაგეგმილია ამ კანონით ძეგლის მიმართ განსაზღვრული საკონსერვაციო, გაწმენდითი და სარესტავრაციო სამუშაოები.

6. ძეგლის დაკარგული ფორმების, ფრაგმენტებისა და ელემენტების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ძეგლის რესტავრაციის ან რეკონსტრუქციის აღსადგენი ფორმების, ფრაგმენტებისა და ელემენტების სრული იდენტიფიკაციის შემთხვევაში, ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დამყარებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე. დაუშვებელია დოკუმენტური მასალისა და სამეცნიერო კვლევის უგულებელყოფა.

7. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილ ობიექტზე, მასზე ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარების, ასევე ობიექტის ჯერ კიდევ გამოუვლენელი, ისტორიული ან კულტურული ღირებულების მქონე ელემენტების შესაძლო დაზიანების ან განადგურების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია მხოლოდ დაზვერვითი, გაწმენდითი, არქეოლოგიური და პრევენციული კონსერვაციის სამუშაოების ჩატარება.

8. ძეგლზე სამუშაოების ჩატარების მეთოდოლოგია და წესი დგინდება მინისტრის ნორმატიული აქტით.

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212

წარმოდგენილი პროექტი - გუდიაშვილის მოედნის განაშენიანების კონსერვაცია-რესტავრაციას გულისხმობს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უნდა შესრულდეს დიდი გულისყურითა და სიფრთხილით. გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

9. პროექტისათვის რეკომენდირებული იყო რესტავრატორის ჩართულობა, რომელიც დეტალურად შეისწავლიდა ნაგებობების კონსტრუქციულ-არქიტექტურულ მდგომარეობას და სწორედ მის დასკვნაზე დაყრდნობით შემუშავდებოდა რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტი, რომელიც დაეყრდნობოდა სწორ, გამართულ სარესტავრაციო მეთოდოლოგიას;

10. ამავდროულად მნიშვნელოვანი იყო შენობების ფიზიკური მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი კონსტრუქციული დასკვნების მომზადება, რომელიც თანხვედრაში იქნებოდა რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტთან;

საბედნიეროდ შემორჩენილ საარქივო მასალაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა სარესტავრაციო პროექტის ძირითადი ხაზის წარმართვა. შენობების საფასადო კომპოზიცია (იგულისხმება ამჟამინდელი სურათი. XX ს-ის დასაწყისი) ძლიერ არც დაზიანებული და არც სახეცვლილი იყო და შესაბამისად, რესტავრაცია ჩაუტარდა მხოლოდ იმ დეტალებს, რომლებიც დაზიანებულია. ერთმნიშვნელოვნად არ უნდა მომხდარიყო მათი ახლით ჩანაცვლება, არამედ ფაქიზი მკურნალობითა და დელიკატური ჩარევით გადაწყდა

პრობლემური უბნები.

პროექტის ფარგლებში შესწავლილ და რეკომენდირებულ იქნა აბო თბილელის ქ. #6; აბო თბილელის ქ. #2; საიათნოვას ქ. #1; გუდიაშვილის მოედანი #4, გუდიაშვილის მოედანი #9 ; ლერმონტოვის ქ. #1; ლერმონტოვის ქ. #3, რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტები, რის შედეგებს მოჰყვა გუდიაშვილის მოედნის არეალის სრული რევიტალიზაციის პროცესი.

ბ) თბილისში არსებული ტექნიკურ-სამრეწველო დანიშნულების ობიექტების რეკონსტრუქციის პროექტების კვლევითი ნაწილი: თბილისის №1 ღვინის ქარხანა პეტრიაშვილის ქ. №1; ყოფილი „თბილთბოელექტროსადგური " - დ. აბაშიძის ქ. №10 და №1პურის ქარხანა - ჩუბინაშვილის ქ. №55; ქალაქის ტერიტორიულ ზრდა-განვითარებას თან ახლავს რეალობით განპირობებული რიგი პრობლემები. დღეისათვის ერთ-ერთ ასეთ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება ფუნქციადაკარგული პოსტსამრეწველო ობიექტების მომავლის განსაზღვრის საკითხი. გასული საუკუნის შუა წლებში, მრეწველობის განვითარებამ ქალაქების მოსახლეობის სწრაფი ზრდა და სამრეწველო ზონების საცხოვრებელი განაშენიანების საზღვრებში მოქცევა განაპირობა. შედეგად, საწარმოო ობიექტების უმრავლესობა მათთან კავშირის არმქონე სამოქალაქო საზოგადოებრივი და საცხოვრებელი განაშენიანებით „გარშემორტყმული" აღმოჩნდა.

ქალაქების ცენტრში დარჩენილმა ამ საწარმოო ობიექტებმა თანდათან დაკარგეს არქიტექტურული და ქალაქთგეგმარებითი ღირებულება, რაც მათი საბოლოო დეგრადაციის მიზეზი გახდა. კვლევამ გვიჩვენა, რომ მსოფლიოს თანამედროვე ქალაქებისათვის სხვადასხვა მიზეზით (დეინდუსტრიალიზაცია, მრეწველობის სტაგნაცია, თუ მაღალტქნოლოგიური საწარმოო პროცესების დანერგვა), წარმოქმნილი პოსტსამრეწველო ობიექტებისა და მათი ტერიტორიების დეგრადაციის პროცესი გლობალური პრობლემაა. შესაბამისად, ასეთი ობიექტებისათვის პერსპექტიული ფუნქციის განსაზღვრა და ქალაქის სტრუქტურაში მათი სწორად ინტეგრირება აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. თბილისშიაც, ისევე როგორც სხვაგან, ქალაქის განვითარება-გაფართოებას, თან მოჰყვა ადრე გარეუბნებში მდებარე სამრეწველო ობიექტების ცენტრალურ რაიონებში მოქცევა.

თბილისის ცენტრალურ რაიონებში მრავლადაა ისტორიული, კულტურული თუ არქიტექტურული ღირებულების, „ინდუსტრიული წარსულის" მქონე და ამჟამად დეგრადირებული პოსტსამრეწველო ობიექტები. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზოგი მათგანი ქალაქისათვის ისტორიული ეპოქის მეხსიერების ნაწილს, ან/და რომელიმე უბნისა თუ რაიონის არა მარტო მაფორმირებელ ქალაქგეგმარებით ელემენტს, არამედ მნიშვნელოვან ე.წ. „ქალაქთწარმოქმნელ ფაქტორს" წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ასევე ის, რომ სხვადასხვა ტექნოლოგიური/ტექნიკური პროცესების განხორციელებისათვის განკუთვნილი სამრეწველო ობიექტები, ამჟამად, არაერთგვაროვან ფიზიკურ, მორალურ თუ ეკოლოგიურ მდგომარეობაში არიან და გარემოზე მრავალმხრივ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი, ისტორიულ-კულტურული, არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი, ეკოლოგიური თუ სხვა ასპექტების გათვალისწინების საფუძველზე, სათანადო პროფესიულ შესწავლასა და სათანადო მიდგომას საჭიროებს. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს აგრეთვე,

იმ მეთოდებისა და გზების ძიება, რომელიც პოსტსამრეწველო ობიექტების პერსპექტიული ფუნქციის განსაზღვრასა და მათ ქალაქის სტრუქტურაში ხელახალ ჩართვას შეუწყობს ხელს.

თბილისში არსებული პოსტსამრეწველო ობიექტების რევიტალიზაციისა და ქალაქის სტრუქტურაში მათი ინტეგრირების პროცესის სწორად წარმართვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა კვლევებზე დაფუძნებული სათანადო რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება. სწორედ ასეთი კოლაბორაციის პოზიტიური შედეგია ზემოთ ჩამოთვლილი ხორციშესხმული პროექტები.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422; 2022—2024**

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

იხ. თამარ ბელაშვილის ანგარიში

2. გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

იხ. თამარ ბელაშვილის ანგარიში

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ლალი ანდრონიკაშვილი; არქიტექტორთა შემოქმედებითი სახელოსნოების როლი XX ს.-ის 60-70-იანი წლების საქართველოში**

2. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია, ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე, 2022 წელი, 28-29 ნოემბერი, თბილისი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

ქართული სათეატრო მხატვრობის ძირითადი ტენდენციები (1900-1930 წწ.)

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისის ქართული სათეატრო მხატვრობა

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ელენე თუმანიშვილი (მკვლევარი)

2.1 პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

საკვლევი თემისთვის დამუშავდა XIXს-ის 90-იანი წლებისა და XX ს-ის 10-20-იანი წლების პერიოდიკა (“დროება”, ცნობის ფურცელი”, “სახალხო გაზეთი”, “თეატრი და ცხოვრება”, “ივერია” და სხვ.), სადაც მოცემულია ამ პერიოდის სასცენო ხელოვნების როგორც ზოგადი დახასიათება, ასევე, მის შესახებ თეორიული მსჯელობა, გარდა ამისა, მხატვრული გაფორმების კუთხით, სპექტაკლებიდან აღებული სცენების კონკრეტული აღწერაც.

ბევრია დაწერილი იმის თაობაზე, თუ როგორ დააარსა 1850 წ. ქართული თეატრი გამოჩენილმა ქართველმა დრამატურგმა გიორგი ერისთავმა; ასევე, სამოყვარულო დასებზე, შინაურ თუ საზოგადო წარმოდგენებზე, რომლებიც ჯერ კერძო სახლებში, შემდგომ კი _ სხვადასხვა კლუბში იმართებოდა; თუ როგორ ჩამოყალიბდა 1879 წ. მუდმივი თეატრის დასი (რომელშიც შედიოდნენ იქამდე სამოყვარულო სპექტაკლებში მონაწილე მსახიობები: ბაბო ავალიშვილი, მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ავქსენტი ცაგარელი და სხვანი), რომლის საფუძველზეც, ამავე წელს, მოხდა ქართული პროფესიული თეატრის აღდგენა. მას ხელმძღვანელობას უწევდა ქართული დრამატული საზოგადოება, ხოლო, მხატვრულ ხელმძღვანელ-რეჟისორებად სხვადასხვა დროს იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავით ერისთავი, გიორგი თუმანიშვილი. მსახიობებიდან კი _ კოტე მესხი და, განსაკუთრებით, ვასო აბაშიძე; თუ როგორ აღზევდა ამ პერიოდში ქართული დრამატურგია: განსაკუთრებით კი _ ისტორიულ-პატრიოტული შინაარსის პიესები (აკაკი წერეთლის “თამარ ცბიერი” და “პატარა კახი”, ალექსანდრე ყაზბეგის “ქეთევან-წამებული”), რომელთა შორისაა ვ. სარდუს “ფლანდრიის” სიუჟეტის მიხედვით დავით ერისთავის მიერ შექმნილი განსაკუთრებით პოპულარული პიესა “სამშობლო”.

ყოველივე ეს მოწმობს, თუ რაოდენ დიდი იყო ქართული საზოგადოების მოთხოვნა და ინტერესი თეატრისადმი, რაოდენ დიდი მნიშვნელობისა იყო მისთვის სცენაზე ნანახი და სცენიდან თქმული.

ეს მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი გამოირჩეოდა იმით, რომ ქართული სცენა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა პროფესიული დონის ამაღლებისაკენ. უაღრესად საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რას წარმოადგენდა, როგორი იყო, იმხანად, ქართული სასცენო ხელოვნება, კერძოდ, სათეატრო მხატვრობა და რა გზით, როგორ განვითარდა იგი იმ ფონზე, როდესაც XX საუკუნის დამდეგს ქართულ სცენაზე მოღვაწეობდნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის სკოლაგამოვლილი ა. წუწუნავა, ამ თეატრის პრინციპების მიმდევრები კ. ანდრონიკაშვილი, მ. ქორელი და სხვ. რა შეითვისა და შემდგომ როგორ მიიღო, როგორ “გადაამუშავა” ეს ახალი თავის ყაიდაზე ქართულმა სცენამ _ ამის გარკვევის საშუალებას გვაძლევს სწორედ აღნიშნული პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული საკმაოდ ვრცელი და საინტერესო მასალა.

3. რუსთაველის სახელმწიფო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

„2021 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების შესახებ“ 2022 წლის 28 იანვრის #12 დადგენილების საფუძველზე

პროექტი: **XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია;** საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422; 2022—2024

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

პროექტის ძირითადი პერსონალი:

იხ თამარ ბელაშვილის ანგარიში

პროექტის ხანგრძლივობა - 3 წელი

- ე. თუმანიშვილის საკვლევი თემა: 1) 1910-1930-იანი წლები. თეატრის მხატვრობა; 2) XXს. 40-60-იანი წწ. თეატრის მხატვრობა.

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

იხ. თამარ ბელაშვილის ანგარიში

6.1. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

5. გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონული ჟურნალის „Ars Georgica“, სერია B, ISSN 1512-4088. georgianart.ge;

2022 წლის მეორე ნომერში გამოსაქვეყნებლად გადაცემულია სტატია: **სოლიკო (სიმონ) ვირსალაძის და სუხიშვილების შემოქმედებითი ტანდემი**

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

სამეცნიერო კონფერენცია ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე.

2022 წლის 28-29 ნოემბერს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრი

მოხსენება: **სოლიკო (სიმონ) ვირსალაძის და სუხიშვილების შემოქმედებითი ტანდემი**

თეა ტაბატაძე
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

1. **სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:**

8) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

დავით კაკაბაძე და ილია ზდანევიჩი. პარალელები
ხელოვნების ისტორია, მოდერნიზმი

პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2021-2022

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

თეა ტაბატაძე, მკვლევარი, ნაშრომის ავტორი

4. **პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები**

1) **გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები**

დავით კაკაბაძე და ილია ზდანევიჩი. პარალელები
ხელოვნების ისტორია, მოდერნიზმი
2021-2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
თეა ტაბატაძე, მკვლევარი, ნაშრომის ავტორი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
ნაშრომზე მუშაობის პირველ წელს დამუშავდა თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა, დავით კაკაბაძისა და ილია ზდანევიჩის ნამუშევრებისა და თეორიული ტექსტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ამ ორი განსხვავებული ხელოვანის შეხების წერტილები, მათ ხელოვნებასა და შემეცნებაში არსებული საერთო/იგივეობრივი ნიშნები;
მეორე წელს გაანალიზდა დავით კაკაბაძესა და ილია ზდანევიჩის ნამუშევრებში წრიულ-სპირალური ფორმების, წრიულ-სპირალური სტრუქტურის სემანტიკა;
გამოიკვეთა კვლევის შედეგების ქართული მოდერნიზმის ზოგად დამახასიათებელ ნიშნებთან და თავისებურებასთან მიმართება;

თითქმის ვერ ნახავთ ტექსტს ილია ზდანევიჩზე, რომელიც მის შესახებ არ გვატყობინებდეს რომ იგი იყო პოეტი, მწერალი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ისტორიკოსი, ხელოვნების ისტორიკოსი, გამომგონებელი, ავანგარდული მეჯლისების ორგანიზატორი მას ხშირად მოიხსენებენ კიდეც რენესანსულ ფიგურად. ასეთი მეორე, რენესანსული ფიგურა ჩვენს ხელოვნებაში დავით კაკაბაძეა - მხატვარი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ქართული ხელოვნების მკვლევარი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ფოტოგრაფი, გამომგონებელი. .... ეს ორი, სრულიად განსხვავებული ტემპერამენტის მქონე შემოქმედი - ერთი მყარი, მეთოდური, რაციონალური აზროვნების, მეორე - ცნობილი სკანდალისტი, უფრო ირაციონალურ-ენიგმატური, მაგრამ თან ამბივალენტური ბუნების, რაციონალური, თავისი მრავალგვარი ხელოვნების მყარ სტრუქტურულ მთლიანობაში მოქცევით, სხვადასხვა პოლუსით, მაგრამ განსაკუთებული სისრულით, კონცეტრირებულად ითავსებენ ქართული მოდერნიზმის შემეცნებასა და მხატვრულ აზროვნებას.

ილია ზდანევიჩის 1913 წელს გონჩაროვას გამოფენაზე წაკითხული მოხსენება და დავით კაკაბაძის მონაწილეობით 1914 წლის მანიფესტი „გაკეთებული სურათები“, ჩვენი ავანგარდის ისტორიაში პირველ მანიფესტებად შეიძლება ჩაითვალოს. ეს ტექსტები კიდევ იმის გამოც უნდა აღინიშნოს, რომ, ის იდეები, რომლებიც გაცხადებულად პირველად აქ ჩნდება, კაკაბაძემ და ზდანევიჩმა კი არ უარყვეს, არამედ შემდეგშიც განავრცეს და თავიანთი ხელოვნებისა მრავალმხრივი საქმიანობის საყრდენად, მყარ ღერძად აქციეს. ნაშრომში განხილულია ილია ზდანევიჩისა (თუ როგორ განივრცობა მისი „ვსოჩესტვოს“ - ყველაფრობის კონცეფცია, ორკესტრული, იგივე, მრავლობითი პოეზიის თეორიით და, ბოლოს, ორკესტრული ფერწერის თეორიით სრულდება) და დავით კაკაბაძის თეორიული ტექსტები (ხელოვნების ეროვნულობისა და საყოველთაობის, სურათის პრინციპის შესახებ, კლასიციზმისა და რომანტიზმის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სივრცის კონცეფციები). ამ თეორიებში, ამ ორი განსხვავებული ხელოვანის იგივეობრივი ხედვა - სამყაროს ერთიანობის შეგრძნება, ჰოლისტური ხედვა მჟღავნდება, რაც თავის მხრივ, მათი შემოქმედებაში გარკვეული იგივეობრივი ნიშნებით ვლინდება:

- მხატვრული ტრადიციის, ხელოვნების ისტორიის მიმართ დამოკიდებულებაში;
- ნამუშევრებში ხშირად განმეორებად წრიულ-სპირალური ფორმებსა (კაკაბაძის იმერეთის სერია, აბსტრაქციები, კოლაჟები ლინზებითა და სარკეებით, ილია ზდანევიჩის ტიპოგრაფია - 41 გრადუსის გამოცემები და მხატვრის წიგნები) და ნამუშევრებისა და, ზოგადად, ხელოვნების სპირალური სტრუქტურაში (დავით კაკაბაძის სერიებისა და სერიულობის სტრუქტურა, ილია ზდანევიჩის რომანებისა და პოემების სტრუქტურა);
- სტერეოსკოპული ხედვის პრინციპზე აგებულ მხატვრულ სივრცეში;

ეს ნიშნები, ნაშრომში, ნამუშევრების ანალიზის შედეგად არის გამოვლენილი. ანალიზის შედეგად ნაჩვენებია, ასევე, ქართულ მხატვრულ ტრადიციასთან და მხატვრულ ფორმასთან (ფართო გაგებით) მათი ხელოვნების კავშირი.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422;

2022—2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

იხ. თამარ ბელაშვილის ანგარიში

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

იხ.თამარ ბელაშვილის ანგარიში

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

სტატიის სათაური: **"ავანგარდული წიგნი თბილისში: ზდანევიჩ-კამენსკის რკინაბეტონის პოემა".**

სტატია გადაცემულია გამოსაქვეყნებლად. ACADEMIA, N10, 2023

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თუკი ფუტურიზმ-ზაუმის ვიზუალიზაციის ფორმების თავისებურებებზე ვსაუბრობთ, ანუ, იმაზე, თუ რა განასხვავებს თბილისში გამოცემულ ავანგარდულ წიგნს თბილისამდე და თბილისის შემდეგაც შექმნილი ნამუშევრებისაგან, მაშინ სამი რამ უნდა გამოვყოთ: ალექსეი კრუჩონიხის „თვითწერით“ შესრულებული წიგნები, ილია ზდანევიჩის *ასლააბლიჩიას* ციკლის ხუთი პიესა თავისი უნიკალური ტიპოგრაფიით და *1918* -ში შესული კამენსკის ორი რკინაბეტონის პოემა - *ტფილისი* და *მზე*. უფრო ზუსტად, კამენსკის რკინაბეტონის პოემების კირილე ზდანევიჩისეული ვიზუალური ინტერპრეტაცია.
ტფილისი და *კონსტანტინოპოლი* - ორი ქალაქი-პოემაა, ორივე „რკინაბეტონისაა“. *ტფილისი* 1917 წელს, თბილისში, *კონსტანტინოპოლი* - 1914 წელს, მოსკოვში იქმნება; ორივე ქალაქი უცხოა კამენსკისათვის და ორივე პოემა ამ ქალაქებში მისი თავგადასავლის შესახებაა; რკინაბეტონის სხვა პოემების მსგავსად, ორივე ქალაქი მხოლოდ ერთ გვერდზე „ეტევა“. მაგრამ *ტფილისი* (ისევე, როგორც *მზე*) განსხვავდება კონსტანტინოპოლისაგან და მასთან ერთად, ყველა დანარჩენი რკინაბეტონის პოემისაგან. *ტფილისი* თავისი შინაარსითა და ფორმით, მართლაც უჩვეულოა სხვა „რკინაბეტონის“ პოემებთან შედარებით და, თავად ზაუმისთვისაც. ის სრულიად ცვლის კამენსკის ადრინდელი რკინაბეტონის პოემის პრინციპებს, მის ფუტურისტულ კონცეფციას. ამ პრინციპებს, ფუტურიზმის, ან ზაუმის

დოქტრინას კირილე ზდანევიჩი ერთგვარ ხერხად იყენებს, რომ არსებული რამ - თბილისი (თავისი ხედით, სახლებით, დუქნებით, ხმაურიანი, მრავალხმოვან-ენოვანი გარემოთი) გვიჩვენოს და მასში კამენსკის თავგადასავლების შესახებ მოგვითხროს...კირილე ზდანევიჩი თბილისში ავანგარდული წიგნის მოსკოვურ-პეტერბურგულ ტრადიციას ცვლის. მის კავშირს რუსულ, ან უფრო სწორედ - რუსეთის ავანგარდთან არავინ უარყოფს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ცვლილების, უფრო კი, განსხვავებულობის მიზეზს, ქართულ მოდერნიზმთან, ზოგადად, ქართულ ხელოვნებასთან მისი მხატვრული აზროვნების არსებითი ბმა წარმოადგენს.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

თეა ტაბატაძე

მოხსენება: ***ზდანევიჩ-კამენსკის რკინაბეტონის პოემა***

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თსსა, თბილისი, 7-8-9 დეკემბერი, 2022

მოხსენება გადაცემულია გამოსაქვეყნებლად. ACADEMIA, N10, 2023

ნანა ყიფიანი

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

1. ***სივრცის პრობლემა 1910-იანი - 1920-იანი წლების ქართულ მოდერნიზმში.***
   ხელოვნების ისტორია და თეორია, მოდერნიზმი; ვიზუალური ხელოვნება (მრავალდარგობრივი - ფერწერა, წიგნის დიზაინი, გრაფიკა, ნაწილობრივ თეატრის მხატვრობა)

   პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
   1. 2012-2022

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ნანა ყიფიანი. მკვლევარი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები
   2.1.

1) ***სივრცის პრობლემა 1910-იანი - 1920-იანი წლების ქართულ მოდერნიზმში.***
(ხელოვნების ისტორია და თეორია, მოდერნიზმი; ვიზუალური ხელოვნება. 2012-2022)
თემა განიხილავს ერთ სპეციფიკურ, თუმცა ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას - ქართულ მოდერნიზმსა და ავანგარდში სივრცითი აზროვნების თავისებურებას, რომელიც წარმოაჩენს ზოგადად ქართული ესთეტიკური აზროვნების ხასიათს. სივრცის პრობლემა განიხილება მრავალასპექტურად - იკვლევს სივრცისა და დროის ხასიათს ქართულ მოდერნისტულ ხელოვნებაში (და ლიტერატურაში); სივრცის და მასთან მიმართებაში დროის ასახვისა და მათი აღქმის ფორმებს.
ამდენად თემა არ გულისხმობს მხოლოდ ერთ ასპექტს - თუ როგორ გადმოდის და აისახება სამგანზომილებიანი სივრცე ორგანზომილებიან სიბრტყეზე, როგორია სიბრტყეზე გამოსახულ საგანთა მიმართება ამ, სიბრტყეზე გადმოცემულ სივრცეში, როგორია ფერითი სივრცე და სხვა. თუმცა რასაკვირველია, ეს ერთი მთავარი, საყრდენი ასპექტია, რომელზედაც ეწყობა სხვა დანარჩენი: ორგანზომილებიან სიბრტყეზე ასახულმა სივრცემ შეიძლება ჩაიტიოს შემოქმედისა და მაყურებლის პერსონალური სივრცე, გამოავლინოს თუ როგორი ურთიერთმიმართებაა სივრცესა და ადგილის, სივრცესა და გეოგრაფიას შორის; როგორია ურბანული და ურალური სივრცის გადმოცემისა და აღქმის თავისებურება; როგორ გამოიხატება საკრალური სივრცე (ასეთი მაგალითები არის ქართულ მოდერნიზმში).
ბუნებრივია, ვიზუალური მასალა შედარებულია ამავე პერიოდის როგორც ევროპულ (გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ), ისე რუსული მოდერნიზმისა და ავანგარდის მასალასთან. განხილულია და გაანალიზებულია დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა.
შესწავლილია სივრცე როგორც მეტაფორა.
გარდამავალი თემის ფარგლებში დაიწერა უკვე რამდენიმე ნაშრომი: „სივრცის ნაკეცები“ (ესაა ზოგადი თემა სპეციფიკური მახასიათებლების გამოვლენით), „ქალაქი პალიმფსესტი“, „პეიზაჟი ქართულ მოდერნიზმში“, კირილე ზდანევიჩის შემოქმედებაზე: „ქალაქი“, „დუქანი“ (მასში განხილულია დუქნის სივრცე როგორც სოციალურ, ყოფით, საკრალურ სივრცეთა ნაკრები/სინთეზი), „უკიდურესობათა კავშირი“ (კირილე ზდანევიჩთან სივრცეების სრულიად სპეციფიკური გააზრება, სადაც თავს იყრის როგორც ფუტურისტული სიმულტანიზმი, ისე ისლამური კულტურაში არაბესკის სივრცული ფილოსოფია); „დავით კაკაბაძე“ (ის მთლიანად ეხება კაკაბაძისეულ სივრცეს).
მათი შემოკლებული ვარიანტები სხვადასხვა დროს სხვადასხვა წიგნებში დაიბეჭდა: 1. *წიგნი - პალიმფსესტი*, ტექსტი 1919 წელს ტფილისში გამოსულ ავანგარდულ წიგნზე „ეძღვნება სოფია მელნიკოვას“, რომლის სივრცული წყობა, მარტივად რომ ვთქვათ, დიზაინი, ზუსტად ასახავს ქართულ-თბილისური მოდერნიზმისა და ავანგარდის სივრცულ აზროვნებას და სივრცის ფენომენისადმი დამოკიდებულებას და მის აღქმას; (ტექსტი დაიბეჭდა ვენეციის ბიენალეს ქართული პავილიონის კატალოგში „Kamikaze Loggia: Pavilion of Georgia at the 55th International Art Exhibition - la Biennale Di Venezia”)
2. *ქალაქი პალიმფსესტი* ინგლისურენოვან წიგნში „Memories of Tiflis” (ISBN 978-3-947273-02-7),
3. ორი წერილი *ა) ქალაქი* და *ბ) დუქანი* წიგნში კირილე ზდანევიჩი. პერსონა და არტეფაქტები, (ISBN 978-9941-9681-6-7),

4. *ნაწერები დავით კაკაბაძეზე* წიგნში/ალბომში „დავით კაკაბაძე 1889-1952“ (ISBN სამწუხაროდ რატომღაც არ აქვს);
5. *უკიდურესობათა კავშირი* წიგნში „კირილე ზდანევიჩი. ცხოვრება და შემოქმედება“ (ISBN 978-9941-9681-6-7)

2021-2022 წლებში ვმუშაობდი ამავე თემის ორნაწილიანი ნაშრომზე, რომელიც ეხება ნიკო ფიროსმანაშვილის და ილია ზდანევიჩის შემოქმედებას. პირველი ნაწილი „ძმა ვირი - ნიკო ფიროსმანაშვილის ალეგორიულ-სიმბოლური ენა“; მეორე ნაწილი: „ილია ზდანევიჩის ონოლატრიული პენტალოგიის ალეგორია“, სადაც განხილულია ილია ზდანევიჩის 5 დრამა, რომლის ძირითადი პერსონაჟი ვირია.
პირველი ნაწილი: „ნიკო ფიროსმანაშვილის ალეგორიულ-სიმბოლური ენა“ დასრულებულია. მეორე ნაწილი ილია ზდანევიჩის დრამებზე უნდა დასრულებულიყო 2022 წელში, მაგრამ სხვა საკვლევი პროექტის გამო დროებით შევწყვიტე. ამიტომ ვაპირებ მის 2023-2024 წლებში გადატანას.
პირველ ნაწილში ფიროსმანის შესახებ, რომელსაც ერასტ კუზნეცოვი მოიხსენიებს, ე. წ. ეპოსურ სურათებად, განხილულია ფიროსმანაშვილის სურათების ერთიანი სტრუქტურის, წყობის არქეტიპულ-მეტაფორული ბუნება და მასში შემავალი ატრიბუტების და სცენების სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათი, რაც უშუალო გავლენას ახდენს სურათების სივრცულ აგებულებაზე, რამდენადაც ფიროსმანაშვილის არქეტიპულ-მეტაფორული ენა არა სიუჟეტებით, არამედ მათთან ერთად სივრცის არქიტექტურულ წყობაში ვლინდება, იმ სახვითი ელემენტებითა და მათი ურთიერთკავშირით, რომელიც წარმოქმნის სივრცის საკრალურობას, წინ მოაქვს ადგილის ფენომენის მნიშვნელობა, სივრცის საზღვრის-შემოსაზღვრის ბუნება და სხვა.
იგივე მიზანი აქვს ილია ზდანევიჩის დრამების მეტაფორული ენის სიუჟეტურ-სივრცობრივი ასპექტით შესწავლას, რომელიც ეყრდნობა მის ძირითად „ყველაფრობის“ („всечество“) კონცეფციას.

ვაპირებ თემის გაგრძელებას სადაც სივრცის ფენომენი უფრო ღრმად იქნება შესწავლილი 19251 წლის პუბლიკაციის «H2შO4» ტექსტების ანალიზის საფუძველზე; თეატრის მხატვრობის მაგალითზე და რამდენიმე მხატვრის - შალვა ქიქოძე, ალექსანდრე ზალცმანი, ლადო გუდიაშვილი - მაგალითზე. ზალცმანის მაგალითი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ.
გარდა ამისა, თემაზე მუშაობამ გვაჩვენა რომ ქართული მოდერნიზმის ქრონოლოგიური ჩარჩოები მკვეთრად გადასახედია და მე მას ვწევ 1900-აინი, ლერძოს 1901 წელზე, სადაც პირველად გამოჩნდა გიგო გაბაშვილის სიმბოლისტური ნამუშევრები.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ნანა ყიფიანი (ინდივიდუალური კვლევა)

3. 1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

„2021 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების შესახებ“ 2022 წლის 28 იანვრის #12 დადგენილების საფუძველზე

პროექტი: **XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია;** საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422; 2022—2024

9) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
იხ, თამარ გელაშვილის ანგარიში

პროექტის ხანგრძლივობა - 3 წელი

ნანა ყიფიანი - შესასრულებელი სამუშო - **1910-1920 იანი წლების ქართული მოდერნიზმის ისტორია.**

2. გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

იხ. თამარ გელაშვილის ანგარიში

7. საერთაშორისო ფონდებით დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობა

7.1 ივნისის თვიდან ვმუშაობ საერთაშორისო პროექტზე EUROPALIA, რომელიც ბრიუსელში წარადგენს ქართულ კულტურას. უფრო სწორედ ვმუშაობს მის ერთ ნაწილზე - ქართული მოდერნიზმი/ავანგარდის გამოფენაზე, რომელიც გაიმართება ბრიუსელის **BOZAR**-ში (*Palais des Beaux-Arts*) 2023 წლის შემოდგომაზე

პარალელურად გამოფენისთვის ვამზადებთ 320 გვერდიან წიგნს ქართულ მოდერნიმზე ქართულ და ინგლისურ ენებზე (ცალ-ცალკე), რომელშიც შევლენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ავტორები.

სამუშაო ჯგუფი: ნანა ყიფიანი პროექტის ხელმძღვანელი; თეა ტაბატაძე, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი; ნანა შერვაშიძე, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი; ირინე ჯორჯაძე, ხელოვნების ისტორიკოსი, განათლების სამინისტროს სასკოლო სახელოვნებო პროგრამების დეპარტამენტი.

წიგნში შესული ნაშრომების ავტორები: ნანა ყიფიანი, თეა ტაბატაძე, ირინე ჯორჯაძე, ქეთი შავგულიძე, მზია ჩიხრაძე, ცისია კილაძე, ქრისტინე დარჩია, სოსო დუმბაძე, გიორგი ჯავახიშვილი და ალექსანდრე გაბელია. ასევე რეჟის გეირო, მოლ მანინგი, ბენუა შაპირო, კარლა დონატო

გამოფენის კურატორები: დირკ ვერმელენი (ბელგია), ნანა ყიფიანი, თეა ტაბატაძე, ირინე ჯორჯაძე.

ჯგუფია წევრები ვმუშაობთ სხვადასხვა მუზეუმებს არქივებში და საცავებში საგამოფენო ნამუშევრების და წიგნის საილუსტრაციო მასალის გადარჩევაზე (რაც გასაგრძელებელია), ვმუშაობთ წიგნის ავტორებთან და თავად ჩვენს ტექსტებზე.

პროექტი ფინანსდება საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ და მისი ხელშეწყობით. მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ბრიუსელის „ევროპალიის“ პროექტის ჯგუფთან ერთად

მზია ჩიხრაძე

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

1) სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **პირველი რესპუბლიკა და ქართული ავანგარდის ტრაექტორია;** სამეცნიერო მიმართულება - თანამედროვე ხელოვნების ისტორია და თეორია; 2021-2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **მზია ჩიხრაძე** - მკვლევარი

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. გაკეთდა 1918-1921 წლებში შექმნილი მხატვრული გაერთიანებების, წრეებისა და ორგანიზაციების შემოქმედებით საქმიანობის აღწერა-ანალიზი, მათ შორის უმნიშვნელოვანესი - 41 გრადუსის საქმიანობა იყო, რამაც დიდი როლი ითამაშა ტფილისის კულტურულ ცხოვრებაში. ამ ორგანიზაციამ გამოსცა მრავალი ავანგარდული წიგნი, რომლებიც იქცა მნიშვნელოვან მონაპოვრად არა მხოლოდ ქართული და რუსული, არამედ თანამედროვე ევროპული წიგნის გრაფიკის ხელოვნებაშიც.

ამ მიმართულებით ნაშრომში გაკეთდა რამდენიმე, მნიშვნელოვანი წიგნის ანალიზი, განხილულ იქნა როგორც ამ წიგნებში ჩართული პოეზიის ნიმუშები, ისე მათი მხატვრული გაფორმება, ბეჭდური ექსპერიმენტები, თუ ნოვატორული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები.

კვლევაში დიდი ადგილი დაეთმო ქართული მოდერნიზმისა და ტფილისური ავანგარდის სპეციფიკას, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა ევროპულისგან. კერძოდ, მას აშკარად გამოხატული ეროვნული მახასიათებლები აქვს. ამ მიმართებით განხილულ იქნა ილიაზდის მოღვაწეობა. ასევე ქართველი მოდერნისტი მხატვრების შემოქმედება, თუ წერილები. ამ კონტექსტში გაანალიზდა ქართული კულტურის ცნობილი წარმომდგენლების ნააზრევიც, რაც მათ ნარკვევებსა და ესეებში აისახა.

დასკვნის სახით ითქვა, რომ ეროვნულობის არდაკარგვა, მისი გამოვლენა და უფრო მეტიც, განვითარება, თანამედროვეობის კონტექსტში გადაყვანა დიდი იმპერიების პერიფერიაზე აღმოცენებული მოდერნისტული კულტურების მახასიათებელი იყო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კი, როგორც რუსეთის იმპერიული კლანჭებიდან ახლად განთავისუფლებული სახელმწიფო, ამავე ტენდენციას ავითარებდა. ქართველი მოდერნისტების ხელოვნება, რაც მათ პიროვნულ ინდივიდუალობასთან არის ასოცირებული, თავის თავში ატარებს იმ ეროვნულს, რაც მათში მემკვიდრეობით გადმოვიდა. ამასთან, ქართველი მოდერნისტების შემთხვევაში, ამ ქვეცნობიერად არსებულ ფაქტორს ემატება ეროვნული ხელოვნების ინტელექტუალურ დონეზე გააზრებისა და მისი დასავლურ ხელოვნებასთან ინტეგრირების სურვილი და მცდელობები.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ახალი სამეცნიერო პრობლემები, კერძოდ, მნიშვნელოვანი იქნებოდა ქართველი მოდერნისტი მხატვრების ევროპიდან საბჭოთა საქართველოში დაბრუნების ისტორიის მიმოხილვა-ანალიზიც. ასევე, საბჭოეთთან და სოციალისტურ რეალიზმთან მათი და არა მხოლოდ მათი ხელოვნების მიმართება და ქართული მოდერნიზმის დასასრულის განხილვა (ქართული ავანგარდული თეატრისა და კინოს მიმოხილვის ჩართვით).

ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძვლიანი შესწავლა-ანალიზი დასრულებულ სახეს მისცემდა ნაშრომს. შესაბამისად, უპრიანად მიმაჩნია კვლევის ამ მიმართულებით გაგრძელება 2023 წელს.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **XIX-XX საუკუნეების ქართული ხელოვნება,** ჰუმანიტარულ მეცნიერებები, ხელოვნების ისტორია, FR-21-8422; 2022-2024წწ.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

იხ. თამარ ბელაშვილის ანგარიში

ჯგუფური სამეცნიერო კვლევის ჩემი ნაწილი მოიცავს ორ თემას:

ა) XXს.-ის დასაწყისი და ზოგადისტორიულ-კულტურული ფონი

ბ) საბჭოთა რეჟიმის ნგრევა და საუკუნის მიჯნა, ფერწერა

2. გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი **ანოტაცია** (ქართულ ენაზე)

1. ამჯერად ვმუშაობ ჩემი საკვლევი თემის პირველ ნაწილზე: XX ს.-ის დასაწყისი და ზოგადისტორიულ-კულტურული ფონი.

ამ ეტაპზე მოვიძიე საკვლევი მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

ვამუშავებ ლიტერატურას, ვაკეთებ მის დახარისხებასა და ანალიზს. ასევე ვკითხულობ მასალას XIX-XX საუკუნის ისტორიულ წანამძღვრებსა და კულტურის მახასიათებლებზე. ვაკეთებ ჩანაწერებსა და ანოტაციებს აღნიშნული პერიოდის სპეციფიკურ ისტორიულ მოვლენებსა თუ სახასიათო მხატვრულ ტენდენციებზე.

დამუშავებული ლიტერატურა:

1. Harsha Ram, Modernism in the Periphery: Literary Life in Postrevolutionary Tbilisi, Kritika: Explorations in Russian and Eurasion History, Vol. 5 #2, Spring 2004, pp.367-382
2. ვახტანგ ბერიძე, კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921), თბილისი 1970
3. ილია ზდანევიჩის წერილები და დოკუმენტები მისი პირადი არქივიდან
4. Iliazd, 1894-1975, Chronologie zommaire, 1984
5. ირინა არსენიშვილი, ქართული დაზგური ფერწერა XVIII საუკუნის მეორე ნახევარი – XX საუკუნის 10-20-აინი წლები, თბილისი 2018
6. S.A. Mansbach, Modern Art in Eastern Europe, From the Baltic to the Balkans, ca. 1890-1939, Cambrige University Press 1997

6.1. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი;გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მოდერნიზმი და იდენტობა,** ჟურნალი Ze Gavlena N9 2022 (დიგიტალური), ISSN 2667-9728; გვ. 4-19.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **მზია ჩიხრაძე - მოდერნიზმი და იდენტობა**

მოდერნიზმის პარადიგმა და მისი მიმართება ქართულ მოდერნიზმთან.

1918-21 წლებში საქართველო იმ მოკლეხნიან დამოუკიდებლობას მოიპოვებს, რომლის წიაღშიც არა მხოლოდ ქართული მოდერნიზმი გაიშალა, არამედ თბილისური ავანგარდის გამორჩეული მოდელიც ჩამოყალიბდა, რომლის საძირკველი სწორედ მრავალნაციონალობას, ინტერკულტურულობასა და სხვადასხვა ეროვნული ძალების შემოქმედებით თანამშრომლობას ეფუძნება. თბილისური ავანგარდის სპეციფიკა განისაზღვრა განსხვავებული ნაციონალური ნიშნების ერთიან მხატვრულ სისტემაში ინტეგრირებით, სადაც მიუხედავად ხელოვნების წარმომადგენელთა ინდივიდუალური და ეროვნული ჟღერადობისა, ერთიანი მხატვრული ენა შეიქმნა და სწორედ ეს განსხვავებულობის სპეციფიკა განსაზღვრავს მის მრავალფეროვნებასა და ცხოველხატულებას.

ქართული მოდერნიზმი და ეროვნული სპეციფიკა.

ილია ზდანევიჩი, თბილისური ავანგარდის მესაჭე, მისი შემოქმედება და ეროვნულის, ისტორულსა და წარსული კულტურისადმი მისი დამოკიდებულება.

ილია ზდანევიჩი ისტორიის და არქიტექტურის გარდა, იკვლევდა ლიტერატურას, ხელოვნებას. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ილიაზდისთვის წარსული აწმყოს საფუძველი იყო, რაზეც ის ცოდნასა და შესაბამისად, თავის ხელოვნებას აფუძნებდა, რაც ესოდენ განსხვავდებოდა იტალიელი ფუტურისტების იდეოლოგიისგან, რომელთათვისაც ყველაფერი ომს უნდა გაეწმინდა, რათა ისტორიული წარსულისა და მეხსიერების დეზინფექცია მოეხდინა. მომავალი კი მხოლოდ ფუტურიზმის ფუნდამენტზე უნდა აგებულიყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურა გაჯერებულია ეროვნული სულისკვეთებით. მსგავსი მიდგომები ჩანს იმდროინდელი ქართველი მწერლებისა და მოაზროვნეების ნაშრომებში.

ქართული ხელოვნების წარმოჩენა და მასში ეროვნულობის ხაზგასმა ჩანს ისეთ თანამედროვე მხატვრებთან, როგორებიცაა ლადო გუდიაშვილი, შალვა ქიქოძე, ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძეც კი, რომელიც თითქოს ყველაზე მეტად გასცდა ლოკალურ მნიშვნელობას და კოსმოპოლიტურ ხელოვნებას შეეზარდა.

ჩვენთვის მოდერნისტი მხატვრების ნააზრევისა და ხელოვნების ანალიზი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ისინი იმყოფებოდნენ ემიგრაციაში 1910-იანი წლების ბოლოს და 1920-იან წლებში. ისინი აღმოჩნდნენ თანამედროვე დასავლური ხელოვნების ჰაბში – პარიზში, სადაც ეზიარნენ ამ ხელოვნებას და დასავლური მხატვრული პრინციპების გააზრებისა და მიღებული ცოდნის საფუძველზე გაკეთეს გარკვეული დასკვნები. ისინი თანამედროვე დასავლურ ხელოვნებასთან ნაზიარებ საკუთარ შემოქმედებას ქართული ხელოვნების არეალში განიხილავდნენ და ცდილობდნენ, ამ სინთეზით "ეროვნული ხელოვნებისთვის საერთაშორისო მნიშვნელობა" მიენიჭებინათ.

2.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) სტანდარტული კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

1. მზია ჩიხრაძე: **წარსულისა და მომავლის გზაჯვარედინზე,** გაგზავნილია დასაბეჭდად ევროპალიას ფორუმზე წარმოდგენილი გამოფენის კატალოგ-კრებულში. გვერდების რაოდენობა - 17.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მზია ჩიხრაძე: წარსულისა და მომავლის გზაჯვარედინზე

სტატია ეძღვნება დამოუკიდებელი საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ინსტიტუციონალიზაციას და იმ პირებს, ვინც მნიშვნელოვანი ღვაწლი გასწია ამ საქმეში. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია დიმიტრი (დიტო) შევარდნაძეზე, რომლის ღვაწლი ამ პროცესში აუწონელია. მას ქართული თანამედროვე კულტურისა და ხელოვნების მოამაგეთა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფუძემდებელთა შორის უმთავრესი ადგილი ეკავა როგორც მხატვარს, სახელმწიფო მოღვაწეს, მოაზროვნეს, კომუნიკაციისა და მართვის არაჩვეულებრივი უნარის მქონეს.

სტატიის დასაწყისში განხილულია მოდერნიზმის სპეციფიკა, რომელსაც ახასიათებს “სისწრაფე, მობილურობა, კომუნიკაცია, მოგზაურობა, დინამიზმი, ქაოსი და კულტურული რევოლუცია.“ შემდეგ მოცემულია ის ისტორიულ გზა, რაც ევროპის სახელოვნებო ინსტიტუციებმა გაიარა და ამ ფონზე მიმოხილულია დიმიტრი შევარდნაძისა და მისი თანამოაზრეთა მიერ დაარსებული სახელოვნებო ინსტიტუციები დამოუკიდებელ საქართველოში, მათი მუშაობის პრინციპები, მიღწევები, სირთულეები. გაკეთებულია მათი და ევროპული ინსტიტუციების შეპირისპირება-ანალიზი, მათი საერთო და განსხვავებული ნიშნების გამოვლენით.

ასევე განხილულია დიმიტრი შევარდნაძის მხატვრული მემკვიდრეობაც. ნათქვამია, რომ თავისი ადმინისტრაციული მოვალეობების გამო, ის ვერ ახერხებდა სრულფასოვან შემოქმედებით მოღვაწეობას. მხატვრის განვლილმა შემოქმედებითმა გზამ აჩვენა, რაოდენ ნიჭიერ ხელოვანს კარგავდა ქვეყანა. მისი, მოკლე პერიოდში განვითარებული, მაგრამ მრავალფეროვანი, მაღალმხატვრული ღირებულების ხელოვნება სწორედ ამის დასტურია.

ბოლოს ნათქვამია, რომ საბჭოთა ქვეყანა და მისი ხელმძღვანელობა ინდივიდუალიზმს, კრეატიულობასა და შემოქმედებით თავისუფლებას ებრძოდა. ამის ნათელი მაგალითია, თუ როგორ მოექცა ქვეყნის მმართველობა დიმიტრი შევარდნაძეს. მას არ აპატიეს ის გამბედაობა და თავდადება, რაც ქართული ხელოვნებისა და კულტურის განვითარებისთვის გამოიჩინა. დიმიტრი შევარდნაძის ცხოვრება-მოღვაწეობა იმ ტრაგიკული ისტორიის მსგავსია, რაც საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ და ქართულმა მოდერნიზმმა განვლო. 1932 წელს საბჭოთა მთავრობის მიერ სოციალისტური რეალიზმი მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საყოველთაო ხელოვნებად იქნა აღიარებული. ამ დროიდან შემოქმედებითი თავისუფლება აიკრძალა და მოდერნიზმი ფორმალისტურ და იდეოლოგიურად მიუღებელ

მხატვრულ მიმდინარეობად გამოცხადდა. ეს ქართული მოდერნიზმის დასასრულის დასაწყისი იყო. და, რომ დიმიტრი შევარდნაძე - გამორჩეული მოღვაწე, ვინც ფეხზე დააყენა ქართული სახელოვნებო ორგანიზაციები, შეაკავშირა ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, გეზი მისცა ქართული ხელოვნებისა და კულტურის თანამედროვე, პროგრესულ გზას, საბჭოთა ტოტალიტარულმა მანქანამ უსამართლოდ დასაჯა.

ნინო ჭინჭარაული

მეცნიერ თანამშრომელი

5. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:
   2) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

1930-1940-იანი წლების ანტიფორმალისტური კამპანიების მხატვრულ-ისტორიული ანალიზი, მისი შედეგები და მემკვიდრეობა; ხელოვნებათმცოდნეობა, საბჭოთა პერიოდის სახვითი ხელოვნების საკითხები

პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1. 2021 - 2023

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ნინო ჭინჭარაული** - მეცნიერ-მკვლევარი.

2.1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

ანტიფორმალისტური კამპანიები საქართველოში, როგორც სოციალისტურ ორბიტაზე მოქცეული საბჭოთა რესპუბლიკის კულტურული გამოცდილება, მრავალმნიშვნელოვნად იმეორებს მეტროპოლიური რუსეთში დაწყებულ დისკრედიტაციული დანიშნულების ღონისძიებებს, რომელიც, როგორც წესი, უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა. გამოყოფა აღნიშნული იდეოლოგიური კამპანიების ორი ნაკადი - 1936 წლის და 1946-1949 წლების. პირველი „ბურჟუაზიულ ფორმალიზმთან“ ბრძოლის სახელით მიმდინარეობდა, მეორე - „უსახო კოსმოპოლიტიზმის და დასავლეთის წინაშე მუხლმოდრეკის“ მხილება-ამოძირკვის პათოსით.

ერთი დეკადის გასწვრივ მოქცეულ ქრონოლოგიას მისდევს ქართული სახვითი ხელოვნების ფორმალისტად შერაცხილი ავტორებისა და მისი მავნებლური გადმონაშთების წინააღმდეგ მიმართული და პოლიტიკურად ანგაჟირებული სამოქმედო გეგმები. ორივე ტალღის შემთხვევაში ქართულ ნიადაგზე წარმოებული კამპანიები პარტიული დოქტრინების მოწოდებაზე მყისიერ რეაგირებას წარმოადგენდა. თუმცა, ადგილობრივი მხატვრული მემკვიდრეობის ღრმად ფესვგამდგარი მოდერნისტული ბუნება 1940-იანი წლების მიწურულსაც სუსტი რეციდივების სახით იქცევს ყურადღებას,

რაც მხატვრული ინსტიტუციების მიერ გატარებული პოლიტიკის ლიბერალიზმს და არათანმიმდევრულ, უპრინციპო ქმედებებს „ჰბრალდებოდა“.

რიგით პირველი კამპანია 1936 წელს ა. დუდუჩავას წერილით იწყება და მხატვართა კავშირის იმავე წლის მარტის თვის ცნობილი საგანგებო სხდომით ფორმდება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქართული სახვითი ფრონტის მოდერნისტული ფრთის მონათვლა „ფორმალიზმის“ იდეოლოგიური კლიშით უფრო ადრე, 1920-იანი წლების მიწურულიდან, იწყებს გამოვლენას, როდესაც მარქსისტულ-ლენინური ნარატივით ნაკვები რეალისტურ-ფიგურატიული ხელოვნება მიზანმიმართულად იწყებს დამკვიდრებას. გაზეთ „პრავდას“ სარედაქციო წერილების კვალდაკვალ 1936 წლის პლენუმმა გეზი მისცა სოცრეალისტური კანონის დაფუძნების უკომპრომისო პროცესს, რომელიც დღის წესრიგად მხატვრული კადრების პოლიტიკური განათლების აუცილებლობისა და მხატვრული კრიტიკის ინსტრუმენტალიზაციის მნიშვნელობის შესახებ დააყენა საკითხები.

აღნიშნულ შეხვედრაზე შემოქმედებითმა დისკუსიამ, თავხედური და მუქარის შემცველი ინტონაციით, ანათემას გადასცა დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილის სახით პერსონიფიცირებული ფორმალისტური მავნებლობა ხელოვნებაში და კიდევ ერთხელ ღიად გაილაშქრა უმცროსი ასაკის „ბურჟუაზიულ-დეკადენტური ხელოვნების“ გავლენების მქონე ავტორთა წინააღმდეგ. სპეციფიკურად განივრცო იდეოლოგიური ბრალდებების ხასიათიც - ვინც დროულად და კონკრეტულად არ ამხელდა სახვით ხელოვნებაში ფორმალიზმის შემთხვევებს, თავადვე ითვლებოდა ფორმალისტად.

ხელოვნების ფორმალიზმი რეტროგრადულ, არაპროგრესულ მოვლენად იქნა მიჩნეული, რომელიც ხელს უშლიდა ჭეშმარიტად სოციალისტური კულტურის დაბადება-აღორძინებას. თუმცა, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, „სწორ პოზიციებზე“ მდგომი საზოგადოება კარგად იცნობდა მხატვრული ფორმალიზმის ფენომენს, უფრო მეტიც, დიდწილად თვითონ იყო მისი შემქმნელი და მომხმარებელიც. სწორედ ამის გამოც, შეტევა იყო უფრო დაუნდობელი, ზუსტად მონიშნული და თავგამოდებული. მაგრამ, ნაწილობრივ, ძალმომრეობით „რეალისტურ“ მოთვინიერებას უბრძოლველად არ დახვდა ქართული შემოქმედებითი საზოგადოება, რომელსაც სრულად ჰქონდა გააზრებული საკუთარი ისტორიული წინაპირობები და არ ცნობდა პირდაპირი პარალელების გავლენას რუსულ სოცრეალისტურ მეინსტრიმთან.

საქართველოს მხატვართა კავშირი 1930-იან წლებში ორგანიზაციულად ყალიბდება და მხატვრულ საზოგადოებას სავალდებულო წესით სთხოვს მასში გაერთიანებას, ან მოღვაწეობის გააქტიურებას თუ ახალი საბჭოთა თემატიკაზე განუხრელ მუშაობას. მიუღებლად განიხილებოდა „პროგრესული“ სოციალიზმისგან დისტანცირება და „ახალი ბედნიერი მშენებელი ადამიანის ფსიქიკის“ გაუზიარებლობა. ეს იყო ბრძოლა შემოქმედებითი საზოგადოების, მოდერნისტული მემკვიდრეობის დაუფლებისთვის, ავტორიტეტისთვის. ამ პროცესების შეუცვლელ ინსტრუმენტად იქცა სწორედ ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია - „ბრძოლა ვინმეს წინააღმდეგ ესაა ბრძოლა მისი მოპოვებისთვის“ კავშირის დამახასიათებელ სამოქმედო დევიზად ყალიბდება. ძალაუფლების გადანაწილების ამ მგრძნობიარე პერიოდში ქართული კულტურის გამოჩენილ ფორმალისტი ხელოვანების სახელით ხდება განტევების ვაცის ძიება-მინიშნება, ხოლო მათი არაკოლეგიალური და არაობიექტური კრიტიკა სრულიად არაშემოქმედებითი მიზნების მიღწევას ემსახურებოდა - „გამოჩენილი ფორმალისტების“

განქიქება პარტიული ხელმძღვანელობის კეთილგანწყობის მოპოვებისა და კარიერული წინსვლის ერთგვარ წინაპირობას წარმოადგენდა.

ძველი თაობის, ბურჟუაზიულ ტრადიციებზე აღზრდილ ფორმალისტებად სახელდებულ ხელოვანებს ბრალად ედებოდათ სოციალისტური ეპოქის გამოსახვის საქმეში თავისი ერუდიციისა და პროფესიონალიზმის გამოუყენებლობა, „გარდასახვის“ მხოლოდ სიტყვიერი, ზედაპირული ხასიათი და მხატვრული მეთოდოლოგიის კვლავ მოდერნისტული კალაპოტით შენარჩუნება და, რაც მთავარია, მოუმზადებელი და ფეხმოუკიდებელი ახალგაზრდობის აღმზრდელობის საქმისთვის ზიანის მიყენება. ამ წლების ახალგაზრდა ფორმალისტებზე (ჭანკვეტაძე, გრიგორიანი, ლემონჯავა, მარადაშვილი, გვანცელაძე, ლორის-მელიქოვი, ხუციშვილი, შტენბერგი) პასუხისმგებლობა სწორედ წინა თაობის აღიარებულ ფორმალისტ ავტორებს დაეკისრათ (დ. კაკაბაძე, ვ. კოტეტიშვილი, ლ. გუდიაშვილი), როგორც ფორმალიზმის შემომტან-გამავრცელებელ პირებს.

1940-იანი წლების იდეოლოგიური კამპანია, ამჯერად, დეკლარირებული სოცრეალიზმის პირობებში მოქმედებდა. წინა ათწლეულის გამოცდილების მსგავსად, საქართველოს მხატვართა კავშირი აწყობდა გაფართოებულ სხდომებს შემოქმედებითი პროდუქციის გადახედვის მიზნით. ომისშემდგომი პარტიული დადგენილებების გამოცხადებამ კულტურის სფეროში კვლავ ააფორიაქა მხატვრული საზოგადოება - მიჯრით იჩინა თავი ულტიმატუმის ფორმის მიმართვებმა სოციალისტური რეალიზმის რელსებზე საბოლოო „გადაწყობის“ შესახებ. გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ისმოდა მუქარა შემოქმედებითი საქმიანობის აკრძალვა-შეწყვეტასთან დაკავშირებით - ფორმალისტური გადმონაშთების არსებობა „სახალხო მასების“ ზრდის ფონზე დაუშვებლად გამოცხადდა.

მეორე ტალღის დროს, ფორმალიზმი ნაკლებად განიხილებოდა, როგორც გაფორმებული მიმდინარეობა - მისგან თავდაცვა საჭირო აღარ იყო. მოდერნისტული სულისკვეთების ავტორთა იმ ნაწილმა, რომელიც სამოქმედო ასპარეზიდან თავისი ნებით არ გაუჩინარდა, მხატვრული ნიშის აქტიურობის შენარჩუნება დიდი მსხვერპლის ფასად (შემოქმედებითი მეობის დაკარგვით) ნაწილობრივ მოახერხა - პროპაგანდისტული თემატიკის აღებით და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სოციალისტურ პრაქტიკებში ჩაბმის გზით. მაგრამ „ფორმალიზმის მოლიპულ გზაზე დაშვების“ საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა მხატვრულ კადრებში. მთავარ მიზეზად დასახელდა პოლიტიკურ-იდეური მომზადების დაბალი დონე, რომლის გამოსწორების გარეშე ფორმალისტური რეპუტაციის მქონე ავტორების შემთხვევაში „ქვეყნისთვის ზედმეტ და უვარგის ამბად გადაიქცევა მათი შემოქმედება“ (შ. მამალაძე).

„კოსმოპოლიტიზმთან ბრძოლის“ სახელით გაჩაღებული კამპანია თავდასხმის სუბიექტებად ირჩევს სოციალისტურ სინამდვილეში აღზრდილ-ფორმირებული ახლი თაობის წარმომადგენლებსაც. რეალიზმისთვის უცხო ელემენტები ჩნდებოდა ახალგაზრდების მცირე ჯგუფთან (ბაღდავაძე, სუმბათაშვილი, გულისაშვილი, იანქოშვილი, თაგორაშვილი, ძაძუაშვილი), რომელთა კოსმოპოლიტურ-ბურჟუაზიული მოტივების აღმოფხვრის პასუხისმგებლობა უკვე მონოპოლიურ ორგანიზაციად ჩამოყალიბებულ მხატვართა კავშირს ეკისრებოდა და არა „გამოჩენილ ფორმალისტთა“ ლიგას.

ძალაუფლების გადანაწილების დრამატული შემობრუნების მომენტებში დაძრული იდეოლოგიური კამპანიები დიდი და გამოუსწორებელი კულტურული რესურსების დანაკარგების ფონზე იყო წარმართული. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ წლებში, პარტიის მიერ ხელოვნების სფეროში გატარებული ღონისძიებები საბჭოთა პერიოდშივე გადაიხედა და კრიტიკული შეფასებაც მიეცა. 1930-1940-იანი წლების ანტიფორმალისტური კამპანიების შედეგები, უპირველესად, სოციალისტური რეალიზმის პარადიგმის დაფუძნებას ემსახურებოდა, ასევე საბჭოთა კულტურის იზოლაციონალიზმის უზრუნველყოფას - ტოტალიტარიზმის ფონზე მასობრივ, პროპაგანდისტულ პროდუქტზე ორიენტირებული მხატვრული სტრუქტურების საიმედოდ შენარჩუნების სურვილს.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1. **ქართული მხატვრული კრიტიკის გენეზისი და მდგომარეობა 1930-1950-იანი წლების მაგალითზე;** ხელოვნებათმცოდნეობა, საბჭოთა პერიოდის სახვითი ხელოვნების საკითხები.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ნინო ჭინჭარაული** - მეცნიერ-მკვლევარი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. აღნიშნული კვლევა მიმდინარე ეტაპზე დაეყრდნო საქართველოს ეროვნულ არქივში განთავსებულ სსრ მხატვართა კავშირის რიგ პლენუმთა სტენოგრაფიულ ჩანაწერებს. განსაკუთრებით საყურადღებო მასალებს მოიცავდა რესპუბლიკური გამოფენების განხილვის მიზნით გამართული შეხვედრები, სადაც სპეციალური მოხსენებებით მონაწილეობას იღებდნენ კავშირთან არსებული „კრიტიკოსთა და ხელოვნებისმცოდნეთა სექციის“ წევრები. გარდა ოფიციალური რეცენზიებისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია პლენუმის დასკვნითი ნაწილი - ზეპირი დისკუსიები, რომლებიც მრავლად მოიცავს უნიკალურ, იშვიათად გასაჯაროებულ ინფორმაციას როგორც მხატვრული კრიტიკის, ისე ტექნიკურ-ორგანიზაციულ და შემოქმედებით საკითხებზე.
კავშირის ეგიდით გამართულ პლენუმებზე, საკვლევ ქრონოლოგიურ ჩარჩოში, წაკითხული მოხსენებების სტრუქტურა სოცრეალისტური ტექსტის ყველა მოთხოვნის დაცვით არის გადაწყვეტილი: იდეოლოგიური შტამპებით გაწყობილი, უაღრესად კლასიფიცირებული და დაწვრილმანებული ტექსტები არ მალავს ცვლილებების მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას, მოიხმობს ტოტალიტარული ესთეტიკის კატეგორიებს, როგორიცაა ტექნიკური დასრულებულობა და რეალობის პროფესიული იმიტირების უნარი, ასევე მისაბაძ ნორმად აღიარებს XIX საუკუნისდროინდელ რუსულ რეალისტურ ხელოვნებას და თავმომწონედ რესტავრირებულ ჟანრულ სისტემას.
კრიტიკა იყო გულგრილი საორგანიზაციო პრობლემატიკის მიმართ, თუმცა, მასში დასმული საკითხები პროფესიულ ანალიზზე მეტად ათვალსაჩინოებდა ხელოვნების სოციალიზაციის თემებს, მათ შორის, აღმზრდელობით პათოსს და მორალურ-ეთიკურ ასპექტებს. მხატვრული კრიტიკის ნაწილში არ იყო საუბარი ინსტიტუციებზე, თუმცა, თავად კრიტიკა ინსტიტუციური ჯაჭვის იმ ერთ-ერთ პროდუქტს წარმოადგენდა,

რომელიც ზრუნავდა აღნიშნული სისტემის იმიჯსა და იდეოლოგიურ მიზანშეწონილობაზე. ამდენად, პლენუმის რეცენზიებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ რეპრეზენტაციის ის მოდელი, რომლითაც ხდებოდა არა მარტო მხატვრული პროდუქტის, არამედ მთავარი ორგანოს - მხატვართა კავშირის საჯარო დამოკიდებულებების წარდგენაც. საკვლევი გამოფენის მასალები ხელშესახებს ხდის ამდაგვარი თვითრეფლექსიის შეზღუდულობას: ოფიციალურ ენაზე სახვითი ხელოვნება შორს იჭერდა თავს ინსტიტუციური კაბალისგან, მერკანტილური სურვილებისგან, მიკერძოებასა და კონიუნქტურაზე დამოკიდებულებისაგან. სუბიექტური შეფასებები უკან იხევს, რადგან კრიტიკაც, ხელოვნების მსგავსად, არაა ავტონომიური, არამედ ამოფარებულია პარტიული დადგენილებებისა და საპროგრამო წერილების დემაგოგიას. ასახვის საგანსა და მის მხატვრულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით უკვე არსებობდა მზა სქემები - მოხსენებები „კეთილგონიერების“ ფარგლებში, ერთი მხრივ, კავშირის პრეზიდიუმთან გადიოდა საბოლოო შემოწმებას, მეორე მხრივ, გაზეთ „პრავდას“ საპროგრამო წერილების სულისკვეთებას იზიარებდა.

მეტად დამახასიათებელია პლენუმზე გაჟღერებული მხატვრული შეფასებების უარყოფითი კონოტაცია, რომელიც „ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის“ საბჭოთა ტრადიციის თავშეკავებულ გამოძახილად აღიქმება - ნაკლები დემაგოგიით და მეტი საქმიანი განხილვით. კატეგორიულად ხაზგასმულია ნამუშევართა სუსტი მხარეები და მათი აღმოფხვრის პრიორიტეტულ გზად დასახულია ავტორთა „პოლიტიკური მომზადება“. მკაცრად იყო განსაზღვრული საბჭოთა მოდერნიზაციის აღქმის გეზი, სადაც სოციალისტური სინამდვილე მხოლოდ სამეურნეო მიღწევების გარშემო ვითარდებოდა, ხოლო მხატვრული გადმოცემა ნიშნავდა პასიურ დამოკიდებულებებსა და პესიმისტურ განწყობებზე უარის თქმას.

2.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **სახვითი ხელოვნების ინსტიტუციური და სოციალური ასპექტები საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში;** ხელოვნებათმცოდნეობა, საბჭოთა პერიოდის სახვითი ხელოვნების საკითხები.
2. 2021-2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ნინო ჭინჭარაული** - მეცნიერ-მკვლევარი.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. აღნიშნული კვლევის შთაგონების წყაროდ იქცა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული სსრ მხატვართა კავშირის ფონდი და მის ვრცელ დოკუმენტებში აღნუსხული ერთ-ერთი პლენუმი, რომელიც 1951 წლის ივლისში საგანგებოდ შეიკრიბა საქართველოს გასაბჭოების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური გამოფენის თაობაზე.

აღნიშნული შეხვედრა, სადაც შემოქმედებითი კუთხით მსჯელობები სრულად გადაფარა „საორგანიზაციო და პირადმა საკითხებმა“, მსუყედ მოწოდებული სოციო-კულტურული

გამოცდილების თვალსაზრისით არის საინტერესო. ამ კონკრეტული პლენუმის მასალები საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ მხატვრული ცხოვრების ინსტიტუციურ და ეკონომიკურ ასპექტებს „გეგმური მეურნეობის პირობებში“. მოხსენებების შემდგომი დისკუსიის საპროტესტო ნოტა, რომელიც მოიცავდა შენიშვნებს საგამოფენო მენეჯმენტთან, მაღალჩინოსნების ბიუროკრატიზმთან, ახალგაზრდა კადრების მარგინალიზაციასთან, შეკვეთების კლანურ გადანაწილებასა და პროვინციებში მხატვრული ცხოვრების სტაგნაციასთან დაკავშირებით, არ ყოფილა პირველი და უკანასკნელი შემთხვევა. ეს თემები ყოველთვის იჩენდა თავს საქართველოს მხატვართა კავშირის პლენუმებზე, მაგრამ ასეთი სიმწვავით ზოგად ინსტიტუციურ პრობლემებზე გამოსვლა იშვიათად განმეორებულა.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სოცრეალიზმში სწორედ მისი ინსტიტუციური კარკასი უზრუნველყოფდა ე. წ. პროდუქცია-დიფუზია-რეცეფციის (პდრ) ჯაჭვის უწყვეტობას, კერძოდ კი - როდესაც მხატვრული ნაწარმოების შექმნა, შემდეგ მისი გავრცელების მექანიზმები და ბოლოს რეფლექსია მასზე, ანუ კრიტიკა, ერთმანეთისგან გამომდინარე და ურთიერთდამოკიდებულ პროცესს წარმოადგენდა. ე.წ. „პდრ“-ს კონცეფციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა შემდეგი ინსტიტუციური რგოლები: პარტია, მხატვრული ორგანიზაციები (შემოქმედებითი კავშირები), სახელმწიფო აპარატი (მინისტრთა საბჭო) და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (კომკავშირი, პიონერთა ორგანიზაცია, პროფკავშირები), რომელიც ტოტალიტარული სისტემის ფარგლებში უზრუნველყოფდა ტოტალიტარულ სისტემაში მხატვრული არტეფაქტის ფორმირების, რეალიზაციისა და კრიტიკული გააზრების ჩარჩოებს .

ქართულ სახვით ხელოვნებაში 1930-იან წლებში დაწყებული საბჭოთა ინსტიტუციური ძიებები ომის შემდგომი პერიოდისთვის იერარქიულად ჩამოყალიბებულ სახეს იღებს, რომლის საკვანძო საყრდენს ქმნიდა მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო და მასზე დაქვემდებარებული მხატვართა კავშირი. სწორედ ეს უკანასკნელი იყო ქვეყნის მთავარი მხატვრული ორგანიზაცია, რომლის გამგებლობაში შემავალი არაერთი საბჭო, საწარმო თუ დაწესებულება განსაზღვრავდა მის მრავალფუნქციურობას - ერთდროულად მმართველობის, წარმოების, შეფასება-წარდგენის, ხელოვანთა ინტერესების მხარდაჭერისა და იდეოლოგიური მეთვალყურეობის ვალდებულებას. აქვე, საკვლევი თემის ისტორიულ ფონთან კავშირში უნდა გამოიკვეთოს გვიანი სტალინიზმის ხანის სპეციფიკურობა. გარდა კლასიკური საბჭოთა მოდელებისა, ამ დროს ჩამოყალიბდა მხატვრული ინსტიტუტების კონფიგურაცია, შეიქმნა ხელოვანთა პროფესიული იდენტობის ახალი სახე და შემუშავდა ის ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც შემდეგი რამდენიმე ათწლეული შენარჩუნდა და დიდწილად განაპირობებდა საბჭოთა სახვითი ხელოვნების მდგრადობას და მემკვიდრეობითობას .

ინსტიტუციური მოქმედებების სქემა, რომელიც პლენუმის დისკუსიაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, სახვით ხელოვნებაში იერარქიული კონტროლის სურათს წარმოგვიდგენს. ამ კიბის ქვედა საფეხურს ქმნიდა საგამოფენო მარათონი და მხატვართა კავშირის წევრებისთვის მასში ჩაბმის აუცილებლობა. საგამოფენო მზადება, თავის მხრივ, იყო ხანგრძლივი, მაგრამ მკაცრ ვადებში გაწერილი პროცესი, რომლის მეთვალყურეობაც ესკიზების შემოწმებიდან დაწყებული მზა ნამუშევრის დამტკიცება-ჩაბარებამდე ევალებოდა საგამოფენო კომიტეტს. გამოფენათა მზადების განუყოფელ ნაწილს

შეადგენდა პროფესიული კონსულტაციები, რომელიც უნდა გასწეოდათ ექსპოზიციაში მონაწილე ავტორებს, რათა საკუთარი ნამუშევრები შემოქმედებით-იდეოლოგიური რისკების გარეშე დაესრულებინათ და სოცრეალისტურ კანონთან შესაბამისობაში მოეყვანათ. ამდენად, კონსულტაციები მხატვრული ნაწარმოებების „დაზღვევის“ სასურველ პრაქტიკას წარმოადგენდა - ის განიხილებოდა შემოქმედებით „დახმარებად“, რომლის დროული და მრავალჯერადი მიღება ნამუშევართა გამოფენებში წარმატებულ ჩართვას განაპირობებდა, ეს უკანასკნელი კი - პოტენციურ გაყიდვებზე გასვლას. უკვე მზა ნამუშევრები დასკვნით შეფასებას გადიოდნენ პოლიტიკურ-იდეოლოგიური კუთხით, რომელზეც პასუხისმგებლობას იღებდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო. სახელმწიფო კომისიების შეფასებას ჰქონდა ვერდიქტის ძალა, მიუხედავად იმისა, რომ სცოდავდა ტენდენციურობით, რადგან იდეოლოგიურ პროგრამასთან შეუთავსებლობის გამო, არაერთი მხატვრულად ღირებული ნამუშევარი აღარ მტკიცდებოდა საექსპოზიციოდ. ამ უკანასკნელი გამოცდილების ჩრდილოვან მხარედ ჩამოყალიბდა მხატვრული ნამუშევრების პირდაპირ „მთავრობის კომისიის“ წინაშე წარდგენა, თუმცა, ადგილობრივი საგამოფენო კომისიების გვერდის ავლით.

ომისშემდგომ ქართულ ხელოვნებაში სოცრეალიზმის ინსტიტუციური სივრცე დეკლარირებული და განხორციელებული სიტუაციების შეუსაბამობაზე იდგა. ერთი მხრივ, სისტემა ავალდებულებდა ხელოვანს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნამუშევრის ვადების და ხარისხის დაცვით ჩაბარებას, მეორე მხრივ, ის იმავე მხატვრული კადრებისთვის ვერ უზრუნველყოფდა სამუშაო მასალებით დროულ მომარაგებას და სათანადო სამუშაო პირობებით დაკმაყოფილებას (გასათვალისწინებელია სახელოსნოების უკიდურესი დეფიციტი და დედაქალაქში კონცენტრირებული მხატვრული საზოგადოების მწვავე საბინაო პრობლემა). გეგმური ეკონომიკა შემოქმედებითი პროცესის თავისებურებებს არ ითვალისწინებდა - აქ მთავარი იყო კონკრეტული დრო და მის ფარგლებში მობილიზებული ნაწარმი.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოში საბჭოთა დროის ხელოვნება გვიანი სტალინიზმის ხანაშიც არ წარმოადგენდა ჰერმეტულ და მხოლოდ ხელოვნურად კონსტრუირებულ მოვლენას. ყოველი ნაწარმოები, ღონისძიება თუ კრიტიკული აზრი მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იმყოფებოდა ერთმანეთთან, რომელთა ფორმა, ფუნქცია და დანიშნულებაც ინსტიტუციური ჩარჩოს თავისებურებათა ლოგიკურ გამოვლენად გვესახება.

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი **„საბჭოთა სახვითი ხელოვნება და ქართული მხატვრული კრიტიკა: ფუნქცია და დანიშნულება“** დაფინანსებულია ფარიგის ფონდის მიერ „გრიბოედოვის კვლევითი გრანტის“ ფარგლებში. დიდი ბრიტანეთი. 2022 – 2023 წლები.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ნინო ჭინჭარაული** - მეცნიერ-მკვლევარი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფარიგის ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევის საგანს წარმოადგენს საბჭოთა საქართველოში, სახვითი ხელოვნების დარგში მხატვრული კრიტიკის ფენომენის შესწავლა. კვლევის მიზანია 1930-1970-იანი წლების ქრონოლოგიურ ჩარჩოში ქართული მხატვრული კრიტიკის მისიისა და ამოცანების, ორგანიზაციული კუთვნილების, ქვეყნის კულტურულ პოლიტიკაში ჩართულობის საკითხთა შესწავლა. საკვლევი საგნის მეთოდოლოგიური ნორმები, როგორც წესი, მეტროპოლიური რუსეთის შესაბამის მხატვრულ ინსტიტუციებში სტრატეგიული პროგრამების სახით მუშავდებოდა და ცენტრალიზებული პოლიტიკის შედეგად, საბჭოთა რესპუბლიკებისათვის სავალდებულო ფორმატად ყალიბდებოდა.

კვლევის შედეგები გამოკვეთს სახვითი ხელოვნების დარგში ქართული მხატვრული კრიტიკის 1) მრავალფუნქციურ, არაერთგვაროვან მოცემულობას, 2) სახვითი ხელოვნების თვითიდენტიფიკაციის პროცესში მის განმსაზღვრელ როლს და საბჭოთა პერიოდის ქართული სახვითი ხელოვნების წარმოჩენის კანონზომიერებებს, 3) პარტიული ინსტრუმენტალიზაციის ინტენსივობის ხასიათს, 4) რეგიონული მახასიათებლების თავისებურებას და საბჭოთა მეტროპოლიურ ცენტრთან მიმართებაში რეპლიკა/უნიკალურობის საკითხს.

ზემოხსენებული კვლევა ამ ეტაპზე განხორციელებულია შემდეგი მიმართულებებით: ა)1930-1980-იანი წლების ქართულ პერიოდულ პრესაში სახვითი ხელოვნების ზოგადი საკითხების შესახებ გამოქვეყნებული წერილების მოძიება-დამუშავება, ბ) საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული და საკვლევ თემასთან დაკავშირებული მასალების, ძირითადად, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის ფონდის დოკუმენტაციის გაცნობა-შეჯერება.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ნინო ჭინჭარაული; **ინსტიტუციური ჩარჩო: მხატვრული შემოქმედების სოციალური პერიპეტიები (გამოფენა „საქართველოს გასაბჭოების XXX-ე წლისთავი“);** გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე; 2022 წელი, 28-29 ნოემბერი, თბილისი.

ცისია კილაძე

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:
   10) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში,
ხელოვნებათმცოდნეობა, ახალი ქართული ხელოვნების ისტორია, მოდერნისტული მხატვრობა

პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1. 2018
2.2025

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ცისია კილაძე**

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში,**
ხელოვნებათმცოდნეობა, ახალი ქართული ხელოვნების ისტორია, მოდერნისტული მხატვრობა. 2018-2025წწ

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ცისია კილაძე**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია

ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში ვრცელი საკვლევი თემაა და მრავალ საკითხს მოიცავს. კვლევითი პროექტი დაყოფილია თემატიკის მიხედვით. წინა წლებში განხორციელებული კვლევის შედეგები შედის ამ კვლევით პროექტში. თემების ჩამონათვალია: მხატვრული ფორმის, კვლევის მეთოდოლოგიის და მოდერნისტული მიმდინარეობების საკითხები, პორტრეტი და ავტოპორტრეტი; ქალაქისა და ურბანული გართობის თემა, კაფეები, ცირკი, ბაღები და სხვა, ირონია და თამაშის მოტივები, თეატრის როლი მხატვრობაში, ომისა და რევოლუციის თემა, ნატურმორტი და სხვა. კვლევა განიხილავს ცნობილი ქართველი მოდერნისტი მხატვრების შემოქმედებას ზემოთ აღნიშნული თემების მიხედვით. ესენია: შალვა ქიქოძე, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ვალერიან სიდამონ ერისთავი, ლადო გუდიაშვილი და სხვები. 2022 წლის მანძილზე შეგროვილ იქნა ვიზუალური და ლიტერატურული, წერილობითი მასალა, რომელიც დამუშავდა და გამოყენებულ იქნა თეორიულ კვლევაში. თეორიული კვლევა კი ამჯერად ეხება ისეთი ასპექტებს, როგორიცაა მაგალითად: დავით კაკაბაძის თეორია სივრცის შესახებ.

სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სივრცის პრობლემაა, დავით კაკაბაძესთვის სივრცის თემა უმნიშვნელოვანესია. თავის თეორიული ნაშრომებში ის მუდმივად განიხილავს ამ საკითხს. მისი მოსაზრებები მრავალგვარი და ხშირად ოპოზიციურიცაა, მაგრამ საბოლოოდ ისინი შესაძლოა ერთიან კონცეფციად დავინახოთ, რომელიც რთული და მრავალსახოვანია, ამავე დროს მთლიანი და სტრუქტურული, ჰარმონიული. ისეთივე როგორც მისი შემოქმედება და მხატვრობა. დავით კაკაბაძე წერს იმას, რასაც პრაქტიკულად ახორციელებს ან უფრო ზუსტი იქნება ითქვას, რომ ის როგორც მეცნიერი- ხელოვანი საზრისებით, წინასწარი ცოდნითა და მსოფლმხედველობის თანახმად აკეთებს თავის მხატვრობას. მასავე დავესესხებით სურათი მუდამ გაკეთებული უნდა იყო, თუმცა ამავე დროს ის ამბობს, რომ „ყოველი სურათი, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ჩვენს აზრზე შეუძლებელია ჩაითვალოს სრულ მთლიან ნაწარმოებად“. „იდეალური სურათი უნდა მოქმედებდეს მარტო გრძნობიერებაზე“.

დავით კაკაბაძის წერის მანერა, სტილი ცხადი და ლაკონიურია, აქაც ჩნდება მისი მეცნიერული სიზუსტისადმი მიდრეკილება, მისეული მოსაზრებები სივრცის შესახებ კვლავაც ბოლომდე გასააზრებელი და საკვლევია ევროპელ მოაზროვნეთა, ფილოსოსფოსთა და ხელოვნებათმეცნიერთა ნააზრევთან მიმართებაში. ცხადია დავით კაკაბაძე თანადროულ და არა მხოლოდ თანადროულ ფილოსოფიას და ხელოვნების მეცნიერებას კარგად იცნობდა. ჩვენ ამჯერად მხოლოდ ზოგიერთ მის თეორიას შევეხებით. ერთი მათგანია მოსაზრება სივრცის აგების კლასიცისტური და რომანტიკული მეთოდის შესახებ.

დავით კაკაბაძის სიტყვებით „ხელოვნებაში არსებობს ორი გზა, ორი მეთოდი - კლასიციზმი და რომანტიზმი. კლასიციზმი და რომანტიზმი, როგორც ორგვარი მეთოდი, ხელოვნებაში მკაფიოდ გარკვეული სახეა. მთელი XIX საუკუნე რომანტიზმის მეფობის ხანაა და ამიტომაც ხელოვნება მუდმივ რყევას განიცდიდა.“ „კლასიციზმი როგორც მეთოდი შეურყეველი გზაა შემოქმედების დამთავრებული ფორმის მიღწევისათვის. ამ მეთოდის საშუალებით ჩვენი ახალი მხატვრობა მიიღებს თავის ბუნებრივ სახეს და განამტკიცებს ნამდვილ ქართულ სულს“. წერილში „სურათის პრინციპი“, ამბობს, რომ „რომელიმე პრინციპის გამოსახვა სურათში უნდა იყოს დაყვანილი თავის უკიდურეს ფორმამდე და იმ ხაზამდე, სანამ სურათის კომპოზიცია ისაზღვრება. ამ საშუალებებით იქმნება რკინის რკალივით მოქნილი სურათის ფორმა.“

საზღვარი, დამთავრებული ფორმა რამდენჯერმე მეორდება მის ნაწერებში. ის დასრულებულ სივრცეს ანიჭებს უპირატესობას, ბუნებრივია სივრცის უბრალოდ მოჩარჩოებას, ჩაკეტილობას არ გულისხმობს. მისივე სიტყვებით სურათის შინაარსი მის კიდეებთან უნდა მთავრდებოდესო, სივრცის გარკვეული გაგებით, დაცულობას უნდა ნიშნავდეს. დავით კაკაბაძეს კლასიკური სივრცე ისევე ესმის როგორც ეს გამოჩენილ ევროპელ ხელოვნების მეცნიერთ. ის იზიარებს ა.ფ. ჰილდებრანდტის, ჰ. ვიოლფლინის, კ. ფიდლერის, ა. რიგლის ფორმალისტურ შეხედულებებს ამგვარი სივრცის შესახებ.

ა.ფ.ჰილდებრანდტის არქიტექტონიკური მთლიანობა, მიზნობრიობა მისთვის ახლოა. ამ ხელოვნებთამცოდნეების გაგებით, ადამიანი, როგორც ეს დემოკრიტემ განსაზღვრა, მიკროკოსმოსია. ასევეა კლასიკური სივრცეც. საკუთარ თავში უსასრულობა, აბსოლუტი, კოსმოსი, რომ მოიცვას, იგი დასრულებული და ცენტრალიზებული უნდა იყოს. საბოლოოდ ასეთი სივრცე პლატონისეული ეიდოსის ხილულ განსახიერებას უნდა წარმოადგენდეს. ბაროკოს ეპოქიდან სივრცის დასრულებულობა უსასრულობისკენ სწრაფვით იცვლება. ეს სწრაფვა განსაკუთრებით რომანტიზმსა და მის მომდევნო ეპოქებში ვითარდება. ჰანს ზედელმაიერი თანამედროვე მხატვრობას სივრცობრივი თვალსაზრისთ სწორედ რომანტიზმის გაგრძელებად თვლის. ვალტერ ბენიამინი კი ავანგარდულ ხელოვნებას ალეგორიულს უწოდებს, რადგან ნახატი თავის თავში უსასრულობის მომცველი კი არა, მხოლოდ მისი ნიშანი ხდება. რომანტიკული და ავანგარდული სივრცის პრინციპია ასახოს სამყარო როგორც უსასრულობის ნიშანი, სივრცე თითქოს სცდება სასურათე სიბრტყეს, „ეძებს“ რაღაც თვალით უხილავს. კლასიკურისგან განსხვავებით ის თავად იწყებს გადმონაცვლებას, შემოჭრას მნახველის სივრცეში წარმოსახვითად. დავით კაკაბაძეს კლასიკური სივრცის აბსოლუტური, თავის თავში დასრულებული აქტუალური უსასრულობა აინტერესებს და ამ პრინციპში ხედავს როგორც საკუთარი მხატვრობის ისე ეროვნული ფორმისა და სივრცის განვითარების საშუალებას. ეს კარგად ჩანს იმერეთის პეიზაჟების მაგალითზე, სადაც გაშლილი, თითქოს ხალიჩისებრი და უსასრულო სივრცე ამავე დროს ცენტრალიზებული, ნათელი და მოწესრიგებულია. დავით კაკაბაძე ახერხებს უსასრულო სივრცის შეგრძნება და დასრულებული მხატვრული სივრცე თანაარსებობდეს ანუ უსასრულო სასრულ ფორმაში მოაქციოს.

კლასიკური სივრცისადმი ამგვარი პრივილეგია თითქოს ოპოზიციური მოსაზრებით იცვლება მის ნაშრომში - „სივრცის ორნაირი კონცეფცია“, სადაც ის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხელოვნებათა კონცეფციებს უპირისპირებს ერთმანეთს. მისი სიტყვებით: „აღმოსავლეთი განიცდის სივრცეს განყენებულ ფორმებში, დასავლეთი კი კონკრეტულ სახეებში. ხელოვნება შემოქმედებაშია. ის ვითარდება მხოლოდ განყენებულად განცდილ სივრცეში“. „აღმოსავლეთის ხელოვნება მიილტვის მარადისაკენ, დასავლეთის-დროულისაკენ“. „აღმოსავლეთის პლასტიკური ხელოვნება კონსტრუქციული და მონუმენტურია. ის გადმოცემულია განუსაზღვრელ მანძილსა და განუზომელ დროში.“ ევროპული მხატვრობისთვის ტიპური პერსპექტივისგან განსხვავებით, როდესაც პერსპექტივის ხაზები ერთ წერტილში იკრიბებიან, აღმოსავლეთის პერსპექტიული ხაზები „მიდიან პარალელურად უსაზღვრო სივრცეშიო“აღნიშნავს კაკაბაძე. მას მაგალითად მოჰყავს ჩინეთის და იაპონიის ნახატები ე.წ ``lavis“, სადაც პერსპექტივა არასდროსაა დაცული, მაგრამ სივრცე მშვენივრადაა გადმოცემული. მართლაც იაპონელისთვის სივრცე ყოველთვის სახე - ხატია, პეიზაჟი - ბუნების პოეტური, განზოგადებულ სახეა. თუ ევროპულ მხატვრობაში პერსპექტივა ერთი მიმართულებით, გარკვეული ხედვის წერტილის თანახმად, სიღრმისკენაა ფოკუსირებული, იაპონურ ნახატებში სივრცე რადიალური ორიენტაციით ოთხსავე მხარეს ვითარდება, თვალი არ

ფიქსირდება რაიმე კონკრეტულზე, რაც ფართო და ყოვლისმომცველი სივრცის შეგრძნებას ქმნის. მით უფრო, რომ აღმოსავლელი მხატვრები მაღალ ჰორიზონტს ირჩევენ. ეს საგნობრივი სამყაროსაგან განრიდება, ჭვრეტის მდგომარეობა აღმოსავლური ფილოსოფიისა და მსოფლგანცდის შედეგია. კონკრეტული ხედვის წერტილის არ არსებობა ევროპული ცენტრალიზებული სივრცეებისაგან სრულიად განსხვავებულ სივრცეს ქმნის. დასავლური ფერწერა სივრცეს სიღრმედ აღიქვამს და იგებს, ხოლო აღმოსავლური - როგორც სიფართოვეს, სიხალვათეს. არ შეიძლება არ დაეთანხმო დავით კაკაბაძეს, რომ დასავლური სივრცე სასრულია, ხოლო აღმოსავლური უსასრულო.

აღმოსავლური ხედვის მსგავსად პანორამულადაა გაშლილი დ. კაკაბაძის პეიზაჟებიც, აკი ამბობს კიდეც: „ბუნება ჩვენ არასდროს არ ვხედავთ ერთი განსაკუთრებული მხრიდან, არამედ მისი შეთვისება ხდება მთლიანი არსებით-სივრცეში “. მისი პეიზაჟებიც ზედხედიდანაა დანახული. ისიც ბუნების, სამყაროს თითქოს ყოვლისმომცველ ხედებს ქმნის, თუმცა ხალიჩისებურად გაშლილი სიბრტყეები მაინც გონისმიერი, რენესანსული პრინციპის თანახმად ლაგდება. იმერეთის პეიზაჟებში სივრცის შთაბეჭდილება იქმნება ჰორიზონტალური სიბრტყეების მონაცვლეობით, მთების ფერად ლაქებს შავი კონტურული ხაზები შემოწერს, ამ გეომეტრიული სიბრტყეთა დაქანებები კი სხვადასხვა კუთხეებს ქმნის. დავით კაკაბაძე თავისუფლად ალაგებს ფერადოვან ლაქათა გეომეტრიულ სიბრტყეებს, ისე რომ სურათი მონუმენტურ, დასრულებულ და ცენტრალიზებულ სივრცედ აღიქმება და არა როგორც ეს მოდერნის სტილის ნიმუშებშია დეკორატიულ პანოდ, სადაც სივრცე სასურათე სიბრტყის გარეთ, წარმოსახვითად გრძელდება. ამ ნამუშევრებშიც, ისევე როგორც დავით კაკაბაძესთან, დომინირებს სიბრტყე, ფერადოვანი ლაქა, ხაზი . . . პირობითი და კლასიკური სივრცის ოპოზიციური ნაერთი. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მოდერნის სტილისა და სიმბოლიზმის ცნობილი შვეიცარიელი წარმომადგენელი ფერდინანდ ჰოდლერი. ის საინტერესოა როგორც ანალიტიკოსი მხატვარი რომელმაც პარალელიზმის თეორია შეიმუშავა. მარტივი, განზოგადებული ფორმების, პარალელური მოტივების რიტმული განმეორებით ფ. ჰოდლერი ცდილობდა წესრიგისა და ჰარმონიის შთაბეჭდილების შექმნას, მარადიულობის შეგრძნებისა და ბუნებისა და ხილულის კანონზომიერების გამოხატვას. მაგრამ მასთან ზოგჯერ ეს კანონზომიერება სქემატური რაციონალიზმის ზღვარზეა. დ.კაკაბაძე კი რაციონალიზაციას არასდროს არ მიმართავს, ის რაციონალურია, მაგრამ მისი გეომეტრიული ფორმები, მისი სივრცე არასდროსაა სქემატური და გამოგონილი.

დავით კაკაბაძე ცას ფაქტობრივად არ ხატავს, მხოლოდ იშვიათად შეუძლია გამოჩნდეს ცის მცირე ნაგლეჯი. მისი ბუნება დედამიწის განსახიერებაა, კოსმოსიდან დანახული დედამიწის ფრაგმენტია, რომელიც უნივერსალურიცაა და ამავე დროს საქართველოს ერთი კუთხის - იმერეთის ძალზე დამახასიათებელი ხედია. დედამიწისა და სამშობლოს არქეტიპია მისი პროგრამული სურათი - „იმერეთი დედაჩემი“. აქაც, როგორც იმერეთის პეიზაჟებში სივრცე მაღალი ჰორიზონტიდანაა დანახული, ის თავად და მნახველიც თითქოს ციდან გადმოჰყურებს მთის ფერდობებს. ეს არის ერთი მხრივ სივრცის

ხილული დასრულებულობის და ამავე დროს ჰიპოთეტიური უსასრულობის შეგრძნება. ბინარული ოპოზიციები - ერთი მხრივ სივრცის საგნობრივი ფორმა, რომელიც აღორძინების ხანას ახასიათებს და მეორე მხრივ აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი პირობითობა. სივრცის ცენტრალიზება და ამავე დროს პარალელური სივრცეების სინთეზი. დასავლეთი და აღმოსავლეთი, კაკაბაძისავე თეორიის თანახმად, ნამდვილად ხვდება ერთმანეთს მის ნამუშევრებში.

უნივერსალური კანონზომიერების, არქეტიპული სახე -ხატების შესაქმნელად დავით კაკაბაძისთვის მნიშვნელოვანი ხდება ე.წ. ფერადობის პერსპექტივა, მისი სიტყვებითვე რომ ვთქვათ„როგორც გეომეტრიული პერსპექტივის კანონი არსებობს, ისე ახალი ფერადობის პერსპექტივა შევიმუშავე“. პერსპექტივის, სიღრმის, მესამე განზომილების განცდის შექმნა შესაძლებელია „მარტო ფერადობის საშუალებით, ხაზების სისტემის გარეშე..“ დაშორებულ საგანში (მაგალითად პეიზაჟის პანორამული შორეული ხედის აღქმისას) ბინოკულარული ხედვით გამოწვეული სტერეო ეფექტი ქრება, ამ დროს თვალთა ოპტიკური ღერძები თითქმის პარალელურად არიან მიმართული და სივრცის, მესამე განზომილების განცდას იწვევს მხოლოდ ფერადობის შეგრძნება.

ამგვარი ფერადობის პერსპექტივა პოსტიმპრესიონისტულ მხატვრობაში უკვე აშკარა გამოცდილებაა. დავით კაკაბაძე სწორედ პოსტიმპრესიონისტულ და არა იმპრესიონისტულ მხატვრულ სივრცეს მიიჩნევს ღირებულად. პოსტიმპრესიონისტულ მხატვრობაში მოხდა სივრცის იმ მონუმენტურობის შეგრძნების აღდგენა, რომლისკენაც ასე მიისწრაფვის დავით კაკაბაძის მხატვრული ხედვა და რომელიც დაკარგული იყო იმპრესიონისტულ მხატვრობაში. პოლ სეზანმა ფერწერაში ახალი სივრცობრივი აგებულების ძიება დაიწყო. მისთვის სიღრმე სწორედ განუყოფლადაა დაკავშირებული ფერთან. სიბრტყეზე მოცემული ფერთა ლაქების კომბინაცია, ამავე დროს, საგნების მოცულობასა და სიღრმისკენ მათ მიმართულებას მიანიშნებს. ჩვეული ხაზოვანი პერსპექტივის ნაცვლად, როგორც ცნობილია, იგი ე.წ პერცეფციულ პერსპექტიულ სისტემას ქმნის. პერცეპციული პერსპექტივა აღქმული სივრცის ბუნებრივ ხედვას მიჰყვება. პ. სეზანი ბუნების დამკვირვებელია. მის ნატურმორტებში კარგად ჩანს რამდენიმე ხედვის წერტილის თანაარსებობა და სინთეზი. ის ხშირად აერთიანებს უკუპერსპექტივას, აქსონომერიულს და ხაზოვან პერსპექტივებს და ამავე დროს მისი სივრცეები ბუნებრივი, უშუალო ხედვისა და აღქმის გამოხატულებებია.

ამგვარი სინთეზური პერსპექტივა ხელს უწყობს ფორმების მონუმენტალიზაციას , ასახული ობიექტების და სივრცის გამყარებას, მატერიალიზაციას. საგნების ახლო ხედიდან დაკვირვებისა და მათში არსის ასახვის შედეგად სივრცე მყარდება, სქელდება თითქოს მატერიალურ ხელშესახებითობას და სიმკვრივეს იძენს.

დავით კაკაბაძეც სივრცის სინთეზურ და ბუნებრივ დაკვირვებაზე დაფუძნებულ პერსპექტივას იკვლევს და ასახვას, ოღონდ საკუთარი ინდივიდუალური ხედვიდან გამომდინარე. როგორც ის ამბობს მხატვრობის მიზანი ბუნების შეგნებაა,ხოლო ბუნების შეგნება კვლავ ჭეშმარიტების და მარადიულობის ძიებას ნიშნავს. თავად პ. სეზანიც

არაერთხელ აღნიშნავს, რომ მისი მიზანია ბუნების ასახვისას მარადიულის ხილულად ქცევა. საგნების არსში ჩაწვდომა და ამ არსის ხილულ და ხელშესახებით სახეებში წარმოჩენა. სეზანისეულ მსოფლმხედველობასთან ახლოსაა დავით კაკაბაძის მოსაზრება საგნებსა და სივრცეზე, ის ამბობს, რომ „ადამიანის სულიერი დაკავშირება საგნებთან სივრცის განცდაშია და ამიტომ სივრცის გადმოცემა საგნის ზედაპირზე ჩვენი არსების მოთხოვნილებაა.“ სწორედ სივრცის, როგორც ჭეშმარიტების პრიზმაში განვიცდით ჩვენ ამ თუ იმ საგანსა და მოვლენას. „ყველაზე ღირებულია ადამიანის მუშაობა საგანზე, რომელშიც ის საკუთარ თავს და თავის უკვდავ სულს ავლენს“. აქვე ი.ვ.ფ. გოეთე შეიძლება გაგვახსენდეს, რომელიც ამბობს, რომ საგანთა გამოსახვისკენ სწრაფვა მათი არსის ჩაწვდომის სურვილია. როგორც სეზანის მხატვრობის შემთხვევაში, ასახვის საგნების მატერიალიზაცია სივრცის მატერიალიზაციასაც იწვევს, ასევე საგანთა ონტოლოგიურ ხედვას სივრცის ონტოლოგიურობასთან მივყავართ.

პოლ სეზნათან, პოლ გოგენთან, ჟორჟ სიორას ნამუშევრებში შეჩერებული, შენელებული დროის, სივრცეში მარადიულობის ასახვის მცდელობები ფერწერისა და ჭეშმარიტების გაიგივების მცდელობებია. ჰანს ზედლმაიერის ცნება - ხელოვნება და ჭეშმარიტება როგორც მათ, ისე დავით კაკაბაძის მხატვრობასაც კარგად მიესადაგება. დავით კაკაბაძის დასრულებული სივრცეები იმავდროულად უკიდეგანო უსაზღვროების მომცველია და დროის მუდმივობასა თუ განგრძობადობას ასახვას. მასთან ახლოსაა XX საუკუნის დასაწყისის ფილოსოფოსის ანრი ბერგსონის „განგრძობადობის“ თეორია, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტება თავისთვადი მოცემულობა კი არ არის, არამედ დროში ქმნადია, ეს დროში ხანგრძლივად არსებულის ინტუიციური შეგრძნებაა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მოდერნისტულ მხატვრობაზე. დ. კაკაბაძის პეიზაჟებიც ხომ თავისი ტექტონიკურობით, კანონზომიერი რიტმით დროში ხანგრძლივად არსებობის, მუდმივობის შთაბეჭდილებას ქმნიან.

სინთეზური სივრცის გამოცდილება, რომელიც უკვე სეზანთან აშკარაა ავანგარდში მეოთხე განზომილების ძიებით გრძელდება. არაევკლიდური გეომეტრიის აღმოჩენამ ბიძგი მისცა მხატვრობაში ახლებური სივრცის შესახებ მოსაზრებების და ძიებების განვითარებას, განსაკუთრებით კი ექსპრესიონისტული და კუბისტური ხედვის განვითარებას. პაბლო პიკასოს კუბისტური ნამუშევრებში სხვადასხვა პერსპექტივის, რაკურსების, ხედვის წერტილთა სინთეზი სინამდვილის მეოთხე განზომილებაში წარმოდგენის მცდელობაა. დავით კაკაბაძე, როგორც უნივერსალური სივრცის მაძიებელი, ევროპელი დიმენეიონისტების მანიფესტის წევრი და გამოფენის მონაწილე, ბუნებრივია, რომ კუბიზმით და სივრცის კუბისტური გადაწყვეტით იყო დაინტერესებული. მისი კუბისტური ავტოპორტრტი აპოლინერის სიტყვებით რომ ვთქვათ - „პლასტიკური წესრიგია“, მისი აბსტრაქციებიც შესაძლოა დავინახოთ, როგორც სივრცის მეოთხე განზომილების ძიებები. ა. აინშტაინის ფარდობითობის თეორიის მიხედვით სივრცის გამრუდება, როგორც არაევკლიდური გეომეტრია მეოთხე განზომილების არსებობას უშვებს. იქნებ ეს თეორიაც ირეკლება კაკაბაძის მრუდხაზოვან, დინამიკური ტიპის შავფონიან აბსტრაქციებში, რომელთა კოსმიურობის შესახებ

არაერთხელ აღნიშნულა მკვლევართა მიერ. კოსმოსში დაშვებული სივრცის მრავალგანზომილებიანობა, თითქოს, ზედროული, ტრანსცენდენტალური სივრცე დავით კაკაბაძესთან მხოლოდ გონებისმიერად კი არ არის აწყობილ-აშენებული, როგორც ეს მეტწილად კუბისტებთან ხდება მეოთხე განზომილების ასახვის მცდელობისას, არამედ ინტუიციურად, თითქოს სპონტანურად ნაგრძნობი და გამოცხადებულია, როგორც რაღაც მეტაფიზიკური ხილვა.

მრავალსივრცობრივი თუ სინთეზური გამოსახულების ღირსშესანიშნავი მაგალითებია ასევე 1924-25 წლებში შექმნილი, სივრცის აგების მხრივ ნოვატორული „ობიექტები ლინზებითა და სარკეებით“. ამასთან დაკავშირებით ნანა ყიფიანის მოსაზრებას გავიმეორებ, რომელიც აღნიშნავს, რომ აქ წარმოდგენილ „მასალებს 1920 -იან წლებში ჯერ არავინ იყენებდა და არც ბინარული ოპოზიციების გაერთიანება - გამთლიანებით სივრცის გადმოცემის ამოცანას აყენებდა“. „მაყურებელი, რომელიც ნამუშევრის წინ დგას დგას , სარკეებიანი ლინზების საშუალებით მასში ირეკლება, ზოგჯერ თავდაყირაც, და ნამუშევრის ნაწილად იქცევა. ამდენად ყოველი ახალი მაყურებელი ახალი რეალობით იჭრება მასში: რელიეფური, სხვადასხვა მასალის ან შექმნილი ობიექტი ინტერაქტიური და კიდევ უფრო მრავალსივრცობრივი ხდება, მასში მესამე განზომილება იჭრება - კინეტიკური ხელოვნების წინამორბედი.“

ნამუშევრისა და მნახველის სივრცეები ერთმანეთს ხვდება და ეს ავანგარდული სივრცეა, რომელიც ამავე დროს დინამიკის აუცილებლობითაა განპირობებული. რადგან როგორც მხატვარი თავად აღნიშნავს მსოფლიო შეიცვალა დინამიკური მსოფლიოთი, მსოფლიოთი, რომელიც განიცდის მუდმივ ევოლუციას. დ. კაკბაძის სიტყვებით - „მაშინიზმი-მეცნიერების შედეგი-უმთავრესი ძარღვია დღევანდელობისა.“ „გაბრწყინვალებული ზედაპირი, რომელშიც როგორც სარკეში ჩანს სხვადასხვა მრავალფეროვანი სიბრტყეები და სახეები საუკეთესო საშუალებაა დინამიური სივრცის გადმოსაცემად“. დინამიკის აუცილებლობასთან ერთად დავით კაკაბაძისეული კოსმიური წესრიგის, განგრძობილი, მარადიული დროის შეგრძნება ერთგვარი მხატვრული პასუხიცაა მაშინიზმის აჩქარებულ ეპოქაზე.

ამრიგად დავით კაკაბაძის ნაწერებიდან აშკარაა მხატვრული აზროვნების სინთეტიზმი, ისევე როგორც მის შემოქმედებაში მის თეორიულ ნაშრომებშიც სივრცის კონცეფცია მრავალგვარი, რთული, ოპოზიციებით დატვირთული და ამავე დროს მთლიანი და მიზნობრივია. სინთეზურია მისი შემოქმედებითი დანატოვარიც: ფერწერა, გრაფკა, კოლაჟი, ფოტოგრაფია, კინო, სტერეოპარატი. ეს არის სამყაროს მთლიანობის, ჭეშმარიტების ძიებისა და ასახვისკენ სწრაფვა. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად მისი თეორიული ნააზრევი სივრცის შესახებ ალბათ იმერეთის პეიზაჟებში ხორციელდება ხილულად. ეს თითქოს მისი ტექსტების სახვითი ხატებია და შემთხვევითი არაა, რომ დავით კაკაბაძე მუდმივად უბრუნდება იმერეთის პეიზაჟებს. ყველაზე ნათლად, კრისტალური ფორმით აქ ჩნდება მისი სივრცისადმი დამოკიდებულება და ალბათ ეროვნული სულისკვეთების ხილულადყოფაც ყველაზე

ცხადად სწორედ მის პეიზაჟებში ვლინდება. როგორც დიმიტრი თუმანიშვილი აღნიშნავს მხოლოდ მატერიალური, ყოფითი, ინდივიდუალური არ იზიდავს ქართველი ხელოვანის თვალს, ხელსა და გულს, ის მუდმივად იდეალურ სახე-ხატს ეძებს. ამავე მეცნიერის აზრით კაკაბაძის მხატვრობისთვის დამახასიათებელი უსაზღვროების განცდა მხოლოდ ერთი სიტყვით გამოითქმის და ეს არის ამაღლებული, რაც ქართული ეროვნული ტრადიციის დამსახურებაა. დ. კაკაბაძე „ეძებს არა მარტო მუდმივებს, იდეალთან მიმყვანებელ მუდმივებსაც“.

შეიძლება ითქვას, რომ დავით კაკაბაძის სივრცის კონცეფცია პლატონისეული მიმეზისის კონცეფციიდან საზრდოობს, რომლის მიხედვითაც ერთადერთი რისთვისაც შეიძლება ღირდეს სახვითი ხელოვნების არსებობა ისაა, რომ მან ასახოს ჭეშმარიტება. დავით კაკაბაძის მხატვრობის, მისი მაღალი წესრიგიანი სივრცეების ასახვის საგანი სწორედ ჭეშმარიტება, აბსოლუტური რეალობის წარმავალში ასახვაა. ნეოპლატონიკურად ჟღერს თავად მისი ნათქვამიც: „ხელოვნებაში მოცემული უნდა იყოს ის კი არა, რაც არსებობს, არამედ ის რაც შეიძლება არსებობდეს“.

6. . ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) სტანდარტული კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

1. **ც. კილაძე, დავით კაკაბაძე- ზოგიერთი თეორია სივრცის შესახებ,** გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის კონფერენციაზე- ხელოვნება და სივრცე- დავით კაკაბაძე წაკითხული მოხსენება გამზადებულია დასაბეჭდად.
2.

ანოტაცია

1. დავით კაკაბაძის ნაწერებიდან აშკარაა მხატვრული აზროვნების სინთეტიზმი, ისევე როგორც მის შემოქმედებაში მის თეორიულ ნაშრომებშიც სივრცის კონცეფცია მრავალგვარი, რთული, ოპოზიციებით დატვირთული და ამავე დროს მთლიანი და მიზნობრივია. სინთეზურია მისი შემოქმედებითი დანატოვარიც: ფერწერა, გრაფკა, კოლაჟი, ფოტოგრაფია, კინო, სტერეოაპარატი. ეს არის სამყაროს მთლიანობის, ჭეშმარიტების ძიებისა და ასახვისკენ სწრაფვა. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად მისი თეორიული ნააზრევი სივრცის შესახებ ალბათ იმერეთის პეიზაჟებში ხორციელდება ხილულად. ეს თითქოს მისი ტექსტების სახვითი ხატებია და შემთხვევითი არაა, რომ დავით კაკაბაძე მუდმივად უბრუნდება იმერეთის პეიზაჟებს. ყველაზე ნათლად, კრისტალური ფორმით აქ ჩნდება მისი სივრცისადმი დამოკიდებულება და ალბათ ეროვნული სულისკვეთების ხილულადყოფაც ყველაზე ცხადად სწორედ მის პეიზაჟებში ვლინდება. მხოლოდ მატერიალური, ყოფითი, ინდივიდუალური არ იზიდავს ქართველი ხელოვანის თვალს, ხელსა და გულს, ის მუდმივად იდეალურ სახე-ხატს ეძებს. ამავე მეცნიერის აზრით კაკაბაძის მხატვრობისთვის დამახასიათებელი უსაზღვროების განცდა მხოლოდ ერთი სიტყვით გამოითქმის და ეს არის ამაღლებული, რაც ქართული ეროვნული ტრადიციის დამსახურებაა. დ. კაკაბაძე „ეძებს არა მარტო მუდმივებს, იდეალთან მიმყვანებელ მუდმივებსაც“.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) სტანდარტული კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

3. **ც. კილაძე, შალვა ქიქოძის მხატვრობა,** სტატია ევროპალიას ხელოვნების ფესტივალის ქართული მოდერნიზმის გამოფენის კატალოგისთვის, ჩაშვებულია გამოსაცემად

2.1.ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამორჩეული წარმომადგენელია შალვა ქიქოძე (1894-1921). მან, ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, დაგვიტოვა ძალზე ინდივიდუალური, თვითმყოფადი ხელწერის მქონე შემოქმედება და შექმნა მხატვრული ხედვა, რომელიც ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული და ევროპულ მხატვრულ ტრადიციასთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული. მისი მხატვრობა დატვირთულია სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით, მძაფრი ემოციური მუხტითა და ირონიული, ამასთანავე, მორალისტური დამოკიდებულებით სამყაროს მიმართ.ლადო გუდიაშვილის სიტყვებით, შალვა ქიქოძე იყო მხატვარი, რომელსაც „ცხოვრების იუმორის პრიზმაში დანახვის უნარი“ ჰქონდა. გერონტი ქიქოძე კი მას ასე ახასიათებს: „შალვა ქიქოძე იყო სატირიკული და ტრაგიკული ბუნების მხატვარი“. მართლაც, იუმორთან ერთად მის შემოქმედებაში გვხვდება გროტესკი, სატირა, მელანქოლია, რომელთა მიღმაც მხატვრის ძალზე რომანტიკული ბუნება ჩნდება. ყრმობიდანვე ის გატაცებული იყო შარჟითა და კარიკატურით. ირონია მისი მხატვრობის ერთ-ერთი დამახასიათებელი კატეგორიაა და მთელ მის შემოქმედებას გასდევს. ესაა დროის მსოფლმხედველობა, ეპოქისა და მოდერნისტული ხედვის ერთ-ერთი ნიშანი და ასევე მხატვრის კონკრეტული, სუბიექტური თვითგამოხატვა. შალვა ქიქოძის მხატვრობა სამყაროს მისეული ფილოსოფიური ხედვაა და მისი შეცნობისკენ, ერთგვარი უნივერსალური კატეგორიებისკენ სწრაფვით გამოირჩევა ექსპრესიასა და ემოციურობასთან ერთად.

მისი შემოქმედება სამყაროს მთლიანობის, ჭეშმარიტების ძიებისა და ასახვისკენ სწრაფვაა. აკი ამბობს კიდეც წერილებში, მხატვრობაზე მეტი ფილოსოფია არ ვიციო.

ნინო ჭოღოშვილი

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

1. **სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული**

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო

მიმართულების მითითებით;

პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **კარიკატურის ასწლიანი ისტორია 1880-1980**

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი
6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2018-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნინო ჭოღოშვილი (პროექტის ხელმძღვანელი)
ირინე აბესაძე (მკვლევარი)
ქრისტინე დარჩია (კოორდინატორი, ახალგაზარდა მეცნიერი)
სალომე ჭანტურიძე (ახალგაზარდა მეცნიერი)

2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ძირითადმა პერსონალმა იმუშავა დედაქალაქში არსებულ ყველა მუზეუმში, კერძოდ, საქართველოს ეროვნული მუზეუმსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებში, სადაც პროექტის მთავარი ფოკუსი და აუცილებელი მასალა - კარიკატურის ჟანრში შექმნილი ნამუშევრები ინახება (გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები, პლაკატები, ღია ბარათები და ა.შ.). ჯგუფმა სრულად მოიძია ვიზუალური მასალა (საუბარია სხვადასხვა ქართველი თუ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მცხოვრები არაქართველი მხატვრების მიერ შექმნილი ნამუშევრების ორიგინალებზე), დაახარისხა ავტორების მიხედვით და მოახდინა პირველადი ფოტოფიქსაცია. უნდა აღინიშნოს, რომ სამუზეუმო ფონდებში მუშაობისას ძირითად ჯგუფს დახმარებას უწევდნენ კონსულტანტები - თანამონაწილე ორგანიზაციის ორი თანამშრომელი. პროექტის ძირითადმა პერსონალმა ასევე მოიძია კერძო კოლექციებში არსებული კარიკატურებისა და მეგობრული შარჟების სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილი ჩანახატები, დაახარისხა და გადაიღო ფოტოები. (ორივე შემთხვევაში საუბარია არაპროფესიონალურ ფოტოგადაღებაზე, ანუ მკვლევართათვის სამუშაო პროცესში საჭირო ფოტოებზე, რომელიც არ არის განკუთვნილი გამოცემაში დასაბეჭდად. მასალის პროფესიონალური ფოტოგადაღება პროექტის გეგმა-გრაფიკის მიხედვით გათვალისწინებულია მეორე საანგარიშო პერიოდში).

პროექტის ამოცანის თანახმად, ძირითადმა პერსონალმა შეისწავლა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო კვლევით ცენტრში დაცული ბეჭდური მედია (1880-1980-იანი წწ.). აქაც პროექტის ძირითად ჯგუფს დახმარებას უწევდა კონსულტანტი - ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი. პირველ შემთხვევაში ძირითადმა პერსონალმა ეროვნულ ბიბლიოთეკისაგან გამოითხოვა მათ მიერ წინასწარ შერჩეული ჟურნალების დიგიტალური ვერსიები პდფ ფაილების სახით, მეორეში კი მოახდინა როგორც ჟურნალ-გაზეთების, ისე ნამუშევრების ორიგინალების ფოტოფიქსაცია. პროექტის ძირითადმა პერსონალმა მოინახულა ქ. ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმის ფონდები, ქ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა და დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის ფონდები.

პროექტის ძირითადი პერსონალი - ნინო ჭოღოშვილი, ირინე აბესაძე, სალომე ჭანტურიძე - 2021 წლის 13-დან 19 სექტემბრამდე იმყოფებოდნენ მივლინებით გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტში კარიკატურის მუზეუმში პარალელური მასალის გასაცნობად და საკვლევად (Caricatura Museum Frankfurt, Museum fuer Komische Kunst, https://caricatura-museum.de). ძირითადი პერსონალი გაეცნო მუზეუმში დაცულ კოლექციებსა და გამოფენებს, ბიბლიოთეკას, აწარმოვა მოლაპარაკებები და სამუშაო შეხვედრები მუზეუმის თანამშრომლებთან, მოახდინა მასალის ფოტოფიქსაცია (კვლევისთვის). ფრანკფურტის კარიკატურის მუზეუმი არის ერთადერთი კარიკატურის მუზეუმი გერმანიაში, სადაც დაცულია ე.წ. „ფრანკფურტის კარიკატურის სკოლის“ მნიშვნელოვანი ნიმუშები. მუზეუმს გააჩნია მუდმივი ექსპოზიცია და ასევე საგამოფენო დარბაზები ცვალებადი ექსპოზიციებისთვის.

კვლევით პროცესში ძირითად პერსონალს დახმარება გაუწია პროექტის უცხოელმა კონსულტანტმა, ნაომი ქეფიმ, რომელთან მჭიდრო კოორდინაციაც ჰქონდა ჯგუფს მთელი პირველი საანგარიშო პერიოდის მანძილზე. ნაომი ქეფიმ მიაწოდა ჯგუფს თემასთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურა (პდფ ფაილები იხ. კომპაქტ დისკზე) და ასევე დაუსახელა უახლესი ინგლისურენოვანი გამოცემები, რომელთა შეძენაც ტექნიკური მიზეზების გამო ჯერ ვერ მოხერხდა წამყვანი ორგანიზაციის (თსუ-ს) მიერ. ნაომი ქეფისთან აქტიური თანამშრომლობა გაგრძელდება მეორე საანგარიშო პერიოდის განმავლობაშიც.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. „კარიკატურის ასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980)“ (განმცხადებელი ორგანიზაცია თსუ); 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები; 6.4 ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა); FR 18-6262; 2019-2023 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნინო ჭოღოშვილი - პროექტის ხელმძღვანელი; 2. ირინე აბესაძე - მკვლევარი; 3. ქრისტინე დარჩია - პროექტის კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი; 4. სალომე ჭანტურიძე - ახალგაზრდა მეცნიერი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი

თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

პროექტის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად იქნა შესრულებული. როგორც იმთავითვე იყო გათვალისწინებული პროექტით, აღნიშნული პერიოდი სრულად დაეთმო სამუზეუმო ფონდებსა და კერძო კოლექციებში მოძიებული ვიზუალური მასალის დამუშავებას, ანალიზსა და კვლევას. მოხდა მასალის მეცნიერული შესწავლა-გააზრება, მისი ინტერდისციპლინარული კვლევა და მხატვრულ-სტილისტური ანალიზი. გამოვლინდა საქართველოში არსებული კარიკატურის ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური, კულტუროლოგიური კონტექსტები. დამუშავდა შესაბამისი ტექსტების უმეტესი ნაწილი. პროექტის ძირითადმა პერსონალმა ასევე მოიძია კარიკატურის ჟანრში მომუშავე, საქართველოში მცხოვრები და მოღვაწე ქართველი და არაქართველი მხატვრების ბიოგრაფიული ცნობები. მოცემული კვლევისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოხდა, როგორც პრაქტიკულად უცნობი მხატვრების გამოვლენა, ისე ფსევდონიმით მოღვაწე მხატვრების იდენტიფიცირება.

პროექტის დამხმარე პერსონალის - ფოტოგრაფის მიერ მოხდა წინა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამუზეუმო ფონდებსა (საქართველოს ეროვნული მუზეუმი და მის დაქვემდებარებაში მყოფი მუზეუმები, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკა, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო კვლევით ცენტრი) და კერძო კოლექციებში მოძიებული ვიზუალური მასალის (კარიკატურის, სატირული გრაფიკული ნამუშევრების, მეგობრული შარჟების, პლაკატების, ღია ბარათებისა და ა.შ.) პროფესიონალური ფოტოფიქსაცია (მაღალი რეზოლუციით). აღნიშნული მასალა აუცილებელია პროექტის დასკვნით ეტაპზე, პროექტის საბოლოო პროდუქტად განსაზღვრული პუბლიკაციის - უხვად ილუსტრირებული, 300 გვერდიანი ქართულ-ინგლისური მონოგრაფია-ალბომის მოსამზადებლად.

პროექტის მეორე საანგარიშო პერიოდის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვალდებულებების თანახმად, პარალელური მასალის შესწავლის მიზნით, პროექტის ძირითადი პერსონალი (პროექტის ხელმძღვანელი - ნინო ჭოღოშვილი, მეცნიერი - ირინე აბესაძე, ახალგაზრდა მეცნიერი, პროექტის კოორდინატორი - ქრისტინე დარჩია) 2022 წლის 12 სექტემბრიდან 18 სექტემბრამდე იმყოფებოდა მივლინებით შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელში არსებულ კარიკატურისა და მულტიპლიკაციის მუზეუმში (Caricature and Cartoon Museum Basel) სამუშაოდ. ძირითადი პერსონალი გაეცნო მუზეუმში დაცულ კოლექციებსა და გამოფენებს, მუზეუმის უმდიდრეს ბიბლიოთეკას, აწარმოა მოლაპარაკებები და სამუშაო შეხვედრები მუზეუმის თანამშრომლებთან. ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები მუზეუმის დირექტორთან ანეტე გერიგთან, რომელმაც პროექტის მონაწილეებს წარუდგინა და გააცნო მასალები ბაზელის კარიკატურის მუზეუმში განხორციელებული მრავალი პროექტის შესახებ. ბაზელის კარიკატურის მუზეუმი არის ერთ-ერთი ცნობილი კარიკატურის მუზეუმი ევროპაში, რომელსაც აქვს მდიდარი კოლექცია და ასევე საგამოფენო დარბაზები ცვალებადი ექსპოზიციებისთვის. ბაზელში ყოფნისას შედგა ვიზიტი ციურიხის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და კულტურის თეორიის ცენტრის კოორდინატორთან სანდრა ფრიმელთან, რომელიც ხელმძღვანელობს დიდ სამეცნიერო პროექტს საბჭოთა კარიკატურის შესახებ. ქ-ნ ფრიმელმა მოგვაწოდა საინტერესო ინფორმაცია პოსტ საბჭოთა ქვეყნების მხატვრული მემკვიდრეობაზე კარიკატურის ჟანრში. სანდრა ფრიმელი აპირებს საქართველოში ჩამოსვლას 2023 წლის შემოდგომას საკუთარი პროექტის ფარგლებში. მას დიდი სურვილი აქვს გააგრძელოს ჩვენთან თანამშრომლობა. პროექტის დასრულების შემდეგ შესაძლებელია დაიგეგმოს კარიკატურის ჟანრში მომუშავე

ქართველ თუ საქართველოში მოღვაწე უცხოელ მხატვართა გამოფენა და საერთაშორისო კონფერენცია.

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი;
პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1. „დიმიტრი თუმანიშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების საკითხები უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე“ (განმცხადებელი ორგანიზაცია - თსსა); 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები; 6.4 ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა); SP-21-630; 23/07/2021-23/01/2022.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნინო ჭოღოშვილი - პროექტის ხელმძღვანელი; 2. ალექსანდრა გაბუნია - პროექტის კოორდინატორი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და

პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი **ანოტაცია** (ქართულ ენაზე)

1. გამოიცა წიგნი, რომელიც შეიქმნა ცნობილი ქართველი მეცნიერის, თსს აკადემიის ტენუარის, დიმიტრი თუმანიშვილის მიერ 2014-2015 წლებში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო-სასწავლო რადიოსათვის გაკეთებული უნიკალური ჩანაწერების - ლექციათა ციკლის საფუძველზე. განხორციელდა აუდიო მასალის მყარ დისკზე გადმოტანა; ტექსტის რედაქტირება და კორექტურა; ტექსტისა და ფოტომასალის დაკაბადონება და დიზაინი; ტენდერი ჩატარდა და გამოვლინდა გამარჯვებული სტამბა. პუბლიკაცია შედგება 404 გვერდისგან და მასში შესულია 77 ილუსტრაცია;

ლექციათა ციკლი მოიცავს ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ვრცელ პერიოდს, დაწყებულს ძვ.წ.აღ. V-IV ათასწლეულებიდან, თანამედროვე ეპოქამდე - XX საუკუნის ბოლომდე. (1. არქეოლოგიური მემკვიდრეობა. საყდრისის საბადო; 2. უძველესი სამოსახლოები; 3. ქრისტიანობის შემოსვლა და სატაძრო არქიტექტურა; 4. V საუკუნის არქიტექტურა; 5. VI საუკუნის არქიტექტურა; 6. VII საუკუნის არქიტექტურა; 7. გარდამავალი ხანის არქიტექტურა; 8. აფხაზეთის არქიტექტურა; 9. XI საუკუნის არქიტექტურა; 10. დავით აღმაშენებლის ეპოქა; 11. XII საუკუნის არქიტექტურა. თიღვის წმ. ჯვრის ეკლესია; 12. თამარის ხანის არქიტექტურა; 13. XIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIV საუკუნის არქიტექტურა; 14. გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურა; 15. XIX საუკუნის არქიტექტურა; 16. XX საუკუნის არქიტექტურა). პუბლიკაციაში განხილულია ქართული ხუროთმოძღვრების დღემდე აქტუალური და პრობლემატური საკითხები, მრავალფეროვანი, მრავალშრიანი კულტურული და ისტორიული კონტექსტები, რაც დიდი მეცნიერის მრავალწლიანი კვლევისა და ფიქრის შედეგია. წიგნი ავტორის მიერ გამოსაცემად მომზადებული არ არის. გამომცემლები მაქსიმალურად შეეცადნენ, შეენარჩუნებინათ საუბრის ავტორისეული მანერა, რაც მკითხველის მეხსიერებაში აცოცხლებს დიმიტრი თუმანიშვილის საჯარო გამოსვლების სიღრმეს, განსაკუთრებულ მიმზიდველობასა და არტისტიზმს.

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

1) **Erasmus+ Mobility project for higher education students and staff.**

ERASMUS+ მობილობის გრანტის ფარგლებში პროექტის პირველ ეტაპზე ჩატარდა ლექციების სერია ორგანიზებული ქალაქ ლინცის კათოლიკური კერძო უნივერსიტეტისა (Katholische Privat-Universität Linz) და აპოლონ ქუთათელაძის თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში. ლექციების კითხვა ჩატარდა ZOOM-ის ფორმატში. **თემა - *Architecture and Power.Political Representations in East and West*. პროგრამით; ოქტომბერი 2021- ივნისი 2022.**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.დავით ხოშტარია - აკადემიური პერსონალი (ლექტორი);
2. მაია მანია - აკადემიური პერსონალი (ლექტორი);
3. ნინო ჭოღოშვილი - აკადემიური პერსონალი (ლექტორი).

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნინო ჭოღოშვილის ლექციათა თემა: „Modernism in Georgia (1910-1930)“ (ინგლისურ ენაზე)

პროექტი მიზნად ისახავდა თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მივლინებას ლინცის კათოლიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტში, მიმართულება ხელოვნებათმცოდნეობა. მობილობაში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის სამმა პროფესორებმა: მაია მანიამ, დავით ხოშტარიამ და ნინო ჭოღოშვილმა 2021-2022 სასწავლო წლის I სემესტრში მოამზადეს და წაიკითხეს სალექციო კურსები ლინცის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და მიიღეს მონაწილეობა სემინარებში (ინგლისურ ენაზე, ონლაინ ფორმატში).

2021-2022 სასწავლო წლის II სემესტრში მივლინებით იმყოფებოდნენ ქალაქ ლინცში, სადაც ჰქონდათ პრეზენტაციები თსსა-ს ისტორიისა და ასევე ახალი პერსპექტივების შესახებ.

ნინო ჭოღოშვილის პრეზენტაციის სათაური: „Staatliche Kusntakademie Tbilisi; Geschichte der Institution, Fachbereich Kunstgeschichte und Theorie“ (გერმანულ ენაზე); 18/05/2022, ლინცი.

2022 წლის აპრილის თვეში უმასპინძლეს ლინცის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორებს ანა მინტასა და იულია რიუდიგერს, დაეხმარენ მათ პრეზენტაციის მოწყობასა და ჩატარებაში (რომელიც გაიმართა თსსა-ს საკონფერენციო დარბაზში), ასევე სემინარის ორგანიზებაში და პროექტის მომდევნო ეტაპის კონკურსის ორგანიზებაში.

ERASMUS+ პროგრამით წაკითხული ლექციების სერიის შედეგად ქალაქ ლინცის კათოლიკურ კერძო უნივერსიტეტში (Katholische Privat-Universität Linz) გაიმართა სტუდენტებისა და პროფესორთა ერთობლივი შემაჯამებელი გამოფენა. პროექტში მონაწილე პროფესორებმა და სტუდენტებმა სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებიდან კონკრეტულ თემებზე წარმოადგინეს თავიანთი მოხსენებები პოსტერ-პრეზენტაციების სახით. გამოფენა შედგა ლინცის უნივერსიტეტის დარბაზში. https://art.edu.ge/acgeo/index.php?newsid=1113

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) სტანდარტული

კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით;

გვერდების რაოდენობა

1. მაია ციციშვილი, ნინო ჭოღოშვილი; ქართული მოდერნიზმის ისტორიიდან (1910-1930); ნაწილი I; ჟურნალი (დიგიტალური) ჩემი სამყარო, N34; თბილისი, 2022; Rondeli Foundation; ISSN 1987-7587; 8 გვერდი; https://gfsis.org.ge/files/my-world/34/georgian_modernism.pdf;

2. მაია ციციშვილი, ნინო ჭოღოშვილი; ქართული მოდერნიზმის ისტორიიდან (1910-1930); ნაწილი II; ჟურნალი (დიგიტალური) ჩემი სამყარო, N35; თბილისი, 2022; Rondeli Foundation; ISSN 1987-7587; 6 გვერდი;

https://gfsis.org.ge/files/my-world/35/maia_cicishvili_nino_chogoshvili.pdf

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ორივე სტატია ეძღვნება ქართული მოდერნიზმის ისტორიას. რადგანაც ეს კვლევა ხორციელდებოდა მრავალი წლის განმავლობაში მაია ციციშვილთან ერთად (2004 წლიდან მოყოლებული ვიმუშავეთ არაერთ სამეცნიერო პროექტზე, გამოფენასა თუ პუბლიკაციაზე), ამიტომაც ის დასახელებულია თანაავტორად. სტატიებში განხილულია ქართული მოდერნიზმის განვითარების საკითხები, XX საუკუნის პირველ მესამედში ქუთაისისა და თბილისის მხატვრული ცხოვრება, თბილისში ავანგარდული სცენის ჩამოყალიბება, აქ მომუშავე უცხოელ ხელოვანთა როლი თბილისურ ავანგარდში, ასევე, ცალკეული მხატვრების შემოქმედება ევროპულ ავანგარდულ მიმდინარეობებთან მიმართებით.

გიორგი პაპაშვილი

მეცნიერ თანამშრომელი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **XVIII-XIX საუკუნეების ბაგრატიონთა პორტრეტები - ატრიბუცია და დათარიღება.**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **გიორგი პაპაშვილი** - მკვლევარი

გარდამავალი კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ვაგრძელებ მუშაობას წლიური (სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული) თემის ფარგლებში შედარებით მასალად ვიყენებ დასავლეთ ევროპულ, ბალკანეთისა და ნაწილობრივ ისლამურ ნიმუშებს, რომელიც საერთო ეპოქალურ ნიშნებს

ამჟღავნებს საკვლევ პორტრეტებთან. ზოგადად, ქართული საერო ხელოვნების ეს საწყისი ეტაპი ყველაზე გამოუკვლეველია და ამდენად რთულია ქრონოლოგიური, საავტორო თუ სტილური ინდენტიფიცირება, რის საშუალებასაც მხოლოდ შედარებითი მეთოდი იძლევა. ხელოვნების ისტორიის ცენტრალურ ინსტიტუტში, (მიუნხენი) დაგეგმილი გამოცემა *Head and Body - Evidence of Power in the Ruler Portrait Between the 14th and 18th Centuries* („თავი და ტანი - ძალაუფლების ნიშნები მმართველის პორტრეტში XIV-XVIII საუკუნეებში“), რომელიც კვლევის პირველი ეტაპის შედეგებს მოიცავს, ჯერაც შეფერხებულია. ახალი გეგმის მიხედვით, ის გამოქვეყნდება სათაურით *Political Iconography of the Portraits of Erekle II.* ამასთან, ხელოვნების მუზეუმის ფონდების ხელმიუწვდომლობა, დაბალი რეზოლუციის ციფრული ასლების პირობებში, ართულებს მუშაობას, რადგან სამეფო ინსიგნიებისა თუ სამკაულის შემთხვევაში, ორიგინალებზე მუშაობა და მაღალი ხარისხის რეპროდუქციებია საჭირო. ამდენად, აუცილებელია კვლევის გაგრძელება შემდეგი, 2023 წლის მანძილზე.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.2. დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში“** - ხელოვნების ისტორია, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება; HE-18-339 26/07/18; 2018-2022;

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე - პროექტის ხელმძღვანელი; გიორგი პაპაშვილი - კოორდინატორი, მკვლევარი; მანონ ლილუაშვილი - მკვლევარი; ნოდარ არონიშიძე - მკვლევარი; სამსონ ლეჟავა - რედაქტორი; ელდარ ნადირაძე - კონსულტანტი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

იხ. ე. კვაჭატაძეს ანგარიში

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

1) პროექტის დასახელება, დამფინანსებელი ორგანიზაცია /სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა, თარიღები

1. **კავკასიის რეპრეზენტაცია ამერიკულ მსოფლიო გამოფენებზე,** სმითსონის ინსტიტუტი - ბერდის საზოგადოების მიწვეული მკვლევრის პროგრამა, ვაშინგტონი, აშშ,

27 ივნისი-26 აგვისტო

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **გიორგი პაპაშვილი** - მიწვეული მკვლევარი

პროექტის ანოტაცია:

პროექტი ითვალისწინებდა სმითსონის ინსტიტუტში (The Smithsonian Institution) "Centennial" - ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარააციის 100 წლისადმი მიძღვნილი (ფილადელფია, 1876 წ.), "Columbian" - კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის 400 წლისადმი მიძღვნილი (ჩიკაგო, 1893 წ.) და XIX საუკუნის მიწურულის სხვა მსოფლიო გამოფენებზე კავკასიის ამსახველი გამოფენების კვლევას. მიზნობრივი სპეციალური კოლექცია ვაშინგტონის ამერიკის ისტორიის ეროვნულ მუზეუმში (National Museum of American History) მოიცავს მასალებს 1851 (ლონდონის პირველი გამოფენიდან) წლიდან 1916 წლამდე, რაც ფაქტობრივად თანხვდება კავკასიის ისტორიულ რეალიებს ბატონყმობის გადავარდნიდან და წარმოების ახალი, ევროპული წესის განვითარებიდან რუსეთის ოქტომბრის რევოლუციამდე. ამგვარად, კავკასიის ისტორიისათვის, რომელიც მეტწილად ტფილისის გუბერნიით იყო წარმოდგენილი, მეტად მნიშვნელოვანი მასალების მოძიება გახდა შესაძლებელი გამოფენების ოფიციალურ კატალოგებში, ალბომებში, ანგარიშებსა და სხვა ოფიციალურ გამოცემებში. აღსანიშნავია, რომ ეს მასალები, რომლებიც თავიანთი მიზნობრიობით მრეწველობისა და ეკონომიკის სფეროს განეკუთვნება, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების შესახებ, ოქროს საწმისის მითოლოგიიდან მოკიდებული თანამედროვე თვით ცალკეული ტფილისელი ოქრომჭედლების თუ სხვა ოსტატების საქმიანობის ჩათვლით. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიზუალური მასალები, როგორებიცაა სარაჯიშვილის კონიაკის, ლაღიძის ლიმონათის და მსგავსი რეკლამები - გაფორმებული ქართული და ზოგადკავკასიური თემატიკა - ეთნოგრაფიული ტიპებით, ტრადიციული კოსტიუმით, ცხოველებით, ბუნების ხედებით და სხვა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე როინაშვილისა და ერმაკოვის ფოტოგრაფიისა და მათი წრის ოსტატების სერიული ანაბეჭდებისა და ღია ბარათების მიმოქცევის ფაქტორი. დასასრულ, მსოფლიო გამოფენებს განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რაც ერთის მხრივ კავკასიის, როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის „ეგზოტიკური მხარის“ წარმოჩინებაში გამოიხატებოდა, მეორეს მხრივ კი კავკასიის ერების იდენტობის თვითრეპრეზენტაციაში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გვერდების რაოდენობა

1. **ე. კვაჭატაძე, ს. ლეჟავა, მ. ლილუაშვილი. გ. პაპაშვილი, ნ. არონიშიძე, „საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში“;** ISBN 978-9941-8-3727-2; თბილისი, 2022, (372 გვერდი)
2. **E. Kvachatadze, S. Lejava, M. Liluashvili, G.Papashvili, N.Aronishidze,** ***The Funerary Monuments of Georgia From the Seventeenth to the Nineteenth Centuries***, Tbilisi, 2022 (332 pages). ISBN 978-9941-8-3785-2

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს მემორიალური ძეგლები ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელია ქართული კულტურის ისტორიისა, რომელიც აერთიანებს ქართული სახვითი ხელოვნებისა და

არქიტექტურის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ეპიგრაფიკისა და სულიერი და მატერიალური ღირებულების შემქმნელი სხვა დარგების მრავალსაუკუნოვან შემოქმედებას.

ჩვენი სახელოვნებათმცოდნეო კვლევის საგანი დროითად მოსაზღვრული ეპოქის: გვიანი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ფიგურული რელიეფებით შემკული საფლავის ქვები და არქიტექტურულად გადაწყვეტილი საფლავის მონუმენტებია. ნაშრომი საფლავის ძეგლთა სახელოვნებათმცოდნეო თვალსაზრისით განვრცობილი სამეცნიერო კვლევის პირველი მცდელობაა.

საყურადღებოა, რომ გვიან შუა საუკუნეებში ჩნდება, ამჟამად ცნობილი, საფლავის ქვებზე სრული ტანით გამოსახულ გარდაცვლილთა ქვაზე კვეთილი პირველი ნიმუშები. ბევრად განსხვავებულია მოკრძალებულად, სადად, ხანაც ძალზე ლაკონიურად შემკული, ადრეული ხანის, ნაკლებად შემორჩენილი საფლავის ძეგლები (V-XV საუკუნეები), რომლებიც თანდათან ნადგურდება და უკვალოდ იკარგება. მათზე, უმეტესად, მხოლოდ ჯვრები და ეპიტაფიებია ამოკვეთილი ანდა მეომრის მკლავი მშვილდ-ისრითა და ხმლით, ხანაც - გუთანი. გვხვდება აგრეთვე ცხვრისა და ცხენის მრგვალი ქანდაკებებიც, რომელთა ზედაპირები სხვადასხვა მსუბუქი სახოვანი და ფიგურული კვეთილობებით არის ხოლმე დამშვენებული; მემორიალურ ძეგლებს უნდა წარმოადგენდეს ბოლნური ჯვრებით შემკული ადრეული სტელების (V-VII საუკუნეები) გარკვეული ნაწილიც, ასევე იოანე ზედაზნელის კანკელის რელიეფი (VII საუკუნე).

შუა საუკუნეების ქანდაკების ტრადიციის შენარჩუნების მცდელობას, თუ ზოგჯერ, ინერციას ვხედავთ ახალ დროშიც – XIX საუკუნეში, რაც სახვითი, იკონოგრაფიული სქემებისა თუ თემატური რეპერტუარის თავისებურ რემინისცენციებშიც გამოვლინდა. ამ მხრივ ორი ძირითადი მიმართულება გამოიყოფა: შუა საუკუნეების მქანდაკებლობის ტრადიციის გამგრძელებელი და, ამავდროულად თავისებური სიახლეების შემომტანი საფლავის ქვათა რელიეფები (ხალხური ნაკადი) და დასავლეთევროპული და ბერძნული ნიმუშების გავლენით შექმნილი საეკლესიო ხუროთმოძღვრული ქანდაკება, რომელიც ამ დროისათვის უკვე სპორადულად გვხვდება.

გამოსახულებებით უფრო მდიდარია საფლავის ქვების გვიანდელი ნიმუშები, რომელთა მხატვრულ გაფორმებაში შუა საუკუნეების რელიეფური ქანდაკების სახვითი აზროვნება თავისებურ, სახეცვალებად განვითარებას განაგრძობს. ამ ხანის საფლავის ძეგლები შუა საუკუნეების მონუმენტური სკულპტურის რამდენადმე შეწყვეტილი ტრადიციის „თავშესაფარი“ და, ამავდროულად, ხალხური შემოქმედების თავისუფალი „ასპარეზი“ ხდება. მათზე გამოკვეთილი რელიეფიანი გამოსახულებები უმეტესად ხალხური, ხელოსნური ხასიათისაა, თუმცა გვხვდება, საკმაო ოსტატობითა და დახელოვნებით შესრულებული ნიმუშებიც.

შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების სახვითი ტრადიცია, ფორმათმეტყველებითი ენა უმეტესად დაბალი რელიეფის სახით ჩამოყალიბდა, თუმცა გვაქვს გამორჩეული ფასეულობის ჰორელიეფური ნიმუშებიც (ოშკი, ხახული და სხვა). ამდენად, XIX საუკუნის შუა ხანებამდე მრგვალი ქანდაკება არც მემორიალურ ძეგლებს შორის გვხვდება.

თავმოყრილი მასალის საფუძველზე განისაზღვრა საქართველოში საუკუნეების მანძილზე გავრცელებული მემორიალური ძეგლების ერთგვარი ტიპოლოგია: საფლავის ლოდები; ჯვრის, აკვნის, სკივრისა (ტაგრუცი) და კუბოს ფორმის ქვები; აგრეთვე ცხვრისა და ცხენის მრგვალი ქანდაკებები; ობელისკები, სტელები, მატურები; არქიტექტურულად

გადაწყვეტილი საფლავის ძეგლები: ეკლესიის მოდელები, ბალდაქინები, აკლდამები. XIX საუკუნის ბოლოდან ანგელოზთა და მგლოვიარე ქალთა ქანდაკებები, ბიუსტები და სხვა.

დღეისათვის დაბეჯითებით ძნელი სათქმელია თუ როდის იღებს დასაბამს შუა საუკუნეების საქართველოში საფლავის ქვაზე გარდაცვლილის სრულად გამოსახვის ტრადიცია, თუმცა, ცნობილია რამდენიმე ფერწერული მაგალითი: წმინდანთა გამოსახულებით მოხატული უნდა ყოფილიყო დავით გარეჯელის, დოდო გარეჯელისა და წმ. ნინოს საფლავის ქვები.

საქართველოში საფლავის ძეგლთაგან უპირატესად გავრცელებული ტიპი ქვის ლოდია, რომლის შემკულობაშიც განსაკუთრებით ნათლად აისახა სხვადასხვა ეპოქის მხატვრული ესთეტიკა და სახვითი ტენდენციები. თუმცა სხვა ტიპის ფიგურულრელიეფიან მემორიალურ ძეგლებზეც ასევე ცხადადაა გამოხატული ეპოქის მსოფლმხედველობა, ეკონომიკურ-სოციალური ფონი, გარდაცვლილის პროფესიული საქმიანობა თუ სოციალური კუთვნილება, ყოფის ელემენტები.

საქართველოში XVII საუკუნიდან 1930-იან წლებამდე პერიოდის ფიგურულგამოსახულებიანი საფლავის ძეგლთა განხილვამ ცხადყო საფლავის დეკორის რეგიონული თავისებურებანი და მრავალფეროვნება, გამოსახულებათა რეპერტუარისა და იკონოგრაფიის „მემკვიდრეობითი“ კავშირი შუა საუკუნეების რელიეფური ქანდაკების ტრადიციებთან; ამავდროულად, ეპოქის საერთო სულისკვეთება, მსოფლმხედველობითი ცვლილებები, იკონოლოგიური, სტილური, შინაარსობრივი, ესთეტიკური სიახლეები და ტენდენციები საფლავის რელიეფურ დეკორში გარკვეული სიმპტომატური, სტილური ნიშნებითაც იხილება. აქ თანაარსებობს ინტენსიური ხალხური შემოქმედება, სადაც აშკარაა სეკულარიზაციის, გარკვეული რეალიზმის ტენდენციები, რომელიც შუა საუკუნეების ე. წ. პროფესიულ ნაკადს შორდება და, ამავდროულად, ერთგვარი ევროპეიზაციის: ნეოკლასიცისტურ, ნეობაროკულ და მოდერნის სტილთა, ზოგჯერ თავისებური ეკლექტიზმის სახით შემოდინება თვალსაჩინოვდება.

საფლავის ფიგურულმა დეკორმა ასახა ხალხური მქანდაკებლობის ხასიათი: დროისა და სივრცის გადმოცემის პირობითობა, ხანდახან მიამიტური, გულუბრყვილო პირდაპირობა, ზოგჯერ გაუწაფავი ოსტატობა, ფორმის, სამეტყველო ენისა თუ სახვითი ხერხების გამარტივება. საკუთარი ხატოვანი ხალხური შემოქმედებისთვის ნიშანდობლივი სახეთა „კრებითი“ ტიპიზაციის მიუხედავად, საფლავის ძეგლები ცოცხლად გვიამბობენ თანადროული ეპოქის სოციალური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ, სიკვდილსა და სიცოცხლეზე, ეპოქის მსოფლმხედველობრივ სივრცეზე, სამზეოსა და საიქიოს ცხოვრებაზე, რწმენაზე, სიყვარულზე, სინანულზე, წუთისოფლის სიმუხთლესა და ხანმოკლეობაზე და მარადიულობაზე, რაც მრავალრიცხოვან ეპიტაფიებში განსაკუთრებით მძლავრად ამოიფრქვა.

საგულისხმოა, რომ საფლავის ქვის იკონოგრაფია და მხატვრული ხედვა XIX-XX საუკუნეების მხატვრობაში, ჭედურ ხელოვნებასა და ფოტოგრაფიაში თავისებურად აისახა და შემოქმედებითი ძიებისა თუ მხატვრული რეპლიკების ნიმუშები შემოგვთავაზა.

ძალზე ყურადსაღებია ისიც, რომ ძველი საფლავის ძეგლთა კვლევა და დაცვა მატერიალური კულტურის შენარჩუნების გარდა, ისტორიული მეხსიერებისა და მემკვიდრეობის შენახვის უპირობო მოვალეობაა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჯერ კიდევ შემორჩენილი საფლავის ქვათა ეპიტაფიები და ფიგურული გამოსახულებანი ქართული კულტურის ბევრ

საგულისხმო ფაქტს, ადგილობრივი მოსახლეობის მკვიდრობის ისტორიასა და ტრადიციის უწყვეტობას გვამცნობს და, ამდენად, ქვაში გამოკვეთილი, ფასდაუდებელი ისტორიული ღირებულების დოკუმენტებს წარმოადგენს.

8. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

8.2. უცხოეთში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური, ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. გიორგი პაპაშვილი, Photography and the Twofold Origins of Modern Georgian Painting (ფოტოგრაფია და ახალი ქართული მხატვრობის ორგვარი საწყისი), აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ხელოვნების ისტორიის პერიოდიზაციის III სემინარი, New Europe College-Institute for Advanced Study, ბუქარესტი, 16-23 ივნისი

სოფიო ჩიტორელიძე

მეცნიერ-თანამშრომელი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. **თანამედროვე ქართული კერამიკა**

ხელოვნების ისტორია, თანამედროვე ხელოვნება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება

2. **ჩუბინაშვილი ცენტრში დაცული მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება**

ხელოვნების ისტორია თანამედროვე ხელოვნება საფონდო-საარქივო მიმართულება

3. **ჩუბინაშვილი ცენტრში დაცული მხატვარ ჯემალ ლოლუას არქივის დამუშავება**

ხელოვნების ისტორია თანამედროვე ხელოვნება საფონდო-საარქივო მიმართულება

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2015-2023

2. 2016-2022 (პროექტი საჭიროებს გაგრძელებას, მასალის სიუხვისა და სირთულის გამო).

3. 2017-2022(პროექტი საჭიროებს გაგრძელებას, მასალის სიუხვისა და სირთულის გამო).

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **სოფიო ჩიტორელიძე**

(საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კერძო საკუთრებებში დაცული კერამიკული ნიმუშების შესწავლა, ფოტოფიქსაცია, ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტაციის გაცნობა)

2. **სოფიო ჩიტორელიძე** (პროექტის წევრი)

(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება)

მარიამ გაჩეჩილაძე
(პროექტის ხელმძღვანელი)
(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია)
მარინა მეძმარიაშვილი (პროექტის წევრი)
(ხელნაწერი ტექსტის გაშიფვრა-გაანალიზება, თარგმნა (რუსულიდან-ქართულად)
დალი ლებანიძე (პროექტის წევრი)
(ხელნაწერი ტექსტის გაშიფვრა-გაანალიზება, თარგმნა (რუსულიდან-ქართულად).

3. **სოფიო ჩიტორელიძე**
(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება) (პროექტის წევრი)
მარიამ გაჩეჩილაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მრავალწლიანი კვლევითი პროექტი **„თანამედროვე ქართული კერამიკა“** გულისხმობს პროფესიული კერამიკის ისტორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპების შესწავლას და სათანადო კვლევას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებია: ა)სამუზეუმო და კერძო კოლექციებში დაცული მე-20 საუკუნის კერამიკული ნიმუშების გამოვლენა, აღწერა და დაფიქსირება; ბ)მხატვარ-კერამიკოსთა შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტაციის მოძიება-დამუშავება; გ) ინტერვიუები მხატვრებთან; დ) შეგროვებული მასალის სამეცნიერო კვლევა.
2022 წლის განმავლობაში მოხდა: 1. ინტერვიუ მხატვარ-კერამიკოს ალექსანდრე კაკაბაძესთან (განხორციელდა მასალის ტრანსკრიპტი). 2. მხატვარ ალექსანდრე კაკაბაძის კერამიკული და მინის მასალაში შესრულებული ნამუშევრების ფოტოფიქსაცია 3. მხატვარ ალექსანდრე კაკაბაძის პირადი საარქივო მასალის დამუშავება. 4. ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტების მოძიება.

2-3. ჩუბინაშვილის ცენტრს გადმოეცა წამყვანი მხატვარ-გრაფიკოსების **სერგო ქობულაძისა** და **ჯემალ ლოლუას** არქივები, რომლებიც მოიცავენ დასახელებული მხატვრების ორიგინალებსა და მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანეს წერილობით დოკუმენტებს. მათი გაცნობა და შესწავლა აუცილებელია, რათა გამოვლინდეს ახალი მასალები, რომელზე დაყრდნობითაც ნათელი გახდება: მხატვართა შემოქმედების დღემდე უცნობი დეტალები. არქივებში დაცული მრავალრიცხოვანი მასალა მოითხოვს დიდ დროსა და რამდენიმე მეცნიერის ერთობლივ მუშაობას. 2022 წლის მანძილზე მოხდა მხატვარ **ჯემალ ლოლუას** არქივის შესწავლა-დამუშავება, რაც გულისხმობს მასალის დასკანერებას, კლასიფიკაციას. დამუშავებული მასალის საფუძველზე მომზადდა საიუბილეო გამოცემა წიგნი-ალბომი მამია (ჯემალ) ლოლუა - 90.

2.2. **არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები**

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. **მიხეილ ცალქალამანიძე -90**

ხელოვნების ისტორია, თანამედროვე ხელოვნება, დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნება. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (ხელშეკრულება № 00016965 10/05/2022)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1. 2022-2022 წ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **სოფიო ჩიტორელიძე** (პროექტის ხელმძღვანელი, ავტორი)
2. მარიამ გაჩეჩილაძე (რედაქტორი)

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი **მიხეილ ცალქალამანიძე-90** შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- განხორციელდა მიხეილ ცალქალამანიძის შემოქმედების შესახებ არსებული სხვადასხვა ტიპის ინფორმაციების მოძიება (ბიოგრაფიული მონაცემები, პუბლიკაციები, ინტერვიუები და ა.შ.) მასალის გაცნობა გაანალიზება, ბიბლიოგრაფიის შედგენა და ა.შ.)
- მოხდა მხატვრის ნამუშევრების მოძიება, გადარჩევა, კატალოგიზაცია.
- განხორციელდა გადარჩეული ნამუშევრების ფოტოფიქსირება; მხატვრის პირად არქივში არსებული ნეგატივების დასკანერება;
- მომზადდა წიგნი-ალბომის ტექსტი და სამეცნიერო აპარატი;
- წიგნისთვის მომზადებული ყველა ტექსტუალური მასალა (ძირითადი ტექსტი, ავტობიოგრაფიული მონაცემები, ილუსტრაციების მინაწერები) ითარგმნა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე;
- მოხდა ქართული ტექსტების რედაქტირება.
- განხორციელდა წიგნის დიზაინ-დაკაბადონება და ბეჭდვა.

პროექტის შედეგი

დაიბეჭდა საიუბილეო წიგნი-ალბომი - მიხეილ ცალქალამანიძე - 90
რომელიც წარმოადგენს:

- 176 გვერდიანი სამენოვანი (ქართულ-ინგლისური-ფრანგული) გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილია სამეცნიერო-სახელოვნებათმცოდნეო ხასიათის ტექსტი;
- წიგნი ინფორმაციულად არის სრულყოფილი: დართული აქვს მხატვრის ბიოგრაფიული მონაცემები, გამოფენებში მონაწილეობის ნუსხა, ბიბლიოგრაფია;
- წარმოდგენილია უხვი საილუსტრაციო და ფოტო მასალა, რომელსაც თანდართული აქვს გამართული სამუშაო აპარატით (მასალა, ზომები, შესრულების თარიღი).

2. მამია (ჯემალ) ლოლუა-90

ხელოვნების ისტორია, თანამედროვე ხელოვნება, სახვითი ხელოვნება. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ხელშეკრულება № 00017892 (17/05/2022).

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. 2022-2022 წ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **მარიამ გაჩეჩილაძე** (პროექტის ხელმძღვანელი, ავტორი)
2. **სოფიო ჩიტორელიძე** (პროექტის მონაწილე, მკვლევარი)

პროექტის „**მამია (ჯემალ) ლოლუა-90“** მიმდინარეობის პერიოდში შესრულდა შემდეგი სახის სამუშაო: იხ. მარიამ გაჩეჩილაძის ანგარიში.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

3.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422; 2022—2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
იხ. თამარ ბელაშვილის ანგარიში
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
იხ. თამარ ბელაშვილის ანგარიში

6.5. **სტატიები ISSN-ის მითითებით**

1)ავტორი/ავტორები
1. **სოფიო ჩიტორელიძე**
2.

2) სტატიის სათაური, ISSN
1. **მხატვარი მიხეილ ცალქალამანიძე (ჭედურობა, მინანქარი, ოქრომჭედლობა) ISSN 1512 4088**.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Ars Georgica, სერია B, 2022 წელი (II ნაწილი) http://georgianart.ge/

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი (ელექტრონული ჟურნალი).

5) გვერდების რაოდენობა
1. 7 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მხატვარ მიხეილ ცალქალამანიძის შემოქმედებითი მოღვაწეობა სათავეს 1950-იანი წლების ბოლოდან იღებს და დღემდე აქტიურად გრძელდება. მის შემოქმედებას დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ისტორიაში წამყვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული და თანამედროვე ქართული მინანქრის ისტორიის ფუძემდებელთა შორის მოიაზრება.

მხატვრის ხელოვნებას განვითარების დიდი დიაპაზონი გამოარჩევს და მასში მკვეთრად გამოვლენილი რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა: ჭედურობა, ოქრომჭედლობა, მინანქარი, ძვლისა და ქვის მხატვრული დამუშავება (კამია, ინტალიო). თუმცა, მისი შემოქმედების მთავარ სფეროს მინანქარი წარმოადგენს. ოსტატი სრულყოფილად ფლობს მასალის დამზადების, როგორც ტიხრულ, ისე ტვიფრულ, ფერწერულ, გრავირებულ და შერეულ ტექნიკებს, რომლის აღდგენა-განვითარებისთვის მან ბევრი იღვაწა.

მიხეილ ცალქალამანიძის ნამუშევრების ჩამონათვალი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. მოიცავს როგორც დეკორატიულ, ისე ფუნქციურ ნივთს. შექმნილი აქვს არაერთი მცირე და საშუალო ზომის პანო-სურათი, რელიგიური დანიშნულების ნაკეთობა და მრავალი სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა მიხეილ ცალქალამანიძის მოცულობითი-პლასტიკური ნიმუშები, რომლებიც ქართული მინანქრის პირველ სკულპტურულ ფორმებად გვევლინებიან. მინანქრის ტექნიკისადმი განსხვავებულ მიდგომასთან ერთად, მის ნამუშევრებში შერწყმულია მხატვრული ხერხების განუწყვეტელი ძიება, მინანქრის - როგორც მასალის გამოყენების მრავალფეროვანი გაგება.

მიხეილ ცალქალამანიძის შემოქმედების კიდევ ერთი მხარე - საიუველირო ხელოვნებაა, რომელმაც მხატვრის პირველივე ნამუშევრებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა, დღემდე უწყვეტად ვითარდება და დანარჩენ მიმართულებებთან ერთად მუდმივად თანაარსებობს. ფართოა მისი სამკაულების ასორტიმენტი (გულსაბნევები, კულონები, ყელსაბამები, სამაჯურები, ბეჭდები და სხვ.) და ისინი განსხვავებულ მასალაში (ვერცხლი, სპილენძი, მელქიორი და სხვ.), სხვადასხვა ტექნიკური ხერხებითაა შესრულებული. მათ დეკორატიულ შემკულობაში გამოყენებულია ძვირფასი, ნახევრადძვირფასი და სინთეზური ქვები, საიუველირო მინა, ძვალი და მინანქარი.

მხატვარმა ძველი ტრადიციული ტექნიკების შესწავლის საფუძველზე ახალი თვისებებით, ახალი ტექნიკური თუ მხატვრული შესაძლებლობებით გაამდიდრა ქართული საოქრომჭედლო და მინანქრული ხელოვნება. ამის საუკეთესო დასტური კი თავად ხელოვანის შემოქმედებაა.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1.საქართველოში

1)მომხსენებელი/მომხსენებლები

1. სოფიო ჩიტორელიძე

2) მოხსენების სათაური

1. მხატვარი მიხეილ ცალქალამანიძე

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2022 წლის 28-29 ნოემბერი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი. სამეცნიერო კონფერენცია: ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე.
მასალა მომზადებულია გამოსაქვეყნებლად. განთავსდება - გ.ჩუბინაშვილის.სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონულ ჟურნალში "ARS GEORGICA", ნაწილი II.

თეიმურაზ ქანთარია-ჯაბადარი

მეცნიერ-თანამშრომელი

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

3.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. XIX-XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორია; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხელოვნების ისტორია. FR-21-88422; 2022—2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
იხ. თ. გელაშვილის ანგარიში

2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. პროექტი გულისხმობს XIX/XX სს.-ის ქართული ხელოვნების (არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება) შესახებ ერთიანი, გამოცემის მომზადებას. აღნიშნული ნაშრომი, სტრუქტურის თვალსაზრისით ნარკვევების ერთობლიობას წარმოადგენს. პროექტის მონაწილე თითოეული მკვლევარი თემატიკის, ქრონოლოგიისა და პრობლემის შესაბამისად, ტექსტის კონკრეტული ნაწილის (თავი, პარაგრაფი, და ა.შ.) ავტორია. წიგნის სტრუქტურული წყობა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას მიჰყვება და ამიტომ საბოლოო ჯამში XIX/XX სს.-ის ქართული ხელოვნების ისტორიის გაბმული სურათის შექმნა ხდება შესაძლებელი.

მოხსენებები:

6.4. «ი. ნიკოლაძის „იმელის" რელიეფები»; ჩუბინაშვილის ცენტრი.

«კინოთეატრ "რუსთაველის" საფასადო ქანდაკება და ისტორიულ-კულტურული კონტექსტი». ჩუბინაშვილის ცენტრი.

8. კონფერენციებში მონაწილეობა:

სამეცნიერო კონფერენციებში: «ორნამენტი და კულტურა», «The Interaction of Objects, Images, and Bodies with Built and Natural Spaces in Medieval Georgia», «სამეცნიერო კონფერენცია ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე» - ტექნიკური უზრუნველყოფა და პიარი.

გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში:

დამატებითი ინფორმაცია

სერგო ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის საქმიანობა.

განვლილი 2022 წლის მანძილზე ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიაში კვლავაც ხორციელდებოდა სლაიდოთეკაში დაცული ფოტომასალის გეგმიური დიგიტალიზაცია და სისტემატიზირებული სახით დაარქივება.

ასევე, გრძელდებოდა დიგიტალიზირებული საარქივო მასალის ანოტაციების ერთიანი ელექტრონული ბანკის შექმნა.

წლის მანძილზე ლაბორატორიის არქივის ბაზაზე შექმნილი ფოტოშემოწირულობათა ფონდი შეივსო ახალი კოლექციებით. კერძოდ, ლაბორატორიას გადმოეცა:

1. ანისის გროგოლ განმანათლებლის ეკლესიის და ტაო-კლარჯეთის ძეგლების ამსახველი ფოტომასალა

(ჩუბინაშვილის ცენტრის ექსპედიცია – 2015 წლის მაისი)

2. მიქელე ბაჩის (პროფესორი, დოქტორი, ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია)

მიერ გადმოგზავნილი ფოტოკოლექცია, რომელიც მოიცავს 2022 წლის სექტემბერში, ჩუბინაშვილის ცენტრში ჩატარებული სემინარის ფარგლებში, სვანეთში მოწყობილი ექსპედიციის დროს გადაღებულ მასალას.

2022 წელს ლაბორატორიის თანამშრომლები ჩართულნი იყვნენ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნების ვიზუალური მასალით უზრუნველყოფის სამუშაოებში. ლაბორატორიის არქივის მასალები გამოყენებულ იქნა შემდეგ გამოცემებში:

1. მხატვრები შუა საუკუნეების საქართველოში თბ. 2022 (ელექტრონული ვერსია)
2. არქიტექტურის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2022
3. საფლავის ძეგლები XVII – XX საუკუნეების საქართველოში. თბ. 2022
4. მამია (ჯემალ) ლოლუა 90. თბ. 2022

შესრულდა ლაბორატორიის ფოტოარქივით მომსახურების, მასალის შერჩევისა და სკანირების სამუშაოები ცალკეულ პირთა და მთელი რიგი ორგანიზაციებისთვის – კერძოდ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საქართველოს საპატრიარქოს, ტელევიზია ‘‘ერთსულოვნება’’ – ს და სხვებისთვის.

ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის გამგე - მ. ფანცხავა

მატერიალური კულტურის ძეგლთა აღწერილობის განყოფილების მიერ 2022 წელს პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

მომზადდა ტექსტობრივი და სახვითი მასალა სამეცნიერო-საცნობარო, ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომიანი გამოცემის „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მეშვიდე ტომისათვის, რომელიც ეძღვნება ცხინვალის რეგიონის (ისტორიული შიდა ქართლის მთიანეთი) ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე არ არსებობს საკვლევი რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ანალოგიური გამოცემა, რომელშიც მიმოხილული იქნებოდა ქართული ხელოვნების განვითარების სხვადასხვა პერიოდთან დაკავშირებული ისტორიის, არქეოლოგიის, ხუროთმოძღვრებისა და მონუმენტური მხატვრობის მრავალი ძეგლი. ეს ძეგლები დღეს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზეა განლაგებული, მათი უმეტესი ნაწილი შეუსწავლელია და სრულიად უცნობია, როგორც სამეცნიერო, ისე ფართო საზოგადოებისათვის. ამიტომაა აუცილებელი ამ მხარის თითოეული სოფლის, დასახლების, კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა მათი ეროვნული კუთვნილების დასაბუთება და ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ ეროვნული საქმისათვის სწორედ ამ სახის გამოცემაა მოწოდებული. იგი ფასდაუდებელი ღირებულებისაა და დიდი მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან შესაძლებლობას იძლევა, მივიღოთ ამომწურავი, და რაც მთავარია, მეცნიერულად სანდო ინფორმაცია ისტორიული შიდა ქართლის ამ ნაწილის მრავალი ძეგლის შესახებ.

წიგნის მოცულობაა 30 ნაბეჭდი თაბახი (480 გვერდი). წიგნი ეძღვნება ცხინვალისა და ჯავის მუნიციპალიტეტების ისტორიისა და კულტურის ძეგლებს. წიგნს აქვს შესავალი, რომელშიც მიმოხილულია მხარის ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა. თითოეულ მუნიციპალიტეტს ექნება საცნობარო სტატია, ცალკე სტატია ექნება ქალაქებს ცხინვალსა და ჯავას და ასევე იმ სოფლების ნაწილს რომლებზედაც მოპოვებული იქნება ისტორიული ცნობები. წიგნს დაერთვება საცნობარო აპარატი საძიებლები (გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა, ძეგლთა და ქრონოლოგიური) და სახვითი მასალა (ნახაზები, ფოტოსურათები და სხვ.)

მოსამზადებელ სამუშაოებში ჩართული იყვნენ განყოფილების თანამშრომლები: **თამაზ დვალი** (განყოფილების გამგე, პროექტის ხელმძღვანელი),

ფლერ დევდარიანი (მასალის მოძიება და სტატიების დაწერა კედლის მხატვრობის ძეგლებზე.) აღწერილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის ოთხი მუნიციპალიტეტის ახალგორის, ცხინვალის, ყორნისის, ჯავის –ეკლესიებში შემონახული მონუმენტური მხატვრობის ძეგლები. ეს გულისხმობს მეტწილად უცნობი

ან ნაკლებად შესწავლილი ძეგლების მიკვლევას, ადგილზე მათ შესწავლას და მოპოვებული მასალის შემდგომ დამუშავებას: კომპოზიციათა შინაარსის და ასევე, ცალკე მოცემულ გამოსახულებათა ვინაობის განსაზღვრა, შემონახული წარწერების წაკითხვა, სახელონებათმცოდნეო ანალიზის საფუძველზე სპეციფიკური სტილისტური ნიშნების გამოვლენა, სხვადასხვა ფერწერული ფენების დადგენა, მოხატულობის დათარიღება. დასრულდა ადრეული IX და X სს. კედლის მხატვრობის ნიმუშთა – არმაზი, წირქოლი, ყანჩაეთის კაბენი – შესწავლა. აღიწერა ყანჩაეთის კაბენის ცალკეულ ნაწილებში – ტრომპებში, საკურთხეველში და სხვ. – შემონახული მხატვრობის ფრაგმენტები, და განისაზღვრა მათი შესრულების დრო. დადგინდა, რომ ისინი სხვადასხვა პერიოდს მიეკუთვნებიან (X, XI, X-XII სს.) და დროის საკმაოდ ხანგრძლივი მონაკვეთის მანძილზე არსებული შემოქმედებითი მოღვაწეობის ცალკეულ ეტაპებს წარმოგვიდგენენ. IX-X სს. ქართული მონუმენტური მხატვრობის განსხვავებულ მიმართულებებს წარმოგვიდგენენ არმაზის და წირქოლის მოხატულობები. სამივე ეკლესიის მოხატულობათა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ისინი სხვადასხვა პროფესიული დონის ოსტატთა ხელითაა შესრულებული),

ირმა მამასახლისი (მასალის მოძიება და სტატიების დაწერა კედლის მხატვრობის ძეგლებზე),

ბაადურ კუპრეიშვილი (საარქივო სამუშაოები, სახვითი მასალის მოძიება), **მზია ბაქრაძე** (ბიბლიოგრაფიის შედგენა, სტატიების დაწერა, ტექსტების რედაქტირება).

განყოფილებაში მზადდება პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი ინგლისურენოვანი დიგიტალური გზამკვლევი „ქართული არქიტექტურა“, რომლის მომზადებაში გაყოფილების ყველა თანამშრომელია ჩართული. გარდა ამისა, მუშაობა მიმდინარეობს ნახაზებისა და ფოტოსურათების სკანირებაზე, მათ დამუშავებაზე (გაწმენდა, რეტუშირება) პროგრამა „Adobe Photoshop“-ში და კომპიუტერულ ბაზაში შეტანაზე.

ბიბლიოთეკისა და არქივის მიმართულების 2022 წელს მუშაობის ანგარიში

ბიბლიოითეკის 2022 წლის მუშაობის ანგარიში

2022 წელს ცენტრის ბიბლიოთეკამ შეიძინა ახალი ელექტრონული კატალოგი Open Biblio. ელექტრონულ კატალოგებში შეტანილ იქნა რენე შმერლინგის კოლექციის 908 საბიბლიოთეკო დოკუმენტი; ინგა ლორთქიფანიძის კოლექციის 295 საბიბლიოთეკო დოკუმენტი. ეკატერინე პრივალოვას კოლექციის 311 საბიბლიოთეკო დოკუმენტი. განხორციელდა ე.წ. ქართული საცავის მოწესრიგება და ელექტრონულ კატალოგში შეტანა. შეტანილია 639 საბიბლიოთეკო დოკუმენტი.

უწყვეტად მიმდინარეობს რეინვენტარიზაციის პროცესი; უაკ-ი დოკუმნეტების თაროზე დალაგება ორივე საცავში. საჩუქრად მიღებულია 50-მდე წიგნი, ასევე შეტანილი ელექტრონულ კატალოგში.

პარალელურად უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მკითხველთა მომსახურება.

ბრიტინეთის საქველმოქმედო ფონდ FARIG-ის (Friends of Academic Researches in Georgia) დამფუძნებლის, პროფესორ ჯონ ვილკინსონის ოჯახმა 2022 წელს ჩუბინაშვილის ცენტრს

გადმოსაცა გარდაცვლილი მეცნიერის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ნაწილი და საარქივო მასალა, რომელიც საქართველოს ხელოვნებას და კულტურულ მემკვიდრეობას ეხება.

არქივის განყოფილების 2022 წლის მუშაობის ანგარიში

2022 წლის მანძილზე არქივის განყოფილებაში მიმდინარეობდა წლიური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები:

1. საარქივო დოკუმენტაციის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სისტემით აწყობა-მოწესრიგება, რაც გულისხმობს საარქივო მასალების დოკუმენტების, შემოსულობათა წიგნების, მიღება-ჩაბარების აქტებისა და სხვა დოკუმენტების მოწესრიგებას.

2. არსებული საარქივო მასალების რეინვენტარიზაცია, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა არქივში დაცული საარქივო მასალის ხელახალი დათვლა და განთავსება.

3. ბოლო წლების მანძილზე შემოსული საარქივო მასალების დამუშავება, დახარისხება და შესაბამისი წესით განთავსება, რაც გულისხმობს ი. ხუსკივაძის, ე. მგალობლიშვილის, დ. თუმანიშვილის ახლადმიღებული არქივების დალაგებას შესაბამისი წესით.

4. თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების ელექრონული საარქივო სისტემის - სააღრიცხვო ბარათისა და პასპორტის ფორმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ტიპის საარქივო სახელმძღვანელოების შეჯერებით მიღებულ იქნა ოპტიმალური, მაქსიმალურად ზუსტი და ტევადი სააღრიცხვო-საპასპორტო ბარათის ფორმა.

5. არქივში დაცული ძველი მასალების ეტაპობრივი გაციფრება პრიორიტეტების მიხედვით, რაც გულისხმობს არქივში დაცული ძველი შემოსულობების, მოცემულ შემთხვევაში თ. ვირსალაძის საარქივო მასალების, ელექტრონული ვერსიების მომზადება-დაარქივებას.

6. საარქივო მასალების დამუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ახალი ხელოვნების განყოფილების თანამშრომლები. დამუშავდა გ. ჩუბინაშვილის ცენტრისთვის გადმოცემული შემდეგი არქივები:

    6) გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული მხატვარ სერგო ქობულაძის არქივი
    7) გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული მხატვარ ჯემალ ლოლუას არქივი
    8) გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული მხატვარ ვახტანგ ჯაფარიძის არქივი

9) გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრში დაცული მხატვარ თამაზ ჯაფარიძის არქივი

საზოგადოების ინფორმირებულობა. ცენტრის ოფიციალური სოციალური პლატფორმები

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრს აქვს ოფიციალური ვებ.გვერდი (http://www.gch-centre.ge/) და ოფიციალური პროფილი არაერთ სოციალურ ქსელში:

facebook (https://www.facebook.com/ChubinashviliCentre);

youtube (https://www.youtube.com/@chubinashvilicentre)

twitter (https://twitter.com/ChubinashviliC)

სპეციფიკიდან გამომდინარე თითოეულ მათგანზე მთელი წლის მანძილზე ხორციელდება ცენტრის საქმიანობის ამსახველი სათანადო მასალის განთავსება/ატვირთვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცენტრის **youtube** არხზე ატვირთული მასალა, რადგან სწორედ აქ იტვირთება ცენტრის მიერ ჩატარებული კონფერენციების აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, საჯარო ლექციები, რომელსაც ატარებენ ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლები, ინტერვიუები ხელოვანებთან და ა.შ. 2022 წელს აღნიშნულ ციფრულ სივრცეში განთავსდა ცენტრის მიერ ორგანიზებული კონფერენციის „ორნამენტი და კულტურა“ მოხსენებები სრულად; ასევე აიტვირთა ამ წელს ჩუბინაშვილის ცენტრის, ბრნოს მასარიკის უნივერსიტეტისა და ფრიბურგის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციის ყველა მოხსენება; ასევე მნიშვნელოვანია ცენტრის მეცნიერების მოხსენებები ფლორენციის მაქს პლანკის ინსტიტუტისა და ჩუბინაშვილის ცენტრის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ საერთაშორისო პლატფორმაზე, რომელიც უკვე ორი წელია აქტიურად ხორციელდება. წლის მიწურულს ჩუბინაშვილის ცენტრში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებს მოიცავდა. ამ კონფერენციის ამსახველი მასალა ამჟამად მუშავდება და სათანადო ფორმატით უკვე 2023 წელს განთავსდება საჯარო სივრცეში.

იმის გამო, რომ facebook თავისთავად მეტადაა განკუთვნილი მიმდინარე პროცესების ასახვისკენ, ცენტრის გვერდიც მთელი წლის მანძილზე მომხდარ ყველა მნიშვნელოვან ამბავსა თუ მოვლენას, ახალი პუბლიკაციის გამოსვლას, ცენტრის გამოცემების პრეზენტაციას თუ სხვა ცალკეულ ღონისძიებას წარმოაჩენდა. რაც შეეხება twitter, ის ისედაც ძირითადად უცხოენოვანი აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი და შესაბამისად მასალაც ამ ნიშნითაა განთავსებული.

თანამედროვე სამყაროში, როდესაც ციფრულ, ვირტუალურ სივრცეს განუზომლად დიდი დატვირთვა აქვს, ვთვლით რომ მსგავსი აქტივობა ციფრულ პლატფორმებზე საკუთრივ ორგანიზაციის პოპულარიზაციის და ამასთან ზოგადად, მეცნიერების პოპულარიზაციის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია.

საზოგადოების ინფორმირების მიმართულებას წარმართავენ ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი **თამარ ბელაშვილი** (ცენტრის დირექტორი 2018-2022 წწ.) და მეცნიერ-თანამშრომლები **გიორგი პაპაშვილი და თეიმურაზ ქანთარია-ჯაბადარი**.

ცენტრი ამზადებს და გამოსცემს 2 პერიოდულ ჟურნალს: **„საქართველოს სიძველენი“** და **Ars Georgica** სერია **B** (georgianart.ge ელექტრონული გამოცემა).

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია, რესტავრაცია, კონსერვაცია

დავით ხოშტარია

პროექტის დასახელება:
მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის კონსერვაცია. მეორე ეტაპი: ფიზიკური სამუშაოები
1. დონორი ორგანიზაცია:
ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი

2. მონაწილეები:
დავით ხოშტარია (ხელმძღვანელი), მარიამ დიდებულიძე, ნათია ნაცვლიშვილი, ლევან ზედგინიძე, იზა ბუკია, საერთაშორისო კონსულტანტი: მერი ქეი ჯუდი (აშშ)

3. შესრულების დაგეგმილი დრო:
1 ოქტომბერი 2020 – 31 მარტი, 2023

4. პროექტის ანოტაცია:

პროექტი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, მსხვილი გრანტის ფარგლებში. მისი მიზანია მცხეთის ჯვრის ტაძრის დაზიანებული საფასადო წყობის ფიზიკური სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება. სამუშაოებს საფუძვლად უდევს საკონსერვაციო პროექტი, რომელიც მომზადდა პირველ ეტაპზე, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მართვას ახორციელებს გ. ჩუბინაშვილის ეროვნული ცენტრი.

2021 წლის ბოლოდან პროექტის განხორციელება შეჩერებულია სამუშაო ნებართვის არარსებობის გამო. 2022 წელს საპროექტო სამუშაოები არ ჩატარებულა.

ირინე ელიზბარაშვილი

1. *სახელოვნებათმცოდნეო კვლევა ოძრხეს (თამარის) ციხის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტისთვის (2022 წ.)*

2. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა ტაბაწყურის ეკლესიის რესტავრაციის პროექტისთვის (2022 წ.)

2.1 2021 წელს ოძრხის (თამარის) ციხეზე დაიწყო არქეოლოგიური გაწმენდითი სამუშაოები, რის შედეგადაც გამოვლინდა ციხის გეგმის კომპოზიცია და ცალკეული დეტალები. შემდგომ, 2022 წელს ძეგლზე ჩატარებული სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა ციხე-სიმაგრის დათარიღება, მისი ისტორიულ-მხატვრული ღირებულების შეფასება და არქიტექტორ-რესტავრატორისთვის ძეგლის რეაბილიტაციისთვის მორგებული მეთოდის შემუშავებაში რეკომენდაციების შემოთავაზება. შესრულებული კვლევა საფუძვლად დაედო ძეგლის აღდგენა-გამაგრების პროექტს (არქიტექტორ-რესტავრატორი ნანა ინწკირველი).

ამ სტრატეგიულად გამორჩეული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრის, „თავადი ციხის“ ღირებულება - მრავალწახნაგოვანია. დიდია მისი როგორც ისტორიული და ფუნქციური, ასევე სივრცით-კომპოზიციური და მხატვრულ-სტილისტური მნიშვნელობა.

2.2. ტაბაწყურის ეკლესია

2022 წელს, არქიტექტორ-რესტავრატორებმა - თამარ ნემსაძემ და რუსუდან გურამიშვილმა დაიწყეს მუშაობა სოფელ ტაბაწყურის წითელი საყდრის რესტავრაციის პროექტზე. ამასთან დაკავშირებით, ჩემს მიერ შესრულებული იყო სახელოვნებათმცოდნეო კვლევა - ძეგლის დათარიღება, მხატვრულ სტილისტური ანალიზი და შემუშავდა ეკლესიის რესტავრაციის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

ტაბაწყურის ტაძრის მძიმე ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, ადგილზე შემორჩენილია ყველა ძირითადი არქიტექტურული დეტალი, რაც ძეგლის სრულად აღდგენის საშუალებას იძლევა.

ამგვარად, ტაბაწყურის „წითელი საყდრის“ სახით, X საუკუნის ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების უშველებელ ნუსხას კიდევ ერთი სახასიათო, ინდივიდუალური ნიშნებით უხვად შემკული, განუმეორებელი, თავისებური ხიბლის მატარებელი ეკლესია შეემატება.

მანანა სურამელაშვილი

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დამცავი ზონებისა და ურბანული მემკვიდრეობის სექციის მუშაობაში მონაწილეობა საბჭოს წევრის სტატუსით.

მაია მანია

UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის 2003 წელს დაფუძნებული ინიციატივაში **თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ყოფილი შენობის წარდგენა.**

UNESCO -ს მსოფლიო მემკვიდრეობის თემატური პროგრამის - ასტრონომია და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა ნუსხაში თბილისის ობსერვატორიის მთავარი

შენობის წარსადგენი სამუშაოები დასრულებულია. მიმდინარეობს ტექსტის რედაქტირება.

წარმდგენელი: **მაია მანია;**

წარდგენილი ობიექტი: **თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის მთავარი შენობა.**

წარდგენის დრო: **2019.**

სამუშაოს ჩატარების ადგილი: **ICOMOS საქართველო, თბილისი..**

ანოტაცია:

თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის მთავარი შენობა (აღმაშენებლის პროსპექტი 150 გ) XIX საუკუნის შუა ხანების თბილისის გამორჩეული ნაგებობაა. კლასიცისტური სტილის შენობა, რომელიც სტილისტურად მისდევს სხვა ევროპული ობსერვატორიების არქიტექტურას, გამორჩეულია ტიპოლოგიური თვალსაზრისით და უნიკალურია კავკასიის მასშტაბით. კავკასიის ამ უადრესი სამეცნიერო ცენტრის კომპლექსისაგან გადარჩენილ მთავარ შენობას მინიჭებული აქვს საქართველოს უძრავი ძეგლის სტატუსი.

ანოტაცია:

მიზანს წარმოადგენს თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის გეოდეზიურ კვლევებთან დაკავშირებული შენობისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭება.

ყოფილი გეოფიზიკური ობსერვატორიის გეოდეზიური დაკვირვებებისა და გეოდეზიური ინსტრუმენტების შესანახი შენობა ყოფილი თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის (თავდაპირველად მაგნიტურ -მეტეოროლოგიური, 1859-1862 წწ., 1879 წლიდან ფიზიკური) მთავარი შენობის უშუალო სიახლოვეს, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს (დავით აღმაშენებლის პროსპექტი 150გ). ნაგებობა, ისევე როგორც ობსერვატორიის მთავარი შენობა ობსერვატორიის ბაღის ტერიტორიაზე დგას და თბილისის ობსერვატორიის კომპლექსისაგან გადარჩენილი ერთ-ერთი ნაგებობაა.

წრიული გეგმის მქონე, ძველი, კვადრატული აგურით ნაშენი მინიატიურული ნაგებობა ღერძის ირგვლივ მბრუნავი ხის მცირე კოშკით (*Kleiner Drehthurm)* იყო აღჭურვილი. ნაგებობა ინჟინერ ფერდინანდ ლემკულის მიერ არის აშენებული 1860-იანი წწ. დასაწყისში.

ობსერვატორიის არსებობის დასაწყის ეტაპზე ობსერვატორიის დიდი და მცირე კოშკების მექანიზმის კონტროლსა და შეკეთებას პირადი საპატიო მოქალაქე, ზუსტ ხელსაწყოთა მექანიკოსი ბრეეკსი ახორციელებდა.

ოდესღაც გეოდეზიური დაკვირვებებისთვის განკუთვნილმა შენობამ სავარაუდოდ XX საუკუნის შუა ხანებში დაკარგა თავდაპირველი ფუნქცია და შემდგომ იგი სხვა გეოფიზიკური ინსტრუმენტების შენახვას ემსახურებოდა.

გიორგი ჭანიშვილი

პროექტის დასახელება, დამკვეთი/დონორი ორგანიზაცია, პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები, პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

თბილისი: თბილისის მუზეუმის (ქარვასლა), თბილისის ურბანული განვითარების გამოფენის რეორგანიზაცია. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. დამკვეთი - საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2022-2023წწ. არქეოლოგები: მ. ძნელაძე, მ. აბრამიშვილი;

ქუთაისი: ბაგრატის ტაძრის კოშკის ინტერიერის რეაბილიტაცია. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. დამკვეთი - ქუთაის-გაენათის ეპარქია. 2022წ. არქიტექტორ-რესტავრატორი მ. გელაშვილი.

ქუთაისი: ბაგრატის ტაძარი, წყალკურთხევის აუზის პროექტი. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. დამკვეთი - ქუთაის-გაენათის ეპარქია. 2022წ. არქიტექტორ-რესტავრატორი მ. გელაშვილი;

მცხეთა: სამთავროს მონასტერი, ფერისცვალების და წმ. ნინოს ტაძრების ფასადების მოწესრიგება. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. დამკვეთი - სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. 2022-2023წწ. არქიტექტორ-რესტავრატორი. მ. გელაშვილი;

მცხეთა: ღართისკარის კოშკების რეაბილიტაცია. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. დამკვეთი - შპს „სამეფო მარანი“. 2022-2023 წწ. არქიტექტორ-რესტავრატორი მ. გელაშვილი;

თელავი: ბატონის ციხის აბანოს რეაბილიტაცია. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. დამკვეთი - თელავის მუნიციპალიტეტი. 2022 წ. არქიტექტორ-რესტავრატორი მ. გელაშვილი;

ყვარელი: სოფ. ენისელის შიხიანის აღდგომის ეკლესიის რეაბილიტაცია. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. დამკვეთი - კ/პ ა. იობაშვილი. 2022 წ. არქიტექტორ-რესტავრატორი მ. გელაშვილი;

გურჯაანი: სოფ. ვაზისუბნის სანაგირეს ღმრთისმშობლის სახელობის ტაძრის რეაბილიტაციის ახალი პროექტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. 2022-2023 წწ. არქიტექტორ-რესტავრატორი. ნ. მინდორაშვილი;

ქობულეთი: სოფ. ციხისძირი, პეტრას ციხის რეაბილიტაცია ახლად გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. დამკვეთი - ქობულეთის მუნიციპალიტეტი. 2022 წ. არქიტექტორ-რესტავრატორი. მ. ბოჭოიძე, არქეოლოგი გ. თავამაიშვილი;

სამტრედია: სოფ. ნოღას, აკ. შანიძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის ახალი პროექტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. სამტრედიის მუნიციპალიტეტი. 2022 წ. არქიტექტორ-რესტავრატორი. პ. ნუცუბიძე;

<u>დუშეთი:</u> ხადას ხეობა, სოფ. გომურნის ციხე-სახლის გადაადგილება-რეაბილიტაცია ახალი გზის გაყვანასთან დაკავშირებით. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. დამკვეთი - დუშეთის მუნიციპალიტეტი. 2022წ. არქიტექტორ-რესტავრატორი მ. გელაშვილი;

<u>ბათუმი:</u> „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დაგეგმვისა და სათანადო დოკუმენტაციის მიწოდების სამუშაოები“ (პროექტის წევრი). დამკვეთი -ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო", 2022-2023წწ;

მომზადდა **35 სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა და რეკომენდაცია** საქართველოს ძველი ქალაქების მუნიციპალიტეტებში, არქიტექტურული ძეგლების დაცვითი ზონების არეალში მშენებლობასთან დაკავშირებით

ქეთევან აბაშიძე,

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მრავალწლიანი პროექტი:

- ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაცია; წამყვანი ექსპერტი; (პროექტი შეჩერებულია)

ლალი ანდრონიკაშვილი,

საექსპერტო დასკვნები სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო პროექტებზე:

1. თბილისის ეროვნული ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის პროექტი.
2. თელავის ჭადრაკის სახლი (ცაბაძის ქ. #11) რეაბილიტაციის პროექტი.
3. სნოს კოშკის რეაბილიტაცია.
4. თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორიის განაშენიანების პროექტი.
5. ქუთაისი, ოქროს ჩარდახი - რეაბილიტაციის პროექტი.

2022 წლის განმავლობაში გ. ჩუბინაშვილის ეროვნული ცენტრის ექსპერტები აგრძელებდნენ მუშაობას გელათის მონასტრის მოხატული ტაძრების კონსერვაციის პრობლემებზე.

პედაგოგიური საქმიანობა

დავით ხოშტარია

1. სწავლება

2022 წლის ოქტომბრიდან - ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი (ლექციების კურსი შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში).

2022 წლის ოქტომბრამდე - ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მოწვეული პროფესორი (ლექციების კურსი შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში).

2. ხელმძღვანელობა

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ვარ ოთხი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნატალია ჩიტიშვილი, თემა: *Liturgical Planning of Medieval Georgian Churches* (*შუა საუკუნეების ქართული ეკლესიების ლიტურგიული გეგმარება*), ფრიბურგის უნივერსიტეტი, ფილოსოფიის ფაკულტეტი (თანახელმძღვანელი მიკელე ბაჩი).

ვერა შანიძე, თემა: *გორის სარდაფები. XVI-XVIII საუკუნეების ქართული საერო არქიტექტურის განვითარების თავისებურებანი*, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი.

თამთა შონვაძე, თემა: *თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებების არქიტექტურა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი - XX საუკუნის დასაწყისი)*, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი.

სალომე გოგოლაური, *X-XI საუკუნეების დარბაზული ეკლესიები ზემო იმერეთსა და რაჭაში*, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი.

მზია ჯანჯალია

საბაკალავრო და სამაგისტრო კურსები თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე:
შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა, შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების პრობლემები, შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა და ქრისტიანული სამყარო

მარიამ დიდებულიძე

1. **საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი,** პროფესორი

შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა (საბაკალავრო კურსი); ბიზანტიური მხატვრობის ისტორია (სამაგისტრო კურსი)

2. **თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია,** მიწვეული პედაგოგი

ბიზანტიური მხატვრობის ისტორია; შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა (საბაკალავრო კურსები)

ირინე ელიზბარაშვილი.

თბილისის სამხატვრო აკადემია
ვარ სამი მაგისტრანტისა და ერთი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

თამარ ხუნდაძე

2008- დღემდე - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ლექტორი. ხელოვნებათმცოდნეობის და რესტავრაციის ფაკულტეტის დეკანი

ლექციები :

1. ბიზანტიის ხელოვნების ისტორია (საბაკალავრო);
2. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორია (საბაკალავრო);
3. შუა საუკუნეების ქართული რელიეფი (საბაკალავრო);
4. ძველი ქართული ხელოვნების ისტორია (საბაკალავრო);
5. აღმოსავლეთ ქრისტიანული რელიეფური ქანდაკება (სამაგისტრო);
6. ბიზანტიის სახვითი ხელოვნება (სამაგისტრო);
7. რომანული და გოთური ხელოვნება (სამაგისტრო).

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო (თ. დადიანი, ქ. საბაშვილი, ნ. სარავა) ნაშრომების ხელმძღვანელობა და რეცენზირება.

ფლერ დევდარიანი

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულების ბაკალავრიატის მეორე კურსი (მიწვეული პედაგოგი)

ასმათ ოქროპირიძე

1. **თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია,** მიწვეული პედაგოგი
   ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტი, სალექციო კურსი: სახვითი ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული ანალიზი;
   არქიტექტურის ფაკულტეტი: სალექციო კურსი: ქრისტიანული ხელოვნების სიმბოლიკა (ფერი და შუქი)
2. **თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:** ხელოვნებათმცოდნეობის და რესტავრაციის ფაკულტეტი: სალექციო კურსი: ქრისტიანული ხელოვნების სახისმეტყველება

ქეთევან აბაშიძე

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. ხატწერის, რესტავრაციისა და საეკლესიო არქიტექტურის ფაკულტეტი. სასწავლო კურსები:

ა) ქართული ხელოვნების ისტორია; ბ) ქართული ხუროთმოძღვრება;

მარიამ გაბაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა. აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი, მოწვეული ლექტორი. ძირითადი კურსი: *ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა 1 (პრეისტორიიდან ისლამამდე).*

თამარ ხოსროშვილი

2022 წლიდან დღემდე _ ნიუტონის თავისუფალი სკოლა - ესთეტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ხელოვნების პედაგოგი

გიორგი ჭანიშვილი

მოწვეული პედაგოგი – საქართველოს საპატრიარქოს აკადემიის საეკლესიო არქიტექტურის ფაკულტეტი;

მარიამ გაჩეჩილაძე

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულების მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტებს ვუკითხავ საგანს: **„ქართული გრაფიკული ხელოვნების ისტორია“**

სამსონ ლეჟავა

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი

თამაზ გერსამია

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მოწვეული ლექტორი, „არქიტექტურული ძეგლის ადაპტაცია“.

თამარ ბელაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ასოცირებული პროფესორი, სასწავლო კურსები: სპეც კურსი - გამოსახულებიდან ობიექტამდე, 1950-70-იანი წლების ქართული ხელოვნების ისტორია; ზოგადი კურსი - მსოფლიო ხელოვნების ისტორია.

მარიანა ოკლეი

ლექციები ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში. საფეხური - ბაკალავრიატი. ლექციის თემა „იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი“.

საფეხური - მაგისტრატურა. ლექციის თემა „ თანამედროვე ქართული ხელოვნება დასავლეთ ევროპულ ხელოვნებასთან მიმართებაში“.

მაია მანია

აპოლონ ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობისა და რესტავრაციის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. ვკითხულობ ორ საგანს - *ქართული ქალაქური არქიტექტურა* (ბაკალავრებისათვის) და *ხელოვნების სინთეზის თეორია* (მაგისტრანტებისთვის).

თეა ტაბატაძე

1. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

სასწავლო კურსის დასახელება:

1. მოდერნიზმი საქართველოში (არჩევითი)
2. მსოფლიო ხელოვნების ისტორია 1 (სავალდებულო)
3. ქართული ხელოვნების ისტორია 1 (სავალდებულო)

2. თავისუფალი უნივერსიტეტი. ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა (VADS)

სასწავლო კურსის დასახელება:

კრიტიკული აზროვნება ვიზუალურ ხელოვნებაში (სავალდებულო)

მზია ჩიხრაძე

თავისუფალი უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის ლექტორი,

ევროპული სკოლის საერთაშორისო საბაკალავრო სადიპლომო პროგრამის ვიზუალური ხელოვნების მასწავლებელი.

ნინო ჭოღოშვილი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, პროფესორი: საკურატორო საქმე; პროექტის მენეჯმენტი - თეორია და პრაქტიკა, ბაკალავრიატი + მაგისტრატურა; ფოტოგრაფიის ისტორია - ბაკალავრიატი; თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება- ბაკალავრიატი; XX საუკუნის ევროპისა და ამერიკის ხელოვნება

ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული პედაგოგი, ფოტოგრაფიის ისტორია და თეორია - მაგისტრატურა; საკურატორო და საგამოფენო საქმე, პროექტის მენეჯმენტი, თეორია და პრაქტიკა - მაგისტრატურა

სადოქტორო ან/და სამაგისტრო ან/და საბაკალავრო ნაშრომების რეცენზენტობა; სადოქტორო ნაშრომების ოპონენტობა;

<u>თსსა</u>

2022. მ. ჭინჭარაული თინა ცხადაძის გრაფიკული სერიის „ქართული მუქი“ თავისებურებების განსაზღვრისთვის. ბაკალავრიატი

2022. რ. კაჭახიძე, „ეროვნული მხატვრობის ტრადიციების ინტერპრეტაციის პრობლემა სევერიან მაისაშვილის შემოქმედების მაგალითზე“

სამეცნიერო საბჭოებში, სარედაქციო კოლეგიებსა და ა.შ. საქმიანობა

დავით ხოშტარია

გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი;

აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი.

კიტი მაჩაბელი
გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ლეილა ხუსკივაძე,
გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ნინო ჭიჭინაძე
გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

მარინე ბულია

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი
აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ჟურნალის ACADEMIA მთავარი რედაქტორი
კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
საერთაშორისო ინტერნეტ ჟურნალის „ამირანი“ სარედაქციო საბჭოს წევრი

ქეთევან მიქელაძე

გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

მარიამ დიდებულიძე

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი
საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი
„პატრისტიკული კვლევების საერთაშორისო ასოციაცია“ წევრი(AIEP-IAPS)

Academia Europaea-ს თბილისის რეგიონული ცენტრი, სამეცნიერო საბჭოს წევრი

ციცინო ჩაჩხუნაშვილი

1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭო. სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი
2. ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS) ეროვნული კომიტეტი (იკომოს საქართველო). მეთოდური საბჭოს წევრი
3. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

მანანა სურამელაშვილი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა წევრის სტატუსით.

თამარ ხუნდაძე

2010- დღემდე - გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი;

2014-დღემდე - ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, 2008- დღემდე - ასოცირებული პროფესორი, 2022- ფაკულტეტის დეკანი.

ფლერ დევდარიანი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ქეთევან აბაშიძე

საპატრიარქოსთან არსებული ხუროთმოძღვრების, სახვითი ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭოს წევრი;

გიორგი ჭანიშვილი

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექცია.
სტატუსის განსაზღვრის სექცია; კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და ურბანული მემკვიდრეობის სექცია; ისტორიულ-არქიტექტურული კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაცია-კონსერვაციის
სექცია;

საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების,
ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრის საბჭო

მარიამ გაჩეჩილაძე

1. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

2. 2022 წლიდან სსიპ „საქართველოს *კულტურული მემკვიდრეობის* დაცვის ეროვნული *სააგენტო*“-ს უძრავი ძეგლის სტატუსის მიმნიჭებელი კომისიის წევრი.

მარინა მემმარიაშვილი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

სამსონ ლეჟავა

გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი

თბილისის მერია. თბილისში ქანდაკებების განთავსების საკონსულტაციო საბჭოს წევრი

საქართველოს ეროვნული ბანკი. ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დიზაინის ესკიზების შერჩევის კომისიის საბჭოს წევრი

ლალი ანდრონიკაშვილი

გ. ჩუბინაშვილის კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთა არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრი. 2019- დღემდე

მარიანა ოკლეი

გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

ვარ OISTAT -ის (სცენოგრაფების, თეატრის არქიტექტორების, ტექნოლოგიების და თეორეტიკოსების საერთაშორისო ქსელი) წევრი.

ვარ ICOM-ს საქართველოს ორგანიზაციის წევრი.

მაია მანია

გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი 2019 წლიდან დღემდე.

აპოლონ ქუთათელაძის თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი 2010 წლიდან დღემდე.

ელენე თუმანიშვილი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ნინო ჭოლოშვილი

2012 წლიდან დღემდე: თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საბჭო; სადისერტაციო საბჭო

2015 წლიდან დღემდე. საქართველოს შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ხელოვნებათმცოდნეობის სექცია

2022 წლიდან. საქართველოს შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბჭო.

2010 წლიდან დღემდე. ICOM – International Council of Museums

2007 წლიდან დღემდე, IKT International Association of Curators of Contemporary Art

საგანმანათლებლო საქმიანობა (საჯარო ლექციები, სემინარების და სხვ.)

მარიამ დიდებულიძე

სალექციო კურსი: შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ისტორია.

ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის პროექტი: ქართული ხელოვნება საქართველოში მოქმედი ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისთვის. (2022, ივლისი -აგვისტო)

ეკა გედევანიშვილი

22 დეკემბერი - საჯარო ლექცია: ქარელის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის სკოლა-გიმნაზია -ხახულის ღმრთისმშობლის ეკლესიის გუმბათური შემკულობა და მისი კავშირი სვეტიცხოვლის სიწმინდეებთან

საპატრიარქოს ტელევიზია

23 ნოემბერი -წმ. გიორგი, საქართველოს ეროვნული წმინდანი.

თამარ ხოსროშვილი

2020 წლიდან დღემდე _ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი - ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში ხელოვნების ექსპერტი.

2013 წლიდან დღემდე _ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი - ხელოვნების პედაგოგთა ტრენერი.

13.04.2022-30.06.2022_სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა _ 10-ე კლასის ხელოვნების სახელმძღვანელოს რეცენზირება

თამარ ბელაშვილი

საჯარო ლექცია - თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია; თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, 29.07.2022, ქანდაკება, როგორც მეხსიერება.
https://www.youtube.com/watch?v=Trry1G8_CzQ

მზია ჩიხრაძე

ღია ლექცია ეროვნულ გალერეაში: ნაცნობი-უცნობი გიგო გაბაშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა

მთარგმნელობითი და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა

მარინე ბულია

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ჟურნალის **ACADEMIA** #10, 2022
სტატიების რედაქტირება და ნომრის გამოსაცემად მომზადება.

ქეთევან აბაშიძე

ვმუშაობ ან. ნატროშვილის წიგნის - „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტი-ცხოველი“ - თარგმანის რედაქტირებაზე მთარგმნელთან ერთად;

ნატალია ჩიტიშვილი

ჟურნალ საქართველოს სიძველენი, N25, 2022 - სარედაქციო ჯგუფის წევრი

კრებულ *The Interaction of Objects, Images, and Bodies with Built and Natural Spaces in Medieval Georgia* თანარედაქტორი მიქელე ბაჩისთან და მანუელა შტუდერ-კარლენთან ერთად (გამოიცემა 2023-ში)

მარიამ გაჩეჩილაძე

2022 წლის 28-29 ნოემბერს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე.

პროგრამა: https://drive.google.com/.../1kbUCXDT5K2C5XW9JFsX.../view...

კონფერენციის ფარგლებში, დაგეგმილი იყო:
28 ნოემბერს, 13:30 სთ. მხატვარ თამარ (თალიკო) კარბელაშვილის დაბადებიდან 85 წლის საიუბილეო გამოფენის გახსნა (გამოფენის კურატორი)

ღონისძიების ბმული: **https://www.facebook.com/events/847329143125148**

29 ნოემბერს, 14:00 სთ. განხორციელდა წიგნების პრეზენტაცია:

მამია (ჯემალ) ლოლუა - 90 (საიუბილეო წიგნი-ალბომი)თბ., 2022
ოთარ ჯაფარიძე - 100 (საიუბილეო წიგნი-ალბომი), თბ., 2020

წიგნების ავტორი - მარიამ გაჩეჩილაძე

ღონისძიების ბმული: **https://www.facebook.com/events/517146173796347**

ეს გამოცემები მომზადდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს „წიგნი-ალბომებისა და საიუბილეო წიგნების გამოცემა“ პროექტების ფარგლებში.

მარინა მემმარიაშვილი

1. გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონული ჟურნალის „Ars Georgica“, სერია B (ახალი და თანამედროვე ხელოვნება) **სარედაქციო საბჭოს წევრი**
   იხ.: georgianart.ge; ISSN 1512-4088
2. 2012 წლიდან დღემდე. თსსა სამეცნიერო ჟურნალი ACADEMIA . სარედაქციო კოლეგიის წევრი

ელენე თუმანიშვილი

გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონული ჟურნალის „Ars Georgica“, სერია B (ახალი და თანამედროვე ხელოვნება) **მთავარი რედაქტორი**
იხ.: georgianart.ge; ISSN 1512-4088

ნინო ჭოღოშვილი

2018 წლიდან დღემდე. თსსა სტუდენტური ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „არტი და ტექსტი“ www.artandtext.ge რედაქტორი

წიგნის/კრებულის, ნაშრომის რედაქტორობა;

2022 წ.

ირინე აბესაძე, ქრისტინე დარჩია. „ალექსანდრე ციმაკურიძე და მისი პეიზაჟური სკოლა“ (საიუბილეო წიგნი-ალბომი)
2022. ეკატერინე ბაღდავაძე, „კვლევის სახელოვნებათმცოდნეო მეთოდის - ფორმის ანალიზის მეტათეორია და პრაქტიკა“, მონოგრაფია

სოფიო ჩიტორელიძე,

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი; ელექტრონული ჟურნალი „Ars Georgica“, სერია B; georgianart.ge. მხატვრული რედაქტორი

საგამოფენო საქმიანობა/კურატორობა;

ნინო გომელაური

მივიღე მონაწილეობა 2023 წლის ოქტომბერში, ბრიუსელის ეროვნულ მუზეუმში დაგეგმილი გამოფენისათვის („EXANGES“) გასაგზავნ კოლექციათა კატალოგისა და ანოტაციების შედგენაში.

ეთერ ედიშერაშვილი

საკვლევ თემასთან დაკავშირებით 11-14 აპრილი – განხორციელდა მივლინება ქუთაისის მუზეუმში, რომლის ფარგლებში ჩატარდა გვიანი შუა საუკუნეების, კერძოდ კი XVI-XVII საუკუნეების მოხატული ისტორიული საბუთების (ორი ნიმუში) და თანადროული მოხატული ხელნაწერების აღწერა და შესწავლა..

მარიამ გაჩეჩელაძე

ვუძღვები გიორგი ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის საგამოფენო დარბაზში Ars Georgica გამართულ საგამოფენო საქმიანობას.

- თამარ კარბელაშვილი-85. საიუბილეო გამოფენა. 28.11.2022-07.12.2022

სოფიო ჩიტორელიძე

გამოფენა - „უახლესი პერიოდის ქართველ მოქანდაკეთა სამი თაობა“
პროექტის მონაწილე. გამოფენის თანაორგანიზატორი.
მერაბ ბერძენიშვილის საერთაშორისო კულტურის ცენტრი „მუზა“. 13-31.07.2022

2 „ქართული ქანდაკების 100 წელი“.
პროექტის მონაწილე, გამოფენის თანაორგანიზატორი.
მერაბ ბერძენიშვილის საერთაშორისო კულტურის ცენტრი „მუზა“. 28.10-5.12.2022
დამფინანსებელი ორგანიზაცია - საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
განმახორციელებელი ორგანიზაცია - თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია.

3. თამარ კარბელაშვილის 85 წლის საიუბილეო გამოფენა.
გამოფენის თანაორგანიზატორი
ჩუბინაშვილის ცენტრის საგამოფენო დარბაზი „Ars Georgica“. ათონელის ქ. #9;
28.11-07.12.2022
განმახორციელებელი ორგანიზაცია -ჩუბინაშვილის ცენტრი

ნანა ყიფიანი

ვიყავი საზოგადოებრივი ტელევიზიის ოთხსერიანი ფილმის „ქართული მოდერნიზმის“ კონსულტანტი და ზოგადი სცენარის ავტორი.ფილმი დასრულებულია. საბოლოო ვარიანტი ნოემბრის თვეში საბოლოოდ შემოწმდა

2022 წლის 25 თებერვალს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გავხსენით გამოფენა „ქართული მოდერნიზმი“. კურატორები ნანა ყიფიანი და ნანა შერვაშიძე; თანაკურატორი მარიან დვალი

მზია ჩიხრაძე

გამოფენა - გიგო გაბაშვილი: წარმოსახვა და რეალობა, ეროვნული გალერეა, კურატორი

საერთაშორისო ურთიერთობები

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი 2022 წელს აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას ევროპის და ამერიკის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებთან, მათ შორის თავის ტრადიციულ პარტნიორებთან,: ფლორენციის მაქს პლანკის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი (იტალია); ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ინსტიტუტი (დიდი ბრიტანეთი); ფრიბურგის და ბაზელის უნივერსიტეტები (შვეიცარია), ტოკიოს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (იაპონია) და სხვ.

2022 წელს გაგრძელდა ფლორენციის მაქს პლანკის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის და გ, ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის ერთობლივი On-line სემინარების ციკლი ქართული ხელოვნების საკითხებზე, (მ. მანია, ნ. ნაცვლიშვილი, ე. ედიშერაშვილი და სხვ) ჩვენი უცხოელი კოლეგების აქტიური მონაწილეობით და ძალიან ფართო აუდიტორიით.

გრძელდებოდა ურთიერთობა ბრიტანეთის საქველმოქმედო ფონდ FARIG-თან (Friends of Academic Researches in Georgia) რომელიც დაფუძნდა 1990-იან წლებში სწორედ გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მხარდასაჭერად. ამ ფონდის დამფუძნებლის, პროფესორ ჯონ ვილკინსონის ოჯახმა 2022 წელს გ. ჩუბინაშვილის ცენტრს გადმოსცა გარდაცვლილი მეცნიერის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ნაწილი და საარქივო მასალა, რომელიც საქართველოს ხელოვნებას და კულტურულ მემკვიდრეობას ეხება. 2022-2023 წლებში FARIG-მა დააფინანსა ცენტრის თანამშრომლის **ნინო ჭინჭარაულის** სამეცნიერო კვლევა თემაზე: **„საბჭოთა სახვითი ხელოვნება და ქართული მხატვრული კრიტიკა: ფუნქცია და დანიშნულება“**

2022 წელს გ. ჩუბინაშვილის ცენტრის ტოკიოს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან (იაპონია) მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პარტნიორობის ფარგლებში იაპონელი კოლეგებმა ქართველი სპეციალისტების დახმარებით თარგმნეს და გამოსცეს ცენტრის მიერ გამოცემული წიგნი „საქართველოს ქალაქების ურბანული დაგეგმარება 1901-1918 წლებში“

2022 წელს გაგრძელდა მრავალწლიანი თანამშრომლობა აშშ-ს საელჩოსთან კულტურის დარგში. 2022 წელს უნდა განხორციელებულიყო მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის კონსერვაციის პროექტის. მეორე ეტაპი: საკონსერვაციო პროექტის მომზადება, განხილვა და განხორციელება, 2020-2023. პროექტი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობი ს ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, მსხვილი გრანტის ფარგლებში. პროექტი დროებით შეჩერებულია.

გ. ჩუბინაშვილის ეროვნულ ცენტრსა და აშშ-ს გამომცემლობამ **the Nova Publishers (NY)** შორის მიღწეულია შეთანხმება ამ გამომცემლობის პრიორიტეტულ პროგრამის ფარგლებში „ქართული მეცნიერების კლასიკა“ გამოიცეს ინგლისურ ენაზე თარგმნილი ნაშრომები ქართული ხელოვნებათმცოდნეობის დამფუძნებლის გიორგი ჩუბინაშვილის ნაშრომების კრებული.

დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ფონდმა THE BARAKAT TRUST- მა დააფინანსა ჩუბინაშვილის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლების ი. ელიზბარაშვილის და ც. ჩაჩხუნაშვილის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი: .საქართველოს ისლამური აბანოების შესწავლა-დოკუმენტირება სამცხეს და კახეთის ისტორიულ ქალაქებში (თელავი, გრემი, ახალციხე, აწყური)- 2022-23

2022 წლის 5-15 სექტემბერს **გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრის, ბრნოს, მისარიკის უნივერსიტეტისა და ფრიბურგის (შვეიცარია) უნივერსიტეტის** თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა ერთობლივი სამეცნიერო ექსპედიცია ზემო სვანეთში. ექსპედიცია მიზნად ისახავდა უცხოელთათვის შუა საუკუნეების ქართული მემკვიდრეობის გაცნობასა და პოპულარიზაციას. ექსპედიციაში ახალგაზრდა მკვლევარებთან და სტუდენტებთან ერთად იმყოფებოდნენ სახელგანთქმული მეცნიერებიც (ენტონი ისტმუნდი, მიქელე ბაჩი, ივან ფოლეტი). ყოველ ძეგლზე მოეწყო პრეზენტაცია, რომელსაც ახლდა სამეცნიერო დისკუსია.

16 სექტემბერს, თბილისში გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „The Interaction of Objects, Images and Bodies with Built and Natural Spaces in Medieval Svaneti",რომელიც სვანეთში დაცული მემკვიდრეობის კვლევასა და მისი დაცვის საკითხებს მიეძღვნა. კონფერენციაზე წაკითხული მასალა 2023 წელს ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ სამეცნიერო პერიოდულ გამოცემაში Convivium Supplementum -ში დაიბეჭდება.

კონფერენციები

ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მნიშვნელოვან საერთაშორისო სამეცნიერო თავყრილობებში:

დ. ხოშტარია უორკშოპი „კულტურული ინტერაქციები შუა საუკუნეების ამიერკავკასიაში: ისტორიოგრაფიული და სახელოვნებათმცოდნეო პერსპექტივები", ფრიბურგის უნივერსიტეტი, ფილოსოფიის ფაკულტეტი, შვეიცარია, 2022 წლის 10-11 მაისი.

ნათია ნაცვლიშვილი, 7-8 ივლისი, 2022, ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტი (ETH), ციურიხი, შვეიცარია
ნათია ნაცვლიშვილი, . 14-15 ოქტომბერი, 2022, ბიზანტინისტთა ასოციაციის მეცამეტე საერთაშორისო კონფერენცია (AEMB), პარიზი, საფრანგეთი

ნ. ნაცვლიშვილი - მონაწილეობდა ვორკშოპ-ში „ევროკავშირი-დიალოგისთვის", რომელიც ჩატარდა ალბანეთში ევროკავშირის ეგიდით

მზია ჯანჯალია, ეთერ ედიშერაშვილი ესპანეთი, მადრიდის უნივერსიტეტი, **Universidad Complutense de Madrid, January 24-27;** მოხსენება: **On the Threshold: Georgian Religious Visual Culture in the Eleventh Century**

თამარ ხუნდაძე. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული ქანდაკებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო On-line კონფერენცია - Georgian Medieval Architectural Sculpture in Interaction with Neighbouring Cultures. Organized by Prof. Dr. Neslihan Asutay-Effenberger (RUB) and Dr. Dr. Nina Iamanidze (Collège de France) with support of Deutsche Fosrchungsgemeinschaft 2022 წლის 4-5 ნოემბერი

თამარ ხუნდაძე, ქრისტინე საბაშვილი. საერთაშორისო კონფერენცია : International online colloquium: Artists and Craftsmen on the Road: Georgian Medieval Architectural Sculpture in Interaction with Neighbouring Cultures: მოხსენება : Royal "portraits" and their attributes as represented in 10th-11th c. Georgian sculpture. Kunstgeschichtliches Institute, Ruhr Universitat, Bochum, 04-05 November, 2022

ქრისტინე საბაშვილი. ვორქშოპი, ფორუმი : MMA Summer Research program (supported by Byzantine Studies Association of North America, the Medieval Academy of America); Yale University ,17-19 August

ე.ედიშერაშვილი მონაწილეობდა საზაფხულო სკოლების მუშაობაში. 2. Zoroastrian Summer School, SOAS, University of London and the University of Bergen; 20 24 June, The Norwegian Institut in Rome, Italy.

„Teaching (in) the Middle Ages: Arts – Rituals – Education", The Network for Medieval Arts and Rituals (NetMAR), Summer School, 25-31 July 2022, University of Bamberg, Germany.

ნატალია ჩიტიშვილი. მხატვრული კავშირები კავკასიაში: ახალი კვლევები და პერსპექტივები: 2022, ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია

გიორგი პაპაშვილი, Photography and the Twofold Origins of Modern Georgian Painting (ფოტოგრაფია და ახალი ქართული მხატვრობის ორგვარი საწყისი), აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ხელოვნების ისტორიის პერიოდიზაციის III სემინარი, New Europe College-Institute for Advanced Study, ბუქარესტი, 16-23 ივნისი

ცენტრის ახალაგაზრდა თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული საზღვარგარეთის კვლევითი სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობაში:

ნატო ჩიტიშვილი არის ფრიბურგის უნივერსიტეტის დოქტორანტი. ფრიბურგის უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორიისა და არქეოლოგიის ფაკულტეტი, 2021-2024.
სადისერტაციო ნაშრომის სათაური: შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურის ლიტურგიკული გეგმარება.

ნატალია ჩიტიშვილი მონაწილეობს ფრიბურგის და ბრნოს უნივერსიტეტების ერთობლივ პროექტში რომელსაც აფინანსებს შვეიცარიის ეროვნული ფონდი (SNF). კულტურული ურთიერთკავშირები შუა საუკუნეების სამხრეთ კავკასიაში: ისტორიოგრაფიული და სახელოვნებათმცოდნეო-ისტორიული პერსპექტივები. 2021-2023, იგი ასევე მუშაობს თემაზე მხატვრული კავშირები კავკასიაში: ახალი კვლევები და პერსპექტივები: 2022, ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია

ეთერ ედიშერაშვილი

- სასწავლო ვიზიტი რომის საპიენცას უნივერსიტეტში, რომელიც წარმოადგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის: "პატრონაჟი და პოლიტიკის ანარეკლები გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში (მეფეთა და დიდებულთა მოხატული საბუთები), /PHDF-21-1456/" ნაწილს.

27 ივნისი-26 აგვისტო მოწვეული მკვლევარი **გიორგი. პაპაშვილი** „კავკასიის რეპრეზენტაცია ამერიკულ მსოფლიო გამოფენებზე", სმითსონის ინსტიტუტი - ბერდის საზოგადოების მიწვეული მკვლევრის პროგრამა, ვაშინგტონი, აშშ,

ქრისტინე საბაშვილი, ავსტრია, ლინცის უნივერსიტეტი; გაცვლითი სამეცნიერო პროგრამა დოქტორანტურის ნაშრომზე მუშაობისთვის.

ERASMUS+ მობილობის გრანტის ფარგლებში განხორციელებული პროექტები: ლექციების სერია ორგანიზებული ქალაქ ლინცის კათოლიკური კერძო უნივერსიტეტისა (Katholische Privat-Universität Linz) და აპოლონ ქუთათელაძის თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის ერთობლივი პროექტი. ლექციების კითხვა ჩატარდა ZOOM-ის ფორმატში. თემა - *Architecture and Power.Political Representations in East and West.* პროგრამით; ოქტომბერი 2021- ივნისი 2022. **(მ. მანია, დ. ხოშტარია, ნ. ჭოღოშვილი, .ე. ედიშერაშვილი,)**

ამავე პროგრამით (ERASMUS+ მობილობის გრანტი) ჩატარდა ლექციები მილანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში **(მ. მანია; *„თბილისის ურბანული და არქიტექტურული მემკვიდრეობა".***

მთელი წლის განმავლობაში ეწყობოდა შეხვედრები საქართველოში მყოფ კოლეგებთან (მაგ. ენტონი ისტმუნდი, ბრიტანეთი, ერიკ თუნო, ნორვეგია, და მრავალი სხვა; ისევე როგორც

უცხოეთში სამუშაო ვიზიტებით მყოფი ცენტრის თანამშრომლების შეხვედრები მათ უცხოელ კოლეგებთან კონკრეტულ ქვეყანაში.

დასკვნა

2021 წელს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულმა კვლევითმა ცენტრმა შეასრულა პროგრამული ვალდებულებები, როგორც სამეცნიერო კვლევის, ისე კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და დაცვის მიმართულებით.

2021 წელს ცენტრის თანამშრომელთა მიერ, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, დამუშავდა 55 სამეცნიერო თემა; გამოქვეყნდა 42 სამეცნიერო სტატია, მათ შორის 8 უცხოურ რეფერირებად ჟურნალებსა თუ კრებულებში; გამოიცა 6 მონოგრაფია; კონფერენციებზე წარდგენილი იქნა 47 მოხსენება, მათ შორის 19 უცხოეთში; ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ 15, კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ 1 პროექტში: 50-ზე მეტ სარესტავრაციო-საკონსერვაციო და უცხოური გრანტით დაფინანსებულ 3 პროექტში. ცენტრმა გამართა 3 კონფერენცია, მათ შორის 1 საერთაშორისო; სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ცენტრის 20 თანამშრომელი, სხვადასხვა სარედაქციო, სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების საქმიანობაში მონაწილეობს 21 თანამშრომელი. ცენტრი ამზადებს და გამოსცემს 2 პერიოდულ ჟურნალს: **„საქართველოს სიძველენი“** და **Ars Georgica** სერია **B** (georgianart.ge ელექტრონული გამოცემა).

მარიამ გაჩეჩილაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილების გამგე.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი